ნ. ჟ—ია.

კოლპერატივები იტალიაში.

(პირადი დაკვირვებანი).

ქუთაისი
ი. ვილაძის სტამბა.
1913

ვ უ ძ ღ ვ ნ ი

დ. ზ. სარაჯიშვილის,

ამ შრომის სულიერი ავტორის,

დაუვიწყარ ხსოვნას.

მაღლიერი ავტორი.

ავტორისაგან

ამ შრომას ვუძღვნი განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილის სსოვნას. მსოლოდ მისი წინადადებით და საშუალებით დავყავი იცალიაში ცხრა თვე, დავათვალიერე სასოფლო კოოპერაციები და მოვკრიბე ადგილობრივ საჭირო მასალები. განსვენებულს აინტერესებდა ეს კითხვა არა თეორიულათ, არამედ პრაქტიკულის მოსაზრებით; მას სურდა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო და შეკ თავისი წვლილიც შეეტანა. ეს მას არ დასცალდა...

მე დავბრუნდი იცალიიდან 1910 წ., ხოლო მასალები დავამუშავე ერთი წლის შემდეგ. ასეთი დაკვანების მიზეზი იყო ერთი მხრით ჩემგან დამოუკიდებელი გარემოება და მეორე მხრით ავადმყოფობა. დათავებული შრომა შეიძინა დ. სარაჯიშვილის ქვრივმა, ამ თავის განსვენებულ მეუღლის ყველა ბლანების კარკათ მცოდნემ; ქალბატონ უკატერინას სურდა დავითის სურვილი—ამ შრომის გაცნობა თითონ მოეყვანა სისრულეში; მარა შეკრი საქმეების გამო ამისათვის ვეღარ მოიცალა და ის გადასცა ქუთაისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციას გამოსაცემათ. რედაქციამ თავის მხრით ეს საქმე კერპო ჯვეჯს გადასცა.

როკორც მკითხველი დაინახავს, ამ შრომის მიზანია ქართველი კოოპერატორი გააცნოს დასავლეთის საუკეთესო სასოფლო კოოპერაციათა პრაქტიკას, მათ საქმეთა წაპართვას და წაყვანას. ჩვენში, საზოგადოთ, უფრო ესერსებათ კითხვებზე მსჯელობა, თეორიებზე წერა და კამათი, სოლო როცა პრაქტიკული კითხვა დგება—აქ უკან ვდგებით, საქმიანობა სიცყვას აღარ ემზგავსება. მართალი აზრის შე-

ბენა წიგნებიდან შეიძლება; ხოლო მართალი პრაქტიკა გამოცდილებიდან მოდის, და თუ საკუთარი გამოცდილება არა გვაქვს—უნდა მივმართოთ დაწინაურებულ ერთა პრაქტიკას, მათ ყოველდღიურ საქმიანობას და ურთიერთშორის დამოკიდებულებას. და თუ ოდნავვათ შაინც მიგვახლოვდით აბ მიზანს, თუ ჩვენებური კოოპერაციორი შესაძლებს პრაქტიკაში გამოყენებას ამ წიგნში მოთავსებულ ცნობებისას—ჩვენც დაკმაყოფილებული ვიქნებით...

კოოპერატივები იტალიაში.

(პირადი დაკვირვებანი)

ამ ერთი წლის წინეთ მილანში მივმართე იტალიის კოოპერატივთა ფედერაციის მეთაურს ანტონიო მაფის, ეჩვენებინა სად შეიძლებოდა საუკეთესო სოფლის კოოპერატივების დათვალიერება.—სოფლის კოოპერატივები?—მომიგო მან,—წადით რეჯიო-ემილიაში, ამ სასოფლო კოოპერატივების სამშობლოში, უკეთესს ვერსად ნახავთ, ვერც იტალიაში და ვერც სხვაგან. მიგიწერთ რეჯიოს შრომის ბირჟის მდივანთან, ის იქნება თქვენი ჩიჩერონე...— მიმიწერეთ თავმჯდომარესთანაც,—ჩავურთე მე.—არა, ეგ საჭირო არ არის. ჰო, მართლა, თქვენში მგონი თავმჯდომარე ყველაფერია, მდივანი არაფერი, ჩვენში უკუღმაა, მდივანია ყველაფერი, საქმის მეთაური, მისი ძარღვი... თავმჯდომარეობა უფრო საპატიო თანამდებობაა. მეც მდივანი ვარ. გაიცნობთ რეჯიოს მდივანს, ვერნიანინის, შესანიშნავი კოოპერატორია... აი წერილიც. დასწერა ხელათ და გადმომცა.—თუ დაგჭირდეთ, მომმართეთ, აქ თუ ჩამოხვიდეთ—შემოიარეთ,—დაამბოლოვა მან. გამოვეთხოვე მაფის, მარა მაინც საჭიროთ დავინახე მისი სიტყვები შემემოწმებია სტატისტიკური ცნობებით. და მართლაც, მთელს იტალიაში სოფლის ორგანიზაციებში ითვლება 189,423 მეურნე (ორივე სქესის), ამათგან რეჯიო-ემილიაშია 39,850, ლომბარდიაში—13,000, პელიაში—10,082, სიცილიაში—9,304 და სხ. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვი მთელ

იტალიაში უდრის 1809, ამათგან 400 რეჯიო-ემილიაშია, 217 ლომბარდიაში, 73 პენიაში, 161 სიცილიაში და სხ. ქალაქ რეჯიოს შრომის ბირჟის წევრთა რიცხვია 47,704, ხოლო მილანიას—33,539...

ერთი სიტყვით, რეჯიო-ემილიას პროვინცია, ვიუხედავათ მისი სიპატარავისა,*) სოფლის კოოპერატივების მხრით ყველა დანარჩენ პროვინციების წინა დგას. მეორე მხრით, საყურადღებოა ის, რომ ეს პროვინცია წმინდა სამეურნეო ქვეყანაა, მის საზღვრებში არ აღიმართება არც ერთი ფაბრიკის მილი, არ არის არც ერთი ზავოდი, არავითარი დარგი სხვილი ინდუსტრიისა. მხოლოდ რეჯიოს რკინის გზის სადგურის სახელოსნო თავისი 1600 მუშით გაგონებს კაპიტალისტური სახელოსნოს არსებობას. რეჯიოელს ამით კიდევაც თავი მოაქვს. მას რომ უთხრათ, რა ქვეყანაა ეს, ერთი ზაოდიც კი არ არისო, ის მოგიგებს: როგორ არ არის, აბა ნახეთ რკინის გზის სახელოსნოში რამდენი მუშა ტრიალებსო! ეს არის და ეს, ამით იწყება და თავდება რეჯიოს მრეწველობა. მიუხედავათ ამისა ეს წმინდა სამეურნეო პროვინცია პოლიტიკაში უკიდურეს მარცხენას ემხრობა და წლიდან წლამდი ხუთი დეპუტატისაგან პარლამენტში სამს სოციალისტს აგზავნის. იტალიის ერთი უძველესი სოციალისტთაგანი ქალ. რეჯიოს დეპუტატია. რეჯიოს საქალაქო თვითმართველობა დიდი ხანია სოციალისტების ხელშია, აგრეთვე მრავალი სასოფლო თვითმართველობაც. ევროპაში ჩვეულებრივათ სოციალიზმის ბუდე ქალაქია, იტალიაში კი ეს კანონი დარღვეულია; ქალ. რეჯიო პატარაა, სულ 30 ათას მცხოვრებს შეიცავს; მასზე მიწერილ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთაც

*) რეჯიო-ემილიის პროვინცია შეიცავს 2269 ოთხკუთხ კილომეტრს.

თუ მიუმატებთ—რეჯიოს ფარგალში იქნება 60 ათასი მცხოვრები. და აი, ეს პატარა სამეურნეო ქვეყანა იტალიის სოციალიზმის ერთი საძირკველთაგანია.

რადგანაც აქ მრეწველობა არ არის, არ არის არც სამრეწველო ბურჟუაზია. ამიტომ ეგრეთ წოდებული შუათანა პარტიელი აქ არ არსებობს და ბურთი და მოედანი დარჩენიათ უკიდურესთ, მემარცხნეთ და მემარჯვენეთ. ემილიაში იბრძვის მხოლოდ ორი პარტია: სოციალისტური და კლერიკალური, ლიბერალური არ ჩანს. თითქმის ყველა კენჭით არჩეული, დეპუტატია ის, ხმოსანი თუ სხვა ვინმე, უეჭველათ ან სოციალისტია ან კლერიკალი, იშვიათად ლიბერალი და რადიკალი. პროვინციის ბარში სოციალისტები ბატონობენ, მთაში კი კლერიკალები.

როგორც ხედავთ, რეჯიო-ემილია შესანიშნავია არა მარტო კოოპერაციათა განვითარებით, არამედ პოლიტიკურათაც. ის ბევრში ჩამოგავს ჩვენს სამშობლოს, ჩამოგავს პირველ ყოვლისა წარმოების დარგით. თუმცა ჩვენ მრეწველობით ემილიელებზე უფრო მდიდარი ვართ, მარა მეურნეობა მაინც გაბატონებული დარგია აქაც და იქაც. ერთი სიტყვით დასავლეთ ევროპაში არც ერთი პროვინციის ცხოვრება არ არის ჩვენთვის იმდენათ საგულისხმიერო, რამდენათ ცხოვრება რეჯიო-ემილიასი. მე მინახავს სოფლები შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში, მარა ემილიასავით საინტერესო არც ერთი ეს არ არის. ყველა ეს ერთიმეორის განმეორებაა ცოტა-ოდენი ცვლილებით (გარდა ინგლისისა სადაც სოფელი არც კი არის), ემილია კი არც ერთ მათგანს არ გავს. ამით აიხსნება ალბათ ის, რომ ამ ბოლო დროს ამ პროვინციას განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს და მის შესახებ წიგნებიც კი იწერება. ამ ნა-

წერებს ერთი მთავარი ნაკლულევანება აქვს: თითქმის ყველა თეორიული ხასიათისაა, დაწერილია წყაროების საშვალებით; ხოლო სოფლის ადგილობრივ შესწავლა, მისი მაჯის ცემის გაგება და ასე კოოპერატივთა პრაქტიკის წარმოდგენა—აქ არ არის. ყოველ შემთხვევაში ავტორნი ქალ. რეჯიოს არ გასცილებიან. არც ერთ ჩემმიერ დათვალიერებულ ტიპიურ სოფელში რუსეთიდან არავინ ყოფილა, როგორც იქ მეუბნებოდენ.

ამ გვარათ, მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ მას შევიყვანთ რეჯიო-ემილიაში და ზიგ დიდხანს გავაჩერებთ. ჩვენ აქ მას გავაცნობთ სოფლის არა მარტო ორგანიზაციებს, არამედ მის სოციალურ განწყობილებასაც, რომელზედაც აგებულია მთელი ადგილობრივი ურთიერთობა. უყურადღებოთ არ დავტოვებთ არც სასოფლო თვითმართველობას და მის მუნიციპალურ პოლიტიკასაც. ერთი სიტყვით, ვეცდებით ამ საინტერესო კუთხეზე ნათელი წარმოდგენა შევადგინოთ და მით ცოტა რამ ვისწავლოთ.

აქ არსებობს შემდეგი სასოფლო ორგანიზაციები:

1. მომხმარებელი კოოპერატივი.
2. სამიწათმოქმედო კოოპერატივი.
3. შრომის კოოპერატივი.
4. გლეხთა კოოპერატივი.
5. ყველის კეთების კოოპერატივი.
6. დღიურ მუშათა და გლეხთა ლიგა.
7. ურთიერთ მომხმარე საზოგადოება.
8. კოოპერატიული ბანკი.
9. პოლიტიკური ორგანიზაცია.

გარდა ამისა არის კიდევ თითო-ოროლა სხვა ორ-

განიზაციაც, როგორც სახალხო სახლის კოოპერატივი, მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, კოოპერატიული რკინის გზა და სხ ამათ ჩვენ გზადაგზა გავიცნობთ.

---

1. მომხმარებელი კოოპერატივი.

ყველაზე უფრო გავრცელებულია, რასაკვირველია, მომხმარებელი საზოგადოება. იშვიათია ისეთი სოფელი, რა გინდ პატარა იყოს იგი, კოოპერატიული დუქანი მაინც რომ არ ქონდეს. ალაგ-ალაგ, სადაც პარტიული ბრძოლა გამწვავებულია, ორი კოოპერატიული საზოგადოებაა, ერთი ეკუთვნის სოციალისტებს, მეორე კლერიკალებს. პირველი უპარტიოა, შიგ შედის ყოველნაირი რწმენის ხალხი, უმრავლესობა კი სოციალისტებია, ხოლო მეორეში მარტო კლერიკალებია. ამ ორ კოოპერატივთა შორის დიდი ბრძოლა და ქიშპობაა გაჩაღებული. კოოპერატივების დაარსება პირველათ დაიწყეს სოციალისტებმა, შემდეგ კი მათ მიბაძეს კლერიკალებმაც. არ ერთი კოოპერატივი არ იწვევს იმდენ შეხლა-შემოხლას და ინტერესთა წინააღმდეგობას, როგორც მომხმარებელი კოოპერატივი. ეს აიხსნება იმით, რომ მხოლოდ ის უწევს კონკურენციას მედუქნეებს და უკანასკნელნიც მეცადინეობენ მის დაღუპვას. ერთათერთ მთავარ იარაღათ კოოპერატივის გასატეხათ აღიარებულია სოფლის თვითმართველობა, რომელსაც უფლება აქვს გადასახადები დაადვას და აკრიბოს თავის ფარგალში მყოფ უძრავ-მოძრავ ქონებას. როცა მუნიციპალიტეტი კლერიკალების ხელშია — მომხმარებელ საზოგადოებას იმდენ გადასახადს ადებენ, რომ მისი არსებობა განსაცდელში ვარდება. მართალია, არსებობს კანონით დადებული ნორმა გადასახადებისა, რომლის მეტს მუნიციპალიტეტი ვერ გააწერს მცხოვ-

რებთ, მარა მთელი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ ვის რამდენი გააწერონ. ღარიბები მდიდრებს აწერენ მეტს, მდიდრები—ღარიბებს. მედუქნეთა უმრავლესობა კლერიკალების ჯარია და მათი მუნიციპალიტეტი, რასაკვირველია, მოსვენებას არ აძლევს სოციალისტურ კოოპერატივს. სოფ. ნოველარას კოოპერატივი იმდენათ დაასუსტა ადგილობრივმა კლერიკალურმა მუნიციპალიტეტმა, რომ მუნიციპალიტეტის დაპყრობა საჭირ-ბოროტო კითხვათ გადაიქცა. და მართლაც უკანასკნელ სასოფლო არჩევნებში დამარცხდენ კლერიკალები და გამარჯვება სოციალისტთ ხვდათ.

ერთი სიტყვით, მომხმარებელ საზოგადოებას ყველაზე მეტი მტერი ყავს, მარა მიუხედავათ ამისა, ის ყოველ სოფელში არსებობს.

პირველ ყოვლისა გავიცნოთ მომხმარებელი საზოგადოების წესდება. ავიღოთ უმთავრესი კოოპერატივის წესდება, (როგორიცაა სოფ. ფაბრიკოს) და მოვიყვანოთ იქიდან საჭირო მუხლები:

მუხ. 1. სოფ. ფაბრიკოში, რეჯიო-ემილიას პროვინციაში დაარსდა საზოგადოება აქციებზე—სახელწოდებით მომხმარებელი კოოპერატიული საზოგადოება.

მუხ. 2. ასოციაციის მიზანია წვრილი თანხების შეერთებით თვითეული წევრის ზნეობრივ და ნივთიერ კეთილდღეობას ძლიერი დახმარება გაუწიოს. ამ მიზნის მისაღწევათ საზოგადოება, რამდენათაც თანხა დაანებებს, ხსნის ყოველგვარ, მცხოვრებთათვის მიუცილებელ, საქონლის მაღაზიას; ხსნის ფურნეს, იძენს სხვადასხვა ხელობისათვის საჭირო იარაღს, აარსებს ბანკს წვრილი სესხისათვის, ურთიერთ დამხმარე საზოგადოებას და სხ.

მუხ. 3. საზოგადოება დგას პოლიტიკური და რელიგიური კითხვების გარეშე.

მუხ. 4. საზოგადოების მიზანია მისცეს წევრთ პირველი ხარისხის საქონელი, მართალი წონის, მართალი ზომის. წმინდა შემოსავალი, გამგეობის და სხვა საჭიროების ხარჯთა გამოკლებით, განაწილდება თანახმათ მე-19 მუხლისა.

მუხ. 5. საზოგადოების არსებობის ვადაა 99 წელიწადი დღიდან დაარსებისა. შეუძლია გააგრძელოს თავის არსებობა შემდეგაც.

მუხ. 6. საზოგადოებას აქვს ბინა ფაბრიკოში, იქვეა მისი გამგეობა.

მუხ. 7. საზოგადოებს წევრობისათვის სავალდებულოა შეძენა ერთი ან მეტი აქციის (არა უმეტეს ათისა), ღირებულის 25 ლირათ*) თითო. პირველი ხუთი ლირა უნდა იქნას გადახდილი სამი თვის განმავლობაში, თვეში 1 ლირა და 67 სანტიმი. ხოლო დანარჩენი 20 ლირა გადაიხდება 40 თვის განმავლობაში, თვიურათ ნახევარ-ნახევარი ლირა. შეიძლება ანგარიშის გასწორება უფრო მოკლე დროშიაც, ვისაც კი შეუძლია.

მუხ. 8. ძირის თანხა შედგება:

ა) წევრთა აქციებისაგან;

ბ) საზოგადოების იმ ქონებისაგან, რომელიც შედგება სათადარიგო თანხისათვის დანიშნულ მოგებისაგან;

გ) სხვა რაიმე შემოსავლისაგან.

მუხ. 9. აქცია არის სახელობითი და პირადი, არ შეი-

*) აქცია ნიშნავს პაის; ერთი ლირა უდრის შვიდ შაურს, 100 სანტიმი ერთ ლირას.

ძლება მისი გაყიდვა, დაგირავება ან სხვაზე გადაცემა რა სახითაც უნდა იყოს გამგეობის ნებადაურთველათ. გამგეობამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ინტერესები იმ ზარალისაგან, რომელიც მას მიადგება აქციის პატრონის გამოცვლით.

მუხ. 10. როგორც კი წევრი სრულიად გადაიხდის ერთი აქციის ფასს—ის ხდება მონაწილე კოოპერატიული მაღაზიის სარგებლის; მას ეძლევა დივიდენდი.

მუხ. 11. თითეულ წევრს შეუძლია შეიძინოს არა უმეტეს 10 აქციისა.

მუხ. 12. წევრათ მიიღება ყველა, სქესის მიუხედავათ, ვინც კი მისდევს რაიმე ხელობას და არის არა ნაკლები 16 და არა უმეტეს 60 წლისა. ის ჩაწერისთანავე იხდის ერთდროებითი ჩასაწერ გადასახადს. მცირე წლოვანი მიიღება წევრათ მშობლების, აპეკუნის ან. და ორი წევრის პასუხის მგებლობით.

მუხ. 13. წევრს აქვს უფლება:

ა) იყოს ამრჩეველი, თუ მას შეუსრულდა ოცი წელი და აქციის ფასი გადაიხადა.

ბ) იყოს არჩეული საზოგადოების თანამდებობაზე, თუ მან იცის წერა-კითხვა და აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილებას (ა).

გ) მონაწილეა სარგებლის.

დ) და საზოგადოთ მთელი აღებ-მიცემობის.

მუხ. 14. თითეულ წევრს აქვს თითო ხმა, რამდენი აქციაც ქონდეს შეძენილი.

მუხ. 15. როცა წევრი გაწვეულია ჯარში სამხედრო ბეგრის მოსახდელათ—მას შეუძლია სამსახურის

განმავლობაში არ გადაიხადოს საწევრო ხვედრი გადასახადი, ხოლო წევრის უფლებები მას რჩება. სამსახურიდან დაბრუნებისას ვალდებულია შეასრულოს თავის საწევრო მოვალეობა.

მუხ. 16. გადაცვალებული წევრის აქციები და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობა გადაეცემა გადაცვალებულის მიერ დასახელებულ პირს ან და კანონიერ მემკვიდრეს, თანახმათ მე-12 მუხლისა.

მუხ. 18. საზოგადოების ბალანსი (ანგარიში) დგება ორ-სამ თვეში ერთხელ, საზოგადო კი წლის გასულს საზოგადო კრებაზე წასადგენათ.

მუხ. 19. მოგება, გამგეობის და სხვა ხარჯების გამოკლებით, ნაწილდება ამ ნაირათ:

ა) ორი მეათედი—წევრს თითო აქციაზე;

ბ) ოთხი მეათედი—წევრს მაღაზიაში ნავაჭრ საქონლის რაოდენობის მიხედვით;

გ) სამი მეათედი—სათადარიგო თანხას;

დ) ერთი მეათედი—საქველმოქმედო თანხას.

მუხ. 20. საქველმოქმედო ფონდიდან ისარგებლებს ის წევრი, რომელმაც სრულიათ გადაიხადა ერთი აქციის ფული, ერთდროებით ნახევარი ლირა და სამ თვეს, დახმარების მოკლებამდის, ხშირათ ვაჭრობდა კოოპერატიულ მაღაზიაში.

მუხ. 21. გამგეობას შეუძლია საგანგებო შემთხვევებში გადადვას სათადარიგო თანხისათვის მოგების სამ მეათედზე მეტი, ხოლო არა უმეტესი ოთხი მეათედისა.

მუხ. 22. წმინდა მოგება მიეცემა წევრს ფინანსიური წლის გასულს, რომელიც იწყება და თავდება ჩვეულებრივი წლის აღრიცხვით. საადმინისტრა-

ციო (გამგეობის) წელიწადი იწყება აპრილის მესამე კვირას.

მუხ. 23. როცა წევრის ხვედრი მოგება, კოოპერატივიდან გაუტანელი, აღწევს 25 ლირას—ეს ფული ხმარდება ახალ აქციის შეძენას.

მუხ. 24. საქონლის ყიდვა ხდება საფაბრიკო ფასებში, ხოლო გაყიდვა—ადგილობრივ ფასებში. გამგეობის საქმეა ფასების დაწესება და შეცვლა.

მუხ. 25. ფინანსიური წლის გასულს გამგეობა მოგებიდან პირველათ ისტუმრებს მოძრავი ქონების ვალს და შემდეგ მას ანაწილებს.

მუხ. 26. საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ და გამგეობის უკეთ წასაყვანათ შექნილია სათადიგო თანხა.

მუხ. 27. სათადარიგო თანხა შედგება:

ა) მოგების სამი მეათედიდან, თანახმათ მე-19 და 21 მუხლებისა;

ბ) წევრათ ჩასაწერ გადასახადისაგან, რაც უდრის ნახევარ ლირას, სხვა ყველა მოულოდნელი თუ მოსალოდნელი შემოსავალი ჩაირიცხება საქველმოქმედო ფონდში.

მუხ. 28. წევრთა კრების საქმეა დაადგინოს—რაზე იქნას მოხმარებული სათადარიგო თანხა, როცა ის გახდება ხელმოწერილი თანხის ორი მესამედი*).

მუხ. 29. წევრათ მიღებისათვის საჭიროა, გარდა მე-12 მუხლის პირობებისა, კიდევ შემდეგი: წევრს არ ქონდეს ჩამორთმეული სამოქალაქო უფლებები, არ იყოს ლოთი და არ ატარებდეს საძრახ ცხოვრებას.

---

*) ხელმოწერილი თანხაა აქციის გადახდილი და გადაუხდელი ფასი ერთათ.

მუხ. 30. წევრობის სურვილი განეცხადება თავმჯდომარეს, რომელსაც ეცნობება წევრობის მსურველის სახელი, მამის სახელი და გვარი, მდგომარეობა, ხელობა და ბინადრობა. გამგეობა იქონიებს მსჯელობას მიღების შესახებ. გამგეობისგადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხ. 31. საზოგადოებისაგან გამოირიცხება ის წევრი, რომელიც თვე-ნახევარის განმავლობაში არ შემოიტანს ხვედრ საწევრო გადასახადს თანახმათ მე-7 მუხ.

მუხ. 32. საზოგადოებიდან გაიძევებიან:

ა) ის თანამდებობის პირი, რომელიც საზოგადოების თანხას არ მოიხმარს დანიშნულებისაებრ ან და ბოროტათ მოიხმარს; ბ) ისინი, ვინც დასჯილ იქნენ შანტაჟის, ქურდობის ან და საზოგადო მორალის შელახვისათვის.

გ) ის, ვინც ეურჩება კრების ბრძანებას, უარყოფს ამ წესდების ყოველნაირ პატივს, უარყოფს განჩინებას საზოგადო კრების, გამგეობის და ვინც უპატივცემლოთ ეპყრობა გამგეობის თითოულ წევრს;

დ) ის, ვინც თავის კოოპერატივის გასაძლიერებლათ მოქმედების მაგიერ, მოქმედობს პირდაპირ თუ არა-პირდაპირ სხვა კოოპერატივის სასარგებლოთ და თავის საზარალოთ, ვინც ცდილობს დაარღვიოს საზოგადოება და აგდებს განხეთქილებას წევრთა შორის.

მუხ. 33. საზოგადოებიდან გაიძევებიან აგრეთვე გამგეობის ის წევრნი, რომელნიც ფირმას და ძირითად თანხას მოიხმარენ თავის სასარგებლოთ,

ჩაიდენენ სიყალბეს მართველობაში ან და ანგარიშებში, წავლენ სადმე და კანონიერი ხნის განმავლობაში არ დაბრუნდებიან და არც გასამართლებელ საბუთს წარმოადგენენ და ყველა, ვინც დაარღვევს სავაჭრო დებულების მე-110 მუხლს*).

თანახმათ 31—33 მუხ. გამორიცხული წევრები კარგვენ თავის აქციებს და ხვედრ დივიდენდებს, რაიცა ჩაირიცხება სათადარიგო თანხაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წევრი იძევება მე-32 მუხლის ბ-ს თანახმათ; აქ ძალაში რჩება მე-16 მუხ.

მუხ. 34. გამგეობა, სანამ ერთი ან მეტი წევრის გამორიცხვაზე იმსჯელებდეს, მოიწვევს გამოსარიცხავ წევრთ თავის ჩვეულებრივ კრებაზე თავის დასაცავათ. თუ მათ უარი თქვეს გამოცხადებაზე, გამგეობას უფლება აქვს დაადგინოს მათი გამორიცხვა.

მუხ. 35. საზოგადოების საქმეებს განაგებს:

ა) წევრთა საზოგადო კრება;

ბ) გამგეობა:

გ) სარევიზიო კომისია.

მუხ. 36. წევრთა საზოგადო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი კრება ხდება წელიწადში ერთხელ და არჩევს შემდეგ საქმეებს:

წლიური ბალანსის (შემოსავალ-გასავალი) რევიზია და დამტკიცება; არჩევა თავმჯდომარის და გამგეობის წევრების; წესდების შეცვლა; შე-

*) ამ მუხლის ძალით კოოპერატივის ფულის გამფლანგველნი ისჯებიან, როგორც საზოგადო დაწესებულების ფულის გამფლანგველნი—ციხით, გადასახადებით და კატორღით.

ერთება სხვა საზოგადოებასთან. ძირითადი თანხის დაკლება, მომატება და მოხმარა; საზოგადოების მიზნის შეცვლა; აღებ-მიცემობის გაფართოება, თანახმათ მე-2 მუხ. წევრთა ის წინადადება, რომელიც იქნება ორი კვირით ადრე წერილობით წარმოდგენილი და გამგეობის მიერ მოწონებული; გამგეობის განსახილველათ წამოყენებული კითხვები.

მუხ. 37. საზოგადო კრება შედგება ყველა იმ წევრებისაგან, ვისაც საარჩევნო უფლება აქვთ.

მუხ. 38. საზოგადო კრება კანონიერია იმ შემთხვევაში, თუ მას დაესწრო წევრთა ნახევარი; წინააღმდეგ შემთხვევაში კრება ინიშნება მეორეთ და კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი კრების განსახილველ კითხვებში არავითარი ცვლილება შეტანილა.

მუხ. 39. თუ პირველი კრების მოწვევის განცხადებაში არ არის ნაჩვენები დრო მეორე კრებისა—უკანასკნელი დაინიშნება პირველი კრების დღის სწორს.

მუხ. 40. ჩვეულებრივი საზოგადო კრება ხდება მე-22 მუხ. ნაჩვენებ ვადაში.

მუხ. 41. გამგეობას შეუძლია მოიწვიოს, როცა სურს, საგანგებო საზოგადო კრება. ის ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში მოიწვიოს საგანგებო კრება მაშინაც, როცა ამას მოითხოვენ საზოგადოების წევრნი, პატრონნი ძირის თანხის ერთი მეხუთედის მაინც.

მუხ. 42. გამგეობის საქმეა საგანგებო კრების დღის დანიშვნა. ამ შემთხვევაში ის მოქმედობს თანახმათ მე-36 მუხ.

მუხ. 43. კრება სწყვეტს საკითხებს უბრალო ხმის უმეტესობით, ხელის აწევით. ხმის შუაზე გაყოფა ნიშნავს წინადადების გაშავებას. საიდუმლო კენჭის ყრა მოხდება მაშინ, როცა გადასაწყვეტია კითხვა პიროვნებაზე, ან და ამას მოითხოვს 30 წევრი.

მუხ. 44. გამგეობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კრებას თანადასწრებით გამგეობის იმ ორი წევრისა, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს არჩევნების დროს და დარჩენ თავის თანამდებობაზე. მათ ემატება კრების მიერ დასახელებული ორი წევრიც.

მუხ. 45. მხოლოდ თავმჯდომარეს აქვს ნება დაიცვას ბაასის დროს წეს-რიგი, მისცეს ან წაართვას სიტყვა, შესწყვიტოს სხდომა, როცა უწესოების და თვით კრების ღირსების შელახვის თავიდან აცილებაა საჭირო. თუ თავმჯდომარე ვერ დაესწრო კრებას—მის მაგიერობას ასრულებს გამგეობის ის წევრი, რომელმაც არჩევისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ყველაზე მეტ ხანს მსახურებს.

მუხ. 46. თანამდებობის პირთა არჩევა ხდება თანახმათ მუნიციპალური არჩევნების სისტემისა.

მუხ. 47. გამგეობა შედგება თავმჯდომარის და ათი წევრისაგან, რომელნიც ირჩევიან კრების მიერ წევრთაგან საიდუმლო კენჭის ყრით და ხმის უბრალო უმრავლესობით, ორი წლის ვადით. ყოველ წელს რიგ-რიგათ გამოდის წევრთა ნახევარი და ხდება მათ ალაგას ხელ-ახალი არჩევანი. შეიძლება ვადაგასული წევრის ხელ-ახალი არჩევა.

მუხ. 48. თავმჯდომარე შეიძლება იყოს საზოგადოების გარეშე პირი.

მუხ. 49. გამგეობის ჩვეულებრივი კრება ხდება კვირაში ერთხელ, არა-ჩვეულებრივი—საჭიროებისამებრ. თავმჯდომარის უფლებაა მოიწვიოს გამგეობა.

მუხ. 50. გამგეობა ვალდებულია საზოგადოების დაწესებულებაში გამოაკრას ბალანსი ყოველ სამთვეში, ხოლო წელიწადში ერთხელ წარუდგინოს კრებას ანგარიში, თანახმათ 36 მუხ.

მუხ. 51. გამგეობის კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხ. 52. თუ ერთი ან მეტი წევრი გამგეობის კრებას არ ესწრება, მათ ალაგს იჭერენ ისინი, ვინც მეტი ხმა მიიღეს უკანასკნელ არჩევნების დროს; ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ კრებას აკლდება არა უმეტეს ერთი მესამედი წევრისა და თავმჯდომარე რჩება თავის თანამდებობაზე. მაგიერნი ასრულებენ გასულთა თანამდებობას იმ დრომდის, რა დრომდისაც უკანასკნელთ უნდა აესრულებიათ.

მუხ. 53. მხოლოდ გამგეობის საქმეა მოიწვიოს, დაითხოვოს და დროებით გადააყენოს საზოგადოების ყველა მოსამსახურე.

მუხ. 54. გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს წევრთა საგანგებო კრება, როცა საჭირო გახდება განსჯა იმ შემთხვევებისა, რომელნიც აღნიშნულია საეკონომიო დებულების მე-110 მუხ.

მუხ. 55. ამა წესდების 52 მუხლი, შესახებ მაგიერთა მოწვევისა, სისრულეში მოდის მაშინ, როცა გამგეობის წევრი ოთხჯერ ზედიზედ არ ესწრება კრებას გასამართლებელ მიზეზების წარმოუდგენლათ. ასევე ხდება სარევიზიო კომისიაში.

მუხ. 56. სარევიზიო კომისია შედგება თავმჯდომარის, ოთხი წევრის და ორი კანდიდატისაგან, რომელნიც არჩეულნი არიან საზოგადო კრების მიერ საიდუმლო კენჭის ყრით და უბრალო ხმის უმეტესობით, ორი წლის ვადით.

მუხ. 57. სარევიზიო კომისია მართავს თავის ჩვეულებრივ კრებას ორ კვირაში ერთხელ, საგანგებოს— როცა სურს. მას ნება აქვს დაესწროს გამგეობის კრებას სარჩევი ხმით.

მუხ. 58. სარევიზიო კომისიის მოვალეობაა: თვალყური ადევნოს საზოგადოების საქმეთა კარგათ წაყვანას, ხშირათ განიხილოს საანგარიშო წიგნები, გასაჯოს რამდენათ მართალია წევრთა განცხადება საქონლის უვარგისობის შესახებ, შეამოწმოს რამდენათ ეთანხმება საქონლის ღირსება მეორე მუხლს, მოახდინოს ხშირი და მოულოდნელი რევიზია მაღაზიისა, შეამოწმოს ყოველ თვეში კასა, ერთი სიტყვით იმოქმედოს თანახმათ სავაჭრო დებულების მე-184 მუხ.

მუხ. 59. რევიზიაში იქნება აღნიშნული წევრთა საჩივარი, გადაწყვეტილებები და შენიშვნები, რომელიც მიეცემა გამგეობის წევრთ გამგეობის მოქმედების შესახებ.

მუხ. 60. ყველა ეს წერილობით ეცნობება თავმჯდომარეს შესაფერი ზომების მისაღებათ.

მუხ. 61. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს, როცა საჭიროთ დაინახავს, მოიწვიოს საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. ასეთი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საიდუმლო ხმის მიცემით და უბრალო ხმის უმეტესობით.

მუხ. 62. საზოგადოების თავმჯდომარეს შეუძლია მოი-

წვიოს შეერთებული კრება გამგეობის და სარევიზიო კომისიისა, ამ შემთხვევაში უკანასკნელს გადამწყვეტი ხმა აქვს.

მუხ. 63. სარევიზიო კომისიის წევრთ ეძლევათ ჯილდო თავის მომცდარ დროს შესაფერათ. ჯილდოს რაოდენობას ნიშნავს გამგეობა.

მუხ. 64. საზოგადოებას უნდა ყავდეს შემდეგი მოსამსახურენი: ხაზინადარი, საწყობის გამგე, მდივანი და სხვა საჭირო პირები ფურნის და სხვა საქმეებისათვის.

მუხ. 65. გამგეობა იმუშავებს თითოული მოსამსახურისათვის პირობას და ინსტრუქციას.

მუხ. 66. ხაზინადარი, საწყობის გამგე და ვაჭრობის სხვა აგენტი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ გირაო.

მუხ. 67. საზოგადოების დახურვა შეიძლება საზოგადო კრების ორი მესამედი ხმით შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა დაიკარგა ჩადებული ფული მთლათ ან ნაწილათ და წევრთ არ სურთ დაკარგული შეავსონ;

ბ) როცა საზოგადოების შინაარსი და მიზანი იცვლება.

მუხ. 68. საზოგადოების ლიკვიდაციისათვის საზოგადო კრება ირჩევს განსაკუთრებითი კომისიას.

მუხ. 69. დარჩენილი ფული რიგდება წევრთა შორის აქციების მიხედვით, თუ კრება ფულს სხვა დანიშნულებას არ აძლევს.

მუხ. 70. შეიძლება ამ წესდების შეცვლა და მისი დამატება თანახმათ შეძენილი გამოცდილებისა და საჭიროებისა. თითოეულ ცვლილებას საზოგადოება ადასტურებს.

ეს წესდება მიღებულია საზოგადო კრების
მიერ 24 აპრილს 1892 წ.

აი სრული წესდება ერთი სოფლის მომხმარებელი საზოგადოების. ეს საზოგადოება ახლა ითვლება მდიდარ საზოგადოებათ; მარა თავდაპირველათ ის ძლიერ ღარიბი იყო: დაარსების დროს მისი საწევრო გადასახადი ერთ სუს (ორი კაპ.) არ სცილდებოდა. და როცა ამ ორ-ორ კაპეიკობით მოგროვილ თანხამ დიდი აღებ-მიცემობა დაატრიალა, მაშინ აქციებიც აიწია და საწევრო გადასახადიც 25 ლირა გახადეს. ჩვეულებრივათ კი საწევრო გადასახადი 5—10 ლირაა. ემილიას თითქმის ყველა კოოპერატივი შედის რეჯიოს შრომის ბირჟაში და ამიტომ ბირჟის მიერ გამოცხადებული წესდება ხდება სახელმძღვანელოთ კოოპერატივებისათვის. პატარა სოფლების კოოპერატივების წესდება თითქმის არაფრით განსხვავდება ბირჟის წესდებისაგან. ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ წესდების ისეთ მუხლებს, რომელნიც ფაბრიკოს წესდებაში არ არის, ანდა სხვანაირათ არის. აი ეს მუხლები: აქცია ღირს 9 ლირა: არ მიიღება საპატიო წევრი, არ არის საპატიო თანამდებობა; წევრის მიღება ხდება ორი წევრის რეკომენდაციით, რომელნიც ამოწმებენ მის კარგ ზნეობას და პატიოსნებას.—თუ გამგეობამ უარი თქვა წევრის მიღებაზე, წევრობის მსურველს უფლება ეძლევა განასაჩივროს საზოგადო კრებაზე.—წევრი იხდის ერთ დროებით ჩასაწერ გადასახადს—ერთ ლირას და ხელს აწერს ათ აქციაზე.— თითო აქციის ფულს იხდის თითო წელიწადს, სანამ ყველას გადაიხდიდეს. — წევრი, რომელიც თავ-თავის დროზე იხდის სანახევრო ფულს, ითვლება სრულ უფლებიან წევრათ, აქვს არჩევის და ამორჩეულის უფლება.— თუ წევრი ხვედრს გადასახადს არ იხდის საპატიო მიზეზის წარმოუდგენელათ—ის ითვლება

საზოგადოებისაგან გამოსულათ და მისი შემოტანილი-ფული დივიდენდიანათ საზოგადოების სასარგებლოთ რჩება.—წევრი კარგავს წევრობას იმ შემთხვევაში, თუ ის იცვლის ბინადრობას. — თუ მის ახალ საცხოვრებელ ალაგს არსებობს მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც წევრია მთელი პროვინციის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისა, გამგეობა გადასახლებული წევრის ხვედრ ფულს უგზავნის იმ კოოპერატივს და წევრიც იქ ეწერება. — სარევიზიო კომისია თავის მოხსენებას ბალანსის შესახებ გამოაკრავს საზოგადოების სადგომში წევრთა საზოგადო კრების ერთი კვირით ადრე, რომ წევრებმა ის თავის დროზე გაიცნონ.—წმინდა შემოსავალი ნაწილდება ასე: 30% სათადარიგო თანხას; 10% კოლექტიურ განუყოფელ ფონდს, რომლის დანიშნულებას წევრთა კრება გადასწყვეტს; 60% წევრთ-მუშტართ, იმისდამიხედვით, თუ ვინ რამდენი იხარჯა მაღაზიიდან. უკანასკნელი ფული ჩაირიცხება წევრის შემოუტანელ საწევრო გადასახადში მანამდის, სანამ ამით სრულათ იქნება გასწორებული მისი საწევრო ანგარიში. შემდეგ მიეცემა დივიდენდი ნახარჯზე. — საზოგადო კრებას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი, თუ თავმჯდომარე არ დაესწრო. გამგეობის მდივანი არის კრების მდივანიც.—საზოგადო კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო წევრთა ნახევარზე მეტი.—ერთს შეუძლია ქონდეს ორი ხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხმის კანონიერათ გადმომცემი ავათ არის ან და შორს იმყოფება.—საიდუმლო კენჭის ყრა ხდება ათი წევრის მოთხოვნით.—გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მისი ამხანაგისა და რვა წევრისაგან. გამგეობა თავის პირველ სხდომაზე ირჩევს ეკონომს, ხაზინადარს, მდივანს და მიმღებს (საქონლის).—გამგეობის წევრნი პასუხისმგე-

ბელნი არიან თავის საკუთარ მოქმედებაში და არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ გირაო.—ხმის გაყოფის დროს კითხვას სწყვეტს თავმჯდომარის ხმა. გამგეობის კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო ხუთი წევრი. ოქმს ამოწმებენ თავმჯდომარე და მდივანი—წევრი, რომელიც სამ სხდომას ზედიზედ დააკლდა პატივსაცემ მიზეზის წარმოუდგენლათ, გამგეობიდან გასულათ ითვლება.—გამგეობის წევრთ შეუძლიათ მიყიდონ საზოგადოებას თავისი საქონელი; ამ შემთხვევაში ამ საქონელს ყიდულობს საზოგადოებისათვის საზოგადო კრების მიერ განსაკუთრებულათ არჩეული სამი წევრი.—გამგეობას არ აქვს უფლება შექმნას ახალი თანამდებობა საზოგადო კრების ნებადაურთველათ.—სარევიზიო კომისიის წევრი შეიძლება იყოს საზოგადოების გარეშე პირიც.—ეკონომის მოვალეობაა, თავმჯდომარესა და ხაზინადართან ერთათ, თვალყური ადევნოს საზოგადოების საქმეთა შინაგან მდგომარეობას, იცოდეს რა მართებს მას სხვისი, რა აქვს ასაღები სხვისგან და მოუაროს საზოგადოების ინვენტარს. ის შედის ხელმძღვანელ დირექციაში. ხაზინადარი განაგებს კასას, აქვს შემოსავალ-გასავლის დავთარი, ნაწერმოები დღიდან დღეზე და ნათლათ, აძლევს ანგარიშს გამგეობას და სარევიზიო კომისიას შემოსავალ-გასავლის გასამართლებელი საბუთებით—. ის და ეკონომი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ გარანტია, როცა ამას გამგეობა დაადგენს.—მდივნის მოვალეობაა შეადგინოს ოქმი, როგორც საზოგადო, ისე გამგეობის კრების, შეინახოს აქტები და საბუთები, განაგოს არხივი, შეადგინოს ყოველ წელიწადს სია წევრთა და მეკენჭეთა, ხელი მოაწეროს თავმჯდომარესთან ერთათ აქტებს, მართოს მიწერ-მოწერა და ყოველივე ის, რასაც გამგეობა მიანდობს—. საზოგადოების ლიკვიდაციის დად-

გენა შეუძლია იმ საზოგადო კრებას, რომელზედაც მოწვეული იყვენ წევრები პირადი უწყებებით.—ლიკვიდაციის მოხდენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ წევრთა რიცხვი ჩამოვიდა 15 მდი. ლიკვიდაცია წყდება ხმის უმეტესობით. ფონდი კოლეკტიური და განუყოფელი გადაეცემა რეჯიო-ემილიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირს, თუ კრებამ სხვა მიზანი არ დაასახელა...

ეს ორი წესდება ერთმანეთს ავსებს; ფაბრიკოს კოოპერატივი საუკეთესო კოოპერატივათ ითვლება, ამიტომ მან რაოდენიმე ცვლილება შეიტანა საერთო წესდებაში, ის მკაცრი წესდებაა, თავის დიდ ქონებას ძლიერ უფრთხილდება. პატარა კოოპერატივები კი ერთიანათ აგებულია ბირჟის საერთო წესდებაზე.

ახლა გავსინჯოთ ზოგი კოოპერატივის მოქმედება და პრაქტიკული მუშაობა.

რეჯიოს შრომის ბირჟის მდივანმა, ვერნიანინიმ, მირჩია წავსულიყავი სოფ. ნოველარაში, იქ დავბინავებულიყავი და იქიდან დამეთვალიერებია ახლო-მახლო მდებარე სოფელთა კოოპერატივები. ნოველარა მდებარეობს ბარში, რეჯიოდან მოცილებულია 30 კილომეტრით, ჩრდილოეთით, რკინის გზით საათ-ნახევრის სამგზავრო. მეც ასე მოვიქეცი. და მართლაც რეჯიო-ემილიის კოოპერატივთა მთავარი ბუდე ყოფილა მისი ჩრდილო ნაწილი. სამხრეთი, სადაც კლერიკალთა გავლენა ძლიერია, დიდათ ჩამოჩენილია ამ მხრით.

როცა ნოველარაში მივედი, დიდათ გაკვირვებული დავრჩი. იტალიაზე ჩვეულებრივი წარმოდგენაა, როგორც მცირე კულტურიან ქვეყანაზე. მას ევროპის ყველა სახელმწიფოებზე უკან აყენებენ კულტურის მხრით. ეს შეიძლება მართალი იყოს სამხრეთ იტალიის შესახებ, ხოლო ჩრდილოეთი არაფრით არ ჩამოუვარდება შვეი-

ცარიის და საფრანგეთის საუკეთესო ნაწილებს. ემილიაში ბურჟუაზიის და მისი შვილის ლიბერალიზმის სისუსტის გამო, კულტურტრეგერობა წილათ ხვდა სოციალისტებს. აქ ესენი იძულებულნი არიან აკეთონ ისეთი საქმეებიც, რასაც სხვაგან ბურჟუები აკეთებენ. ეგ სოციალისტური ელფერი ძლიერ დაღს აჩენს მთელ პროვინციას და მის სოფლებს. ნოველარა პატარა სოფელია, მის ცენტრს შეადგენს ბაზარი, სადაც ასიოდე მაღაზია ორ რიგათაა ჩამწკრივებული და ელექტრონით განათებული. მცხოვრებლები არიან ორ გვარი: მოქალაქენი და მიწის მუშაკნი. პირველნი ცხოვრობენ ბაზარშივე და მის გვერდით. ქვემო სართულში დუქანი აქვთ, ზემო სართულში თვითონ ცხოვრობენ. ან და საცხოვრებელი სახლი იქვე ახლოს აქვთ აგებული. ეს არის სოფლის ბურჟუაზია, და გვარიანათ შეძლებული ბურჟუაზიაც. ამ პატარა სოფელში რამდენიმე მილიონერია. მოქალაქეთა რიცხვშია ხელოსნები, რომელნიც ბლომათ მოიპოვებიან აქ და მუშაობენ ბაზრის სახელოსნოებში. მეორე კატეგორიის მცხოვრებნი—მეურნენი—ცხოვრობენ გაფანტულათ, როგორც, ეს მაგ., იმერეთშია; ამიტომ სოფელს დიდი ადგილი უჭირავს და იყოფა ოთხ ნაწილათ: თითონ ნოველარა, სანკტა-მარია, სან-ჯიანი და სან-მერადინო ისე, როგორც ჩვენში საზოგადოება და მისი შემადგენელი კუთხეებია.

რა სოციალური მდგომარეობის არიან ამ სოფლის მცხოვრებნი? ამის პასუხს იძლევა რეჯიოს შრომის ბირჟის ანკეტა. ბირჟამ ყველა თავის ორგანიზაციას დაუგზავნა საანკეტო ფურცლები და ამ წესით მოუგროვებია დიდებული სტატისტიკური მასალა. ეს მასალა ბირჟის მოღვაწეობის საფუძველია. ჩვენ გამოვკრიბეთ ამ ხელნაწერებიდან საჭირო ცნობები ჩვენ მიერ ნახული სოფ-

ლების შესახებ. მასალა შეიცავს თითოული სოფლის და მისი შემადგენელი კუთხის მცხოვრებთა საერთო რიცხვს. და რიცხვს თავის ხელით მომუშავეთა, ხელობის მიხედვით დანაწილებულს. თანახმათ ამ ცნობებისა, ნოველარას საზოგადოებაში ითვლება 7,781 მცხოვრები, ამათ შორის თითონ ნოველარაშია 5308, სან-ჯიოვანში 800, სანტა-მარიაში 600; სან-მერნადინოში 1073. რადგანაც ამ კუთხეებსაც თავ-თავისი კოოპერატივები აქვთ, ამიტომ მათ მუშათა სტატისტიკას ცალ-ცალკე მოვიყვან.

თვით ნოველარაში ითვლება: მიწის მოიჯარადრე[1]) — 456, მენახევრე[2])—295, წვრილი მესაკუთრე[3]). —284, დალაქი—19, მწყემსი—37, ხარაზი—52, მეეტლე 51, ყველის მკეთებელი—20, ზაინკალი—13, ცემენტის მუშა—1, დურგალი—59, ხარაზი—12, მიწის დღიური მუშა—დედა-კაცი—348, დღიური მუშა—მამა-კაცი—307 [4]), მერძევე—4, მეყასბე—13, მეანგურე—37, კალატოზი—69, მეწისქვილე—5, თერძი-კაცი—27

---

[1]) მოიჯარადრე, affituari, ისეთი მეურნეა, რომელსაც შეძლება აქვს საქონლით და ცოტაოდენი ფულით, მარა საკუთარი მიწა არ აქვს და სხვის მიწას იღებს იჯარით.

[2]) მენახევრე mezardi, მას არ აქვს საყოფი საწარმოვო იარაღი და მიწასთან ერთათ ხაზეინისაგან ღებლობს საჭირო საქონელსა და იარაღებსაც: ცხენს, ხარს, გუთანს და სხ. პატრონს აძლევს მოსავლის ნახევარს.

[3]) წვრილი მესაკუთრე, picoli proprietoni ისეთი მეურნეა, რომელსაც საყოფი მიწა აქვს, აბას იმუშავებს თავისი და თავის ოჯახის წევრთა ხელით და სხვის მიწას იშვიათათ ღებულობს საიჯაროთ. მისი საკუთრება 5—7 ჰექტარი მიწაა. (ჰექტარი დესიატინაზე ცოტა ნაკლებია).

[4]) დღიური, giornalier, ნიშნავს სოფლის პროლეტარს, მას არ აქვს არავითარი საკუთრება, არც მიწა, არც საწარმოვო იარაღი, არც სახლი, მუშაობს ქირაზე, დღიურათ, ხანდახან ზოგი თვიურათაც.

თერძი-ქალი—40, სოფლის მოჯამაგირე—53, შინა მოსამსახურე—20, სტამბის მუშა—2, რკინის მგებელი—8, მებაღე—14, მქსოველები (ჩალის ქუდის)—300, ყოველგან ჩათვლილია მხოლოდ მუშა და არა ხაზეინი. მუშა ეწოდება წვრილ მესაკუთრეთაც. მაშასადამე დანარჩენნი მცხოვრებნი ეკუთვნიან ბურჟუაზიულ კლასებს.

აქ არსებობს შემდეგი ორგანიზმციები: 1, მომხმარებელი კოოპერატივი, 94 წევრით; 2, სამიწათმოქმედო კოოპერატივი, 150 წევრით; 3, კალატოზთა კოოპერაცია, 42 წევრით; 4, მედროგეთა და ბოგანოთა კოოპერატივი, 150 წევით; 5, ლიგა მამა-კაცების, 130 წევრით და 6, ლიგა დედა-კაცების 250 წევრით. ყველა ამ ორგანიზაციაში შედიან: 130 დღიური მამა-კაცი, 250 დღიური დედა-კაცი, 42 ქვის მუშა, 38 ანგურის მუშა და 50 მედროგე. ყველა დანარჩენი არ შედის ორგანიზაციაში. გარდა ამისა, აქ არის სოციალისტური ორგანიზაციაც, 40 წევრით.

როგორც ხედავთ, კოოპერატივების დედა-ბოძს აქ შეადგენენ დღიურები.

სან-ჯიოვანში 800 მცხოვრებია. ამათ შორის: მოიჯარადრე—160, მენახევრე—90, წვრილი მესაკუთრე—84, ხარაზი—2, მედროგე—4, ყველის მკეთებელი (მუშა)—10, მჭედელი—1, დურგალი—5, დღიური დედა-კაცი—34, ანგურის მუშა—2, კალატოზი—5, თერძი ორივე სქესის—3, მოჯამაგირე—15, შინა მოსამსახურე—2.

ამ პატარა სოფელში არის სამი ორგანიზაცია: მომხარებელი კოოპერატივი, წევრი—89; კოოპერატიული საყველე, წევრი—14; შერეული ლიგა, წევრი—20. აქ ლიგაში შედიან მხოლოდ დღიურნი, ხოლო კოოპერატივებში, გარდა დღიურებისა, წვრილი მესაკუთრენი, მოი-

ჯარადრენი და სხ., თუმცა აქაც დიდი უმრავლესობა-
დღიურებია. საზოგადოთ, რაც უფრო ღარიბია სოფელი
და ბურჟუაზიულ ცენტრისაგან დაშორებულია, მით უფრო
ადვილია წვრილ მესაკუთრეთა და მოიჯარადრე—მენა-
ხევრეთა ჩაბმა ორგანიზაციებში დღიურებთან ერთათ.
ნოველარა ცენტრია მთელი საზოგადოების ბურჟუა-
ზიის, აქ კლერიკალური პარტია ძლიერია, მის ხელ-
შია მუნიციპალიტეტი და ახლო-მახლო მცხოვრებნიც
მის გავლენას განიცდიან. სანჯიოვანი ნოველარიდან
დაშორებულია ოთხი კილომეტრის მანძილზე, თანაც
ღარიბია. ამიტომ ეს სოფელი დაშორებულია ბაზრის
ბურჟუაზიისაგანაც. ეგვე ითქმის სანკტა-მარიაზე და
სან-ბერნოდინოზე. ამ ორ კუთხეში ორგანიზაციებიც მე-
ტია, ვინემ სან ჯიოვანეში. პირველშია 6 ორგანიზაცია,
მეორეში 4; სოციალისტური ორგანიზაცია ორივეშია.

ნოველარას საზოგადოებაში (ანუ კომუნაში) მო-
ყავთ: პური, ბრინჯი, თივა, თუთუნი, ყურძენი; მრეწვე-
ლობა იხატება ყველის და ერბოს კეთებასა და ჩალის
ქუდების მასალის ქსოვაში; ყველა ეს სოფელს გააქვს
გასაყიდათ და შემოაქვს ნახშირი, გოგირდი, მიწის სა-
სუქი და ფაბრიკულ-კოლონიალური საქონელი. ზ-მთრო-
ბით გადის სამუშაოს საძებნელათ ზოგი დღიური და კა-
ლატოზი. მუშათა გამოღვიძება იწყება 1902 წლიდან,
როცა პირველი ორგანიზაცია დაარსდა. ასეთია ნოვე-
ლარის სოციალური შემადგენლობა და წარმოება. ნო-
ველარას მომხმარებელი კოოპერატივი დაარსებულა
1904 წ., თავჯდომარეა ერთი ადგილობრივი მემამულე
მილიონერი. ძლიერ მემარცხნე, რესპუბლიკის თაყვა-
ნის მცემელი, რადგანაც ემილიაშია რესპუბლიკანელთა
პარტია არ არის, ამიტომ თანაუგრძნობს სოციალის-
ტებს. მან მისცა იჯარით მიწა სამიწათ-მოქმედო კოოპე-

რატივს შელავათიანი პირობებით; ცხოვრობს რეჯიოში; მომხმარებელი კოოპერატივი მის სახლშია მოთავსებული. აქცია ღირს 40 ლირა; წევრი თვეში იხდის ლირას. კოოპერატივის ხელმძღვანელია მდივანი, მედუქნე, ძლიერ ცოცხალი და მომქმედი კაცი. ის იმავე დროს მკთაურია ადგილობრივი სოციალისტური მოძრაობის. ის 45—50 წლისაა, მარა მეტათ მხნე და დაუღალავი. თავისი უფროსი ვაჟი გაგზავნა მილანში კოოპერატივების ბუხჰალტერიისა და საქმეთა წარმოების შესასწავლათ. მან იქ დაყო სამი წელიწადი და ახლა მამას ეხმარება. ის კოოპერატივის მომავალი მდივანია. მდივანი იღებს თვეში 40 ლირას, ე. ი. 15 მანეთს! მას რომ სხვა საშვალება არ ქონდეს, ამით ვერ იცხოვრებს, რასაკვირველია. მას დუქანი აქვს, მარა იქ ის არაოდეს არ მინახავს, ის მუდამ კოოპერატივშია, დუქანში კი მისი ორი ქალიშვილია. კოოპერატივი შედგება სამი განყოფილებისაგან; საწვრილმანო დუქანი, ყავა-ხანა და საწყობი. თითოულ ამათგანს თავისი დაქირავებული ხელმძღვანელი ყავს, რომელიც არის პასუხის მგებელია გამგეობის წინაშე. დუქნის გამგე ანუ დახლიდარი იღებს თვეში 50 ლირას და 4 პროცენტს გაყიდული საქონლიდან. ასე რომ 1909 წ. მან აიღო 1459 ლირა. ყავახანის დახლიდარი თვეში იღებს 25 ლირას ჯამაგირათ და 6 პროცენტს გაყიდული საქონლიდან. იმავე 1909 წ. მას ამ გზით შეუდგა 1033 ლირა. ორივეს წარდგენილი აქვთ გირაოთ 300—300 ლირა. კვირაში ერთხელ აძლევენ ანგარიშს ხაზინადარს. საწყობის გამგე იღებს წელიწადში 180 ლ. ჯამაგირს. ის იღებს გამოწერილ საქონელს, დაიბარებს. შემდეგ აძლევს დახლიდრებს მოთხოვნილებისამებრ. მთელი ეს მიცემ-მოცემა წარმოებს სასტიკი ანგარიშებით, რომელნიც თავს იყრიან მდივნის

ხელში. მდივანს აქვს საკუთარა კანტორა, სადაც აწყვია ყოველგვარი დავთრები. აქვე ხდება კრება გამგეობის, სარევიზიო კომისიის და სხ. საქონელს იწერენ რეჯიოდან კოოპერატივთა კავშირის საწყობიდან. საქონელი იმავე ფასებში იყიდება, როგორც კერძო დუქნებში. მდივანმა მითხრა ფასების დაწევით ჩვენ კონკურენციას ვერ გაუწევთ აქაურ მედუქნეებს. პირიქით, ჩვენ იმის გვეშინია, მათ არ გაგვიწიონ კონკურენცია ფასების დაწევით, რა ენაღვლებათ, შეძლებული ხალხიაო. აქ ეს რამდენიმე წელიწადია კლერიკალებმა დაარსეს თავისი მომხმარებელი კოოპერატივი, მარა საქმე ვერ მიყავთ კარგათ, ვინც დააყენეს დუქანში—ყველამ გაქურდა. ამ კოოპერატივის წევრებია უმთავრესათ წვრილი მესაკუთრე და მოიჯარადრენი. ბურჟუაზია მას არ ემტერება. ხოლო სოციალისტურ კოოპერატივს, რ ოგორც მას უწოდებენ, დიდ ზარალს აყენებენ მუნიციპალური გადასახადების გაწერით; ამის მიზეზით 1909 წ. კოოპერატივს დეფიციტი ქონდა 400 ლირა. კოოპერატივის ყავახანას სამი ზალა უპერია, ერთი მათგანი მხოლოდ დიდი კრებისათვის არის დანიშნული, ხანდახან წარმოდგენაც იმართება, თუმცა სოფელს თავისი თეატრი აქვს. რეფერატები და ლექციები მუდამ კოოპერატივის სადგომშია. ეზოში გამართულია სხვადასხვა სავარჯიშოები: კეგლი, საბურთალო და სხ. აქ არის გაზეთები და წიგნები. კარტის თამაში არ არის, ბილიარდი არის. საწვრილმანო დუქანი მოშორებულია ყავა-ხანას და კანტორისაგან. კოოპერატივი არავის აძლევს ნისიას; დახლიდარს შეუძლია, რასაკვირელია, თავისი პასუხის მგებლობით ანისიაოს, კოოპერატივი კი ამას ანგარიშში არ ითვლის.

კოოპერატივის ბალანსი:

1904 წ. აკტივი და პასივი უდრიდა 5061 ლირას;

შემოვიდა 934 ლ., გავიდა 870, დარჩა წმინდა მოგება 64 ლ.

1905 წ. აქტივი: კასა—353 ლ., მოძრავი ქონება—2221 ლ., საწყობში—2054 ლ; საწევრო (შემოუტანელი) 3294, დებიტორებს—3259, სხვადასხვა—361 ლ., სულ აქტივი—11542 ლირა.

პასივი: ძირითადი თანხა—4224 ლ., კრედიტორებს—4375, ფასიანი ქაღალდები—2,000, სათადარიგო—69, წმინდა შემოსავალი—875 ლ., სულ პასივი—11542 ლირა.

ამ წელს გაყიდულა საქონელი 12200 ლირის, რაშიც დატოვა 2638 ლ. მოგება. მთელი მოგება ყოფილა 2973 ლ., გასავალი (ჯამაგირები და სხ.)—2098 ლ., წმინდა მოგება—875 ლ.

1907 წ. აქტივი და პასივი—20,400 ლ., გაყიდულა საქონელი 38,000 ლ. მთელი შემოსავალი—(ე. ი. გაყიყიდული და საწევრო ფული) 39,264 ლ., მთელი გასავალი (საქონლის ფასი. ჯამაგირები და სხ.)—39,111 ლ., დარჩა წმინდა მოგება 153 ლ.

ამ წელიწადს მდივნისათვის მიუციათ 240 ლ., დახლიდრების და სხვა გასავალი—1796 ლ.

1908 წ. აქტივი და პასივი—25,667 ლ., გაყიდულა 35,000 ლ., მთელი შემოსავალი—41595, მთელი გასავალი—41285, დარჩა წმინდა შემოსავალი 310 ლ., ჯამაგირებზე და ჰონორარზე (პროცენტები) წასულა 2438 ლ.

1909 წ. მთელი შემოსავალი—41,000 ლ., გასავალი—41451 ლ., დეფიციტი—451 ლ ამ წელს მუნიციპალიტეტს გადაუხდევინებია 1400 ლ., მთავრობის გადასახადი უდრიდა 254 ლ. (წინა წელს კი 111 ლ.) როგორც ხედავთ, წმინდა შემოსავალი საზოგადოებას მცირე რჩება, ხოლო ერთხელ დიდი დეფიციტიც დარჩა. ორივე ეს მოვლენა დიდათ არ აწუხებთ საზოგადოების წევრთ-

პირველ ყოვლისა უნდა დავიხსოვნოთ მათი შეხედულება კოოპერაციაზე. კოოპერაციის მიზანია არა მოგება, დივიდენდების გარიგება და ამ წესით წევრთა გამდიდრება, არამედ საკუთარი საერთო ოჯახის შექმნა, სადაც თითოეული დარწმუნებულია არ მოატყუებენ, უვარგის საქონელს არ მისცემენ და ამასთანავე თავს იყრიან შინაულულათ დროს გასატარებლათ, სამუსაიფოთ და გასართობათ. თავისთავათ ცხადაა, რომ ადგილობრივ უსახლკარო ხალხს საკუთარი სახლი ეჭირვება, და რადგანაც თითოეული თავისთვის ასეთ სახლს ვერ გაიჩენს, იძულებულნი არიან საერთო ძალ-ღონით საერთო სახლი გაიჩინონ. მეორე მხრით, კოოპერატიული დუქანი ერთნაირი ლაგამია კერძო დუქნებისათვის, რომელნიც ძველებურათ, თვითნებურათ ვერ ასწევენ საქონლის ფასებს კოოპერატივის კონკურენციის შიშით. ამასთანავე ისინი იძულებულნი ხდებიან საქონელიც საღი ქონდეთ. ასე რომ კოოპერატივი დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივ მაზანდაზე და აღებ-მიცემაზე ფასების დაუკლებლათაც.

განსაკუთრებით დიდი ვაჭრობა აქვს ყავა-ხანას შაბათ საღამოობით. ამ დროს მუშა-ხალხი თავისუფალია, მეორე დღეს უქმია და ამიტომ ადრე ადგომა საჭირო აღარ არის. მთელი კვირის განმავლობაში მუშაობა და საზოგადოების გარეშე ყოფნა მათ ისე ქანცავს, რომ შაბათ საღამოს მოწყურებულივით მიეშურებიან კოოპერატივში და შუაღამემდის იქ ერთობიან. ამ დღეს სამივე ზალა გაჭედილია: ზოგი კითხულობს, ზოგი სვამს, ზოგი თამაშობს, ზოგი ხალხთან მუსაიფობს—ერთი სიტყვით ცხოვრება დუღს. იტალიელთა საყვარელი სასმელია ღვინო, სხვა სასმელებს არ ეტანებიან. ჩვეულებრივი ღვინო მაგარი არ არის და ადვილათ ვერ ათრობს. კოოპერატივში ლოთობა არ არის. არც ერთი მთვრალი არ მინახავს აქ,

თუმცა საზოგადოთ იტალიელთ სმა ძლიერ უყვართ. კოოპერატივი ამ მხრით კეთილ გავლენას ახდენს თავის წევრებზე. მართალია ის ვაჭრობს ალკოგოლით, მარა იმავე დროს ებრძვის ალკოგოლიზმს. მის სადგომში ხშირათ იმართება ლექცია ლოთობის წინააღმდეგ, ზალებში გამოფენილია სხვადასხვა დიაგრამები ლოთობის მავნებლობის შესახებ. გარდა ამისა, დახლიდარი ვალდებულია ერთს მიყიდოს არა უმეტეს ორი ბოთლი ღვინისა, ხოლო ზოგ სხვა კოოპერატივში არა უმეტეს ერთი ბოთლისა. ლუდის დალევა კი არ ისაზღვრება, რაც შეეხება არაყს—აქ ამას თითქმის არ ეტანებიან; ამ სასმელს იქ უყურებენ, როგორც ძალის მომყვანს და ხანდახან თითო პატარა ჭიქას გადაკრავენ საქმლის წინ. წევრებზე აღმზრდელათ მოქმედებს ისიც, რომ წესდების ძალით ლოთი და საძრახი ყოფაქცევის კაცი ირიცხება საზოგადოებისაგან. ხოლო ასეთი გამორიცხვა დიდათ სასირცხო და სახელ გასატეხია თითოულისათვის, ეს ნიშნავს საძუდამოთ გათიშვას ამხანაგებისაგან, ხოლო უამხანაგოთ და უორგანიზაციოთ ღარიბი კაცი აქ ვერ იცხოვრებს.

გადავიდეთ ახლა სან-ჯიოვანეში. ეს, როგორც ზემოთ ვთქვით, ნოველარას ნაწილია. მომხმარებელი საზოგადოება აქ დაარსდა 1904 წ. 107 წევრით, ახლა წევრთა რიცხვია 87. საწევრო გადასახადია 20 ლირა, რაიცა უნდა იქნას გადახდილი ერთი წლის განმავლობაში. კოოპერატიული დუქნის გახსნის დროს კერძო დუქანი აქ არ ყოფილა, ახლა კი ორი არის. საქონლის ფასები ერთნაირია სამივეში. კოოპერატივი საქონელს იწერს რეჯიოს კავშირიდან. საკუთარი ფურნე არ აქვთ და გამომცხვარი პური ნოველარის კოოპერატივიდან მოაქვთ გასაყიდათ. საზოგადოების მდივანია ადგილო-

ბრივი მასწავლებელი; რადგანაც მას საკმაო დრო არ აქვს, სხვა ეხმარება ანგარიშების შედგენაში. ამ მასწავლებელმა სრულიად ვერ მოახდინა ჩემზე ინტელიგენტური კაცის შთაბეჭდილება. მასზე გაცილებით მაღლა დგას ნოველარის არა ინტელიგენტი მდივანი. ჩემმა მხლებელმა, ნოველარის მდივნის ვაჟმა, ლაპარაკი ჩამოუგდო პოლიტიკაზე, მარა ამაოთ, ვერავითარი აზრი მისგან ვერ გამოვიტანეთ.—ეს არაფერია, მითხრა მხლებელმა ფრანგულათ, ძლიერ კარგი მასწავლებელია და კარგი ადამიანიც, პოლიტიკაში თუ არა გაეგება რა, რა მისი ბრალია, ეს პროვინცია, პროვინცია! ასეთმა შეხედულებამ ძლიერ გამაკვირვა.

— სან-ჯიოვანი პროვინციაა, ხოლო ნოველარა არ არის პროვინცია? შევეკითხე მას.—რა ამბობთ, ნოველარა ამ საზოგადოების გონებრივი და პოლიტიკური მოძრაობის ცენტრია, ის გაცილებით წინ დგას, ვინემ მისი შემადგენელი კუთხეები, მომიგო მან.

ამ მასწავლებელს ანგარიში ჩინებულათ სცოდნია. კოოპერატივის დავთარი ისე კარგათ აქვს ნაწარმოები, რომ ერთი გადახედვა საკმაოა მის საქმეებით გასაცნობათ. საზოგადოებას მუშაობა დაუწყია 1905 წ. და ისიც უკანასკნელ ორ თვეს. მას საწვრილმანო დუქანი აქვს და იქვე გვერდზე პატარა ყავახანა, სადაც ღვინო იყიდება. ორივეს ერთი დახლიდარი ყავს.

კოოპერატივის ბალანსი:

1905 წ. (ორი თვე). აქტივი: კასაში—598 ლ., მოძრაკი—2349, უძრავი (სახლი, მიწა)—1243, საქონელი (როგორც კოოპერატივს დაუჯდა)—6665, კრედიტი— 327, შემოუტანელი საწევრო გადასახადი—6388, წვრილმანი—198 ლ., სულ 17,768 ლირა.

პასივი: წევრთა მიერ ხელმოწერილი კაპიტალი-6840 ლ. დებეტი—10646, სათადარიგო—114, სულ 17600 ლ., წმინდა მოგება—168 ლ.

მთელ ამ აღებ-მიცემობას შემოუტანია:

მოგება საქონლიდან—1684 ლ., პროცენტებიდან —18 ლ , წვრილმანი—32 ლ., სულ შემოსულა 1734 ლ.

გასავალი: ჯამაგირი მდივანს—200 ლირა, დახლიდარს, გადასახადები და სხ. 1266, დარჩა 168 ლ.

1909 წ. **აქტივი:** 22703 ლ., **პასივი:**—22700 ლ., წმინდა მოგება 3 ლ.

საქონელმა დატოვა 4226 ლირა, წვრილი შემოსავალი, 233 ლ., სულ შემოვიდა 4454 ლ.

გასავალი: დახლიდარს (ჯამაგირი თვეში 13 ლ. და 5% გაყიდულ საქონელზე)—1519 ლ., მდივანს—100 ლ., მოანგარიშეს—100 ლ., საწყობის გამგეს—157 ლ., საქონლის გადატან-გადმოტანა—148, ქირა—47 ლ., სახლის ქირა—400, გადასახადები (მთავრობის და მუნიციპალიტეტის) 400, განათება,—200, გათბობა 82, კანცელარია და ფოსტა—88, ქონების ღირებულების ნოკლება—260, პროცენტი—886, წვრილმანი—69, სულ გასავალი—4459 ლ.

დარჩა სამი ლირა.

გასავლის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ რას ნიშნავს ორი მუხლი: ღირებულების მოკლება და პროცენტები. პირველი ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების უძრავ-მოძრავი ქონება თანდათან ცვდება, ზოგი ტყდება და ასე ინვენტარს პირვანდელი ღირებულება ნელნელა აკლდება. მაშასადამე ეს გასავალია. პროცენტები ეძლევა ბანკს. საქმე იმაშია, რომ კოოპერატივს საქონელი გამოაქვს კავშირის საწყობიდან ნისიათ, აძლევს მხოლოდ თავის თამასუქს. კავშირი ამ თამასუქს ანაღდებს

კოოპერატიულ ბანკში (რეჯიოში), დანიშნულ დროს კოოპერატივი ვალდებულია გამოიყიდოს თავისი თამასუქი, ხოლო მანამდის კი იხდის პროცენტებს.

კოოპერატივს გაუყიდია საქონელი:

1905 წ.—7015 ლირის, მოუგია 164 ლ., 1906 წ. —27520 ლ., წაუგია 505 ლირა; 1907 წ. — 23094 ლ., წაუგია 174 ლ.; 1908 წ. 27846 ლ., მოუკია 123 ლ. ხოლო 1909 წ.—27261 ლ., მოუგია ერთი ლირა.

რადგანაც წაგება ხშირია, ამიტომ მოგებას ერთიანათ სათადარიგო თანხას უჭატებენ.

კოოპერატივი ყიდის წელიწადში 24 დაშაშხულ ღორს, 1 ძროხას (ხორცათ) და 8—10 ათასამდე ბოთლ ღვინოს. აქედან აშკარაა, თუ რა ცოტა ხორცს სჭამენ სოფლელნი, ხოლო უღვინოთ ჭამა არ შეუძლიათ. საზოგადოთ იტალიელი, ვინც უნდა იყოს, უღვინოთ ვერ დაალამებს. ღვინო აქ ძლიერ იაფია, ბოთლს იშოვით 20 სანტიმათ, თუ ბლომათ იყიდით—ნაკლებადაც; ეს ნამდვილი ღვინოა, ყურძნის წვენი და არა ფალსიფიკაცია. ერთმა მითხრა: ფალსიფიკაცია ყურძენზე უფრო ძვირიაო.

ჯიოვანის კოოპერატივი ნისიათ არ ვაჭრობს

ახლა გავიცნოთ იტალიის უძველესი მომხმარებელი კოოპერატივი, რომელიც იმყოფება სოფ ფაბრიკოში და რომლის წესდება ზემოთ სავსებით მოვიყვანეთ. ფაბრიკო მდებარეობს ნოველარიდან 11 კილომეტრზე, რკინის გზა არ ჰიდის, ცხენით საათნახევრის გზაა. გზები ხომ შესანიშნავია ყოველგან, მიმოსვლა აქ უმთავრესათ ველოსიპედებით ხდება. არსად იმდენი ველოსიპედი არ მინახავს, რამდენიც ამ მიდამოებში. ცხენებს ლამის მარტო ტვირთის გადაზიდვა დარჩეს.

ფაბრიკო სილამაზით და სიწმინდით ნაველარას უკან დგას, თუმცა განათება აქაც ელექტრონისაა. ყვე-

ლა ეს სოფლები ელექტრონის ძალას ღებულობენ და-ბა გუალტიერიდან, რომელიც 30 კილომეტრითაა მო-ცილებული. იქ მდინარის საშუალებით გამართულია ელექტრონის ცენტრალური სადგური, რომელსაც სინა-თლეს აწვდის მთელ არე-მარეს.

მცხოვრებთა რაოდენობა ფაბრიკოში დიდ ცვლი-ლებას განიცდის, როგორც სოციალური შემადგენლო-ბით, ისე რიცხვით. აქ 1904 წ. ირიცხებოდა 3853 მცხოვრები, 1908 წ. კი—300 მცხოვრებით ნაკლები. 1904 წ. ითვლებოდა მოიჯარადრე 144, ხოლო 1908 წ. კი—28. იმავე ხნის განმავლობაში დაუკლიათ მენახე-ვრეთ 140-დან 65-მდი, წვრილ მესაკუთრეთ—36-დან 25-მდი, კალატოზთა 56-დან 15-მდი, ხოლო დღიურთ მოუმატიათ: დედა-კაცთ 550-დან 650-მდი, მამა-კაცთ—515-დან 550-მდე. საზოგადოთ ეს ცვლილება ეხება თი-თქმის ყველა ხელობის მცხოვრებთ. ჩვენ აქ მოვიყვანთ დანარჩენთა რაოდენობას 1904 წ. აღწერით, ხოლო ფრჩხილებში ჩავსვამთ 1908 წლის განსხვავებულ ცნობებს:

დალაქი—7, მწყემსი 125, ხარაზი 26, მედროგე—17, მეყველე—6, ზაინკალი 7, დურგალი 21, (7), ხა-ბაზი 7, მერძევე—2, ყასაბი 4, მეაგურე 18 (30), თე-რძი ორივე სქესის 42, მოჯამაგირე 21 (30), მოსამ-სახურე—12.

ამ სოფელში არსებობს ხუთი ორგანიზაცია: მომ-ხმარებელი კოოპერატივი, სამიწათმოქმედო კოოპერა-ტივი, ორივე სქესის შერეული ლიგა და სოციალისტური ორგანიზაცია. ყველა ამაში შედის: 25 წვრილი მესაკუთრე, 60 მენახევრე, 25 მოიჯარადრე, 20 მოჯამაგირე. 7 ხა-რაზი, 30 მეაგურე, 2 მეყველე, 550 დღიური მამაკა-ცი და 650 დღიური დედაკაცი.

როგორც ხედავთ, დღიურნი და აგურის მუშები ყველა შედის ორგანიზაციებში, სხვები კი არა.

მომხმარებელი კოოპერატივი დააარსა 256 წევრმა 1885 წ. წევრთა რიცხვი ავიდა 1888 წ. 308, ხოლო ახლა 400. პირველათ წევრებმა შეიტანეს თითო სოლდი (2 კაპ-მდე) და ამ თანხით დაიწყეს საქმე. იმ დროს კოოპერატივს ძლიერ ემტერებოდა მთავრობა; მას კოოპერატიული მოძრაობა რევოლიუციონურ მოძრაობათ მიაჩნდა, ხოლო კოოპერატორი—რევოლიუციონერათ. ამიტომ ფაბრიკოს კოოპერატივს, როგორც სოფლის პირველ კოოპერატივს, ბევრი დაბრკოლება გადაეღობა, ბევრნაირი ბრძოლა გასწია, რამდენჯერმე დახურეს მთავრობის განკარგულებით, მარა მაინც მოაწია 1898 წლამდი. ამ წელს დადგა კრისპის ცნობილი რეაქცია, კოოპერატივი დაკეტეს, მდივნის დაჭერა მოინდომეს, მარა გაიქცა. ეს მდივანი დღესაც მდივნათაა.—როცა კრისპის ჟანდარმები მოვიდენ,—მითხრა მან,—და მე მიკითხეს მივხვდი, რაშიაც იყო საქმე, დავიმალე კანტორის ტახტს ქვეშ. მათ კი დაბეჭდეს ყოველივე, მათ შორის კანტორაც. დავრჩი შიგნით სამ დღეს, მერე როგორც იყო მოახერხეს გარედან ბეჭედ გაუტეხლათ ფანჯრების გაღება და გადმოვხტიო...

კრისპის რეაქციამ გამოიწვია მილანში შეიარაღებული წინააღმდეგობა, ბევრი ხალხი გადაიხვეწა უცხოეთში, მათ შორის ყველა ცნობილი სოციალისტი და კოოპერატორი. ფაბრიკოს კოოპერატივი გახსნეს სამი თვის შემდეგ და ნება მისცეს ვაჭრობის, მდივანს კი მაინც დაეძებდენ. მხოლოდ კრიპსის დაცემამ შექმნა ნორმალური პოლიტიკური კალაპოტი და გადახვეწილნიც სამშობლოში დაბრუნდენ. დაბრუნდა ფაბრიკოს კოოპერატივის ხელმძღვანელიც და საქმეც გაჩაღდა. 1900 წ. კოოპერატივმა გამოფინა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე თავისი ისტორია და ანგარიში, რისთვისაც მიუსაჯეს

უმაღლესი ჯილდო—ოქროს მედალი. კოოპერატივის წევრნი პირველათ იყვენ მხოლოდ დღიური მუშები, თანახმათ მაშინდელი წესდებისა, მერე ეს მუხლი შესცვალეს და ახლა წევრებათ არიან წვრილი მესაკუთრენი და სხვები. მისი წევრია, სხვათა შორის, ერთი ადგილობრივი მემამულე, მილიონერი, რწმენით სოციალისტი; კოოპერატივს უწევს დიდ დახმარებას ფულის სესხებით, თავდებათ დადგომით და სხვ.

ამ ჟამათ კოოპერატივს უპერია ვებერთელა საკუთარი შენობა, აქვს საკუთარი ფურნე, მოწყობილი თანახმათ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვისა. დღეში აცხობს 700 კილო[1]) პურს, 400 კილოს ყიდიან დუქანში, ხოლო 300 აცხობენ გარეშეებისათვის. ეს ხდება ასე: დღიურ მუშებს მოაქვთ შინიდან მოზელილი ცომი და კოოპერატივი მათ უცხობს მცირე სასყიდლით, ხოლო მესაკუთრე გლეხები, რომელთაც თავისი სახლი, და მაშასადამე პატარა ფურნეც აქვთ, პურს შინ იცხობენ. პურის გაცრა და მოზელა წარმოებს მაშინით, ცომს ხელს არ აკარებენ. ფქვილს იწერენ ვენეციიდან, რადგანაც ადგილობრივ მხოლოდ შვიდი წისქვილია და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. იქვე ქვემო სართულში არის ვებერთელა სარდაფი, სადაც 100 ათასი ბოთლი ღვინო აწყვია. აქვეა ლიმონადების და ლიქიორების ფაბრიკაცია. ყველა ეს იყიდება კოოპერატივის ყავახანაში, ბოთლ ღვინოს ყიდიან 40 სან. სარდაფის ახლო მოთავსებულია ძეხვების და შაშხის საკეთებელი ოთახი. მუშტარს შეუძლია, როცა უნდა, შევიდეს აქ და თავისი თვალით ნახოს—რა მასალიდან კეთდება ძეხვები. ყოველგან შესანიშნავი სისუფთავეა. ყველა განყოფილე-

[1]) კილო უდრის ორ გირვანქა და ოთხ მეათედს, კილომეტრი ვერსია.

ბაში მიმასპინძლდებოდენ ამ განყოფილების საქონლით: სარდაფში საუკეთესო ღვინოებით, საძეხვეში—ძეხვებით, ფურნეში—პურით... არასოდეს რუსეთელი კაცი არ ენახათ და აურებელ კითხვებს იძლეოდენ რუსეთის შესახებ, განსაკუთრებით კი დუმისა და კოოპერაციის შესახებ...

კოოპერატივის საწვრილმანო დუქანი საუკეთესო დუქნათ უნდა ჩაითვალოს საქონლის მრავალნაირობით და სიმრავლით. აქ ველარ გააკვლიეს—რით ეკათ პატივი და კოლოფი კანფეტი შემომაძლიეს.. ამაზე კი გადაპრით უარი ვთქვი და, რომ არა დაეძალებიათ, გარეთ გამოვედი. საზოგადოთ იტალიელები პურ-მარილის მოყვარე ხალხია და დაძალებაც იციან ისე, როგორც ჩვენში.

რაც შეეხება ყავა-ხანას—ნოველარიას სჯობია. ფაბრიკოში კრების ზალაც არა აქვთ. როცა ეს ვკითხე მდივანს, მან მიპასუხა: რათ გვინდა ყ ვახანაში ზალა, მუნიციპალიტეტი ჩვენი არის და იქ ვიკრიბებით, როცა გვინდაო. მართლაც, მუნიციპალიტეტი დიდი ხანია სოციალისტების ხელში ყოფილა.

კოოპერატივში ითვლება მუდმივი მოსამსახურე 15. ჯამაგირის მაქსიმუმია 2000 ლირა წელიწადში, მინიმუმი—600 ლირა. მდივანი ხანში შესული კაცია, მარა მხნე და მარჯვე. ის კოოპერატიკის დაარსებიდან მდივნათაა, გამგეობა მრავალჯერ გამოიცვალა, მდივანი კი უცვლელია. და ან ვინ გამოსცვლიდა ისეთ პირს, რომელმაც არაფრისგან ასეთი დიდი საქმე შექნა. ის ბუხჰალტერიას არ აწარმოებს, ამისათვის დაქირავებული ყავთ ცალკე ბუხჰალტერი. მდივანი კოოპერატივს უწევს საერთო ხელმძღვანელობას, განაგებს კანტორას და მიწერ-მოწერას, დადის რეჯიოში ბიჟაზე და ბაზრობაზე, კრებს ცნობებს საქონლის ფასების შესახებ, ურიგდება ვაჭრებს

ეკვრის ხელშეკრულებებით და სხ. ერთი სიტყვით: საკ-სებით ასრულებს გამგის მოვალეობას.

ბუხჰალტერი ახალგაზდა კაცია, მან ბევრი მელა-პარაკა ბუხაჰლტერიის შესახებ, განსაკუთრებით მიაქცია ჩემი ყურადღება ორ დავთარზე. ერთს აწერია; საქონლის ანგარიში, მეორეს—ფულის ანგარიში. პირველში დღე და დღე იწერება რა საქონელი შემოვიდა და რა გავიდა, ეს საქონლის ბუჰხალტერიაა. ამას უწოდებენ იქ ამერიკულ ბუხჰალტერიას. მეორე დავთარშიაც დღე და დღე იწერება ფულის შემოსავალ-გასავალი. ორივე დავთარი ერთათ მიდის, ერთნაირ ჯამს აჩვენებს. თუ ჯამი სხვადასხვაა, ე. ი. საქონლის მოძრაობა არ ეთანხმება ფულის მოძრაობას—ცხადია სადღაც ან შეცდომაა ციფრის, ან სიყალბეა ჩადენილი კოოპერატივის განყოფილებებში. ბუხჰალტერი ამას აცნობებს მდივანს, იგი გულდასმით სინჯავს ანგარიშს და, თუ აქ ციფრები სწორათაა, ნიშნავს საქონლის რევიზიას კოოპერატივის ზოგ ან ყველა განყოფილებებში. რევიზია აღმოაჩენს გაბნეულ საქონელს ან ფულს და მონახავს მიზეზს დაბნევისას, თუ მიზეზი უყურადღებობით წარმოსდგა, პირველათ შენიშვნას მისცემენ უყურადღებობის ჩამდენს და დაკარგულის ფასს გირაოდან გამოურიცხვენ, შემდეგაც თუ ჩაიდინა—სამსახურიდან დაითხოვენ. თუ მოსამსახურემ გაფლანგა, იმას მაშინვე ითხოვენ და გირაოსაც უპერენ. თუ გაფლანგული გირაოს აღემატება, დამნაშავეს სამართალში აძლევენ. ყველა განყოფილების პასუხისმგებელ მეთაურს გირაო აქვს წარდგენილი გამგეობაში, გარდა მდივნისა და ბუხჰალტერისა, რომელთა ხელში არც ფულია და არც საქონელი.

საქონელს ყიდულობს კოოპერატივი უმთავრესათ კერძო ვაჭრებისაგან მილანში, ხოლო ცოტას კავშირი-

საგან. ამის მიზეზია ის, რომ საქონლის მოტანას თავის ხარჯით კისრულობენ ვაჭრები, კავშირი კი არა. მაშასადამე მოტანის ქირა რჩება კოოპერატივს. მეორე მხრით, კოოპერატივს აქვს იმდენი შეძლება, რომ საქონელი ნაღდზე იყიდოს, ამ შემთხვევაში კავშირის შეღავათები მისთვის საჭირო არ არის.

ნაყიდი საქონლის გაყიდვა ხდება საშვალოთ ნაყიდზე 5%-ის დამატებით. ყველაზე მეტ სარგებელს იძლევა ღვინო—30%, ღორის შაშხი იძლევა 10%, საშვალოთ ვაჭრობა სტოვებს 7%.

კოოპერატივი ვაჭრობს ნისიათაც; ხშირათ წაღებულ ნისიას იხდიან პურით, ღვინით, ღორით და სხ. თუ ნისიას დანიშნულ ვადაში არ იხდიან, გამგეობა ჩივის სასამართლოში, თან ადგენს დავთარს და იღებს აღმასრულებელ ფურცელს.—ეს ძლიერ იშვიათია, მითხრა მდივანმა, შეიძლება ათ წელიწადში ერთხელ მოხდესო! საზოგადოთ, ნისიობით დიდი-დიდი 1% დაიკარგოს, მეტი არა. ნისიათ აძლევენ არა წევრსაც, თუ ის ცნობილია, როგორც კარგი გადამხდელი. კოოპერატივიდან ზოგ მემამულეს წელიწადში 5—6 ათასის ნისია მიაქვს, საშვალოთ ყოველ სამ თვეში 20 ათასის ნისიას გასცემენ. გადახდის ვადა სხვადასხვა ნაირია, უმთავრესათ კი სამი თვეა დანიშნული. ყავა-ხანაში ნისია არ არის, ღვინო ნაღდზე უნდა იყიდონ.—ეს იმიტომ, რომ გავაძნელოთ ღვინის სმა, მითხრა მდივანმა. ყავა-ხანის გამგეს ეძლევა 50 ლ. ჯამაგირათ თვეში და 3% ნავაჭრზე. დუქნის გამგეს ეძლევა 75 ლირა თვეში და 1% ნავაჭრზე. ნისიობა აქაც არის, რის პასუხის მგებელია არა გამგე, არამედ საზოგადოება. ამიტომ გამგეს გამგეობის ნებადაურთველათ არ შეუძლია ახალ მუშტარს ნისია მისცეს. ასეთი მუშტრის (არა-წევრის) შესახებ გამგეობა

შეკრებს ცნობებს და შემდეგ ატყობინებს დახლიდარს — მიეცეს ნისია თუ არა, და თუ მიეცეს—რამდენი.

1888 წლიდან კოოპერატივი წელიწადში დებს 600 ლირას იმ მიზნით, რომ ავადმყოფი და სუსტი ბავშები ზაფხულობით ზღვის პირათ გაგზავნოს. ზღვის პირას კოოპერატივმა აიშენა სახლი და საშუალოთ ყოველ ზაფხულს 40 ბავშს აბინავებს. გარდა ამისა კოოპერატივს აქვს ფონდი თავის წევრთა დასახმარებლათ ავათმყოფობის დროს (დღეში 75 სან.). ორივე შემთხვევაში საჭიროა ექიმის მოწმობა. ავადმყოფ წევრებზე კოოპერატივი წელიწადში ხარჯავს ორი ათას ლირას.

ამ ჟამათ საზოგადო კრების დადგენილებით საქველმოქმედო ფონდს უნაწილებენ მოგების ორ მეათედს (ერთი მეათედის მაგიერ), ხოლო ნავაჭრზე წევრთ აძლევენ სამ მეათედს (ოთხი მეათედის მაგიერ). არა წევრი მუშტარი არავითარი შეღავათით არ სარგებლობს, გარდა ნისიობისა და ესეც ზოგიერთთათვის.

ახლა გავიცნოთ კოოპერატივის ზოგიერთი წლის ანგარიშები. ამ ანგარიშების გაცნობით მე სახეში მაქვს მკითხველს გავაცნო არა მარტო საზოგადოების განვითარება, არამედ ანგარიშის წესიც. ამიტომ ანგარიშები მე მომყავს სწორეთ ისე, როგორც მათ დავთრებშია ალნიშნული. მომყავს, რასაკვირველია, წლიური და არა დღიური ან თვიური, ვინაიდან ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა; მომყავს შემოკლებით.

ბ ა ლ ა ნ ს ი:

1885 წ.	საზოგად. აღებ-მიცემობა უდრიდა	30 431 ლ.
1902 წ.	აქტივი და პასივი უდრიდა	74 742 „
	შემოსულა.	16.414 „
	დახარჯულა .	13.824 „
	დარჩენილა წმინდა მოგება	2.590 „

1905 წ.	აქტივი	101.850 „
	პასივი	97.592 „
	შემოსული	20.904 „
	გასავალი	16.646 „
	დარჩა	4.258 „
1906 წ.	აქტივი	114.243 „
	პასივი	112.773 „
	შემოსულა	19.839 „
	დახარჯულა	18.388 „
	დარჩენილა	1.451 „
1907 წ.	აქტივი	133.460 „
	პასივი	132.447 „
	შემოსულა	20.397 „
	დახარჯულა	19.384 „
	დარჩენილა	1.013 „

როგორც ხედავთ, უკანასკნელი სამი წლის დავთრები სხვანაირათ არის ნაწარმოები, პასივი და აქტივი ერთმანეთს არ უდრის, რადგანაც მოგება აქტივშია შეტანილი. გარდა ამისა შემოსავალი ნიშნავს ნავაჭრიდან დარჩენილ მოგებას, ხოლო ხარჯი—ჯამაგირებს, საგამგეობოს, გადასახადებს და სხვა ასეთებს.

ახლა მოვიყვან შეუმოკლებლათ შემდეგი ორი წლის ბალანსს:

1908 წ. აქტივი:

1.	შემოტანილი საწევრო ფული	20.090 ლ.
2.	საქველმოქმედო	1.171 „
3.	საქონელი	26.722 „
4.	გაყიდული განისიავებული საქონელი	21.766 „
5.	განყოფილებაში გაყიდული საქონელი	4.498 „
6.	გაგზავნილი ღვინო	348 „
7.	დებიტორები (ვისაც მართებთ)	8.861 „

8.	ქონება უძრავი	24.835 „
9.	ფასიანი ქაღალდები	2.860 „
10.	ნივთი გირაოთ	380 „
11.	ქონება მოძრავი . . .	20.180 „
	სულ	131.671 ლ.

პ ა ს ი ვ ი:

1.	ხელმოწერილი საწევრო ფული .	35.720 ლ.
2.	საზოგადოებას და წევრებს	291 „
3.	საქველმოქმედო ფონდი	3.357 „
4.	სათადარიგო თანხა .	12.661 „
5.	დივიდენდის ფონდი	13.608 „
6.	კრედიტორები, საქონლის და სხვ.	24.912 „
7.	კრედიტორები ჰიპოტეკური	5.280 „
8.	სხვადასხვა კრედიტორები	29.077 „
9.	გირაო	5.105 „
		130.011 ლ.
	წმინდა მოგება . .	1.711 „
	სულ	131.722 „
	შემოსავალი	21.674 „
	„ წვრილმანები . .	355 „
	სულ	22.029 ლ.

ხ ა რ ჯ ე ბ ი:

1.	ჯამაგირი და ქირა დღიურ მუშებს	6.337 ლ.
2.	გადასახადები .	2 856 „
3.	კანცელარია და ფოსტა	197 „
4.	წასვლა-მოსვლა, საქონლის მოტანა	2.504 „
5.	გათბობა და განათება	710
6.	ქირა	459 „
7.	პროცენტები	1.615 „

8. მარილი, შაშხის მასალები და პრობკები.	2.807	
9. ხორბლის დაფქვა	1.245	
10. სხვადასხვა ხარჯი	710	„
11. ზარალი გაქირავებაში . .	981	„
	20.312	ლ.
მოგება .	1.711	„
სულ	22.023	„

ამავე წესით არის შედგენილი 1909 წლის ანგარიში. აქ აქტივი უდრის 172.421 ლ. ამაში შეტანილია საწევრო გადასახადი 24.857 ლ., საქონელი—49.139 ლ., უძრავი ქონება—28.651 ლ., მოძრავი—24.259 ლ. და სხ., პასივი—170.320 ლ.; ამაში ხელმოწერილი საწევრო—40.945 ლ., სათადარიგო თანხა—13.175 ლ., დივიდენდის ფონდი—14.211 ლ., კრედიტორები, საქონლის და სხვ.—36.195 ლ., საქველმოქმედო ფონდი—3.559 ლ. და სხვ. წმინდა მოგება—2.100 ლირა; (სანტიმებს არ ვანგარიშობთ). სულ პასივი—172.421 ლ.

ამ აღებ-მიცემობამ დატოვა საერთო შემოსავალი—2.914 ლ., დაიხარჯა—27.042 ლ.; ხარჯები მოკმატა გასავლის თითქმის ყველა მუხლს, გარდა ჯამაგირების და ქირისა. კოოპერატივი ვალდებულია თითოეული წლის ბალანსი ხელმოწერილი თავმჯდომარის და მდივნის მიერ წარადგინოს რეჯიოს სასამართლოში, გამოაცხადოს მთავრობის ცენტრალურ უწყებებში და ადგილობრივ სოციალისტურ ორგანოში*); უკანასკნელი ვალდებულება დაკისრებული აქვთ რეჯიოს შრომის ბირჟისაგან, ხოლო პირველი კანონისაგან.

სოფ. რიო-სალიჩეტო მდებარეობს ათი კილომეტრის მანძილზე ნოველარიდან, რკინის გზა არ უდგება.

[1]) გამოდის რეჯიოში სახელწოდებით „სიმართლე.„

მცხოვრებთა რიცხვია 2.930; სოფელი პატარაა, შვიდიოდე დუქანია. მცხოვრებთა ნაწილი თავმოყრილათ სახლობს, ნაწილი კი გაფანტულათ. საზოგადოთ, წვრილი და სხვილი მესაკუთრენი ცხოვრობენ თავიანთ მამულში, დღიური მუშები უმთავრესათ მათ სახლებში ქირაობენ ბინას. ვაჭრები, ხელოსნები, და, საზოგადოთ, მიწას მოწყეტილნი, ცხოვრობენ ქალაქურათ, ერთათ. ეს ასეა ყოველგან, ასეა ამ სოფელშიც. აქაც იგივე სოციალური მდგომარეობაა, რაც სხვაგან: უმრავლესობა—ყოველივე საკუთრებას მოკლებული, უმცირესობა—მესაკუთრენი. არც ერთ სოფელში ამდენი ორგანიზაცია არ არსებობს. აქ არის: მომხმარებელი კოოპერატივი, სამიწათმოქმედო კოოპერატივი, მედროგეთა კოოპერატივი, კოოპერატიული საყველე, ურთიერთ დამხმარე საზოგადოება, დღიურთა ლიგა, სოციალისტური ორგან., ახალთაობის წრე, წითელი ველისიპედისტები, მენახევრეთა ლიგა, სამუსიკო წრე კარლ მარქსის სახელზე, მქსოველთა ლიგა, გლეხთა კოოპერატივის განყოფილება, თერძთა და ხარაზთა კავშირების განყოფილებები, სამიწათმოქმედო სინდიკატი და სამხედრო ძმობა. ორი უკანასკნელი კლერიკალების ორგანიზაციაა. ყველა ამათ შორის მუშა ხელი განაწილებულია ისე: ორგანიზაციაში შედის 185 წვრილ მესაკუთრეთგან მხოლოდ 30, 130 მენახევრეთაგან—40, 253 მოიჯარადრეთაგან—30, 345 დღიურთაგან—335, 135 დღიურ დედა-კაცთაგან 115, 16 კალატოსთაგან—10, 15 მჭედელთაგან—10, 15 მედროგეთაგან—15-ივე, ზაინკალთაგან არავინ, 15 დურგალთაგან—არავინ, 30 ხარაზთაგან—24, 28 თერძთაგან—28-ავე ანგურის მუშათაგან—3-ივე, 4 ყველის

[2]) ყველა ასეთ სტატისტიკაში ირიცხება პირველი სამი კატეგორია ოჯახობით, ხოლო დანარჩენები პირადობით.

მუშათაგან—4, აგრეთვე ოთხივე მეწისქვილე, 23 მოჯამაგირეთაგან—არავინ, არც დანარჩენი წვრილი ხელობის ხალხი შედის, როგორიცაა დალაქები—5, მოსამსახურენი—12, მწყემსები—23 ხახაზი—1 და სხ.[2]) სოფლის ეკონომიური მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ნოველარიას და ფაბრიკოში.

ახლა გავიცნოთ მომხმარებელი საზოგადოება, ხოლო დანარჩენს გავიცნობთ თავ-თავის დროზე.

კოოპერატივი დააარსა 16 კაცმა 1901 წ. წევრთა რიცხვი 1904 წ. იყო 134. აქცია ღირს 36 ლირა, გადასახადია თვეში თითო ლირა. გარდა ამისა წევრის ჩასაწერი ერთ დროებითი გადასახადია ლირა—ნახევარი. მდივანმა მიამბო შემდეგი: კოოპერატივის საქმეები ცუდათ წაიყვანეს, დავთრები გლახათ აწარმოეს, ანგარიში თითქმის არ იყო. ამიტომ 1906 წლამდი არავინ იცოდა საზოგადოების ნამდვილი მდგომარეობა, ამ წელს ამოირჩიეს ახალი გაგეობა, რომელმაც შემოიღო ნამდვილი ანგარიშები, საიდანაც გამოჩნდა, რომ საზოგადოება კაი ხანია გაკოტრებულა: პასივი მეტი იყო აქტივზე 8300 ლირით. ამან, რასაკვირელია, დააფრთხო საზოგადოება, 80 წევრმა დატოვა შემოტანილი ფული და გავიდა. გამოსცვალეს ყველა თანამდებობის კაცი, მეც მერე მოიწვიეს. რევიზიამ დაამტკიცა, რომ გამგეობას თვითონ არაფერი მიუთვისებია, მხოლოდ მისი უყურადღებობით საზოგადოება გაექურდა დახლიდარს და შესაწყობეს. ესენი მოვიდენ უგროშოთ და, როცა წავიდენ—დუქნები გაიღეს. პასუხის მგებელი კი გამგეობა იყო და სამართალში რომ მივქცეულიყავით—ის კატორღაში წავიდოდა. საზოგადო კრებამ მოისმინა რა ეს მოხსენება, დადგინა: გამგეობა არ მიეცეს სამართალში, დეფიციტი კი შეივსოს ამნაირათ: 2,000 ლ. გადახდეს გამგეობის წევთ, 3,000

ლ. დაფარონ წევრებმა, ხოლო დანარჩენი 3,300 ლ. დაფარავს თითონ კოოპერატივი თავისი მოგებიდან. ამის შემდეგ საზოგადოება დაადგა ახალ გზას და დღეს ის კარგ მდგომარეობაშია. მას ხელი შეუწყვეს აგრეთვე სხვა კოოპერატივებმა და მოკლე დროში წამოაყენეს ფეხზე ისე, რომ არც ერთი მისი ვექსილი პროტესტში არ წასულა.

ახლა საზოგადოებას ყავს 60 წევრი. მთელი მოგება აქამდის მიდიოდა დეფიციტის დაფარვაზე, ვალი გასტუმრებულია. ასე რომ 1910 წ. მოგება რჩება 1758 ლ., რომლისაგან 4% დაურიგდება წევრთ თანახმათ ნავაჭრისა, დანარჩენი კი გადაიდება სათადარიგო თანხისთვის. დახლიდარი იღებს 15 ლ. თვეში ჯამაგირათ და $3^1/_2$% ნავაჭრ საქონელზე. მას წელიწადში შეუდგება ამ გზით 1200 ლ. გარდა ამისა მას ეძლევა ბინა, განათება და გათბობა. ნისიობა არ არის, მესაწყობე ღებულობს წელიწადში 300 ლირას, ყავა-ხანის გამგე იღებს დღეში 2 ლირას და 3% ნავაჭრზე, აგრეთვე ბინას განათება-გათბობით. წელიწადში მას უწევს 1.000 ლ. ფურნე დღეში აცხობს 340 კილო პურს, ამაში დუქანში იყიდება მხოლოდ 60—70 კილო, დანარჩენი ეკუთვნის მუშტართ, რომელთაც მოაქვთ თავისი ცომი გამოსაცხობათ, კოოპერატივი მათ ახდევინებს კილოზე 4 სანტიმს. ასეთი მუდმივი მუშტარია 100 ოჯახი. ყველა ესენი წევრია სამიწადმოქმედო კოოპერატივის, მაშასადამე, დღიურები არიან. სხვა დღიურნი პურს ყიდულობენ კოოპერატივში, გლეხები თითონ იცხობენ თავის სახლებში. მეფურნე იღებს წელიწადში 1,000 ლ. ჯამაგირს, მასთან ბინას განათებ-გათბობით. ღვინო იყიდება წელიწადში 20 ათას ბოთლამდე; ბოთლზე იგებს 10 სან. ე. ი. კოოპერატივს თუ ბოთლი ულირს 20 სან. ყიდის 30, თუ ულირს 30

სან., ყიდის 40 ს. კოოპერატივის ფასები ნაკლებია, ვინემ კერძო დუქნეში. მაგ., კილო პური აქ, კოოპერატივში, ღირს 42 ს. დუქნებში კი—44 ს., შაშხი კილო აქ—1 ლ. და 60 ს., იქ კი—1 ლ. 80 ს. და სხ. კოოპერატივი კონკურენციას უწევს მედუქნეთ ფასების დაწევით.

— მაშ როგორ ცოცხლობენ კერძო დუქნები, მუშტარი ხომ აღარ ეყოლებათ? შევეკითხე მდივანს.

— რას ამბობთ, ჩვენი კლერიკალები ისეთი სქელშუბლიანები არიან, რომ მუქთათ რომ მისცეთ, აქ ფეხს არ შემოდგამენ. ყველა მათი მომხრე წვრილ გლეხთა უმრავლესობაა და ეგრეთ წოდებულნი ზომიერები—ვაჭრობენ კერძო დუქნებში, მათი აზრით ჩვენი მუშტარი ეშმაკის მუშტარია. ეს კი არა, ისინი ცდილობენ ჩვენ წინ, ქუჩაში არ გაიარონ. მოიჯარადრენი და მენახევრენი უფრო მოწინავე ელემენტებია და მათზე ჩვენი გავლენა დიდია.

— ახლა საშიში არ არის კოოპერატივის მდგომარეობა?

— არა, მისი გაკოტრება შეუძლებელია. ანგარიშები ახლა ისეთი სწორი და მკვიდრია, რომ დახლიდრებმა ძლიერაც რომ მოინდომონ მოპარვა—ვერ მოიპარავენ. დუქნის და, საზოგადოთ, მთელი ქონების რევიზია ხდება ყოველ სამ თვეში ერთხელ; მე შემიძლია, თუ რამე შევამჩნიე, ყოველ დღე გავაკეთო კონტროლი. საზოგადოთ აი რა უნდა გითხრათ: კაცი არ არის საშიშარი მხოლოდ მაშინ, როცა ის განსაზღვრულ კალაპოტშია ჩაყენებული, რომლისაგან ის თავის ქეიფისამებრ ვერ გადახტ-გადმოხტება. მიეცით მას თავისუფლება საზოგადო საქმეში და ნახავთ, რომ ის ანგელოზიც რომ იყოს, მტაცებელი შეიქნება.

ხაზინადარს, ორივე დახლიდარს და მესაწყობეს გირაო აქვთ შეტანილი საზოგადოებაში, თითოს ათასათასი ლირა. ხაზინადარი მუქთათ ასრულებს თანამდებობას. გირაოს პატრონნი ღებულობენ კანონიერ სარგებელს.

კოოპერატივი მოთავსებულია საკუთარ ორსართულიან შენობაში; შენობა დამჯდარა 30,000 ლირათ. აუგიათ ვალით, რომელსაც იხდიან ნაწილ-ნაწილათ. შენობის აგება აიძულა კოოპერატივი იმ გარემოებამ, რომ რიგიანი შენობის პატრონნი კლერიკალებია და სიახლოვეს არ იკარებენ კოოპერატორთ, ხოლო პატარა შენობაში ვერ ეტეოდენ.

აქ მუნიციპალიტეტი სოციალისტების ხელშია და ეს კიდევ უარესათ ამწვავებს ბრძოლას კოოპერატივის წინააღმდეგ. მერის თანაშემწე (ეს იმავე დროს ფაქტიური მერია, ვინაიდან თითონ მერი იქ არ ცხოვრობს) კოოპერატივის თამჯდომარეა.

საზოგადოების მდგომარეობა 1906 წ. ყოფილა ამნაირი:

აქტივი: საქონელი—3552 ლ., მოძრავი ქონება—4250 ლ., უძრავი—1021 ლ., კრედიტი—4021 ლ., სულ—12844 ლ.

პასივი: დებეტი—17425 ლ., წევრებისაგან შემოტანილი თანხა—3087 ლ., სხვა დებეტი—694 ლ., სულ—21206 ლ. დეფიციტი—8362 ლ.

1909 წ. აქტივი უდრიდა 22870 ლ., პასივი 22480 ლ., დარჩა წმინდა მოგება 390 ლ., მთელი შემოსავალი ყოფილა 7343 ლ.; ხარჯები: მდივნის ჯამაგირი—400 ლ., ორივე დახლიდარს—1508 ლ., მესაწყობეს—325 ლ., გადასახადები—292 ლ., მოძრავი ქონების ღირებულების მოკლება—574 ლ., ფულის სარგებელი კერძო

პირთ—359 ლ., იტალიის კოოპერატივთა ლიგაში ჩაწერა—10 ლ. და სხ. და სხ. სულ—6953 ლ.

კოოპერატივის წესდებაში შეტანილია ასეთი მუხლი: რიო-სალიჩეტოში გადაცვალებული წევრის გასვენებას უნდა დაესწროს ყველა წევრი მწვანე დროშით, რომელზედაც აწერია საზოგადოების ფირმა.

სოფ. სანკტა-ვიკტორია მდებარეობს ნოველარიდან ათი კილომეტრის სიშორეზე, რკინის გზა არ. მიდის; ეს სოფელი ნაწილია გუალტიერის კომუნის, მარა აქვს თავისი საკუთარი მუნიციპალიტეტი, რომელიც სოციალისტების ხელშია. მცხოვრებნია 2272. ამათში წკრილი მესაკუთრეა 32, მენახევრე—21, მოიჯარადრე—21, დღიურნი: მამაკაცები—242, დედაკაცები—390, კალატოზი—20 და სხ. არსებობს ათი ორგანიზაცია, რომლებში შედიან დღიურნი თითქმის ყველა (გარდა 20 მამაკაცისა და 40 დედაკაცისა), მენახევრე და მოიჯარადრენი სრულიად არ შედიან, ხოლო 11 წვრილი მესაკუთრე შედის სამიწათმოქმედო კოოპერაციაში. ამ სოფელში კლერიკალთ დაუარსებიათ დღიურთა ორივე სქესის ლიგა, რომელშიაც შედის 35 წევრი, ლიგის მიზანია—ებრძოლოს დღიურთა დიდ ლიგას და მის გაფიცვებს. მარა ამაზე შემდეგ.

მომხმარებელი და სამიწათმოქმედო კოოპერატივი დაუარსებიათ ერთათ 1890 წ. კოოპერატივების დევნის დროს მთავრობას გაუთიშავს ეს ორი კოოპერაცია, წინაალმდეგ შემთხვევაში ორივეს ხურავდა. კოოპერატივებიც ერთმანეთს შორდებიან და 1899 წლიდან ცალ-ცალკე არსებობენ. იმ დროს მომხმარებელი კოოპერატივის წევრი ყოფილა 52, ახლა კი—286. ის მოთავსებულია საკუთარ სახლში, რომელიც ამ რვა წლის წინ აუგიათ ვალით, დღეს კი მთელი ვალი გადახდილია. ეს

ძლიერ დიდი შენობაა, ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია, გარდა კლერიკალურისა, ამ შენობაშია მოთავსებული. შეძლებული ორგანიზაციები იხდიან ქირას, შეუძლონი კი არა. საზოგადოთ, ეს სახლი ერთი დიდი ოთახია, სადაც თავმოყრილია ადგილობრივი მუშა-ხალხი; აქ არის დიდი ზალები კრებებისათვის, არის ზალა სცენითურთ წარმოდგენებისათვის, კარგათ მორთული ყავა-ხანა, დიდი ეზო მრავალნაირი სათამაშოებით, ბიბლიოთეკა საკუთარი, თუმცა არსებობს მუნიციპალურიც. ერთი სიტყვით მისვლისთანავე ატყობ სიუხვეს და ხელგაშლილობას. ერთათ ერთ ამ კოოპერატივში ვნახე მანუფაქტურული განყოფილება, ეს ფაბრიკოშიაც კი არ არის.

აქცია ღირს 5 ლ., წევრობისათვის საჭიროა 12 აქციაზე ხელის მოწერა და თვეში თითო ლირის შეტანა. ხელმოწერილია 3384 აქცია, რომელიც ბარდება ხელისმომწერს ღირებულების სრულიად შემოტანისას. ერთდროებითი ჩასაწერი გადასახადია ორი ლირა; ეს ფული გადადის სათადარიგო თანხაში. მოგება ნაწილდება ასე: 50%-წევრებს ნავაჭრზე, 10%—სათადარიგო თანხას, 5%—კოოპერატივის პრაპაგანდას, 15%—საბავშო ბაღს და 20% საპენსიო ფონდს. როცა საპენსიო ფონდში იქნება 10,000 ლირა, მაშინ დაიწყებენ პენსიის მიცემას ინვალიდ წევრებზე. საბავშო ბაღის ფონდშია ახლა 5,525 ლ., პროპაგანდის ფონდში—1341. უკანასკნელის დანიშნულებაა ფული მოხმარდეს ლექტორების გამოწერას და სოფლებში გზავნას კოოპერატივის იდეის საქადაგებლათ; აგრეთვე ბროშიურების შეძენას და დარიგებას.

თითოეულ წევრს აქვს საკუთარი წიგნაკი, სადაც დახლიდარი სწერს პატრონის ნავაჭრის რაოდენობას და ფასს. წლის ბოლოს იანგარიშობენ და ვისაც რამდენი

უვაჭრია, იმისდაგვარათ 50 პროცენტს ფონდიდან მიიღებენ. საზოგადოთ სხვა სოფლის კოოპერატივებში საქონლის გაყიდვის წესრიგი გამყიდველის საქმეა, ის პასუხისმგებელია ჩაბარებული საქონლის, ხოლო ამის ანგარიშს როგორ დაიჭერს—ეს გამგეობას არ ეკითხვის. უმრავლეს შემთხვევაში დახლიდარი არ სწერს გაყიდულ საქონელს, ამას ბევრი დრო უნდაო, მითხრა ერთმა მათგანმა. ის მოვალეა მხოლოდ კვირაში ერთხელ ჩააბაროს კასირს ნავაჭრი ფული და თან ცნობა, რომელი საქონელი რამდენი გაიყიდა. ვიკტორიას კოოპერატივში გაყიდული საქონლის მაშინვე ჩაწერა სავალდებულოა. უამისოთ არ შეიტყობა წევრს რამდენი უვაჭრია. წევრის სავაჭრო წიგნაკი ხელმოწერილია თავმჯდომარის მიერ და პირველ გვერდზე აღნიშნულია წევრის კოოპერატივთან დამოკიდებულება: რამდენი აქცია შეიძინა, რამდენი შემოიტანა, როდის ჩაეწერა და სხ. შემდეგი გვერდები დანიშნულია საქონლის ჩასაწერათ: იწერება თვის რიცხვი, საქონლის თვისება, რაოდენობა და ფასი. ნისიობა არ არის.

საწეკრო ფული უბრუნდება წევრს მხოლოდ სხვაგან გადასახლების მიზეზით და მის მემკვიდრეებს—გადაცვალების შემდეგ. დანარჩენ შემთხვევაში გასულ წევრს არაფერი უბრუნდება. წევრთა შორის 21 ქალია, 7 მენახევრე და წვრილი მესაკუთრე, დანარჩენნი კი დღიურებია. თითონ მდივანი, კოოპერატივის დამაარსებელი, დღიური მუშაა, სკოლაში არ უსწავლია და რაც იცის, შეიძინა აქ, ამ სოფელში. იცის კი ბევრი კოოპერაციის შესახებ. მისი ანგარიშები და დავთრები გაგანცვიფრებს თავისი სიმარტივით და სიცხადით, არსად ისე კარგი ანგარიშები არ მინახავს, როგორც აქ. კანტორა არქივი გეგონებათ, იმდენი დანომრილი სხვილ-სხვილი დავთრე-

ბია ირგვლივ შკაფებში ჩამწკრივებული. რა ცნობაც გინდათ, რომელ წელს და დღესაც ეხებოდეს—სამ წუთში მიიღებთ. ამან ისე დამაინტერესა, რომ მრავალი კითხვა მივეცი მდივანს. მაგ., რამდენი კილო ხორცი გაიყიდა 6 იანვარს 1905 წ. და რა მოგება დატოვა? მან ხელათ ჩამოიღო დავთარი, გადაშალა და მიჩვენა ცხრილი სადაც ეწერა: გაიყიდა 20 კილო, დატოვა 6 ლირა. ბოლოს გადმომცა საზოგადოების ათი წლის მდგომარეობის ანგარიში ერთ ფურცელ ქაღალდზე დაწერილი. ეს ანგარიში რაღაც ერთ საათში გააკეთა, სანამდე შაღაზიას ვათვალიერებდი. ის კოოპერატორის ნამდვილი ტიპია.

კოოპერატივი საქონელს იწერს კავშირიდან. პირველათ კოოპერატივმა ფასები დაუკლო ყველა საქონელს, კერძო დუქნებიც იძულებული გახდენ თავისი ფასებიც კოოპერატივის ფასების დონეზე დაეყვანათ. ამ ნაირათ ფასები გათანასწორდა და დღეს ერთნაირ ფასებში ხდება ვაჭრობა. კოოპერატივი მცირე მოგებას იღებს მიუცილებელ სახმარ საქონლიდან, როგორიცაა მაგ. ,პური, შაშხი, ძეხვი, ხორცი და სხ. კილო შაშხი მას უჯდება 1 ლ. 50 სან., ყიდის 1 ლ. 70 ს. საშუალოთ ასეთ საქონელს უმატებენ 10—11 %. სამაგიეროთ ღვინოს უმატებენ 40 %, ხანდახან აქ ღვინო უფრო ძვირათ იყიდება, ვინემ კერძო დუქნებში. ამის მიზეზია ის, რომ კოოპერატივი ებრძვის ალკოჰოლიზმს და არ უნდა ბევრი ღვინო სვან წევრებმა.—ეს ჩვენი პრაქტიკული ანტიალკოჰოლური პროპაგანდაა, მითხრა მდივანმა.

1909 წ. გაიყიდა (ღვინის გარდა) საქონელი 76,587 ლირის, რამაც დატოვა 2503 ლ. საერთო მოგება, ხოლო 16740 ლირათ გაყიდულმა ღვინომ დატოვა 6714 ლ. (ხარჯები ამაში არ შედის), პური გაიყიდა

10013 ლირის, დატოვა 1462 ლ. (პურის ფასში შედის მისი დამზადების ყველა ხარჯები), ხორცი გაიყიდა 11,830 ლ., დატოვა 911 ლ. კოოპერაციის გახსნამდე სოფელში ხორცს არ ყიდდენ, ასე რომ დღიურნი ხორცს არ ჭამდენ. ფურნე აცხობს დღეში 350 კილო პურს, ამაში 300 კილო ეკუთვნის წევრთ, 50 კი იყიდება დუქანში.

დახლიდრები ღებულობენ ჯამაგირათ თვეში 15—15 ლ. და $2^1/_2$ % ნავაჭრზე თითო.—სამანუფაკტურო მაღაზიის გამგე კი ჯამაგირს 20 ლ. ღებულობს და იმავე %, რასაც სხვები. გირაო აქვთ შეტანილი ოთხს—ხაზინადარს, სამანუფაკტურო და საწვრილმანო დუქნის გამგეთ და მესაწყობეს—ათას-ათასი ლირა, ყავახანის გამგეს—800 ლ. ხაზინადარს ეძლევა ჯილდოთ 200 ლ. წელიწადში, მესაწყობეს—300 ლ.; გირაოს პატრონნი ღებულობენ კოოპერატივიდან 4 %. კასირს ნება აქვს ადგილობრივ შეინახოს 5,000 ლ., ზედ-მეტი კი უნდა შეიტანოს რეჯიოს კოოპერატიულ ბანკში. წევრთ კოოპერიტივში შეაქვთ ფული შესანახათ მიმდინარე ანგარიშზე. ასეთი თანხა 1909 წ. უდრიდა 12634 ლ. კოოპერატივი ხმარობს ამ ფულს თავის საჭიროებისათვის, პატრონთ აძლევს 5% და შემოტანილ ფულს მაშინვე, როგორც კი მოითხოვენ. ასე რომ კოოპერატივი იმავე დროს შემნახველ ფუნქციასაც ასრულებს.

აქ მოვიყვანთ ამ კოოპერატივის ანგარიშს დაარსებიდან (11 წლის), როგორც ეს მდივანმა გადმოგვცა. ასეთი ანგარიში ყველა დაწესებულებისათვის სასურველია თავისი სიმარტივით და სიცხადით (მომყავს ლირებით, სანტიმებს ვტოვებ).

	ᲐᲜᲑᲐᲜᲘ										
	1899	1900	1901	1902	1903	1904	1905	1906	1907	1908	1909
1. ხელმოწერილი თანხა	1760	1920	2990	2950	4695	4700	6030	15480	16560	16920	17160
2. შემოტანილი თანხა .	465	1005	1580	2080	3120	4227	5493	6883	8282	9702	10853
3. სათადარიგო თანხა	3	521	2820	4080	6529	8283	10173	5162	5311	6196	6785
4. საპენსიო ფონდი . .	—	—	—	—	—	—	—	7072	9191	10512	11653
5. საქველმოქმედო ფონდი (ბავშთათვის) .	—	—	—	—	—	—	—	1400	2459	3450	4505
6. კოოპერ. საპროპაგანდო ფონდი	—	—	—	—	—	—	—	—	353	683	968
7. წევრთა რიცხვი .	96	106	216	210	235	237	241	258	276	282	286
8. ხელმოწერილ აქციათა რიცხვი	359	384	598	590	939	940	1206	3096	3312	3384	3432
9. აქციათა ღირებულება	5	10	11	14	16	16	14	12	16	18	23
10. გაყიდული საქონელი	15102	24498	36204	45707	60149	69947	80792	89110	88290	98133	115478
11. დღიური ვაჭრობა საშუალოთ .	54	64	96	125	164	191	221	244	236	242	316
12. შემოსავალი	2112	3302	4795	7183	6639	9728	8371	9627	10017	9855	13339
13. ხარჯები . .	482	602	676	632	1427	1991	2273	2562	3412	4154	5865
14. წმინდა შემოსავალი .	1629	2699	4077	6551	5241	7737	6098	7064	6605	5700	7473

აი, ტიპიური კოოპერატივი, რომელიც თითქმის ასტრონომიული თანდათანობით ყოველ მხრივ იზრდება და ვითარდება. ყოველივე ეს ხდება შინაური ძალებით, ადგილობრივი მუშების მეთაურობით და წინდახედულობით. არც ერთ კოოპერატივში წამლათ არ მოიპოვება ინტელიგენტი; ერთათ ერთი ინტელიგენტი, რომელიც მე შემხვდა—ეს იყო აგრონომი ნოველარაში, რომელიც კოოპერატივებში პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობს. საზოგადოთ აქეთ სოფლებში ინტელიგენტური ძალის ჭაჭანება არ არის, გარდა მასწავლებლის და ღვდლისა. პირველი თავის საქმეს უნდება ან და ისეთია, როგორიც ჩვენ გავიცანით სან-ჯიოვანეში. ხოლო ღვდელი მთელ ამ მოძრაობას ებრძვის და კლერიკალურ მოძრაობას მეთაურობს. ასე რომ, მუშათა ეკონომიური მოძრაობა, ისე როგორც პოლიტიკური, მართლა ადგილობრივ მუშათა საქმეა. ჩვეულებრივი წარმოდგენა ასეთია, რომ მუშა, განსაკუთრებით კი სოფლის, რთულ ეკონომიურ საქმეს თავის ძალ-ღონით ვერ წაიყვანსო. ემილიის კოოპერატივები ერთიანათ არღვევენ ამ შეხედულებას.

გავსინჯოთ ცოტა უფრო დაწვრილებით უკანასკნელის 1909 წ. ანგარიში. ამ წლის აქტივი უდრის 85935 ლ. ამაში უძრავი ქონებაა 40076 ლ., მოძრავი—8529, საქონელი მაღაზიებში—2375, საქონელი საწყობში—14343 და სხ. პასივი უდრის იმავე 85935 ლ. ამაში: დებეტი—12635 ლ., რეჯიოს კოოპერატიულ ბანკში 14,537 ლ., (სხვადასხვა ფონდები იხ. ზემოთ). სარგებლის გაყოფა: 50% წევრთ ნავაჭრზე—3736 ლ., 10% სათადარიგო თანხას—747 ლ., 20% საპენსიო ფონდს—1494 ლ., 15% საქველმოქ. ფონდს 1120 ლ., 5% კოოპერატივის საპროპაგ. ფონდს—373 ლ., და სხ. და სხ. მთელი შემოსავალი ყოფილა 133482 ლ. გასავალი: სა-

ქონლის ყიდვა—107641 ლ., საქონლის ყიდვის და მოტანის საზოგადო ხარჯები—9566 ლ., მოსამსახურეთა ჯამაგირი—2462 ლ., ჯილდო მათ—879 ლ., მოძრავი ქონების ღირებულების მოკლება—474 ლ., გადასახადები—813 ლ. და სხვ.

ყველა ეს ჩვენ მიერ განხილული მომხმარებელი კოოპერატივები ტიპიური კოოპერატივებია ჩრდილო ემილიისათვის. ყველა დანარჩენი ამათ გვანან, ცოტა-ოდენი მეტ-ნაკლებობით, რასაკვირველია; აქ, ასე ვთქვათ, ისინი დგანან უკვე მოპოვებულ პოზიციაზე და დაუბრკოლებლივ ვითარდებიან. მათი მოპირდაპირე ძალა აქ გატეხილია იმდენათ, რომ დიდ ვნებას მათ ველარ აყენებს. ერთათ ერთი ნოველარის კოოპერატივი იყო გარდამავალ ხანაში, მარა მას შემდეგ, რაც კლერიკალები დამარცხდენ მუნიციპალურ ნიადაგზე, ისიც ჩადგება მკვიდრ კალაპოტში. სულ სხვას ვხედავთ სამხრეთში: აქ ბარი ცოტაა, მთა კი ბევრი; ამიტომ ამ მხარეში კლერიკალთა გავლენა დიდია. აქ კლერიკალები ახალ დამარცხებულნი არიან და იარაღს არ ყრიან. ბრძოლა მეტათ მწვავეა. კოოპერატივები აქაც ისე არსებობენ, როგორც ჩრდილოეთში, მარა ისეთ მკვიდრ ნიადაგზე ვერ არიან დაყენებული, როგორც აქ. მათ აქ ახალ მოპოებული პოზიციები აქვთ და გამაგრება ვერ მოუსწრიათ. აქეთ რკინის გზა არ არის, კაპიტალისტებმა მისი გაყვანა არ იტვირთეს, ამიტომ ეს საქმე ძალაუნებურათ, შრომის ბირჟამ იტვირთა. შედგა კოოპერატიული სარკინიგზო ამხანაგობა და გზაც გაიყვანეს. ჯერ ეს მოსრულებული არ არის; გზა მიდის რეჯიოდან და თავდება სწორეთ მთის კალთებთან, ამ კლერიკალების ბუდესთან. —ეს ვაგონები უნდა გადავრეკოთ ამ მთიდანაკო, მითხრა ვერნიანიმ; როცა იქ ჩვენი ორთქლმავალის სტვენას

გაიგონებენ, მათი უკანასკნელი ზარიც დაირეკებოდ... ეს მგონი პირველი „სოციალისტური“ რკინის გზაა დედა-მიწაზე... სიამოვნებით ჩავჯექი ამ მომავალი საზოგადოების მატარებელში და გავსწიე ზემოთ. სოფლები აქაც ისეთივეა, როგორც ქვემოთ, ჩრდილოეთში გზა დიდხანს მიდის „სოციალისტურ“ სოფლებში, ე. ი. იმ კომუნებში, სადაც სოციალისტური მუნიციპალიტეტებია, ჯ ჩერდება სწორეთ კლერიკალთა საბრძანებელის წინაშე, იქით მუშაობდენ. ახლა ალბათ მთელი გზა (30 კილომეტრი) გათავებულია.

სოფ. კავრიაგო მდებარეობს რვა კილომეტრის მანძილზე რეჯიოდან, მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 3968. 1904 წ. აღწერილობასთან შედარებით აქ მოუკლია დღიურთა და მენახევრეთა რიცხვს და მოუმატია მოიჯარადრეთ. ალბათ დღიურნი გავიდენ სოფლიდან, ხოლო მენახევრენი მოიჯარადრეთ გადაიქცენ. საყურადღებოა ისიც, რომ დღიური ქალები არ შედიან ორგანიზაციებში, კაცები კი ყველა—180. 226 მოიჯარადრეთაგან ორგანიზაციაშია 16, 80 წვრილი მესაკუთრეთაგან—5, 30 მენახევრეთაგან—7, 60 კალატოზთაგან—50, 70 მოჯამაგირეთაგან—არავინ, 17 მედროგეთაგან—17, 23 ხარაზთაგან—14, 30 დურგალთაგან—22 და სხ. აქ 11 ორგანიზაცია, რომელთა შორის ერთია კათოლიკურ-პარტიული. მათ ქონებიათ დიდი ორგანიზაცია—ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოება, მარა ის მუნიციპალიტეტთან ერთათ სოციალისტების ხელში გადასულა,

მომხმარებელი კოოპერატივი არსებობს 1901 წლიდან, წევრთა რიცხვი 30-დან 120-მდე ასულა. მას აქვს მხოლოდ ყავახანა, საწვრილმანო დუქანს ხსნიდენ მაშინ, როცა მე ვიყავი. აქედან ცხადია, რომ სოფლელთათვის პირველ ყოვლისა ყავა-ხანა ყოფილა საჭირო, სადაც ისი-

ნი თავს იყრიან, ერთმანეთს ნახულობენ და საერთო საქმეს აწყობენ. ყავა-ხანა ვერ იყო რიგიან შენობაში მოთავსებული, მიზეზათ დაასახელეს ის, რომ კარგი შენობები მოწინააღმდეგეთ ეკუთვნით და არ გვაძლევენო. ამიტომ იძულებულნი გახდენ საკუთარი შენობა შეეძინათ, რომელშიაც ის იყო დაპინავებას აპირებდენ. იქვე თავსდებოდა სხვა ყველა ორგანიზაცია, გარდა კლერიკალურისა, რასაკვირველია. როგორც დავაკვირდი, აქ, და საზოგადოთ სამხრეთში, მეტი ყურადღება აქვს მიქცეული პოლიტიკურ და მუნიციპალურ საკითხებს, ვინემ კოოპერატულს. ჩრდილოეთში კი პირიქით, კოოპერაცია ბატონობს პოლიტიკაზე, იქ მუნიციპალიტეტსაც კოოპერაციის გასაძლიერებლათ იპყრობენ. ამიტომ კავრიაგოს სოციალისტურ ორგანიზაციაში 150 წევრია, ხოლო მომხმარებელ კოოპერაციაში კი 120. ჩრდილოეთში ასეთ პროპორციას ვერსათ ნახავთ.

კოოპერატივის აქცია ღირს 6 ლ. წევრობისათვის სავალდებულოა 10 აქცია. მდივანი მუქთია, ხელობით დურგალია. დღე თავის საქმეზეა, საღამობით კოოპერატივის საქმეებს აწარმოებს, ის არის იმავე დროს ხმოსანი. 1909 წ. აქტივი და პასივი უდრიდა 10789 ლირას, წმინდა მოგება არ დირჩენილა, რადგან ღვინო გაუფუჭდათ. წინა წლებში წმინდა მოგება რჩებოდათ 300-400 ლირა. კოოპერატივის სარგებლობა ამით, რასაკვირველია, არ გაიზომება. მას ადგილობრივი პარტიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც სოციალისტების თავშესაყარ ადგილს და შემაერთებელ ცენტრს.

შემდეგი სოფლის, მონტეკიოს, მომხმარებელი კოოპერატივი სჯობს კავრიაგოსას, მარა ჩრდილოეთისას მაინც ვერ შეედრება.

საერთოთ მთელ რეჯიო-ემილიაში მომხმარებელ კოოპერატივთა განვითარება წარმოებდა ასე:

წელი.	რიცხვი კოოპერ.	რიცხვი წევრთა.	თანხა ხელმო-წერილი.	თანხა შე-მოტანილ.	სავალდ. რიგ. ინ-ს. ინ-ხები.	გაიყიდა.	მოგება წმინდა.
1902	50	5549	303075	96446	—	1043461	32665
1903	68	6463	336815	104919	—	1131616	40364
1904	68	7388	389366	146503	58059	1688808	42528
1905	71	7378	415506	181161	61974	2164407	45792
1906	86	9488	—	—	—	—	—

შემდეგ წლებში გაყიდულ საქონელთა ღირებულება ადის სამ მილიონამდე წელიწადში.

ყველა ამ საზოგადოებათა შორის თავისი აღებ-მიმიცემობით პირველი ალაგი უჭირავს ფაბრიკოს კოოპერატივს, რომელიც წელიწადში ყიდის 120 ლ. ათასის საქონელს, მეორე ალაგი უჭირავს სანკტა-ვიკტორიას.

ოითოეული კოოპერატივი საშუალოთ ყიდ.ს 38585 ლირის საქონელს წელიწადში. ყველაზე სუსტი კოოპერატივი ათასი ლირისას მაინც ვაჭრობს თვეში. ვაჭრობის მთავარი საგანია ღვინო, მაკარონი, ფქვილი, შაშხი, ძეხვი, და სხ. 23 კოოპერატივს აქვს თავისი საკუთარი შენობა, დანარჩენნი ნაქირავებ სახლებშია. ვერნიანი სწერს შრომის ბირჟის ანგარიშში: „მომხმარებელი კოოპერატივების დაარსება გამოიწვია არა იმდენათ საღი საქონლის შეძენის საჭიროებამ, რამდენათაც იმ გარემოებამ, რომ წევრთ მოეპოებიათ თავისი ბუნებრივი საერთო ბინა და მით შექმნილიყო ადგილობრივ მუშაობა მოძრაობის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი. მომხმარებელი კოოპერატივი ჩვენს პროვინციაში სხვა საზოგადოებათა დედაა. მასთან მჭიდროთ შეკავშირებულია დანარჩენი კოოპერატივები, ლიგები და უთიერთ-

დამხმარე საზოგადოებანი. ჩვენი მიდრეკილებაა მივსცეთ ყველა კოოპერატივს ხასიათი ადგილობრივი საზოგადო შტაბის, ავაშენოთ დიდი შენობა, შიგ მოვათავსოთ ისინი ერთათ და ასე შევქნათ ერთი მთლიანი სახალხო სახლი“ [1]).

რეჯიო-ემილიის ყველა მომხმარებელი საზოგაროება (86) შედის რეჯიოს შრომის ბირჟაში და ემორჩილება მის დირექტივებს. მთელს იტალიაში 861 მომხ. კოოპერატივია, რომელნიც შედიან სრულიად იტალიის კოოპერატივთა ლიგაში[2]).

რაკი მომხმარებელი კოოპერატივები ასე გამრავლდენ და გაიზარდენ, მათი შეერთებისა და საერთო მთავარი კოოპერატივის საჭიროება თავისთავათ დაიბადა. კოოპერატივები ცალ-ცალკე საქონლის ყიდვაში დიდ ვაჭართა საწველ ფურათ იყენენ გადაქცეულნი. რა ფასებსაც ისინი უდებდენ—იმაში უნდა ეყიდათ კოოპერატივებს. პატარა კოოპერატივი, რასაკვირველია, შორს ვერ წავიდოდა სავაჭროთ და იძულებული იყო ევაჭრა თავის ახლო-მახლო მყოფ ვაჭრებთან. ის მეტ-აც იხდიდა და საქონელსაც დაბალი ხარისხისას ღებულობდა. ეროი სიტყით, კოოპერატივი თავის წევრთ იფარავდა წვრილი ჩარჩებისაგან, მარა თვითონ ვარდებოდა სხვილი ჩარჩების ბრეკალებში.

და აი ამათგან გასათავისუფლებლათ და საფაბრიკო ფასებში საქონლის ადგილობრივ შესაძენათ 1904 წ. 34 კოოპერატივი შეერთდენ და დაარსეს კავშირი სახელწოდებით: „მომხმარებელ და მწარმოებელ კოოპერატივთა ამხანაგობა რეჯიო-ემილიისა“, (Consorzio). ამხანაგობის წესდებაში ვკითხულობთ: „ამხანაგობის მიზანია:

---

[1]) Relatione morale. 1907 Regio-Emilia.

[2]) შეიძლება ალაგ-ალაგ კოოპერატივები ლიგის გარეშე იდგენ, განსაკუთრებით კლერიკალური, მარა ამათი რიცხვი მეტათ მცირეა.

ა) დაარსება და წარმოება სახელოსნოთა სამრეწველო საქონლის დასამზადებლათ, შეძენა ყველა იმ საქონლისა, რომლითაც მოკავშირე კოოპერატივები ვაჭრობენ, საქონლის დათმობა ზომიერ ფასებში მოკავშირე და არამოკავშირე კოოპერატივებისათვის თანახმათ იმ პირობებისა, რომელსაც ამხანაგობის გამგეობა შეიმუშავებს; ბ) შეძენა პროვინციის სამეურნეო ნაწარმოებთა გარეთ გასატანათ და გასაყიდათ; გ) გახსნა ყავა-ხანისა, საყველესი, წისქვილის, ფურნის და სამაკარონესი, დამზადება მეურნეობისათვის საჭირო მასალებისა და ‘ახ., დ) გადადება თანხის კოოპერატივის პრინციპების ჭროპაგანდოთ და პრაქტიკულათ სასწავლათ.“

„ამხანაგობის წევრი შეიძლება იყოს რეჯიონ ემილიაში კანონიერ საფუძველზე არსებული მომხმარებელი და მწარმოებელი უსახელო კოოპერატივები. თითოეული ასეთი საზოგადოება, ამხანაგობაში კანონიერათ წარმოდგენილი, ითვლება ერთ წევრათ. თითოეულმა საზოგადოებამ წევრათ ჩაწერისას უნდა გადაიხადოს ერთდროებით 10 ლირა და შემდეგ წლიურათ მისი შემოსავლის[1]) 0,20%. ახალ გახსნილი კოოპერატივი პირველ წელიწადს ამხანაგობას არას უხდის, ხოლო მისი მოქმედების ერთი წლის შემდეგ გადასახადის პროცენტი განსაკუთრებით განისაზღვრება. თითოეულ კოოპერატივს თავისი თავმჯდომარის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით უფლება აქვს კრებაზე ხმა მისცეს და იქნას არჩეული და ამრჩეველი ყველა თანამდებობაზე. თუ კოოპერატივის წარმომადგენლათ ითვლება რამდენიმე პირი, მის წევრთა საზოგადო კრება ამათ შორის ნიშნავს ერთს ამხანაგობის კრებაზე წარმომადგენლათ.

---

[1]) ხარჯ გამოუკლებლათ, რასაკვირველია.

თითოეულ კოოპერატივს,—წევრს, უფლება აქვს ამხანაგობის საწყობიდან წაიღოს, თანახმათ შინაგანი რეგლამენტისა, იმდენი საქონელი, რამდენსაც დაადგენს გამგეობა შესაფერათ კოოპერატივის მიერ შემოტანილი თანხისა, მისი საერთო აღებ მიცემობისა და რეგულიარულათ მოქმედებისა. კოოპერატივს შეუძლია დატოვოს ამხანაგობა: ა) როცა ის უქმდება ვადის გასვლამდე, ან და მისი არსებობის ვადა გაოავდა; ბ) როცა ის მიიღებს კოლექტიური საზოგადოების სახელს, ან და მომხნარებელი კოოპერატივი გადაიქცევა სხვა რამე საზოგადოებათ, ან სხვა საზოგადოებაში გადავა და გ) როცა გაკოტრდება. გამგეობა რიცხავს ამხანაგობიდან იმ კოოპერატივს, რომელიც არ ამართლებს თავის მთავარ ვალდებულებებს, ხელწერილებს და წაღებული საქონლის ფასის შემოტანას აცილებს გამგეობის მიერ მიცემულ შეღავათიან ვადას. კოოპერატივი პასუხისმგებელია ამხანაგობის წინაშე ორი წლის განმავლობაში. თუ გამორიცხული კოოპერატივი ხელ-ახლა ითხოვს ამხანაგობაში მიღებას და ამაზე უარს ეუბნება გამგეობა, უფლება აქვს მას გამგეობის დადგენილება განასაჩივროს საზოგადო კრებაზე, რომლის დადგენილება საბოლოოა. გამოსულ თუ გამორიცხულ კოოპერატივს არ აქვს არავითარი უფლება სათადარიგო თანხის და მოგების განაწილებაში."

„წლიური ბალანსი იყოფა კატეგორიებათ, აღინიშნება აქტივი და პასივი საზოგადოებისა და აშკარა ცხრილი შემოსავალ-გასავლისა. ბალანსი უნდა წარუდგინოს გამგეობამ საზოგადო კრებას ფინანსიური წლის გასვლიდან (31 დეკემბერი) სამ თვეში. პირი ბალანსისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების უნდა იქნას გამოკიდული ამხანაგობის სადგომში, საზოგადო კრების გახსნის ექვსი დღით წინ. წმინდა შემოსავალი იყოფა ასე: ა) 75%

სათადარიგო თანხას ამხანაგობის დაწესებულებათა გასაფართოებლათ; ბ) 25% განაწილდება წევრ—კოოპერატივთა შორის, თანახმათ მათ მიერ წაღებული საქონლის რაოდენობისა".

„ამხანაგობას განაგებს: წევრთა საზოგადო კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია. საზოგადო კრება შედგება წევრ-კოოპერატივებისაგან, რომელნიც წარმოგენილია კანონიერათ; თითოეულ კოოპერატივს თითო ხმა აქვს. არავის შეუძლია იყოს წარმომადგენელი ორზე მეტი კოოპერატივისა.—საზოგადო კრებას იწვევს გამგეობის თავმჯდომარე რეჯიო-ემილიის გაზეთის—„სიმართლის" საშუალებით, კრების გახსნის ექვსი დღის წინ მაინც, ან და განსაკუთრებული განცხადებით, რომელიც გაეგზავნება თითეულ კოოპერატივს, თუ სხვა გზით, როგორათაც საჭიროთ დაინახავს გამგეობა. განცხადებას თან ახლავს დღის წეს-რიგი, კრების ადგილი და დღე როგორც პირველი, ისე მეორე კრების. კრებას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე, თუ ის არ არის მისი ამხანაგი. კრების მდივანია გამგეობის მდივანი. კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ამ წესდების მიმატება ან შეცვლა, საზოგადოების ვადის გაგრძელება ან და ვადამდის გაუქმება—შეუძლია წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებას. თუ ეს რიცხვი პირველ კრებას არ დაესწრო, ინიშნება მეორე კრება, რომელიც კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმეტესობით, ხოლო როცა გაგადაწყვეტილება ეხება პიროვნებას ან და ამას მოითხოვს ოთხი წევრი, გადაწყვეტილება მიიღება საიდუმლო კენჭის ყრით, ხმის გაყოფა ნიშნავს წინადადების გაშავებას; კრების გაგრძელება ინიშნება თავმჯდომარის მიერ იმავე

კვირაში, სხდომაზე უბრალო განცხადებით. მეორე სხდომა კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, თუ გამოცხადებული დღის წეს-რიგი უცვლელათ დარჩა''. საზოგადო კრების სხვა მუხლები არ განირჩევა კოოპერატივის წესდებისაგან.

,,გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მისი ამხანაგის და 5 წევრისაგან. პირველი ორი შეიძლება იყონ არჩეულნი კოოპერატივის ამა თუ იმ თანამდებობაზედაც (ვადა და არჩევა ისეთია, როგორც კოოპერატივში). არჩეულ პირთა სამსახური მუქთია. ისინი თავისუფალნი არიან გირაოს წარდგენისაგან. ისინი აირჩევიან წარმოდგენილ კოოპერატივების თავმჯდომარეთა და კანონიერ დელეგატთაგან. თავმჯდომარე არის საზოგადოების წარმომადგენელი როგორც შიგნით, ისე გარეთ, აქვს საზოგადოების ბეჭედი, იწვევს წევრთა და გამგეობის კრებას, ასრულებს ყველა მათ გადაწყვეტილებებს. თავმჯდომარის მაგიერობას ასრულებს მისი ამხანაგი. უკანასკნელის მაგიერობას—უძველესი წევრი, როცა ისინი თავიანთ თანამდებობაზე ვერ ცხადდებიან. გამგეობის სხდომაა კვირაში ერთხელ, არაჩვეულებრივი კრება ინიშნება, როცა ამას თავმჯდომარე ან სამი წევრი საჭიროთ სცნობს. სხდომა კანონიერია თუ მას ოთხი წევრი დაესწო. ხმის გაყოფის დროს თავმჯდომარის ხმა კითხვას სწყვეტს, როცა აშკარა კენჭის ყრაა, ხოლო როცა საიდუმლოა—ხმის გაყოფა ნიშნავს წინადადების გა'შავებას''.

სარევიზიო კომისია შედგება სამი წევრისა და ორი კანდიდატისაგან. ირჩევიან ერთი წლის ვადით და შეიძლება მათი ხელახალი არჩევა. მათი სამსახური მუქთია. მოვალეობა ისეთი აქვთ, როგორიც კოოპერატივის სარევიზიო კომისიას.

,,ამხანაგობა უქმდება: ა) როცა მისი არსებობის

ვადა გათავდა და მისი გაგრძელება აღარ სურთ; ბ) როცა წევრთა რიცხვი ხდება სამზე ნაკლები; გ) როცა ამას სწვეტს წევრთა ორი მესამედი. არ შეიძლება ამხანაგობის გაუქმება წევრ—კოოპერატივთა გაკოტრებით, თუ გაუკოტრებელი დარჩა სამი წევრი მაინც.“

ლიკვიდაცია ხდება ისე, როგორც კოოპერატივის.

როგორც ვთქვით, ამხანაგობის წევრთა რიცხვი იყო დაარსებისას 36 კოოპერატივი, 1905 წ.—44, ხოლო 1909 წ. ამხანაგობაში ითვლებოდა 54 კოოპერატივი, ამათში 5 შრომის კოოპერატივია, 1 სახალხო სახლი, სადაც ყველა ადგილობრივი კოოპერატივია შეკავშირებული, დანარჩენი კი მომხმარებელი კოოპერატივები. 1908 წ. ყველა ამ კოოპერატივების აქტივი ყოფილა 2.289.906 ლ. პასივი 2.259.590 ლ., წმინდა მოგება დარჩათ 30.316 ლ. გაუყიდიათ 2.819.991 ლ., საქონელი; მათ ქონებიათ თანხა ხელმოწერილი 610,242 ლ.; ნაღდი ფული ქონებიათ: საწევრო შემოტანილი 297,448 ლ.; სათადარიგო—95.067 ლ., სხვადასხვა ფონდები—40.448,—სულ 432.964 ლირა.

რაკი ამხანაგობას ასეთი მდიდარი და საქმიანი წევრები ყავს, ცხადია, მისი საქმეებიც კარგათ უნდა მიდიოდეს. და მართლაც, მას გაუყიდია საქონელი 1904 წ. აპრილიდან 324.000 ლ. (თვეში საშუალოთ 36.000 ლ.), 1905—402.442 ლ. (თვეში 33.537 ლ.), 1906 წ. —520.000 ლ. (თვეში 43.334 ლ.), 1907 წ.—700.391 ლ. (თვეში 58.366 ლ.), 1908 წ.—711.772 ლ. (თვეში 59.315 ლ.), და 1909 წ. ოქტომბრამდის, 745.037 ლ. (თვეში 82.781 ლ.).

ამჟამათ ამხანაგობას უპირავს რეჯიოში ვებერთელა საკუთარი ორ სართულიანი სახლი, აქვა კიდევ ორი სახლი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში; ერთში აქვს გახსნი-

ლი მანუფაკტურული მაღაზია, მეორეში კი ადგილობრივი კოოპერატივია; მანუფაკტურულ მაღაზიასთან აქვს საკუთარი სამკერვალო სახელოსნო. ამ სახელოსნოს ისტორია ასეთია: რეჯიოში ყოფილა თერძთა კოოპერატივი, წევრი ამხანაგობისა. მარა მისი საქმე ცუდათ წასულა და გაკოტრების თავიდან ასაცილებლათ საქმეში ჩარეულა ამხანაგობა, რომელსაც თავის თავზე მიუღია დარჩენილი აქტივი, კოოპერატივი გაუუქმებია და საქმის წარმოება თითონ გაუგრძელებია. საქმეები ახლა კარგათ მიდის, სახელოსნოში მუშაობს 50 კაცი, ზოგი ამათგანი სახლში მუშაობს ამხანაგობისათვის. იქვე არის ქუდების სახელოსნო, რომელიც თვეში 2500 ლ. ქუდს ყიდის. დღის ქირა 2—3 ლირაა. თითოეულ განყოფილებას ყავს პასუხის მგებელი დირექტორი, უფროს თერძთაგან.

ამხანაგობის მთავარი საწყობი შედგება ორ მთავარ განყოფილებისაგან: საწარმოო და სავაჭროსგან. პირველში ამზადებენ ღვინოს, ლიქიორებს, ლიმონათს, ძეხვს, შაშხს და სხ. მეორეში კი ყიდიან პარტიობით. ამხანაგობა განსაკუთრებით ბევრს ღვინოს აყენებს, რისთვისაც ის ყიდულობს ყურძენს და მცოდნე მეღვინის ხელმძღვანელობით წურავს. მისი ღვინო იყიდება ყოველგან, გადის საზღვარ-გარეთაც. კოოპერატივებს კი ღვინო ცოტა მიაქვთ, რადგანაც თითონ ისინი აყენებენ, ან ყიდულობენ ადგილობრივ სამიწათმოქმედო კოოპერატივებიდან და კერძო პირთაგან. ამხანაგობა ყველა თავის საქონელს, გარდა ღვინისა, უგზავნის წევრ თუ არა წევრ კოოპერატივთ. მას საქონელი გამოწერილი აქვს მილანიდან და სხვა პირველი წყაროებიდან. ასე რომ მას ის უჯდება საფაბრიკო ფასებში და აძლევს კოოპერატივთ 9—10 % ზედნადებით. ამხანაგობა ვაჭრობს 62 თავი საქონლით, რო-

მელთა შორის პირველი ადგილი უპირავს ღვინოს. ყოველ დილას საწყობის ეზო სავსეა ურმებით, რომელნიც არიან გამოგზავნილნი კოოპერატივებისაგან საქონლის წასაღებათ. ეს ოპერაცია ასე ხდება: მეურმეს მიაქვს დაბეჭდილ ბლანკზე ანუსხული საქონლის სახელი და მისი რაოდენობა და ამას ურდგენს დირეკტორს, ის ასვამს ბეჭედს თანხმობისას და გადასცემს დახლიდარს. ის აძლევს საქონელს მეურმეს, ხოლო მეორე სწერს განსაკუთრებითი დავთარში მიცემული საქონლის რაოდენობას, რომლის ერთი ცალი ეგზავნება კოოპერატივს იმავე მეურმის ხელით, ხოლო მეორე ცალს თითონ იტოვებს. გაგზავნილ ცალზე ბოლოში დაბეჭდილია „40 დღით"; ეს ნიშნავს იმას, რომ საქონლის მიღებისთანავე კოოპერატივი ამხანაგობას უგზავნის ვექსილს, რომელსაც ამხანაგობა ახურდავებს ფულზე კოოპერატიულ ბანკში. ვექსილის პატრონი მოვალეა ვექსილი გამოიყიდოს ბანკიდან 40 დღის განმავლობაში. თუ მან ეს ვერ ქნა — ამხანაგობა თითონ გამოიყიდის ვექსილს, რომ ის პროტესტში არ წავიდეს და მისი წევრის კრედიტი არ დაეცეს. ამასთანავე ის გზავნის თავის კაცს კოოპერატივში და ტყობილობს ვექსილის გამოუყიდველობის მიზეზს. მიზეზი შეიძლება იყოს: ან საქონლის გაუყიდველობა, ან უბედური შემთხვევა (ცეცხლი, ქურდობა და სხ.). ასეთ შემთხვევებში ამხანაგობა ეხმარება თავის წევრს. შეიძლება კოოპერატივი გაკოტრების გზას ადგია, მარა ეს ამხანაგობამ წინდაწინ იცის. კოოპერატივების ანგარიშები მის ხელშია, ის აკეთებს კანტროლის დრო-გამოშვებით და თუ კოოპერატივი გადასცდა თავის გზას—მისი ვექსილი ბანკში აღარ მიაქვთ საქმის გამოკეთებამდის. ყველა ასეთი შემთხვევა ძლიერ იშვიათია, ჩვეულებრივათ კოოპერატივი თავის დროზე ყიდის წაღებულ საქონელს და თავის დროზე

ანალდებს ვექსილებს. კოოპერატივმა კარგათ იცის რამ-დენი და რის მუშტარი ყავს. და ამის შესაფერათ ეწევა სავაჭრო რისკს.

ამხანაგობა აძლევს საქონელს კერძო მედუქნეებსაც, მხოლოდ უფრო ძვირათ. თუ კოოპერატივი რომელიმე, ან ყველა საქონელს აღნიშნულ დრის ამხანაგობიდან არ ყიდულობს—ამას ის აცნობებს ამხანაგობას წინდა-წინ. ამხანაგობის მაღაზიის შინაგანი გამგეობა ისეთივეა, როგორიც კოოპერატივების. თითოულ განყოფილებას თავისი გამგე ყავს; საქონლის მთავარი საწყობი და მა-ღაზია, ანუ გამგზავნელი განყოფილება ერთი მეორისა-გან დამოუკიდებელია. საწყობიდან მოდის მაღაზიაში სა-ქონელი მაღაზიის გამგის წერილობითი მოთხოვნილები-სამებრ. აქ ანგარიშების მთელი კანცელარიაა. მთელი საქმის ხელმძღვანელია დირექტორი, დაქირავებული გამ-გეობის მიერ. თავმჯდომარე იმავე დროს ფაბრიკის კოოპე-რატივის თავმჯდომარეა და ხანდახან ჩამოდის რეჯიოში. აქ ყოვლად შემძლე მდივანი არ სჩანს. დირექტორი, მთა-ვარი ბუხჰალტერი, და მოსამსახურეთა მთელი შტატი— აი ამათ შორის არის განაწილებული შრომა. ფასებს გამ-გეობა აწესებს. ამიტომ ამხანაგობის მიზანია ფულის მო-გება. ის ცდილობს კოოპერატივებს კარგი საქონელი მიაწოდოს დაბალ ფასებში. ხოლო ასეთი მიზანი ვერ თავსდება მოგების და გამდიდრების მიზანთან. გლახა სა-ქონელი და დაბალი ფასები, ან და კარგი საქონელი და მაღალი ფასები—აი მოგების გზა და ხიდი. კარგი საქო-ნელი და დაბალი ფასები—ეს მხოლოთ კოოპერატივებს და სხვას არავის, ამიტომ არის, რომ ამხანაგობას თავის მილიონნიანი აღებ-მიცემობიდან წმინდა მოგება რაღაც ოთხი ათასი ლირა რჩება. მიეცით კერძო პირს ასეთი აღებ-მიცემობა და ნახავთ რამდენი შეიძინოს მოკლე

დროში. ამხანაგობას აქვს განყოფილება გუასტალოში. (ჩრდილოეთში).

1908 წ. ბალანსი ასეთია: აქტივი 922,352 ლ.; ამაში უძრავი ქონება—179,592 ლ., მოძრავი ქონება 42208 ლ., საწყობში არის საქონელი 166,727 ლ., გასაგზავნ განყოფილებაში—7005 ლ., კოოპერატივებს-კლიენტებს—53,322 ლ., კერძო დებიტორებს—9,770, წევრ-კოოპერატივთა ქონება—439,964 ლ., პორტფელში (ქაღალდები) —16,607 ლ., დებიტორები — მქირავებლები—2354 ლ., აქციები—2876, კასა—2778 და სხ.

პასივი უდრის 922,359 ლ.; ამაში შედის: ფურნიტორების (საქონლის მომცემნი) 227,473 ლ.; თამასუქები—145,452 ლ., ფონდები სხვადასხვა 97,000, წევრ-კოოპერატივთა ქონება —432,964 ლ. და სხ.

ამ წლის აღებ-მიცემობისაგან დარჩენილა—67547 ლ. ამაში საქონლის გაყიდვას მოუცია—51145 ლ. ხარჯები: ჯამაგირი მუდმივ მოსამსახურეთ 15664 ლ. [1]), დღის ქირა დროებით მოსამსახურეთ და მუშებს 8076 ლ., გადასახადები 3410 ლ. კანცელარია, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი—2243 ლ. საწყობის ხარჯები 7210 ლ., ხარჯები გამგეობის 1800 ლ., წასვლა-მოსვლა და ეტლის შენახვა 2302 ლ., უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა და ღირებულების დაკლება 4095, პროცენტები და დისკონტი 14068 ლ. და სხ. სულ 65,212 ლ., დარჩა წმინდა შემოსავალი 2335 ლ. ეს გაიყო ასე: 75% ანუ 1751 ლ. სადადარიგო თანხას და 25% ანუ 584 ლ. წევრ-კოოპერატივთ წაღებულ საქონელზე.

ასეთია რეჯიო-ემილიის მომხმარებელ კოოპერატივთა მდგომარეობა.

---

[1]) აქ მოსამსახურეთ პროცენტები არ ეძლევათ, როგორც ეს კოოპერატივებშია მიღებული.

2. სამიწათმოქმედო კოოპერატივი.

მომხმარებელი კოოპერატივები, როგორც იცით, არის ყოველგან, ყოველ კულტურულ სახელმწიფოში. ის პირველათ დააარსეს ინგლისში და იქიდან გადავიდა სხვა ქვეყნებში, მან განსაკუთრებით ფესვები გაიდგა რეჯიო-ემილიაში. სხვა პროვინციებისათვის და, აგრეთვე უცხოეთის სოფლებისათვის, რეჯიო-ემილია მისაბაძავი გახდა.

სულ სხვაა სამიწათმოქმედო კოოპერატივი. მისი საშობლო მხოლოდ რეჯიო-ემილიაა. ის აქ აღორძინდა პირველათ, აქ განვითარდა და აქედან გადავიდა იტალიის სხვა პროვინციებში, ხოლო უცხოეთში ჯერაც არ უნდა იყოს გადასული. მართალია, რაოდენობით ის ცოტაა, მარა თავისი ტიპით და სამეურნეო შრომის კომბინაციით იმდენათ ახალი და ორიგინალურია, რომ იქცევს ყველა ქვეყნის კოოპერატორთა ყურადღებას. ის ითვლება რეჯიო-ემილიაში 16, მთელ იტალიაში კი—29.

ჩვენ ზევით გავიცანით იტალიის სოფლის მცხოვრებთა სოციალური შემადგენლობა. დავინახეთ, რომ აქ მეურნეთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ ეგრეთ წოდებული—ღღიურნი, ანუ ისეთი მიწის მუშები, რომელთაც არ აქვთ არავითარი უძრავი ქონება, არ ყავთ სამუშაო პირუტყვი და არ აქვთ სამუშაო იარაღები (გარდა წვრილმანებისა, რასაკვირველია). ეს არის სოფლის პროლეტარიატი. მისი არსებობა დიდი ხნისაა. მომდინარეობს საშუალო საუკუნეების დასასრულიდან, როცა ყმები აყარეს ბინიდან და მიწა ბატონებმა დაისაკუთრეს. ამ ათი წლის წინეთ ღღიურებიდან ხშირათ გამოდიოდენ მენახევრეები, მოიჯარადრენი და წვრილი

მესაკუთრენიც. ეს იყო ის დრო, როცა არც ძიწა იყო ძვირი და არც პირუტყვი. ამიტომ არ მოიპოვებოდა ისეთი დღიური, რომელიც ერთ ჰექტარ საკუთარ მიწაზე მაინც არ ოცნებობდა. დღეს ამ ოცნებასაც აღარ აქვს ადგილი მის ცხოვრებაში. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ათ წელიწადს იტალიაში, და განსაკუთრებით ჩრდილო იტალიაში, მიწათმფლობელობაში დიდი ცვლილება მოხდა. პირველ ყოვლისა დიდათ გაფართოვდა სამეურნეო ნაწარმოების ბაზარი, როგორც შიგნით, ისე გარეთ, უცხოეთში. იტალიის ღვინო, ყველი, ხილი და სხვ. მსოფლიო ბაზრია მიუცილებელი საქონელია. ამ გარემოებამ გამოიწვია კაპიტალისტების შემოსვლა სოფლათ, მიწების შეყიდვა და კაპიტალისტური მეურნეობის გაძლიერება. მიწის ფასი ერთი სამათ იქცა; ამისდაგვარათ გაძვირდა პირუტყვიც. უკანასკნელი ძროხა ღირს 600—700 ლირა, ხარი 700—800 ლირა. ასეთ პირობებში დღიურს განა შეუძლია მესაკუთრე გახდეს? თვით მენახევრენი, მოიჯარადრენი და წვრილი მესაკუთრენიც დიდ გაჭირვებაში ჩავარდენ. ისინი იძულებულნი არიან ერთი-ორათ იხადონ საიჯარო გადასახადი, ერთი-ორათ იყიდონ სამუშაო პირუტყვი და სამეურნეო ნაწარმოებნიც მიყიდონ მდიდარ ჩარჩს, რომელსაც შეძლება აქვს ის გაყიდოს შორს, სადაც უფრო მეტათ ფასობს. მემამულის და ჩარჩის უღლის შემსუბუქება საჭიროროტო კითხვათ გადაიქცა და აი, ყველა კატეგორიის მეურნენი დაიძრენ შეცვლილი პირობების შესაწყობათ და თავისი ინტერესების დასაცავათ. მეურნეთა ყოველგვარი მოძრაობა სწორეთ უკანასკნელი ათი წლის საქმეა.

რაკი დღიურთ ცალ-ცალკე არ ძალუძთ დამოუკიდებლათ მეურნეობის დაწყება, მათ დარჩათ ერთათ-ერ-

თი გზა—ერთათ აიღონ იჯარით მიწა და ერთათ დაამუშაონ. აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა სამიწათმოქმედო კოოპერატივი. ეს მომავალი საზოგადოების ერთი ნაგლეჯის დღევანდელ საზოგადოებაში გადმოტანაა. გააფართოვეთ ეს დედა-აზრი, დაამუშავეთ ყოველგვარი სიმდიდრე ერთათ, გაანაწილეთ ერთათვე და მიიღებთ სოციალისტურ საზოგადოებას. ერთი სიტყვით, სამიწათმოქმედო კოოპერატივი სრულიად ახალი მოვლენაა მეურნეობის დარგში და მისი გულდასმით გაცნობა დიდათ საინტერესო და საგულისხმიეროა. პირველ ყოვლისა გავიცნათ მისი წესდება, რომელიც შემუშავებული და გამოცემულია რეჯიოს შრომის ბირჟისაგან. ჩვენ მოვიყვანთ ისეთ მუხლებს, რომელნიც არ არის მომხმარებელ საზოგადოების წესდებაში.

მუხ. 1. არსდება უსახელო საზოგადოება აქციებზე სახელწოდებით: სამიწათ-მოქმედო უსახელო კოოპერატიული საზოგადობა.

მუხ. 2. მისი ბინაა სოფელი...

მუხ. 3. მისი მიზანია პროგრესიულათ გააუმჯობესოს მიწის მუშათა ეკონომიური და მორალური მდგომარეობა მათთვის სამუშაოს მოპოებით და თავდარიგის დაპერის მიჩვევით.

მუხ. 4. ამის საშუალებათ საზოგადოება აღიარებს:

ა) მიწის დამუშავებას წევრებისა და მათი ოჯახების მიერ.

ბ) ვაჭრობას სამეურნეო ნაწარმოებით და მეურნეობისათვის საჭირო საგნებით (გოგირდი, იარაღები, მანქანები, სასუქი და სხ.)

გ) გაღებას ერთი ან მეტი მაღაზიის წევრთათვის ხორბლისა და სხვათა მისაწოდებლათ დამჯდარ ფასებში;

დ) გავრცელებას წევრთა შორის სამეურნეო სწავლა-ცოდნის ლექციებით და ბროშიურებით;
ე) შეძენას სასოფლო მაშინების, იარაღების და დახმარებას წევრთათვის ნაციონალურ კასაში დასაზღვევათ უბედური შემთხვევისა და ინვალიდობისაგან.

მუხ. 5 საზოგადოების არსებობის ვადაა 30 წელიწადი, შეიძლება მისი გაგძელება შემდეგაც

მუხ. 6. მისი განცხადებები და აქტები ცხადდება რეჯიოს გაზ. „სიმართლეში“.

მუხ. 7. საზოგადოების ქონებას შეადგენს:
ა) ძირის თანხა,
ბ) სათადირიგო თანხა,
გ) კოლექტიური ფონდი.

მუხ. 8. ძირის თანხა განუსაზღვრელია და გაყოფილია აქციებათ, თითო ღირს 6 ლ., აქცია სახელობითია, მისი გაყიდვა, ან გადაცემა არ შეიძლება გამგეობის ნება დაურთველათ.

მუხ. 9. სათადარიგო თანხა შედგება წმინდა შემოსავლის 20%. როცა სათადარიგო თანხა შეიქნება ძირის თანხის მეოთხედი, ზედ-მეტი გადავა კოლექტიურ ფონდში. თუ სათადარიგო თანხამ რაიმე მიზეზით აღნიშნულ რაოდენობაზე მოიკლო, საჭიროა მისი შევსება.

მუხ. 10. კოლექტიური ფონდი განუსაზღვრელია და ხმარდება იმ საგნებს, რომელნიც ნაჩვენებია მეორე მუხ. გ. დ. საზოგადო კრება შეიმუშავებს ამის განსაკუთრებით რეგლამენტს. კოლექტიური ფონდი შესდგება:
ა) წმინდა შემოსავლის 20%-დან;
ბ) წინა მუხლში ნაჩვენები თანხიდან;

გ) გამორიცხულ და გაგდებულ წევრთა საწევრო გადასახადიდან;

დ) არა ჩვეულებრივი შემოსავლიდან, შემოწირულებიდან და სხ.

მუხ. 11. საზოგადოების წევრათ მიიღებიან: დღიურნი, პირუტყვის მომვლელნი (მწყემსები), მოსამსახურენი და ბოგანონი[1]), რომელნიც ცხოვრობენ სოფ. არ მიიღებიან მოიჯარადრენი, თუნ დაც თითონ ამუშავებდენ მიწას და მენახევრენი.

მუხ. 15. წევრი ვალდებულია:

ა) შეიტანოს საზოგადოებაში ჩაწერის დროს ერთი ლირა.

ბ) შეიძინოს წელიწადში ერთი აქცია, თვეში ნახევარი ლირის შეტანით.

გ) პასუხი აგოს შეძენილი აქციებით საზოგადოების ყველა ვალდებულების წინაშე.

ე) იხელმძღვანელოს იმ წესდებით და იმ რეგლამენტით, რომელნიც იქნებიან შემუშავებულნი საზოგადო კრების, ან გამგეობის მიერ, დაეხმაროს საზოგადოებას თავისი გამოცდილებით შემდეგ გამგე ორგანოთა გადაწყვეტილებების გულდასმით აწონ-დაწონისა.

მუხ. 16. წევრს აქვს უფლება:

ა) დაესწროს საზოგადო კრებას,

ბ) იყოს არჩეული და ამრჩეველი, როცა 21 წლის გახდება.

---

[1]) ბოგანო, bracciant;, ე. ი. ისეთები, რომელთაც გარდა თავისი მარჯვენისა არა აქვთ რა. ამაში შედიან, როგორც დღიურნი, ისე სხვა მუშებიც; განსაკუთრებით მიწის მთხრელები და გზის მკეთებლები.

გ) იყოს მონაწილე სარგებლის და დივიდენდის იმისდაგვარათ, თუ რამდენი აქცია აქვს ნაყიდი და რამდენი სამუშაო შეუსრულებია საანგარიშო წლის განმავლობაში.

მუხ. 17. წევრს, რომელიც აგვიანებს თავის საწევრო გადასახადს და არ შემოიტანს სამი თვის განმავლობაში შემდეგ მოთხოვნისა, ერთი თვის შემდეგ ჩამოერთმევა წევრის უფლებები. თუ შემდეგ ამისა ექვსი თვე კიდევ დააგვიანა—ის გამოირიცხება საზოგადოებიდან. აქციის კუპონები ჩაირიცხება სათადარიგო თანხაში, ხოლო სრულიად გადახდილი აქციები დაუბრუნდება მას უდივიდენდოთ საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ.

მუხ. 18. წევრს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან, თუ ის აღარ ეკუთვნის მე-11 მუხლ. ანუსხულ კატეგორიებს, თუ ის გადასახლდა თავის სოფლიდან, ან და მუშაობა აღარ შეუძლია. ამ შემთხვევებში გასვლა ნიშნავს უფლებების დაკარგვას.

მუხ. 23. საანგარიშო წელიწადი ირიცხება 11 ნოემბრიდან შემდეგი წლის 11 ნოემბრამდი.

მუხ. 25. წლიური წმინდა შემოსავალი იყოფა ასე:

ა) 20% სათადარიგო თანხას,

ბ) 20% კოლექტიურ ფონდს,

გ) 20% წევრთ შეძენილ აქციებზე,

დ) 40% წევრთ და მომხმარეთ მათ მიერ ნამუშევარზე.

მუხ. 35. თუ წევრთა საზოგადო კრების გასარჩევი საგანია: წესდების შეცვლა, მიზნის ან მიმართულების გამოცვლა—კრების კანონიერებისათვის

საჭიროა დასწრება წევრთა არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

მუხ. 40. გამგეობა შედგება თავმჯდომარისა და ოთხი წევრისაგან. ის არჩეულია ორი წლის ვადით.

მუხ. 42. თავმჯდომარის და წევრების თანამდებობა უჯამაგიროა, ისინი თავისუფალნი არიან გირაოს წარდგენისაგან და პასუხის მგებელნი არიან საკავშირო დებულებაში აღნიშნულ საზღვრებში.

მუხ. 53. საზოგადოების გაუქმება შეუძლია წევრთა საზოგადო კრებას, რომელსაც დაესწრო არა ნაკლებ წევრთა ორი მესამედისა. ის უქმდება აგრეთვე მაშინ, როცა წევრთა რიცხვი ათამდის ჩამოვა.

აი ამ მუხლების თანახმათ არსებობის სამიწათმოქმედო კოოპერატივი. აღსანიშნავია ის, რომ ეს კოოპერატივი ვითარდება რეჯიო-ემილიას იმ ნაწილში, სადაც ხეირობს მომხმარებელი კოოპერატივი, ე. ი. ბარში, (ჩრდილოეთში). სადაც საუკეთესო მომხმარებელი კოოპერატივია, იქ საუკეთესო სამიწათმოქმედო კოოპერატივიც არის. ეს მჭიდრო კავშირი აიხსნება იმით, რომ პირველი მეორის ჩვეულებრივი მუშტარია, და თანაც საუკეთესო მუშტარი. წევრები ორივეში ერთი და იგივენია, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა ერთი და იგივეა.

ამით ქრება კოოპერატივის დამოკიდებულება ჩარჩზე. მომხმარებელი კოოპერატივი ასაღებს სამიწათმოქმედო კოოპერატივის ნაწარმოებს და ასე ესენი ხელ-ხელ ჩაკიდებული მიდიან. ამიტომ საუკეთესო სამიწათმოქმედო კოოოპერატივი იმყოფება ს. ფაბრიკოში. მის წესდებაში შეტანილია ზოგი ისეთი მუხლი, რომელიც არ არის საერთო წესდებაში. მაგ., აქ არის დამხმარე

ფონდი, საიდანაც წევრთ ეხმარებიან ავათმყოფობის და მეტათ დაღარიბების დროს. ეს ფონდი შედგება: ჩასაწერი თანხიდან, წმინდა მოგების 30%-დან, გაძევებულ და გამორიცხულ წევრთა თანხიდან და სხ. წევრათ მიიღებიან ისეთი მოიჯარადრენი და მენახევრენი, რომელთაც იმდენათ ცოტა მიწა აქვთ დასამუშავებელი, რომ ნახევარი დრო რჩებათ თავისუფალი სხვისი მიწის დასამუშავებლათ.

ფაბრიკოს კოოპერატივი დაარსდა 1904 წ. წევრია 440, ყველა დღიურნი, მიწის მთხრელნი და მწყემსები. აღებული აქვთ იჯარით 230 ჰექტარი მიწა ოთხი მემამულისაგან, ოთხ სხვადასხვა ალაგს. ყველაზე დიდი ნაჭერი მიწა 161 ჰექტარია, ყველაზე პატარა—20 ჰექ. იჯარას იხდიან 1 ჰექტ. საუკეთესო მიწაში 120 ლ., უგლახესში—80 ლ. მთელი იჯარა შეადგენს 20640 ლ. წელიწადში. იჯარის ვადაა 18 წელიწადი.

საწევრო გადასახადია 50 ლ., რაც ყველა წევრთ უკვე შემოტანილი აქვთ.

კოოპერატივს აქვს ოთხი სამეურნეო მანქანა, ღირებული 20,000 ლირათ. ყავს 40 ძროხა და 15 ხარი. გამგეობას ყავს შემდეგი დაქირავებული მოსამსახურენი: მდივანი—იღებს 900 ლ. წელიწადში, მესაწყობე—800 ლ., მართველი—800 ლ., ხაზინადარი—180 ლ. და მუშაობის მეთაური—800 ლ., უკანასკნელი თითონ მუშაობს სხვა მუშებთან ერთათ და ამათ უძღვება. ის ყანების პასუხისმგებელია. დგას იქვე ყანებში, სადაც დიდი სახლია აგებული და შიგ, გარდა მეთაურისა, მწყემსები და პირუტყვია მოთავსებული. კოოპერატივს ყავს 20 მუდმივი მწყემსი, თითოულს ეძლევა 600 ლ. და სახლი. ყველა დანარჩენი მომუშავენი დღის ქირაზე მუშაობენ. ყველა თანამდებობის პირი მუშებია. ინტელიგენტი არ

არის არც ერთ სამიწათმოქმედო კოოპერატივში. ეს ორი წელიწადია კოოპერატივთა ფედერაციამ დაიქირავა აგრონომი, რომელიც ცხოვრობს ნოველარაში და იქიდან დადის კოოპერატივებში და ასწავლის რაციონალურ მეურნეობას: როდის რა დათესონ, როგორ გააუქონ მიწა, როგორ მოხნან და მომკონ, რომელი მიწა მორწყონ და რომელი არა და სხ. აი ეს ერთათ ერთი ინტელიგენტი ვნახე მე სოფელში და ისიც მხოლოდ ინსტრუქტორის როლს ასრულებს (იღებს 2,400 ლ. წელიწადში), ხოლო საქმეთა წაყვანაში არ ერევა.

კოოპერატივის მუშებია მხოლოდ წევრები. ამათი დღის ქირა იგივეა, რაც კერძო მემამულეთა მუშების. საზოგადოთ ქირას მთელი სოფლისათვის აწესებს სოფლის მუშათა ლიგა. ამას ემორჩილება როგორც კერძო პირი (არა ყველა), ისე კოოპერატივი. მდივანმა მითხრა: ლიგა ჩვენც ისე გვიყურებს, როგორც კერძო მემამულეთ, თუმცა ლიგის ყველა წევრი ჩვენი წევრიც არისო. წელიწადში საშუალო დღის ქირა უდრის 1 ლ. 20 ს. ზაფხულში მეტია (ორი ლირა და ნახევარი), ზამთარში ნაკლები. კოოპერატივში, რასაკვირველია, ყველა წევრი ვერ პოულობს მუდმივ სამუშაოს. საჭიროა სულ 16,000 დღის მუშაობა, რომ კოოპერატივმა ყველა თავისი საქმე გააკეთოს. ამიტომ დღეში მუშაობს 50—60 კაცი, მეტი არა; დანარჩენი წევრები მუშაობენ კერძო პირებთან ქირაზე. კოოპერატივში მუშაობა ჯერით არის; თუ რომელიმეს კერძო სამუშაო აქვს, თავის ჯერს უთმობს იმას, რომელსაც ასეთი სამუშაო არ აქვს, ხოლო როცა მას დაეკარგვის კერძო სამუშაო, მიდის კოოპერატივში თავის ჯერის შესასრულებლათ. კოოპერატივს წელიწადში ეხარჯება ქირაზე 28,000 ლირა. ქირა ეძლევათ კვირაში ერთხელ. მუშას აგრეთვე დღეში

ეძლევა ბოთლი ღვინო. ზოგ მუშას ფულის მაგიერ ჭირხახული მიაქვს, მაგ. პური, ღვინო და სხ.

წელიწადში მოდის საშუალოთ 1,000 კვინტალი[1]) პური; კვინტალი იყიდება ადგილობრივ 27—28 ლირათ. ყურძენი მოდის 4,000 კვინტალი, იყიდება უმთავრესათ ყურძნათ, კვინტალი 9—10 ლირ. ბრინჯი მოდის 300 კვინ. (კვინტ. იყიდება 24 ლ.). სიმინდი—400 კვინტ. (კვინ.—20 ლ.). რძე 1,000 კვინ. (კვინ. 12 ლ., ბოთლი 12 სან.). გარდა ამისა, ბევრს თესვენ ბალახს, განსაკუთრებით იონჯას, რასაც წელიწადში ყიდიან არა ნაკლებ 10,000 ლირისა. ყოველ შემოდგომაზე, როცა მუშაობა გათავებულია, ხარებს ყიდიან საკლავათ, ხოლო გაზაფხულზე ყიდულობენ; ყიდიან თითქმის ნაყიდობის ფასებში. პირუტყვს საერთოთ ყიდიან წელიწადში 15—20,000 ლირის.

კოოპერატივის ყანები კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. პირველყოვლისა თქვენ ყურადღებას მიიპყრობს ვენახი, რომელიც ხეზე არის გაშვებული და რიგ-რიგათ ჩამომწკრივებული. დაბლარი აქ არსად არის. ასეთი ხეები ყანების ირგვლივაა, შიგ კი ტრიალი მინდორია, ასე რომ მზე უხვათ ეფინება როგორც ვენახს, ისე ყანას. მე მივედი იმ დროს, როცა ვენახს გოგირდს ასხამდენ მანქანებით, მოაგორებდენ მანქანას ხის ახლო, ერთი აატრიალებდა და მეორე მილით ასხამდა მაღლა. აქ ვენახს უჩნდება ნაცარი და მილდიუ, ფილოქსერა არ არის. განსაკუთრებით საყურადღებოა მორწყვის მოწყობილობა. ყანების გვერდით ორმოებია წყლით სავსე, და აქედან, როცა საჭიროება მოითხოვს, რწყავენ. წყალი ამოყავთ ორმოებიდან მანქანების საშუალებით. როცა მას ჩადგამენ წყალში, წყალი ადის მაღლა მილით და

[1]) კვინტალი = 100 კილო.

ისხმება ყანაში, სადაც ის პატარა კვლების წყალობით იფანტება. ბევრი წყალი სჭირდება ბრინჯს. შუაგულ ყანაში ფერმაა, ორ სართულიანი სახლი თავისი უზარმაზარი ბოსლით. აქ ცხოვრობენ, როგორც ვთქვით, მეთაურნი და პირუტყვის მომვლელნი. აქვეა ღვინის სარდაფი და პურის საწყობი (ბეღელი.). აქაური ძროხა და ხარი ჩვენებური კამეჩის ოდენაა, ლამაზი და დინჯია. ბალახის მოსატანათ ხშირათ ძროხას უბამენ. საქონელი მუდამ დაბმულია. მინდორში არ უშვებენ საძოყრათ, რადგან ეშინიათ ბალახის და ნათესის გაფუჭების. როცა უნდა მიხვიდეთ, ბოსელი წმინდათაა, ყოველივე სიბინძურე წყლით ირეცხება და იკრიბება ქვის ღარების საშუალებით განსაკუთრებული აუზში ბოსელს გარეთ, საიდანაც შემდეგ ის მიწის სასუქათ გააქვთ. წყალი ამოყვანილია ჭიდან მილებით. ხბოებს დედას აცილებენ და საკლავათ ყიდიან. არსათ აქეთ შავ პურს არ თესვენ და არ ჭამენ. სიმინდს პირუტყვს აძლევენ. ხანდახან სიმინდის ფქვილიდან აკეთებენ ღომის მზგავს საჭმელს.

საზოგადოთ, კოოპერატივის მამულებზე მეტი ინტენსიური კულტურაა, უფრო რაციონალური მეურნეობაა, ვინემ კერძო პირთა მამულზე. ამას ატყობთ ერთი თვალის გადავლებითაც. სადაც უკეთესი ვენახია, უკეთესი ირიგაციაა და ნაკეთები მიწებია—იქ უთუოთ კოოპერატივის ყანაა.

ახლა გავსინჯოთ კოოპერატივების ანგარიშები.

1905 წ. კოოპერატივის აქტივი უდრიდა 54687 ლ., პასივი 51276 ლ., საერთო შემოსავალია 44360 ლ. ამაში: ბრინჯს შემოუტანია 22243 ლ., ყურძენს და ღვინოს—7538 ლ., ხორბალს—2224 ლ., ლობიოს და მუხუდოს—5081 ლ., ბალახს—3239 ლ., რძეს -1132 ლ. ხილს —42 ლ., პირუტყვის გაყიდვას—2830 ლ. და სხ., დახარ-

ჯული 40950 ლ., ამაში: დამუშავებაზე—20404 ლ., საზოგადო ხარჯი (სასუქი, წასვლა-მოსვლა, გოგირდი და სხ.)—5591, ხარჯები ყანის გარეშე (სახლის ქირა, დაზღვევა, ჯამაგირი მდივანს და კასირს, გადასახადი და სხ.)—14953 ლ., დარჩა წმინდა შემოსავალი 3410 ლ.

1906—7 საანგარიშო წლის აქტივი: 1) პირუტყვი 18,260 ლ.; 2) მკვდარი საქონელი: მანქანები და იარაღები 18,000, ბალახი 62809 სამეურნეო მასალები 6802; 3) ნაყოფი: ხორბალი 5123, ღვინო 3760, შეშა, საქსოვი ჩალის ხე და ნახშირი 1675; 4) კასა—571, 5) მესამე პირის ანგარიში: იჯარის ქირა 14675 ლ., სხვადასხვა დაწესებულებების კრედიტი 12585 ლ. სულ აქტივი 84,263 ლ.

პასივი: ძირის თანხა—9744 ლ., სათადარიგო თანხა—2477, დამხმარე ფონდი- 2910, დამხმარე ფონდის სასსარგებლოთ (განდევნილ წევრთა ხვედრი)—333, აქციების დივიდენდი—3284; მესამე პირის ანგარიშები: დებეტი მკვდარი საქონლის—404 6, პირადი: წევრთ ნამუშევარზე 2,000 ლ., სხვადასხვა კრედიტორები—1443, ქირა--3741, კოოპერატ. ბანკი—49152 ლ. სულ პასივი 79131 ლ. წმინდა მოგება 5132 ლ.

საერთო შემოსავალი უდრის 81958 ლ. უმთავრეს შემოსავალს იძლევა: ბრინჯი—40145 ლ., ყურძენი და ღვინო--11785; პირუტყვი--64984, პური—6529, ბალახი—2812, ჩალა--5269 და სხ. საერთო გასავალია 76829 ლ. უმთავრეს ხარჯს თხოულობს: ბრინჯის მუშაობა—25189 ლ., იჯარის ფული—14750, სასუქი--2852, ვენახის წამალი—1325, ყანის გამწმენდა, დახვნა და თესვა—11933, პირუტყვის საკვები ფქვილეულობა 1022 ლ., დაზღვევა ნაყოფის და ინვენტარის—2286, ნახშირი—2611 და სხ. გალეწვა პური—1758, გალეწვა ბრინჯის—2296 და სხ.

1908—9 წ. აქტივი: პირუტყვი 34,080 ლირის; მკვდარი საქონელი—60882, ნაყოფი—11728, კასა--2199 მესამე პირის ანგარიში—26908 (ამაში იჯარის ფულია 19175), სულ აქტივი უდრის 135797 ლ.

პასივი: ძირის თანხა 12,216, სათადარიგო თანხა —6431, აქციების—5888, დამხმარე ფონდი--5290, მესამე პირის ანგარიში—105,486 ლ. სულ პასივი—135,310 ლ. წმინდა მოგება დარჩა—487 ლ.

წარმოების გადიდება და იჯარის გაზრდა გამოიწვია ახალ-ახალი მიწების იჯარით აღებამ.

სოფ. ნოველარას სამიწათმოქმედო კოოპერატივი ითვლება საშუალო შეძლების კოოპერატივათ. არსებობს 4 წელიწადია. წევრთა რიცხვია 164. კოოპერატივს აქვს აღებული იჯარით 240 ჰექტარი მამული, გაყოფილი რამდენიმე ნაკვეთათ. საიჯარო ფულს იხდის 24.000 ლ. წელიწადში, იჯარაში შედის შენობაც, სადაც ერთ ნაწილში მოთავსებულია კოოპერატივი, მეორე ნაწილი გაქირავებულია. თითოული წევრი საშუალოთ წელიწადში კოოპერატივის მიწაზე მუშაობს 60 დღეს. დღის ქირას არ ღებულობენ. სამაგიეროთ წლის გასულს იყოფენ მოგებას, რაც თითოულზე შეადგენს 200 ლირამდი, ხანდახან მეტსაც. ასე რომ დღიური ქირა აქ მეტი მოუდით, ვინემ კერძო მეურნეობაში. მაგ., 1909 წ. კერძო მემამულენი ქირაობდენ მუშას დღეში 2 ლირანახევრათ და ნაკლებათაც, კოოპერატივისაგან კი მუშას შეხვდა 2 ლ. 75 სან. კოოპერატივს თავის მუშისათვისაც ქირა დღიურათ რომ ეძლია—მისცემდა თანახმათ საზოგადო მაზანდისა, მაშასადამე მუშა იზარალებდა. მეორე მხრით, თუ კოოპერატივმა იზარალა—მუშაც ზარალობს, მაგრამ სრულიად მაინც არ კარგავს თავის ხვედრს, კოოპერატივი მას იმდენს მაინც უხდის, რამდენიც მაზანდაა და წაგებულს პასივში სწერს.

კოოპერატივი წევრია ადგილობრივი საყველე კოპერატივის და თავისი ძროხების (19) რძეს იქ ანაღდებს. გარდა ძროხებისა, კოოპერატივს ყავს 6 ხარი, 2 კურო და 8 ხბო. ხარებს შემოდგომაზე აქაც ყიდიან, აგრეთვე ხბოებსაც. ზამთარში იტოვებენ მხოლოდ ძროხებს და კუროს.

კოოპერატივის მართვა-გამგეობა ჯდება წელიწადში 3.217 ლ. ამაში მდივანს ეძლევა 1.000 ლ. შრომის ბირჟის საბოლოო ანგარიშების შედგენისათვის (მდივანი შავებს უგზავნის) 800 ლ., იმავე ბირჟის აგრონომიულ და სხვა დახმარებისათვის—760 ლ., დანარჩენი წვრილმანი ხარჯებია.

კოოპერატივმა ყველაზე ნაკლები მოგება ნახა 1909 წ. (26 ლირა). ამის მიზეზათ დაასახელეს ყველის წარმოება. ყველის ფასები უცებ დაიწია და მოიტანა 6.000 ლირის ზარალი; გარდა ამისა წყალდიდობამ აზარალა 2.000 ლ. იმავე წელს სეტყვისაგან დასაზღვევს იხდიდენ: პურში—768 ლ., ბრინჯში—1.036 ლ., წითელ ბადრიჟანში—409; ლ.; პირუტყვში—1.003 ლ., ცეცხლისაგან დაზღვევა დაუჯდათ 469 ლ., სალეწი მანქანის დაზღვევა—94 ლ. და 4 მუშის, რომლელნიც სახიფათო ადგილზე მუშაობდენ—68 ლ., იარაღთა შეკეთება და ქირაობა დაჯდა—3.136 ლ., მორწყვა და სხვ.—329 ლ., გადასახადები—848 ლ. და სხ.

როგორც ხედავთ, წარმოება სრულიად რაციონალურია, ყოველგვარი შემთხვევა ნავარაუდევია და ზარალის ასაცილებლათ ზომებია მიღებული. მიუხედავათ ამისა, მაინც დიდი არაფერი მოგება დარჩა. წყალდიდობისაგან კოოპერატივს არაფერი დაუზღვევია, ვინაიდან მდინარე იმ სოფელში არ არის. ცხადია დიდ წვიმებს გაუფუჭებია ნაყოფი, ხოლო ბაზრისაგან დაზღ-

ვევა ხომ ყოვლად შეუძლებელია. კოოპერატივის მთავარი დანიშნულებაა წევრათ სამუშაო მოუპოვოს და ერთათ წარმოებას და განაწილებას მიაჩვიოს. ამიტომ ცოტა მოგება დიდათ არ აფიქრებს კოოპერატორთ. კოოპერატივს აქვს ორი სალეწი მანქანა და სხვადასხვა სამუშაო იარაღი, ღირებული 31 ათას ლირათ. ხვნა-თესვა აქ ყოველგან წარმოებს ხარების საშუალებით, ცხენები იხმარება მხოლოდ დროებით, და საზოგადოთ, ეტლში გასაბმელათ. კოოპერატივის პირუტყვი ღირს 57.830 ლ., ინვენტარი- 26.566 ლ. მთელი აქტივი 1909 წ. უდრიდა 187.814 ლ. გაცემულია 1.982 აქცია 11892 ლირის, სათადარიგო თანხა უდრის 12.987 ლ. კოლექტიური თანხა—1.949, სხვადასხვა დებეტი – 61.936 ლ. მთელი პასივი—187.788 ლ. საანგარიშო—წელს კოოპერატივს გაუცია მუშის ქირა 48.141 ლ., პირუტყვის შენახვაზე—2.083 ლ., იჯარა—24.000, პროცენტი—4.692, თესლი—3.993, ირიგაცია—308, დაზღვევა—3.619, სახელმწიფო და საერობო (მუნიციპალიტეტის) გადასახადი—848 ლ., მდივანი, კანცელარია, ფოსტა და სხ.—1.830 ლ. და სხ., სულ ხარჯი—105.383 ლ. შემოსავლის მთავარი წყაროებია: ხორბალი—27.768 ლ., ბრინჯი—18.650 ლ., სიმინდი—3.771 ლ., რძე—12.004 ლ., პირუტვი (გაყიდვა)—11.260 ლ., ღვინო და ყურძენი—9.463 ლ., თუთუნი—2.119 ლ. და სხვ. სულ შემოსავალი—105.410 ლირა.

რიო-სალიჩეტოს კოოპერატივს ნოველარისაზე ნაკლები წარმოება აქვს, მარა მოგება კი ყოველთვის ბლომათ რჩება. ეს კოოპერატივი დაარსა 31 კაცმა 1904 წ. ახლა კი წევრთა რიცხვი ავიდა 233, რომელთა შორის 92 ქალია. მას აქვს აღებული იჯარით 460 ბიოლკი [1])

[1]) $3^1/_2$ ბიოლკი ერთი ჰექტარია ანუ ერთი დესიატინის $^9/_{10}$.

მიწა, რომელიც ეკუთვნის რეჯიოს მუნიციპალიტეტს. იჯარა ღირს 9,460 ლ. წელიწადში. 60 ბიოლკზე მოყავთ ბრინჯი, 100 ბიოლკზე პური, დანარჩენზე კი ბალახს თესვენ. ბალახის თესვა აქ დიდათ ხელსაყრელი დარგია, ვინაიდან ძროხის მოშენება და ყველის მეურნეობა ძლიერ განვითარებულია, ხოლო ძროხა, და საზოგადოთ პირუტყვი, როგორც უკვე აღნვნიშნე, მუდამ ბოსელში ყავთ, საბალახოთ გარეთ არ უშვებენ. მაშასადამე პატრონები იძულებულნი არიან ბალახი იყიდონ. საბალახოზე რომ პირუტყვი გაუშვან—ბალახს ერთიანათ გააფუჭებს, დაბეკნის, გასრესს და ბალახის მეურნეობა გაქრება. კოოპერატივს ყავს 33 ძროხა, თითოული იძლევა დღეში 12 ლიტრა რძეს (1 აპრილიდან 1 ნოემბრამდე). რძეს აძლევდენ კერძო საყველეთ, ლიტრას 18 სან. უკანასკნელ წელს დაარსდა კოოპერატიული საყველე და რძეს აქ ყიდიან თანახმათ მაზანდისა (12 ს. ლიტრა). ხარებია 14, კურო—2. ერთი ხარი ღირს 650 ლ., ძროხა—550 ლ.

დღეში მუშაობს 45-50 წევრი, რიგ-რიგობით. დარში სამუშაო მუდამაა. ზამთარში მუშაობენ ბრინჯზე, ვენახზე და სხ. თითოს უწევს ორი კვირის მუშაობა წელიწადში, დანარჩენ დროს მუშაობენ კერძო მამულებში. კოოპერატივი აძლევს მუშას ლიგის მიერ დაწესებულ ქირას. აქ ლიგა ერთიანიერათ არ უყურებს კოოპერატივს და კერძო პირთ, პირველისათვის ადგენს ნაკლებ ტარიფს, მეორეთათვის კი მეტს; მაგ. 1909 წ. პირველს უნდა ეხადა მუშისათვის საათში 25 სან., კერძო პირთ კი 30 ს. გარდა ამისა მუშა თავის ქირის 20% ტოვებს კასაში და თუ წლის გასულს დეფიციტი დარჩა—მას ფარავენ ამ თანხიდან, თუ მოგებაა თავის თანხას უკანვე იღებენ. წესდებით მოგების 70% უნდა მიეცეს წევრთ,

30% კი საათადარიგო თანხას, ნამდვილათ კი მთელი მოგება კოოპერატივში რჩება. მუშა წელიწადში საშუალოთ 500-600 ლ. აიღებს ქირათ, დედა-კაცი კი—300 ლირამდე. უკანასკნელნი მინდორში მუშაობენ გაზაფხულზე და ზაფხულზე, დანარჩენ დროს ქსოვენ ჩალას ქუდებისათვის.

14 წლის ნაკლები ბავშები ყანებში არ მუშაობენ; ერთათ ერთ მსუბუქ მუშაობას ითხოვს ბრინჯი, მარა ამასთანავე ეს მავნებელია და კანონით აკრძალულია 14 წ. ნაკლები ბავშებისათვის მისი მუშაობა, ხოლო პურისა და სხ. მძიმე სამუშაო მათთვის მძიმეა და მშობლები არ ამუშავებენ. ასე რომ 14 წლამდე ბავში სკოლაშია, ხოლო შინ ქსოვენ ქუდის ჩალას, რითაც 20-25 სან. დაიმუშავებენ დღეში. აქ მეხრეობა სრულიად არ არის, ხარებს ხვნის დროს წინამძღვარი არ ეპირვება, ხნავს ერთი კაცი ერთი უღელი ხარით. მიწის გადაბრუნება ადვილია იმიტომ, რომ მიწას აქ აკეთებენ: ასუქებენ, რწყავენ და სხ. კოოპერატივთა ფედერაციას აზრათ აქვს შემოიღოს ორთქლის გუთანი, რომელიც ყველა კოოპერატივთა მამულებს დახნავს რიგ-რიგობით, მაშინ ხარები საჭირო აღარ იქნება, ვინაიდან ძნის და ბალახის მინდვრიდან იქვე ფერმაში მიტანა ძროხების საშუალებითაც შეიძლება. კოოპერატივის თავმჯდომარე იმავე დროს მართველიც არის და იღებს ჯამაგირათ 750 ლ. წელიწადში და თან ველოსიპედს. გარდა ამისა აძლევენ გზის ფულს, თუ რკინის გზით მიდის. მუშაობის მეთაური იღებს 650 ლ., სახლს და შეშას, ცხოვრობს ფერმაში და მეთაურობს მიწის მუშაობას, თითონ მუშაობს.

საზოგადოთ ჯამაგირების დანიშვნის დროს ხელმძღვანელობენ საუკეთესო მუშის დღის ქირით. რამდენსაც ასეთი მუშა წელიწადში იშოვის, იმდენს უნიშნავენ

მოსამსახურეთაც, მართველია ის, მდივანი თუ მეთაური, ყველა ესენი ხომ იგივე მუშებია და, მაშასადამე, აზრათაც არავის მოუვა ისინი განსხვავებულ ნივთიერ პირობებში ჩააყენონ და სარჩენათ გაიხადონ.—მართველს ისიც ეყოფა, რომ ყანას არ მუშაობსო. მითხრა ერთმა მუშამ.—თქვენ ეს არ გშურთ? შეეკითხე მას.—არა, ვისაც რა შეუძლია, იმას ასრულებს, მე მუშაობა ვიცი, მართველათ რომ დამაყენონ, ყველაფერს დავაბნევ, ეს დიდათ პასუხსაგები თანამდებობაა, შერცხვენას გარდა ცხენეც წინ გიდგია. არა, მე სრულიად არა მშურს ასეთი თანამდებობა.

მართლაც, კოოპერატივის მართველები, როგორც ამ სოფელში, ისე სხვაგან ძლიერ ფხიზელი და მოძრავი ხალხია, თავის საქმე ზედმიწევნით იციან, მთელ თავის დროს მას ანდომებენ და რაც არ იციან ან ვერ მიხვდებიან—ტყობილობენ აგრონომისაგან ან და რეჯიოში მიდიან შრომის ბირჟაში, სადაც ყველა კოოპერატივის დამხმარე ბუხჰალტერიული დაწესებულებაა და იქ ანგარიშებს ეცნობიან. რიოს კოოპერატივის მამული გარეგნობით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ფაბრიკასას არ ჩამოუარდება არაფრით. დაბლარი არც აქ არის. საზოგადოთ მთელ რეჯიო-ემილიაში მაღლარია. ეს მიწასაც ბევრს არ იკავებს და ყურძენიც ბლომათ იცის. აქ ფერმაზე უკეთესი ღვინოები აღმოჩნდა, ვინემ სხვა სოფელში. იტალიელთ ძლიერ ჭყვართ დალევა და სტუმრის დალევინება. ყოველთვის ფერმიდან ძლივს დავაღწევდი თავს. რიოში ძლიერ უნდოდათ ერთი ბოთლი ძველი დაბეჭდილი ღვინო სამახსოვროთ წამეღო. იტალიაში ყოველგან იცნობენ ქართველს; როცა ვეტყოდი ქართველი ვარ თქვა—მაშინვე გაახსენდებოდათ,—კავკასია. ვიცი, ვიცი, წამოიძახებდენ ხოლმე. ევროპის

არც ერთ კუთხეში ეს აარ მინახავს. სოფელში კი არა, პარიეშიაც კი ხშირათ ქართველი კაზაკათ ეჩვენებოდათ. იტალიაში თუ ასე იციან ქართველის ვინაობა, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ გენუელები და ვენეციელები მუდამ ვაჭრობას ეწეოდენ შავი ზღვის პირას, ეცნობოდენ ქართველობას და მათ აცნობდენ თავის თანამემამულეთ. სხვანაირი ახსნა წარმოუდგენელია.

აი რიოს კოოპერატივის 1909 წლის ბალანსი.

აქტივი: პირუტყვი—18450 ლ., ბალახი—9309 ლ., მანქანქანები და იარაღები—5342, ავანსები—2425, ნაყოფი—3415, კასაში—6317, კრედიტი—8474, შამოუტანელი საწევრო ფული—770, სულ—54502 ლ.

პასივი: საწევრო—6900 ლ. სათადარიგო თანხა—2398, დეპოზიტი—33793, მკვდარი კაპიტალი—4591, სულ—47682 ლ. დარჩა—6,880 ლ.

შემოსავალი: ყურძენი და ღვინო—7811, ბრინჯი-10370, პური—7974, სიმინდი—358, რძე—5740, ბალახი—1322, შეშა—1728, პირუტყვიდან—3934, დანარჩენი წვრილმანი, სულ—40323 ლ.

გასავალი: ღვინისქირა—14136, მწყემსებს ჯამაგირი—2639 ლ, მართველს და მეთაურს—1180,—მდივანს 400, იჯარა—6010, ქიმიური სასუქი—3941, თესლი—668, გოგირდი—509, გადატან-გადმოტანა—531, პროცენტები ბანკს—1053 და კერძო პირთ—201, გადასახადები—721, დაზღვევა (პურის, ბრინჯის და სხ.)—771, შეკეთება—117, ხარჯები სახელმწიფო დაწესებულებებში—321, კოოპერატივთა ფედერაციას—200, მანქანათა და იარაღთა ღირებულების დაკლება—755, და-

ხმარება სამიწათმოქმედო კოოპერატივს სოფ. როლოში[1]) — 110, მედიატორეთ — 395, წერილ-მანი — 1165, სულ -33463 ლ.

რიოს ყველა კოოპერატივები, და მათ შორის სამიწათმოქმედოც, მოთავსებულია მომხმარებელ კოოპერატივის შენობაში.

სანკტა-ვიკტორიის სამიწათმოქმედო კოოპერატივი ითვლება ფაბრიკოს შემდეგ მეორე კოოპერატივათ თავისი წარმოებით და სიმდიდრით. მარა ამასთანავე საყურადღებოა ის, რომ ამ სოფელში ამ კოოპერატივთან შეერთებულია შრომის კოოპერატივი და ასე ერთი საზოგადოება ორ საქმეს აწარმოებს. 1890 წ. მიწის მთხრელებმა შეადგინეს კოოპერატივი იმ მიზნით, რომ ერთათ აიღონ ყოველგვარი მიწის სათხრელი სამუშაო (გზის, არხების და სხ.) და ერთათ აწარმოვონ. ამასთანავე მათ აიღეს იჯარით მიწები და ამუშავებდენ. 1902 წ. მათვე შეადგინეს სამიწათმოქმედო კოოპერატივი და დაუკავშირეს პირველს. წევრნი მხოლოდ მამა-კაცებია — 368, ვინაიდან დედა-კაცთ არ ძალუძთ გზების და არხების მუშაობა. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლათ მოწმობს იმას, რომ სამიწათ-მოქმედო კოოპერატივი ერთნაირი შრომის კოოპერატავია, ე. ი. მეურნეობის საერთოთ წაყვანა ნიშნავს პირველ ყოვლისა სამუშაოს მოპოვებას. ცნობილია რომ სოფლათ იმ ღენი სამუშაო არ არის, რომ მთელი წელიწადი სოფლელი დაბანდოს და შემოსავლის მუდმივი წყარო მისცეს. ეს განსაკუთრებით საგრძნობელია ბოგანოსათვის, რომლის ცხოვრება მის დღის ქირაზეა დამოკიდებულია. ასეთი სოფლელის მიზანია

---

[1]) ეს კოოპერატივი გაკოტრდა და სხვა კოოპერატივებმა ისევ ფეხზე დააყენეს.

მუდამ საბუშაო ქონდეს და აი ამას ის აღწევს სხვათა-შორის, სამიწათმოქმედო კოოპერატივითაც.

კოოპერატივს აღებული აქვს იჯარათ 665 ბიოლკი მიწა სამი მემამულისაგან. თითო ბიოლკის იჯარაა 35 ლ. მთელი იჯარის ფული უდრის 23275 ლ. ათი წლის წინეთ ამავე მიწების იჯარა შეადგენდა არა უმეტეს 14—15 ათასი ლირისა. წევრი მუშაობს არა უმეტეს 30 დღისა წელიწადში. მუშაობენ აგრეთვე ქალებიც წევრთა ოჯახებიდან, გარეშეებს არ ღებულობენ სამუშაოთ. კოოპერატივის ორივე დარგში წევრი მუშაობს წელიწადში საშუალოთ 187 დღეს; 67 დღე უქმია და არ მუშაობენ, დანარჩენ დღეებში მუშაობს კერძო სამუშაოებზე. აქედან ცხადია, რომ გზების კეთება გაცილებით მეტ სამუშაოს აძლევს წევრს, ვინემ მეურნეობა. ეს აიხსნება ადგილობრივი ტოპოგრაფიული პირობებით, რის შესახებ ქვემოთ მოვილაპარაკებთ.

სამიწათმოქმედო კოოპერატივის მუშები დღის ქირას არ ღებულობენ, მხოლოდ წლის ბოლოს იყოფენ მოგებას თანახმათ ნამუშავრისა და ეს არის მათი ქირა. მუშათა ლიგა ქირის ტარიფს ადგენს კერძო მესაკუთრეთათვის. კოოპერატივი ცდილობს წლის ბოლოს თავის წევრთ მისცეს ტარიფის თანახმაო, ზედმეტი მოგება კი სათადარიგო თანხაში ირიცხება თუ იმდენი მოგება არ დარჩა, რომ მუშას ტარიფის თანახმათ მიეცეს, აძლევენ ნაკლებს, მარა არა ძლიერ ნაკლებს; მცირე მოგების დროს მუშას მაინც აძლევენ ტარიფის ცოტა ნაკლებს და გაცემულ ზედმეტს დეფიციტში სწერენ. თითოეულ წევრს აქვს ეგრეთ წოდებული სამუშაო წიგნი, რომელშიც იკვრება იმდენი მარკა, რამდენი საათიც იმუშავა ამა თუ იმ დღეს. როგორც ვთქვით, მუშაობა და ქირა ყოველგან საათობითაა და არა დღიურათ. კოოოპერატივში არ

შედის 50 მუშა, რომელნიც კლერიკალების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ესენი თუმცა ამით ბევრს კარგავენ, მარა ნივთიერი ზ:რალი ურჩევნიათ „სულის წაწყმედას“. სამიწათმოქმედო კოოპერატივები ისე, როგორც სხვები, უპარტიო დაწესებულებაა, შიგ შედიან ყოველ ნაირი პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ხალხი, უმრავლესობა კი სოციალისტურ-ა. არიან შიგ ლიბერალები, რესპუბლიკანელები, მორწმუნენი, ურწმუნონი,—არ არინ მხოლოდ მებრძოლი ანუ ფანატიკოსი კლერიკალები. ამათ შიგ ბაწრით ვერ შეათრევ.

ვიკტორიის მდივანმა მითხრა: ჩვენი საზოგ. ფორმალურათ უპარტიოა, მარა საჭიროების დროს პარტიულ საქმესაც ვაკეთებთ, მაგ. არჩევნების დროს ვეხმარებით ფულით ადგილობრივ სოციალისტურ კომიტეტს, ვუშვებთ ფურცელს სოციალ. კანდიდატების სასარგებლოთ, ვუთმობთ კრებებისათვის თავის შენობას და სხ. წევრნი, არა-სოციალისტნი, რასაკვირელია, ამის წინააღმდეგნი არიან, მარა ისინი უმცირესობაა და ძალა-უნებურათ ემორჩილებიან უმრავლესობის გადაწყვეტილებას.—ამით უკმაყოფილონი არ გადიან კოოპერატივიდან?—შევეკითხე.—ი შვიათათ, არც იმდენი ხეპრე არიან, რომ თავისი ზარალი ამჯობინონ, მომიგო მან.

საზოგადოთ, არც ერთი კოოპერატივი არ იჩენს სრულ უპარტიობას; და ეს არც შეიძლება სხვანაირათ იყოს; მეთაური ყოველგან ერთი პარტიის ხალხია, წევრთა უმრავლესობაც ამ პარტიისაა. მოწინააღმდეგე პარტია.—კლერიკალები—ებრძვის კოოპერატივთ და მით ამათ ძალას ატანს აწარმოონ ანტი-კლერიკალური პოლიტიკა, რაც აქ ნიშნავს სოციალისტური პოლიტიკის წარმოებას.

კოოპერატივს ყავს 164 სული პირუტყვი; ამათ ში—46 ძროხაა, 48 ხარი, 4 კურო, სხვა წვრილფეხაა. ძრო-

ხები დღეში იძლევიან 460 ლიტრა რძეს, ლიტრა იყიდება 12 ს. აქ კოოპერატიული საყველე არ არის და რძეს აძლევენ კერძო საყველეთ. კოოპერატივს დაქირარავებული ყავს 18 მუდმივი მუშა პირუტყვის მომვლელათ თუ სხვათ, რომელნიც წელიწადში იღებენ 9116 ლ. ჯამაგირს. გარდა ამისა, თითოულს აძლევენ თითო ბიოლკ მიწას უსასყიდლოთ დასამუშავებლათ. აქ არის ორი სალეწი მანქანა. ერთი 4 ცხენის ძალის, მეორე 5 ცხენის. მდივანი იღებს 420 ლ., მისი თანაშემწე 300 ლ., კასირიც 300 ლ.

1908 წ. კოოპერატივის საერთო შემოსავალი: მიწათმოქმედებიდან 55391, ბოსლიდან—16034, სულ—71425 ლირა. გასავალი: მუშის ქირა—29,999 ლ., იჯარა—19,001 ლირა და სხ. სულ ხარჯი—69289 ლ. დარჩა მოგება—2136 ლ.

აქ ერთ ჰექტარ მიწაზე მოყავთ 22 კვინტალი ხორბალი, რაც კარგ მოსავლათ ითვლება. მიწას ასუქებენ ქიმიური სასუქით, რომელიც წელიწადში 220 კვინტალი უნდება. კოოპერატივამდის ეს მიწები გაცილებით ნაკლებ მოსავალს იძლეოდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ამხანაგობა უკეთ უვლის მიწას, უკეთეს მეურნეობას ეწევა, ვინემ კერძო მეურნენი.

სამხრეთ რეჯიო-ემილიაში სამიწათ-მოქმედო კოოპერატივები, ისე როგორც სხვები, მეტათ სუსტნი არიან. პირველ ყოვლისა აქ, მართალია, იჯარას ერთათ იღებენ, მარა მიწათმუშაობა ინდივიდუალურია, რაც ერთიანათ უკარგავს კოოპერატივს თავის სოციალურ და აღმზრდელ მნიშვნელობას. აი მაგ. კავრიაგოს კოოპერატივი. არსებობს 1904 წლიდან. წევრი ყავს 220, აქცია ღირს 6 ლ. წევრობისითვის სავალდებულოა ხუთი აქციის შეძენა, თვეურათ ნახევარი ლირის გადახდით. კოოპერატივს

აქვს აღებული იჯარით 437 ბიოლკი, რასაც უნაწილებს თავის წევრთ, ხოლო ესენი თავიანთ წილს თითონვე ამუშავებენ. რასაკვირველია, თითოულს მიაქვს იმდენი, რამდენის დამუშავება შეუძლია თავისი ოჯახის წევრთა საშუალებით. მაგ. 1909 წ. 120 წევრს აეღო 2—4 ბიოლკი თითოს, ხუთმა იხვედრა 50 ბიოლკი თითომ. 60 წევრს არაფერი მიუღია, რადგან ახალ ჩაწერილნი იყვენ კოოპერატივში და მიწა არ ეყოთ, წევრთა უმრავლესობას დღიურნი შეადგენენ, უინტერესობას მოიჯარადრენი. ბევრ დღიურს აქ აქვს თავისი სახლი, მამა-პაპიდან დარჩენილი, მარა მიწა და პირუტყვი არ ყავთ. შეიძლება ზოგს თითო ძროხა ყავს და ისიც დაბალი ჯიშის. ასეთი ძროხა ღირს 300 ლირამდი. ამიტომ დღიურნი მიწის დასამუშავებლათ საქონელს ქირაობენ. რა სარგებლობას აძლევს წევრთ ასეთი კოოპერატივი?—უეჭველია იკითხავთ. სარგებლობა კი ასეთია: აქ ბევრი სახელმწიფო მამულია (ეკლესიის და მონასტრის ნაქონი), რომელსაც იჯარით იძლევიან საჯარო ვაჭრობით. წინეთ თითოული მეურნე ცალ-ცალკე ვაჭრობდა, ერთმანერთს ეცილებოდა და საიჯარო ფასებს ხელოვნურათ ადიდებდენ. შემდეგ მოილაპარაკეს, დაარსეს კოოპერატივი და ასე ურთიერთშორის კონკურენცია მოსპეს. ახლა საჯარო ვაჭრობაზე ცხადდება ერთი მხრით კოოპერატივი, მეორე მხრით კი კერძო პირები; მაგრამ უკანასკნელთ ეშინიათ კოოპერატივის გაჯიბრების, ვინაიდან ასეთ კონკურენტს კოოპერატივი ზარალს მიაყენებს ბევრნაირათ. მაგ. მისთვის განსაკუთრებული საბრძოლველი ტარიფის დადგენით, ბოიკოტით და სხ. ხოლო მიწინავე აზრების მოიჯარადრენი ცდილობენ კოოპერატივს შეუთანხმდენ. ასე რომ ხშირათ საჯარო ვაჭრობაზე კოოპერატივს უკონკურენციოთ რჩება მამული იაფ ფასებში.

კერძო პირთ იჯარა უჯდებათ გაცილებით უფრო ძვირათ, ვინემ კოოპერატივის წევრთ. პირველნი იხდიან ბიოლკზე 70-80 ლირას, მეორენი 50-55 ლირას. აი ამიტომ კოოპერატივს ეტანებიან და შიგ ეწერებიან. კოოპერატივს რჩება წმინდა მოგება 1000 ლ. წელიწადში.

აქ ახლა დღის კითხვათაა დასმული იჯარის საერთოთ წარმოება, როგორც ეს ჩრდილოეთშია.—როგორც კი საკმაო თანხას მოვაგროვებთ, მაშინვე დავიწყებთ ერთათ წარმოებასო, მითხრა თავმჯდომარემ. მე კი მგონია, საშუალების უქონლობა აქ გადამჭრელ როლს არ თამაშობს. ჩრდილოეთში თავდაპირველათ არც ერთ კოოპერატივს არ ქონებია იმდენი თანხა, რომ ამით საქმე დაეწყოთ. ჩვეულებრივათ თანხა ცოტაა, კრედიტი კი დიდი. და აი სწორეთ მთელ საქმეს იწყებენ და აწარმოებენ კრედიტით. სამხრეთ ემილიაში მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა რამდენიმეთ განსხვავდება ჩრდილოეთისაგან: ბევრი საკუთრება დღიურ'ში ასუსტებს სოციალურ ინსტიქტებს და ინდივიდუალური წარმოების ნიადაგს ძნელათ აშორებს. ამას ზედ ერთვის კლერიკალთა გავლენა, რომელნიც საერთო მეურნეობას ღვთის რისხვათ აღიარებენ. აი ამ მიზეზებით უნდა აიხსნას სამიწათ-მოქმედო კოოპერატივის ინდივიდუალური ხასიათი. ახლა, როცა ამ მხარეში სოციალისტებმა დიდი გავლენა მოიპოვეს და ჩრდილოეთის კოოპერატივებმა მისაბაძი მაგალითი უჩვენეს—სამიწათ-მოქმედო კოოპერატივები უეჭველია შეუდგებიან კოოპერატიულ მეურნეობას. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ორთქლის გუთანს შემოიღებს ფედერაცია.

ზემოთ ვთქვით, რომ ხუთ წევრს ბევრი მიწა აუღიათ იჯარით. მამულის მოვლის დროს დავათვალიერე ერთი ამათგანის ფერმა. ეს წევრი ერთობ მეტათ დიდი

ოჯახის პატრონი ყოფილა, მას ყოლია 6 ვაჟი, ამათ შორის 5 ცოლ-შვილიანი, ყველა ესენი ერთათ ცხოვრობენ, ყავთ ბევრი პირუტყვი და სამუშაო იარაღი, სახლკარი და მიწა არ აქვთ. მათ 40 წელიწადია იჯარით აქვთ აღებული ეს ფერმა; ახლა ეს მიწა გადავიდა კოოპერატივის ხელში, რომელმაც შევიდა ამ ოჯახის მდგომარეობაში და იჯარა აღარ ჩამოართვა.

კოოპერატივს საგამგეობო ხარჯები თითქმის სრულიად არ აქვს; მთელ საქმეს აწარმოებს გამგეობა უსასყიდლოთ. საქმეც ხომ ბევრი არ არის. მიწის იჯარით აღება და წევრებისათვის განაწილება—აი მთელი საქმე.

კულტურის მხრით, კოოპერატივის ყანები არაფრით განსხვავდება კერძო პირთა ყანებისაგან. ზოგი უკეთ ამუშავებს თავის ნაჭერ მიწას, ზოგი უარეს ათ, ეს შეძლებაზეა დამოკიდებული. აქ ვერ ნახავთ ისეთ რაციონალურ მეურნეობას, როგორიც ჩრდილოეთის კოოპერატივების მაჭულშია. ჩემი აზრით, სამხრეთის კოოპერატივები უფრო ლიგებია, მიმართული დიდი მემამულეების წინააღმდეგ, ვინემ კოოპერატივები. ასეთებათ გადაიქცევიან ისინი მას შემდეგ, როდესაც კოოპერატიულ მეურნეობას დაიწყებენ.

საზოგადოთ სამიწათმოქმედო კოოპერატივთა დიდი უმრავლესობა ჩრდილოეთშია, სამხრეთში მხოლოთ სამია. ჯერ-ჯერობით ყველა ამ 16 კოოპერატივს უჭირავს 1290 ჰექტარი მიწა. მათ შეძლებას შეადგენს: 171031 ლ. საღირალი პირუტყვი, 34345 ლ. სამუშაო იარაღები და 82010 ინვენტარი; ხელმოწერილი თანხაა—97516 ლ. შემოტანილი—41157 ლ. წელიწადში მუშას აძლევენ 200,000 ლირას, მამულების პატრონთ—130,000 ლ იჯარის ფულათ, ხოლო მათთვის ქირათ მიცემული აქვთ 80,000

ლ. წლიურათ სესხულობენ 200 ათას ლირამდე. და მთელი ეს დიადი აღებმიცემობა წარმოებს ორმოციათასი შემოტანილი საწევრო ფულით!

როგორც ვთქვით, შრომის ბირჟამ ყველა ის კოოპერატივები შეაერთა ფედერაციათ ანუ კავშირათ, რომლის ცენტრალური მართველობა იმყოფება რეჯიოში, შრომის ბირჟაში. კოოპერატივთა უმაღლესი ხელმძღვანელი, როგორც ტეხნიკური, ისე ანგარიშების მხრით, აი ეს მართველობაა. ვერნიანი სწერს, რომ კავშირის შეკვრის მიზანი იყო ისიც, რომ კოოპერატივები არ ჩავარდნილიყვენ თავისი კერძო ინტერესების ბრჭყალებში და შრომის საერთო ორგანიზაციას არ ჩამოშორებოდენო. „კოოპერატივთა შორის სოლიდარობის დაარსებით შესაძლებელია აღვზარდოთ მუშები უფრო ფართო ორგანიზაციისათვის, რომელშიაც ვიწრო, პირადი ეგოიზმი ქრება და წინ დგება ინტერესი მთელი მუშათა კლასისა“...

ბოლო დროს კლერიკალებმაც მიბაძეს სამიწათმოქმედო კოოპერატივთ და იყიდეს 1200 ჰექტარი მიწა ასეთი კოოპერაციის დასაარსებლათ. კიდევაც დაიწყეს საქმე, მარა იგი ისე ცუდათ წაუვიდათ, რომ გაკოტრების გზას დაადგენ. ვერნიანიმ მითხრა, მათ მიწაზე ჩვენ გვიპირავს თვალი და უეჭველია ხელში ჩავიგდებთო. საზოგადოთ, კლერიკალთ არ ეხერხებათ კოოპერატივი...

---

3. შრომის კოოპერატივი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სოფლის მცხოვრებთა შორის იმყოფებიან ორგვარი ბოკანონი: ერთნი, დლიურნი—თავს ირჩენენ მეურნეობით, მიწათმოქმედებით, ხოლო მეორენი—სხვადასხვა რთული მოხელეობით, ან და

მარტივი შავი მუშაობით. უკანასკნელნი შეიცავენ ხელოსანთ: ხარაზთ, დურგალთ, თერძთ, მჭედელთ და სხ.; შავ მუშათ: მიწის მთხრელთ, გზების და არხებისმკეთებელთ, მედროგეთ და სხ. ესენი ცხოვრობენ თავისი სამუშაო ძალღონის გაქირავებით. გზის მკეთებლები ექირავებოდენ გზის მოიჯარადრეთ, ქარგლები აღებს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ჩაღდება მოქირავეთა შორის კონკურენცია, ქირა დაბლა მიდის, ხოლო გაყვლეფა კი—მაღლა. როცა კოოპერატიული მოძრაობა დაიწყო და შესაფერი აზრებიც გავრცელდა, ამ შრომის წარმომადგენლებმაც იწყეს კოოპერატივების დაარსება. რადგანაც მათ შრომის, ანუ საკუთარი ძალ-ღონის მეტი არა გააჩნდათ რა, ცხადია კოოპერაცია, ანუ თანამშრომლობის მოწყობა, შეიძლებოდა შრომის ნიადაგზე. წევრთა შრომის მოგროვება და ერთი მიზნისაკენ მიმართვა — აი საფუძველი ასეთი კოოპერატივისა. ამიტომ მას ეწოდება შრომის კოოპერატივი.

შრომის კოოპერატივი შეიძლება გაიყოს ორათ: ერთი შეიცავს მწარმოებელ კოოპერატივს, მეორე—იჯარის ამღებ კოოპერატივს. მაგ., ხარაზთა კოოპერატივი მწარმოებელი კოოპერატივია, ვინაიდან ის აწარმოებს გასაყიდი საქონლის დამზადებას, კერავს ფეხსაცმელებს და ყიდის. ასეთივეა კოოპერატივი დურგალთა, მჭედელთა, ზაინკალთა და სხ. ესენი დამოკიდებულია ბაზარზე, მაშასადამე, განიცდიან საქონლის წარმოების ყველა უარყოფითი მხარეებს და ამიტომ მათი მდგომარეობაც მუდამ საშიშარია. სულ სხვაა, მაგ., კალატოზთა კოოპერატივი. მისი მთავარი მიზანია იჯარით აიღოს შენობების აგება და ასე წევრთ სამუშაო გაუჩინოს. მართალია, მას შეეცილება მდიდარი მოიჯარადრე, მარა ასეთ მოცილეობას გასავალი არ ექნება, ვინაიდან რაკი მუშა კალა-

ტოზები კავშირში არიან. მოიჯარადრეს მუშის შოვნა გაუჭირდება და, თუ ისეთი კავშირები ხშირია, მუშას ვერც კი იშოვის და შენობის იჯარა ძალა-უნებურათ კოოპერატივთ დარჩება. ასეთ პირობებშია გზის მკეთებელთა, მედროგეთა და სხ. კოოპერატივი. ამათი კავშირი ბაზართან, საქონლის წარმოებასთან მცირეა და ამიტომ ამ დარგის შრომის კოოპერატივს მკვიდრი ნიადაგი აქვს.

მომხმარებელ კოოპერატივთა შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებულია შრომის კოოპერატივი. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც ის ერთი—ორი მაინც არ მოიპოვებოდეს. ის ბევრია აგრეთვე თვით რეჯიოში.

ჩვენ ხელთა გვაქვს შრომის კოოპერატივთა სხვადასხვანაირი წესდებები. კოოპერატივთა წესდების საზოგადო ნაწილი თითქმის ერთნაირია მთელ რეჯიო-ემილიაში. ამიტომ აქ მოვიყვანთ მარტო იმ ‘ბუხლებს, რომელნიც პირდაპირ ეხებიან ამ კოოპერატივს.

სოფ. ნოველარაში არსებობს შრომის კოოპერატივი სახელწოდებით: „უსახელო კოოპერატიული ასოციაცია ნოველარის მედროგეთა და ბოგანოთა“[1]). აი მისი წესდების ზოგი მუხლი:

მუხ. 2. საზოგადოების მიზანია კოოპერატიული შრომით გზების, არხების, დამბების და სხ. გაკეთება და მეთვალყურეობა; გადატან-გადმოტანა ტვირთის საზოგადოთ, ისე რომ თითოული წევრი თავის საკუთარი შრომის სარგებლობას თითონვე იღებდეს.

ა) თანხა აქციათა გაყიდვით შემოსული, თითო აქცია ღირს 24 ლ.,

---

[1]) როგორც უკვე შეენიშნეთ, ბოგანოს, braccianti, აქ უწოდებენ მხოლოდ მიწის მომთხრელთ, თუმცა შინაარსით ყველა პროლეტარი braccianti არის.

ბ) სათადარიგო თანხა,

გ) განსაკუთრებითი ფონდი მოულოდნელი საჭიროებისათვის,

დ) სხვადასხვა შემოსავალი.

მუხ. 6. აქციის შეძენა შეუძლია ხოლოდ იმ მუშას, რომელიც მისდევს კოოპერატივის ხელობას და უნდა იქნას გადახდილი თვიურათ ნახევარი ლირის შემოტანით. გადასახადის სამი თვით დაგვიანება გასამართლებელი საბუთების წარმოუდგენლათ, ნიშნავს აქციის გაფუჭებას, ხოლო შემოტანილი თანხა ჩაირიცხება სათადარიგო თანხაში. ერთდროებითი გადასახადია ნახევარი ლირა, რომელიც უნდა იქნას შემოტანილი წევრათ ჩაწერისთანავე.

მუხ. 11. წევრათ შესვლის მსურველმა უნდა მიმართოს გამგეობას და წარუდგინოს ცნობები:

ა) რომ ის მისდევს იმ ხელობას, რომელიც საზოგადოების საგანია,

ბ) რომ ის არის არა ნაკლებ 15 წლისა და არა უმეტეს 60-სა,

გ) ცხოვრობს ნოველარის საზოგადოებაში,

ე) და კარგი ყოფაქცევის არის.

თუ გამგეობამ უარყო მთხოვნელის წევრათ მიღება, ამის გასაჩივრება შეიძლება სარევიზიო კომისიასთან, რომელიც ამ შემთხვევაში ასრულებს მედიატორის როლს.

მუხ. 12. გამგეობა აღიარებს წევრს საზოგადოებიდან გამოსულათ:

1) როცა ის კარგავს წინა მუხლის პირველ სამ ნაწილში აღნიშნულ მდგომარეობას, როცა კვდება და როცა ინვალიდათ ცხადდება (მუშაობა არ შეუძლია).

2) საზოგადოებიდან გაიძევება წევრი, როცა ის

კარგავს წინა მუხლის მეოთხე (დ) ნაწილში მოხსენებულ მდგომარეობას, ან და როცა იმას გაამტყუნებენ შემდეგ დანაშაულობაში:

ა) საწევრო გადასახადის შემოუტანლობაში,

ბ) როცა წევრი—თანამდებობის პირი—ბოროტათ ხმარობს ფირმას ან მის თანხას, ან ჩადის სიყალბეს მართვა-გამგეობაში და ანგარიშებში,

გ) როცა ზარალს აყენებს საზოგადოებას ტყუილი ცნობების გავრცელებით, ან მოქმედებით.

დ) როცა ის თითონ დაიწყებს სამუშაოს დაქირავებული მუშით,

ე) როცა ის კოტრათ ცხადდება.

მუხ. 13. გამოსულათ აღიარებული წევრი და გადაცვალებულის კანონიერი მემკვიდრენი მიიღებენ თავის აქციათა ღირებულებას თანახმათ აქტივის მდგომარეობისა და საზოგადოების მიერ მოწონებულ ბალანსისა. გაძევებულ წევრს კი არ აქვთ უფლება რაიმე მიიღოს, მისი შემოტანილი საწევრო ფული ჩაირიცხება სათადარიგო თანხაში.

მუხ. 22. საზოგადო კრებაზე გამგეობის წევრთ არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ბალანსის კენჭის ყრაში და ბჭობაში მათ პასუხის მგებლობის შესახებ.

მუხ. 28. გამგეობის საქმეა:

ა) დადგენა საგამგეობო ხარჯების,

ბ) შედგენა ბალანსისა და მოგების განაწილების პროექტის,

გ) შედგენა რეგლამენტის კრებაზე წასადგენათ,

დ) მიღება და დათხოვა ჯამაგირიანი მოსამსახურეთა და მუშების, განსაზღვრა მათი სამუშაოსი და ქირის.

დ) კეთება ყველა იმ საქმისა, რომელიც ამ წესდებას სხვა ორგანოებისათვის არ დაუკისრებია.

მუხ. 31. იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო დიდი და საპასუხოსმგებელოა, გამგეობას შეუძლია მეთვალყურეთ დაიქიროს დირეკტორი-ტეხნიკი, წევრი თუ არა წევრი, რომლის მოქმედებაში პასუხის მგებელი გამგეობაა.

მუხ. 34. სარევიზიო კომისია ასრულებს აგრეთვე სამედიატორო კომისიის თანამდებობას და ვალდებულია ჩაერიოს დავაში, როცა ეს ტყდება წევრთა და გამგეობის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა და მუშაობის ნიადაგზე. სამედიატორო კომისიის განჩინების გასაჩივრება შეიძლება საზოგადო კრებაზე, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. სარევიზიო კომისიაში შეიძლება არჩეული იქნან არა-წევრნიც.

მუხ. 37. წმინდა მოგება ნაწილდება ასე:

ა) 20% სათადარიგო თანხას,

ბ) 20% შემოტანილ თანხას,

გ) 10% მოულოდნელი ხარჯის ფონდს,

დ) დანარჩენი—წევრთ და არა წევრ მუშათ—მათ მიერ მილებული ქირის მიხედვით.

მუხ. 47. განსაკუთრებულ შემთხვევებში გამგეობას ნება აქვს დაიქირაოს გარეშე მუშები განსაზღვრული ვადით—რიცხვით არა უმეტეს მუდმივ მუშათა ნახევრისა: ამათ მიეცემათ მოგების ნაწილი, თანახმათ 37 მუხ.

შინაგან რეგლამენტში ვკითხულობთ:

მუხ. 16. თუ გამგეობის წევრი გამგეობის მინდობილობით, ან განსაკუთრებითი მოვალეობით, სა-

საზოგადოებისთვის მუშაობს ისე, რომ თავის ჩვეულებრივ მუშაობას ცდება, იღებს დღიურ ქირას, ისე, როგორც სხვა მუშები ნოველარაში, ხოლო თუ ის ნოველარას გარეთ ემსახურება საზოგადოებას—მიიღებს გარდა ქირისა, ჯილდოსაც.

მუხ. 17. გამგეობა სწავლობს ასაღები სამუშაოს პირობებს და ადგენს შესაფერ განაჩენს. საზღვრავს თითოეულ სამუშაოსთვის მუშის დღის ქირას, მხოლოდ ისე კი, რომ ეს ქირა ადგილობრივ ქირის მაზანდის დაბლა არ იყოს.

მუხ. 18. როგორც კი გათავდება იჯარით აღებული სამუშაო, გამგეობა მდივნის თანადასწრებით გამოიანგარიშებს მუშის ქირის რაოდენობას თანახმათ არსებული მაზანდისა და ურიგებს თითოეულ მუშას ხვედრ ქირას. წინდაწინ, რასაკვირელია, გამოირიცხება ყოველივე ხარჯი და ავანსი, რაც გაიცა მუშაობის განმავლობაში და აგრეთვე 8%.

მუხ. 19. თუ სამუშაო ნაკლებია, გამგეობა აწესებს მუშაობას რიგ-რიგობით, იმისდამიხედვით თუ ვინ როგორ იხდის ხელმოწერილი აქციების ფასს. თუ წევრი თავის ჯერის დროს სამუშაოზე არ გამოცხადდა, კარგავს უფლებას მუშაობისას შემდეგ ჯერამდე.

მუხ. 21. პატარა სამუშაოზე გამგეობა, ნაცვლათ ტექნიკური დირექტორისა, ნიშნავს უბრალო უფროს მუშათ, რომელთაც იგივე მოვალეობა აქვთ, რაც დირეკტორს: მათ ეძლევა იგივე ქირა, რაც სხვა მუშას, მხოლოდ ანგარიშში ჩაეთვლებათ ის დრო, რომელსაც მოანდომებენ ანგარიშის, მოხსენების და სხ. შედგენას. დირეკტორს დღის ქირას თითოეულ ჯერ უწესებს გამგეობა.

მუხ. 26. ყოველი წევრი მოვალეა მოუპოვოს სამუშაო საზოგადოებას.

მუხ. 27. ყოველი წინადება სამუშაოს შესახებ წარედგინება გამგეობას, რომელიც იღებს ან უარყოფს მას.

მუხ. 28. ყველა საჯარო და კერძო ვაჭრობაზე საზოგადოების წარმომადგენელია მისი თავმჯდომარე, ან გამგეობის მიერ განსაკუთრებით დანიშნული დელეგატი.

მუხ. 30. დირეკტორი პასუხის მგებელია აღებული სამუშაოსი გამგეობის წინაშე. მის განკარგულებაშია ყველა მუშა, ყოფს მათ ჯგუფებათ და თითოულ ჯგუფს უნიშნავს უფროს მუშას ანუ მეთაურს, აქვს ნუსხა ყველა მასზე დამოკიდებული მუშისა და აღნიშნავს თითოულის გამოცხადებას და მის ქირას, აგრეთვე აქვს დავთარი, სადაც სწერს შესრულებულ სამუშაოს რაოდენობას.

მუხ. 31. დირეკტორის საქმეა დაანაწილოს სამუშაო მუშათა შორის, რაც შეიძლება უმეტ-ნაკლებოთ თანახმათ მუშათა ხელისა და აღებული იჯარის რაოდენობისა.

მუხ. 32. მომუშავე მუშები დამოკიდებული არიან მხოლოდ დირეკტორზე და უფროს მუშებზე, ვალდებული არიან სახტიკათ შეასრულონ მათი განკარგულება.

მუხ. 33. მუშებს სასტიკათ აკრძალული აქვთ სამუშაოს გაშორდენ დირეკტორის, ან უფროსი მუშის ნებადაურთველათ. თუ მუშა მოიქცა წინააღმდეგ ამ წესისა—მას გამოერიცხება ქირა იმ დროის, რომლის განმავლობაში არ მუშაობდა. და თუ

ასეთი საქციელი მეორეთ ჩაიდინა—მას სრულიად ჩამოერთმევა სამუშაო გამგობის მიერ დადებულ ვადის გასვლამდის.

მუხ. 34. სასტიკათ აკრძალულია მუშაობის დროს მომუშავეთა შემოკრება და დავა, რაზედაც უნდა იყოს. მუშები ვალდებული არიან სამუშაოზე თავი დაიჭირონ ღირსეულათ ‡ დინჯათ; მათ აკრძალული აქვთ სამუშაოზე, თუ მის ახლო მახლო, ურთი-ერთის წინააღმდეგ ამხედრდენ, ინტრიგები გააჩაღონ და მეორის რწმენა შეურაცხყონ. ვინც სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდება, ის დაუყონებლივ გაიყვანება.

მუხ. 36 მუშებს არ აქვთ უფლება უკმაყოფილება დათესონ დანიშნულ ან მიღებულ ქირის შესახებ და სახელი გაუტეხონ საზოგადოებას და სამუშაოს. ყოველი სამართლიანი საჩივარი უნდა იქნას წარდგენილი სარევიზიო კომისიაში, თანახმათ წესდების მე-34 მუხ.

მუხ. 36. იმ მუშებს, რომელნიც წინა მუხლში მოხსენებული კითხვების შესახებ მოიქცევიან სხვანაირათ, სარევიზიო კომისიისათვის მიუმართავათ, პირველჯერ სამუშაო ჩამოერთმევათ ათ დღეს, ხოლო განმეორების შემდეგ, გაიძევებიან საზოგადოებიდან თანახმათ წესდების მე-12 მუხ.

მუხ. 37. მუშები დირეკტორის და უფროს მუშათა შეურაცყოფისათვის დასჯილ იქნებიან პირველათ სამუშაოს ათი დღით ჩამოერთმევით, განმეორებისას—საზოგადოებიდან გაძევებით. ასევე დაისჯებიან დირეკტორი და უფროსი მუშები მუშათა შეურაცხყოფისათვის.

მუხ. 38. თუ დირეკტორმა და უფროსმა მუშებმა ვერ

დაიცვეს მუშაობის დროს თავისი მთავარი თვისება—მიუკერძოობა, ამ შემთხვევაში გამგეობა მათ წინააღმდეგ მიიღებს ისეთ ზომებს, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების საქმეთა რიგიან მსვლელობას.

წევრის ავათმყოფობის დროს მის მაგიერ შეუძლია სამუშაოზე გამოცხადდეს მის ძმას, ვაჟს ან მამას.

ასეთია ნოველარის შრომის კოოპერატივის წესდება.

ახლა გავიცნათ ქ. რეჯიოს ხარაზთა კოოპერატივის წესდების ზოგი მუხლი. აქ ვკითხულობთ: საზოგადოების მიზანია ხარაზთა პროფესიის მდგომარეობის გაუმჯობესობა საერთო სახარაზოს შექმნით, საერთო ძალ-ღონით სამუშაოს მასალის შეძენით და ნაწარმოების გაყიდვით. საწევრო გადასახადია ათი აქცია, თითო ლირს 6 ლირა. წევრს არ აქვს უფლება აიღოს რაიმე სამუშაო თავისთვის და დაამუშაოს თითონ. წევრს უფლება აქვს თავის ნებით გავიდეს საზოგადოებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როცა ის მიდის რეჯიოდან და სხვაგან სახლდება. იგი მიიღებს თავის ხვედრს საზოგადოებიდან მისი წასვლის ერთი წლის შემდეგ. წასულ წევრს შეუძლია შემობრუნდეს საზოგადოებაში მხოლოდ სამი წლის შემდეგ და სხ...

საზოგადოთ შრომის კოოპერატივთა წესდებები ერთი მეორის განმეორებაა, ცოტაოდენი განსხვავებით. აქ ყურადღებას იქცევს მუშაობის სასტიკი დისციპლინა. არავითარი საერთო მუშაობა არ შეიძლება მოეწყოს, თუ ამგვარი დისციპლინა არ არის. კოოპერატივთა ერთი მთავარი მიდრეკილებათაგანია წევრთა აღზრდა ამხანაგურ ურთიერთობაში, ერთათ მუშაობასა და ერთათ განაწილებაში. ეს, ასე ვთქვათ, შრომის პირველ დაწყებითი სკოლაა, ურომლისოთ მომავალი სოციალური წყო-

ბილება ვერ განხორციელდება. იქ, სადაც დიდი ფაბრიკები და ზაოდებია—მშრომელთა ამხანაგურ ურთიერთობას ზრდის თვით ეს სამრეწველო დაწესებულებანი. მხოლოდ იქ, სადაც ასეთი დაწესებულებები არ არის, როგორც ეს, მაგ. რეჯიო-ემილიაშია, კოოპერატივები ავსებენ რამოდენიმეთ ამ დანაკლისს.

როგორც ვთქვით ქ. რეჯიოსა და მის ირგვლივ მდებარე სოფლებში ბევრნაირი შრომის კოოპერატივია. აქ არის ხარაზთა კოოპერატივი, რომელშიც შედის 24 წევრი, აქვთ საერთო მაღაზია, მხოლოდ სახელოსნო კი საერთო არ აქვთ. თითოული მუშაობს სადაც უნდა, შინ, გინდ სხვის სახელოსნოში, მხოლოდ მოვალეა დამზადებული ფეხსაცმელები მიიტანოს საერთო მაღაზიაში და იქ გაყიდოს. დღეში იჯენენ ქირას ოთხ ლირამდე.

კოოპერატივს აქვს ტყავის საწყობი, საიდანაც ეძლევა წევრთ საჭირო მასალა. წლიური აღებ-მიცემობა უდრის 30,000 ლ. დალაქთა კოოპერატივში შედის 12 წევრი; აქვთ სამი სახელოსნო. ინვენტარი უდრის 3183 ლირ. მართვა-გამგეობაზე იხარჯება 312 ლ. წელიწადში, ქირა თვიურია; ამხანაგები ქირის მხრით იყოფიან სამ ხარისხათ: პირველი ხარისხის, ე. ი. საუკეთესო დალაქები იღებენ თვეში 75 ლ. თითო, მეორე ხარისხის—70 ლ. მესამესი—65 ლ. კერძო სადალაქოში ნაკლები ჯამაგირია. რაც ხარჯს და ჯამაგირს გადარჩება, ითვლება წმინდა მოგებათ, რომლის ერთი ნახევარი ემატება საათადარიგო თანხას, ხოლო მეორე ნახევარი ეძლევა წევრ და არა-წევრ მომხმარებელთ, მათ მიერ გაკეთებულ სამუშაოს და ქირის რაოდენობის მიხედვით. 1909 წ. მთელი აქტივი უდრიდა 4625 ლ., პასივი—3695 ლ. წმინდა მოგება დარჩათ 930 ლ. წინა წელს მოიგეს 1230 ლ. საწევრო გადასახადია 48 ლ., შესატანია თვიურათ ნახევარ—

ნახევარი ლირა. გარდა ამისა ერთდროებითი, ჩასაწერი, გადასახადია 4 ლ., რომელიც გადადის სათადარიგო თანხაში. რეჯიოს გვერღით მდებარე სოფელში, სანპროსპეროში, შემდეგი კოოპერატივებია:

1. **მეცემენტეების კოოპერატივი.** წევრია 53, არსებობს 8 წელიწადი; ქირას იღებენ 40—43 სან. საათში, მუშაობენ 12 საათს, ამაში ორი საათი ეძლევათ სადილისთვის. მუშაობენ მხოლოდ წევრები, გარეშეთ ვერ დაიქირავებენ. რასაკვირელია, ყოველთვის არ არის 53 კაცის საყოფი სამუშაო, ამიტომ ბევრი გარეთ მუშაობს, მარა საზოგადოების ანგარიშზე კი. საზოგადოება ცდილობს მოიპოვოს სამუშაო არა მარტო თავის სახელოსნოში, არამედ გარედაც, სადაც გზავნის თავის წევრთ სამუშაოთ. 1908 წ. აღებ-მიცემობა უდრიდა 75,000 ლ. წმინდა მოგება დარჩათ 7,000 ლ.

2. იქვე არის **ფურგალთა კოოპერატივი** 60 წევრით. უპერია კარგა დიდი სახელოსნო ყოველნაირი მანქანით და ხელსაწყოთი, მუდმივ მუშაობს შიგნით 45 წევრი. 15 მუშაობს გარეთ საზოგადოების იჯარებზე. ქირას იღებენ საათში 40—45 ს. მუშაობენ დღეში ათ საათს. 1908 წ აღებ-მიცემობა უდრიდა 118,000 ლ. დარჩათ 5,000 ლ. მოგება. საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხდება თანახმათ მაზანდისა.

3. **კოოპერატივი რკინის მოხელეთა.** წევრია 60, არსებობს 14 წელიწადია, ქირა 40 სან. საათში. სამუშაო დღე ათი საათია; 1909 წ. აღებ-მიცემობა უდრიდა—211.000 ლ., დარჩათ—10.000 ლ. მოგება. კოოპერატივს აქვს განსაკუთრებითი ფონდი ავათმყოფ წევრთა დასახმარებლათ. მოგების დიდი ნაწილი იხარჯება საქმის გაფართოებაზე. სახელოსნო შორიდან ფაბრიკა გეგონებათ, ისეთი დიდია და იმდენ მანქანათა გრიალი მოისმის.

4. **კოოპერაცია ჩამომსხმელთა** („ლიტეიშჩიკთა“). წევრია 12, არსებობს 1908 წლიდან. ეს კოოპერატივი, მართალია, წინეთაც ყოფილა, მარა მაშინ წევრთა უმრავლესობა კლერიკალები იყვენ და საზოგადოებაც ხუცების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. შემდეგ დაიწყო „აზრთა ბრძოლა“, როგორც ერთმა მუშამ მითხრა. უმრავლესობა მიემხო სოციალისტთ, უმცირესობა (5) დარჩა ძველ წესზე. ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეხდინა ლიკვიდაცია, მაინც დეფიციტი იყო; დავაარსეთ ახალი საზოგადოება და ჩავეწერეთ შრომის ბირჟაში; ხუთი არ გამოგვყვა, მოგვშორდა და ხელობაც გამოიცვალეს, რომ ჩვენთვის კონკურენცია აღარ გაეწიათ (თანახმათ წესდებისა). მათ მიიღეს თავისი წილი. ხელობა რომ არ გამოეცვალათ—ვერაფერს მიიღებდენო. საწევრო გადახადია 1.000 ლ. უკვე შემოუტანია თითოს 400 ლირა. ქირა 32 სან. საათში; მუშაობენ 10 საათს დღეში.

5. **კოოპერატივი ეტლების მკეთებელთა** (კარეტნიკები), წევრია 14, არსებობს 10 წელიწადია, წლიური აღებმიცემობა უდრის 33.000 ლ., საწევრო გადასახადია 720 ლ., რომლის დასაფარავათ იდება წმინდა მოგების ნახევარი.

ყველა ამ კოოპერატივთა შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: მათ უჭირავთ დიდი ადგილი კოოპერატიული რკინის გზის სადგურის პირდაპირ. სამუშაოს ღებულობენ უმთავრესათ ამ რკინის გზიდან და აგრეთვე რეჯიოს სოციალისტურ მუნიციპალიტეტიდან. ყველა ამათ საანგარიშო დავთრები და კანცელარიები აქვთ ქალაქში, შრომის ბირჟაში ან სხვაგან. თავის თავათ ცხადია, რომ ესენი ვერ გაძლებდენ და ამდენ მოგებას ვერ ნახავდენ მათ სიახლოვეს რომ სხვილი ინდუსტრია იყოს. მარა რადგანაც ეს არ არის რეჯიო-ემილიაში, ამიტომ კონ-

კურენციაც მცირეა. სხვილი ინდუსტრიის მაგიერობას აი ეს კოოპერატივები ასრულებენ და წვრილ სახელოსნოთ დიდ კონკურენციას უწევენ. ასე რომ წვრილი სახელოსნოს პატრონნი ხშირათ იძულებულნი არიან გააუქმონ თავისი დამოუკიდებელი წარმოება და კოოპერატივში ჩაეწერონ წევრათ, თუ კი მიიღებენ. ერთი სიტყვით მრეწველობის სისუსტე ქმნის ნიადაგს სამრეწველო შრომის კოოპერატივისათვის. ეს გარემოება ქმნის აგრეთვე ძლიერ ბრძოლას კერძო ხელოსან-აღებსა და კოოპერატივებს შორის. კლერიკალები ჩვეულებრივათ ემხრობიან პირველთ და მათ თავის პარტიაში მიერეკებიან.

უფრო გავრცელებული და უკეთეს მდგომარეობაში არიან მეორე ნაირი (საიჯარო) შრომის კოოპერატივები. ნოველარის ბოგანოთა და მედროგეთა კოოპერატივს 150 წევრი ყავს, რომელთა შორის 40 მედროგეა. არსებობს 1897 წლიდან. ასეთ საზოგადოებათა ნიადაგს ამზადებს განსაკუთრებული ადგილობრივი პირობები. საქმე იმაშია, რომ აქაური ბარი (ვაკე) არ გავს არც ერთი ქვეყნის ბარს. რამოდენიმე ასი ვერსი ზღვამდე ბარი იმდენათ დაქანებული არ არის, რომ წყლები თავისი ინერციით მიდიოდეს კალაპოტში. აქ მდინარე ასე გგონიათ დგასო. ის მიწის მაღლა არის და ცოტა-დენი წვიმის დროს კალაპოტს შორდება და აქეთ-იქით მიდი-მოდის. მოსახლეობა და ყანობა შეუძლებელია ასეთ პირობებში. და აი, ამ მდგომარეობამ გამოიწვია დიადი კანალიზაცია. სამასი წლის წინეთ დაუწყიათ ხელოვნური კალაპოტების კეთება, დამბების და არხების გაყვანა, გზების წყლისაგან დაცვა და სხვ. ახლა მდინარეს ისეთი მაღალი მიწის კედლები აქვს, რომ გეგონებათ მდინარე კი არა—ჭაო, ძლივს ხედავთ მაღლი-

დან ქვემოთ წყალს. ეს ამოდენა კედელი აგებულია მიწის ზედა პირზე, რომ ამით შესაძლებელი გახდეს საჭიროების დროს წყლის გამოყვანა არხიდან სარწყავათ. ამ მიზნით ძირში კარებია გაკეთებული, რომლის გასაღები აბარია არხის მეთვალყურეს. როცა საჭიროა, ის გა ღებს კარს და წყალიც დ იწყებს დენას მინდორზე, სადაც პატარა არხებით მიყავთ საითაც ეჭირვებათ. ასეთ რთულ საარხო წესს მუშები უნდა, განსაკუთრებით გზების და არხების მკეთებელნი. ასეთი მუშები აქ ბევრია. წინეთ ისინი ქირაობდენ მოიჯარადრეთ; ახლა შეერთდენ კოოპერატივებში და თითონ არიან მოიჯარადრენიც და მუშებიც. მეორე მხრით, აქ ყველას არ ყავს ცხენი და ხარ-ურემი. ამიტომ არსებობს განსაკუთრებული ნაწილი მცხოვრებთა, რომელთაც ყავთ ცხენი დროგით ტვირთის გადასატანათ: მიწის, ქვის, საქონლის, ხე-ტყის და სხ. ხარ-ურმის პატრონნი არიან მეურნენი, მესაკუთრენი, რომელნიც ასეთი საქმეებისათვის თავის პირუტყვს არ მოაცლიან. მედროგეთ არა გააჩნიათ რა, გარდა თავისი დროგისა. ესენი წინეთ, ისე როგორც გზის მკეთებლები, მოიჯარადრეთ მიექირავებოდენ ხოლმე, ახლა თვით შეკრეს კოოპერატივი და მიჯარადრენი თავიდან მოიშორეს.

გარდა ამისა, არსებული კანონის ძალით კოოპერატივს ეძლევა უპირატესობა კერძო მოიჯარადრის წინაშე, თუ იჯარის ღირებულება ერთ მილიონ ლირას არ აღემატება; სოფელში იჯარები მილიონამდი ვერასოდეს ვერ აღწევს. ამან ერთნაირათ მოსპო იჯარადრები.

მიწის მუშაობა ნოველარაში არ არის იმდენი, როგორც მაგალითად სხვა სოფლებში, განსაკუთრებით სანკტა-ვიკტორიაში და სხვაგან. ამიტომ, როცა აქ სამი-

წათმოქმედო კოოპერატივი დაარსეს, შრომის კოოპერატივიდან ბოგანონი ამ ახალ კოოპერატივში გადავიდენ და ღლიურებათ გადაიქცენ. კოოპერატივში დარჩენ მხოლოდ მედროგენი. თუ კი რამე გზის სამუშაო გამოჩნდა, ეს კოოპერატივი ღებულობს და წინანდელ თავის ამხანაგთ აძლევს სამუშაოთ, ხოლო მედროგეთ მასალა გადააქვთ-გადმოაქვთ. აი კოოპერატივის ანგარიში:

1907 წ. შემოსულა მუშაობისაგან 20857 ლ., სხვადასხვა—138 ლ., სულ—20,995 ლ. გასავალი: ღლის ქირა—19,362 ლ., მდივანს—329 ლ., დაზღვევა—69, სამოგზავროთ — 386 ლ. და სხ. სულ—20,854 ლ., დარჩენილა—141 ლ.

1908 წ. შემოსავალი [1]) 10344 ლ. გასავალი: ქირა—9220, მდივანს—198, მოგზაურობა და ტრანსპორტი—354, დაზღვევა—92, სახლის ქირა — 30, პროპაგანდა—92 და სხ. სულ—10341, დარჩა—3 ლ.

აქაც მთავარი ყურადღება მიქცეულია სამუშაოს მოპოებაზე და შესაფერი ქირის მიცემაზე, მოგებას კი მცირე ალაგი უჭირავს.

ამავე სოფელში არის კალატოზთა კოოპერატივი, 35 წევრით. არსებობს 1904 წლიდან. კოოპერატივის მიზანია იჯარით აიღოს სახლების აგება; იჯარადრები ამ დარგში სრულიად გაქრენ. მას არ შეუძლია იმუშაოს სხვა სოფლის საზოგადოებაში, სადაც ამგვარი კოოპერატივი არის, უკანასკნელის ნებადაურთველათ. ასე რომ კოოპერატივთა შორის მოცილეობა მოსპობილია. ხშირათ დიდ სამუშაოს შესასრულებლათ რამდენიმე ახლო მახლო კოოპერატივი ერთდება და ერთათ მუშაობენ. კოოპერატივმა თავის წევრთ მისცა (წააგო 372) ღლის ქირა 1905 წ. 4237 ლ., 1906 წ.—7248 ლ., 1907 წ.—

[1]) მარტო მედროგეთა.

8300 ლ. [(წაგო 180 ლ.) (მოიგო 477)], 1908 წ. 9243 ლ. (მოიგო 1,168), 1909 წ. 11139 ლ. (მოიგო 155 ლ.). კოოპერატივის მდივანია მომხმარებელი საზოგადოების მდივანი, რომელიც მოგების დროს იღებს ცოტა რამეს, 150 ლირამდე წელიწადში, ხოლო წაგებისას არაფერს. ასე რომ საგამგეობო ხარჯი კოოპერატივს მცირე აქვს. ყველა აქაური კოოპერატივი, გარდა სამიწათმოქმედოსა, მოთავსებულია ერთ სადგომში, მომხმარებელ კოოპერატივთან ერთათ.

რიო-სალიჩეტოში არსებობს 1904 წლიდან მედროგეთა კოოპერატივი, წევრთა რიცხვია 16. მეტი მედროგე სოფელში არ არის. ყოველივე ტვირთი გადააქვს ამ სოფლიდან, ან თვით სოფელში ამ კოოპერატივს, გარდა მიწის ნაყოფისა, რაც გლეხებს გადააქვთ და თუ ესენი ვერ მოერევიან, მედროგეთ შეუძლიათ გადაიტანონ. საზოგადოთ, ერთი ცხენის პატრონი ნაკლებს მუშაობს, ვინემ ორი ცხენის და ნაკლებ ქირასაც ღებულობს. ასე რომ შეძლებული მედროგე, ორი, სამი და მეტი ცხენიანი ბევრს აიღებს, ერთ ცხენიანი კი ცოტას. უმრავლესობა ერთცხენიანებია. ქირის რაოდენობას ადგენს თვით კოოპერატივი და ამდენს აძლევს წევრთ. როცა სამუშაო ყველას არ ყოფნის, მუშაობენ რიგ-რიგობით. მეორე სოფლის მედროგეთაც შეუძლიათ იქიდან და აქედან წაიღ-წამოიღონ ტვირთი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში თუ ამ კოოპერატივის ტარიფის დაბლა არ მუშაობენ. ყველა მედროგეთა კოოპერატივს თავისი ადგილობრივი პირობების მიხედვით ტარიფი აქვს. რიოში შეიძლება ის ნაკლები იყოს, ნოველარაში მეტი, თუმცა მათ შორის დიდი მანძილი არ არის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად როგორ ღირს საკვები მასალა და ბინა. კოოპერატივები ერთმანეთს ვერ შეეცილებიან ქირის დაწევით,

თუმცა ერთი მეორის რაიონში შეუძლიათ იმუშაონ. აქ-
ცია ღირს 27 ლ., რომელიც იფარება თვიურათ ნახევა-
რი ლირის გადახდით. მოგების 40%. ემატება სათადა-
რიგო თანხას, 60% ურიგდება წევრთ გაკეთებულ სა-
მუშაოს მიხედვით. რიოს კოოპერატივი, მართალია, არსე-
ბობს კაი ხანია, მარა მოქმედება ფაქტიურათ დაიწყო 1908
წლიდან. ეს იმიტომ, რომ რიოს მუნიციპალიტეტი კლე-
რიკალების ხელში იყო და კოოპერატივს არ სცნობდენ
და არც რაიმე სამუშაოს აძლევდენ. უმუნიციპალიტე-
ტოთ კი ასეთ კოოპერატივს სიცოცხლე არ შეუძლია,
რადგან ყველაზე მეტი საზიდავი სამუშაო მუნიციპალი-
ტეტს აქვს. მართალია ნოველარაშიაც მუნიციპალიტე-
ტი არ სწყალობდა კოოპერატივს, მაგრამ ეს სოფელი
დიდია, ვაჭრობის ტენტრია, და კერძო საზიდავიც ბევ-
რია. რიოში არც ერთი ეს არ არის, თანაც მცხოვრებ-
ლები ორათაა გაყოფილი პარტიულათ; ერთი მეორეს არ
ეკარება, საზიდავი სამუშაო კი შეძლებულთ აქვთ, ესე-
ნი კლერიკალების ჯარია. 1908 წ. მუნიციპალიტეტი
დაიპყრეს სოციალისტებმა და მთელი თავისი საზიდავი
სამუშაო გადასცეს მედროგეთა კოოპერატივს. სამუნი-
ციპალიტეტო დროგები მოსპეს.

სანკტა-ვიკტორიაში, როგორც ვთქვით, ბოგანოთა
კოოპერატივი შეერთებულია სამიწათმოქმედო კოოპერა-
ტივთან, თუმცა ანგარიშები ცალ-ცალკე აქვთ. აქ მუდამ
ბევრი სამუშაოა გზებზე და არხებზე. სწორედ ამ სოფ-
ლიდან იწყება დიდებული საარხო მოწყობილებანი. მთე-
ლი ეს საქმე გადაცემული აქვთ კოოპერატივისათვის.
კოოპერაციაში შედის ყველა ადგილობრივი ბოგანო,
გარდა 50-სა, რომელნიც გარეთ დგანან და თუმცა სა-
არხო სამუშაოს მათ არ აძლევენ, მარა კლერიკალთა გავ-
ლენით კოოპერატივს მაინც არ ეკარებიან. მუშები კვი-

რაში ერთჯერ ღებულობენ ქირას. კოოპერატივს 1908 წ. შემოუვიდა 65585 ლ.

ამავე სოფელში არის კოოპერატივი კალატოზთა—17 წევრით და მედროგეთა—16 წევრით. საზოგადოთ მთელ რეჯიო-ემილიაში, არის 72 შრომის კოოპერატივი. მარტო რეჯიოში არის (ქალაქი და მიწერილი სოფლები) 18. ყველა ამათ ყავთ 8620 წევრი. მათი ფინანსიური მდგომარეობა ვითარდება ასე:

წელიწადი.	თანხა		თანხა სათადარიგო.	საერთო შემოსავალი.	წმინდა მოგება.
	ხელმოწერილი	შემოტანილი.			
1902	249497	89992	30867	796897	34932
1903	321648	142636	64500	1279850	85000
1904	374966	179202	77180	1295460	74000
1905	397377	185325	94220	1434607	69472

როგორც ხედავთ, შემოტანილი თანხა შედარებით შემოსავალთან ძლიერ მცირეა, რაც ერთბელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ კოოპერატივის საფუძველია არა შიგ ჩადებული ნაღდი ფული, არამედ საქმის წარმოება. შემდეგი წლების საერთო სტატისტიკა არ არის, მარა უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეს ერთი ორათ გაიზარდა. უძველესი კოოპერატივია რეჯიოს კალატოზების კოოპერატივი (დაარსდა 1889 წ.). შრომის ბირჟის მეთაურობით შრომის კოოპერატივებმა დაარსეს საერთო კავშირი (ანუ როგორ აქ ეძახიან, ფედერაცია), რომლის ბინაა შრომის ბირჟაში. კავშირის მიზანია: ა) ჩამოაგდოს მუდმივი დამოკიდებულება შრომის კოოპერატივთა შორის და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას ურთი-ერთ თანხმობის და კოოპერაციის უმაღლესი ინტერესის ნიადაგზე; ბ) გაუადვილოს მოკავშირე კოოპერატივთ სამუშაოს შოვნა და მისი შესრულება სპეციალური დახმარებით

და ისეთი დაწესებულების შექმნით, რომელსაც კავშირი ექნება სხვადასხვა დაწესებულებასთან; გ) მისცეს მათ ყოველნაირი რჩევა და დახმარება ანგარიშების, კანონებისა და სხვათა შესახებ, რომ მათი მოქმედება მიმდინარეობდეს კანონის და კარგი მართველობის ფარგლებში; დ) გახსნას საწყობი, ლაბორატორია, შეიძინოს საჭირო მასალები; ე) შეიმუშაოს სამუშაოს პროექტები ვ) და გადაჭრას უთანხმოებანი, რომელიც ატყდება კოოპერატივთა შორის. ყოველ კოოპერატივს, რომელიც მიწერილია შრომის ბირჟაზე, უფლება აქვს შევიდეს კავშირში. კავშირის საქმეებს განაგებს კავშირის გამგეობა, რომელიც შედგება კოოპერატივთა ყველა თავმჯდომარისაგან და აღმასრულებელი კომიტეტი, შემდგარი 5 წევრისაგან და დანიშნული გამგეობისაგან თავის წევრთა შორის. თითოული კოოპერატივის მოვალეობაა სამუშაო აიღოს კავშირის თანხმობით, რომ ამით მოისპოს ინტერესთან წინააღმდეგობა მის და მეორე თანამოძმე კოოპერატივს შორის. კოოპერატივი, რომელიც ჩაიდენს სხვა კოოპერატივის ან კავშირის საზარალო საქმეს, გასამართლებულ იქნება აღმასრულებელ კომიტეტის და, აპელაციის შემდეგ, გამგეობის მიერ. დამნაშავეს ჩამოერთმევა სამუშაო და აგრეთვე შეიძლება გაძევებულ იქმნას კავშირიდან. კავშირი არ დაიშლება მანამდი, სანამ შიგ რჩება ოთხი კოოპერატივი მაინც. თუ დაიშალა, ქონება გადაეცემა შრომის ბირჟას. კავშირმა დაარსა „ტეხნიკური ბიურო", რომლის სადგომი რეჯიოს შრომის ბირჟაშია. ბიურო დამოკიდებულია კავშირის აღმასრულებელ კომიტეტისაგან. ბიუროს მიზნია: შეადგინოს სამუშაოს პროექტები, შეისწავლოს გასაკეთებელი საქმე და ტარიფი, შეადგინოს საჭირო აქტები, უხელმძღვანელოს მუშაობას, გადასჭრას კოოპერატივთა დავა შესახებ სატეხ-

ნიკო კითხვებისა, აძლიოს კოოპერარივთ ქარტები, მოდელები, ნახატები—ყოველივე ის, რაც დაეხმარება სამუშაოს კარგათ შესასრულებლათ. დაეხმაროს კოოპერატივთ გადასაჭრელათ და გასარკვევათ იმ დავის, რომელიც შეიძლება ატყდეს მათ და სამუშაოს მომცემთა შორის ხელშეკრულობის და ტარიფის გარეშემო. შეადგინოს ნაწილ-ნაწილი და საბოლოო ანგარიში გათავებული იჯარისა. ბიუროს მეთაურია დირეკტორი, დანიშნული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შრომის ბირჟასთან შეთანხმებით. სხვა მოსამსახურე პირნი დაყენებულია კომიტეტის მიერ დირეკტორთან მეთანხმებით. შრომის ბირჟის შინაგანი წესები (რეგლამენტი) სავალდებულოა ტეხნიკურ ბიუროს მოსამსახურეთათვისაც. ბიუროს შემოსავალია მოკავშირე კოოპერატივთა გადასახადი, წევრზე 30 სანტ. წელიწადში. როცა ერთი ან მეტი კოოპერატივი ასრულებს დიდ საქმეს, რისთვისაც საჭიროა ბიუროს ხელმძღვანელობა, კოოპერატივი თუ კოოპერატივები იხდიან ბიუროს სასარგებლოთ განსაკუთრებულ გადასახადს, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია სამუშაოზე. ვინც ხვედრი გადასახადის შემოტანას დააგვიანებს, ის გამოირიცხება ბიუროს მოქმედების ფარგლიდან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, გამორიცხულს უფლება აქვს განასაჩივროს ეს კავშირის გამგეობაში. ბიუროს ბიუჯეტია 7,000 ლირამდე. დირეკტორს ეძლევა ჯამაგირათ 2,000 ლ. წელიწადში და კიდევ პროცენტები დიდფასიანი იჯარებისაგან; დირეკტორის თანაშემწეს—1200 ლ , წასვლა-მოსვლაზე იხარჯება 1,000 ლ. დანარჩენი საკანცელარიო და სხვა წვრილი ხარჯებია.

შრომის ბირჟის მიზანია შრომის კოოპერატივებისაგან შექმნას ისეთი მჭიდრო კავშირი საერთო მართვა-

გამგეობით, „სადაც თითოული კოოპერატივი თავს იგრძნობს როგორც წევრი ერთი დიდი ოჯახისა“!

29 კოოპერატივმა დაარსა ამხანაგობა და იჯარით აიღო კოოპერატიული რკინის გზის გაყვანა: ლიანდაგის დაგება, სადგურების აგება და სხ. ამხანაგობამ გამოუშვა 1671 აქცია, ღირებული 406619 ლირათ; ხელი მოაწერეს წევრებმა და უკვე შემოიტანეს 150,000 ლირა. რკინის გზის იჯარა აიღეს 3.600,000 ლ., რომელიც უნდა მიეცეს მათ ნაწილ-ნაწილათ. ამხანაგობაში შედიან ისეთი კოოპერატივები, რომელთა ხელობა მჭიდროთ დაკავშირებულია სარკინისგზო სამუშაოსთან: კალატოზები, დურგლები, რკინის მოხელენი, ზაინკლები, მედროგენი, მიწის მთხრელნი და სხ. ამხანაგობამ რკინის-გზის გამგეობას წარუდგინა გირაო ნახევარი მილიონი ლირა, რომელიც მან იშოვა კოოპერატიული ბანკის დახმარებით.

„ეს პირველი მაგალითია ასეთ დიდ სამუშაოს თავის თავზე იღებდეს მუშათა ამხანაგობა, ამიტომ ის იწვევს დიდ ყურადღებას და თანაგრძნობასო“. მთელს იტალიაში შრომის კოოპერატივი ითვლება 400-მდი.

აქვე ავღნიშნავთ მეორეგვარ კოოპერატივს, რომელიც თუმცა არსებითათ შრომის კოოპერაცია, მარა იტალიაში ის ცნობილია სხვა სახელწოდებით. ეს არის ჩალის მქსოველთა კოოპერატივი. რეჯიო-ემილიის ბარში იზრდება ბევრი ბზა და ძეწნა, რომელთა გათლილი ნაჭრები იხდება ჩალასავით თხელ ნაჭრებათ. ამ გახდილი ნაჭრებისაგან იქსოვება ქუდების ნაწილები და იყიდება ქუდების ქარხნებში, როგორც იტალიაში, ისე საზღვარგარეთ. მთელი ეს საქმე ხელში ქონდათ ჩაგდებული კერძო პირთ, ესენი ურიგებდენ სახდელ და საქსოვ სამუშაოს სოფლის ხალხს, მერე კრებდენ მოქსოვილს და ყიდდენ. შემდეგ სოფლელნი შეერთდენ და დაარსეს საზოგადოე-

ბები ამ საქმის უშუალაკოთ საწარმოებლათ. მუშაობა წარმოებს ზამთრობით, რადგან ზაფხულობით მეურნეობაში არიან ჩაბმულნი. კოოპერატივია ორნაირი: მამაკაცთა და დედა-კაცთა. პირველი იძენს საჭირო ხის მასალას და მას ხდის, ეს უფრო მძიმე საშვალებაა; მეორე ყიდულობს პირველისაგან გახდილ ნაჭრებს და ქსოვს და ყიდის ადგილობრივ ბაზარზე (კარპში). მაგ., სანკტ-ვიკტორიის მამა-კაცთა სახადი კოოპერატივი 79 წევრით წელიწადში ყიდის 26,000 ლირის დამზადებულ საქონელს; მასალა ულირს 12—13,000 ლ. თითო იჯენს დღეში 2 ლ. აქავეა დედა-კაცთა საქსოვი კოოპერატივი, 320 წევრით, რომელიც ქსოვს და ყიდის. ესენი დღეში იჯენენ სამ ლირამდე, ხანდახან ოთხსაც.

საზოგადოთ ამ ინდუსტრიას მოსდევს 54 საზოგადოება, რომლებშიაც შედის 5,000 წევრი; ამაში 600 მხდელია, 4400 მქსოველი. 1906 წ. ამათ დაარსეს კავშირი, რომელიც ჩაწერილია შრომის ბირჟაში. წლიურათ ისინი აკეთებენ 700,000 ლირის საქმეს. კავშირს ჯერ კიდევ არ აქვს იმდენი თანხა, რომ ქსოვილები გაიტანოს რეჯიო-ემილიიდან და ფაბრიკანტებს პირდაპირ მიაწოდოს. კავშირმა გახსნა რეჯიოში ერთი ასეთი ფაბრიკა, სადაც დღეში ათასამდი ჩალის ქუდს აკეთებენ. მისი მიზანია ყველა კოოპერატივი გადააქციოს ერთ დიდ კოოპერატივათ, ხელში ჩაიგდოს მთელი ეს საქმე და თვითონ გაიტანოს გარეთ გასაყიდათ. საზოგადოებათა ხელმოწერილი თანხაა 150 ათასზე მეტი, შემოტანილია 40 ათასამდე.

მილანის მსოფლიო გამოფენაზე გუალტიერის სახელ და რეჯიოს საქსოვ კოოპერატივებმა ჯილდოთ მიიღეს ოქროს მედლები. აქედან ცხადია, რა დიდი ყურადღებით ეპყრობიან შრომის ამ დარგს.

4. გლეხთა კოოპერატივი.

ყველა ზემოთ მოხსენებულ კოოპერატივთა მთავარი მატარებელია სოფლის პროლეტარიატი. მათ შორის მოიპოვებიან სხვა კლასის წევრნიც, მარა ძლიერ მცირე და ვერავითარ თავის განკერძოებულ დაღს მათ ვერ აჩენენ. პროლეტარი მასპინძელია, არა-პროლეტარი შემოსტუმრებული. სამაგიეროთ არის ისეთი კოოპერატივი, სადაც პროლეტარია სტუმარი, ხოლო მესაკუთრე მასპინძელი. ეს გახლავთ გლეხთა კოოპერატივი.

გლეხს, contabini, აქ უწოდებენ მცხოვრებთა შემდეგ სამ კატეგორიას: მცირე მესაკუთრეთ, მოიჯარადრეთ და მენახევრეთ. ყველა ამათ საერთო აქვთ ის, რომ მეურნეობას ეწევიან თავისი პირადი შრომით და პირად ანგარიშზე. ესენი დამოუკიდებელი მწარმოებლებია; არავის ექირავებიან და უმრავლესობა არც არავის ქირაობს. მათ შორის ულარიბესათ ითვლება მენახევრე, ვინაიდან მას არ აქვს არა თუ სამუშაო მიწა, არამედ საკმაო სამუშაო იარაღებიც, რასაც ის ღებულობს მიწასთან ერთათ მემამულისაგან. ამიტომ მას მამულის უღელი მძიმეთ აწევს, ის ვალდებულია მისცეს პატრონს შემოსავლის ნახევარი. მასზე უფრო შეძლებულია მოიჯარადრე, რომელიც იჯარით იღებს მხოლოდ მიწას და ამუშავებს საკუთარი იარაღებით. იჯარა განისაზღვრება ფულით და ემოჩჩილება საზოგადო მაზანდას. მცირე მესაკუთრეთ აქვთ საკმაო საკუთარი მიწა და სამუშაო იარაღები. მართალია, მათ შორის მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც მეტათ მცირე საკუთარი მიწა აქვთ და იძულებულნი არიან იჯარასაც მიმართონ, მაგრამ ასეთები ყოველ შემთხვევაში უმცირესობაა და ამ კლასის მთავარ

ძალას არ წარმოადგენენ. სამივე ამ კატეგორიას აქვს საკუთარი სახლ-კარი, მცირე გამოკლებით და ამით მიკრული არიან განსაზღვრულ სოფელზე. მას შემდეგ რაც მიწა გაძვირდა და კაპიტალისტურ მეურნეობამ გაიდგა ფეხი, მათი მდგომარეობა შეირყა და ძველი კმაყოფილება დაერღვათ. ისინი იძულებულნი გახდენ ანგარიში გაეწიათ შეცვლილი გარემოებისათვის, ინტენსიური მეურნეობა გაეძლიერებიათ და ბაზარსაც პირდაპირ დაკავშირებოდენ. მეორე მხრივ, საჭირო შეიქნა მემამულეთა მადისთვის საზღვარი დაედვათ და მათი ახალ-ახალი მოთხოვნილებები შეეგორკათ. და რადგანაც არც ერთი ეს თითოულს ცალ-ცალკე არ ძალუძს, მათი შეკავშირება და საერთო ძალ-ღონით საერთო ინტერესების დაცვა აუცილებელი გახდა. აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა გლეხთა კოოპერატივი და გლეხთა ლიგა.

პირველ ყოვლისა გავიცნოთ კოოპერატივის წესდება, საიდანაც დავინახავთ გლეხთა უმთავრეს მიზანს და ლტოლვილებას. აი ეს წესდება:

მუხ. 1. დაარსდა აქციონალური უსახელო საზოგადოება სახელწოდებით: კოოპერატიული საზოგადოება რეჯიო-ემილიის გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

მუხ. 2. საზოგადოების სადგომია ქ. რეჯიოში და დაარსებულია 25 წლის ვადით, რომლის გაგრძელება შეიძლება.

მუხ. 3. მისი მიზანია გლეხთა მდგომარეობის თანდათანი გაუმჯობესება. ამის მიღწევას ის ფიქრობს უძალმომრეოთ, არსებული კანონების ფარგლებში, მხოლოთ მუშათა დარწმუნებით და ძმობით.

მუხ. 4. წინა მუხლში აღნიშნულ მიზნის კომერციული მხარის განსახორციელებლათ საზოგადოება:

ა) აღებს საერთო საწყობს წევრთათვის მისაწოდებლათ იმ საქონელის და მასალებისა, რომელნიც საჭიროა მეურნეობის წაყვანისათვის (სასუქი, კვიპაროსი, გოგირდი, იარაღები, სამეურნეო მანქანები და სხ.)

ბ) ყიდის და ცვლის სამეურნეო ნაწარმოებს ისეთ ნაირათ, რომ რაც შეიძლება დაახლოოს ერთმანეთს მწარმოებელი და მომხმარებელი.

გ) იღებს საზოგადო დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან საწარმოებლათ მიწას, ტყეს და სხვ.

დ) აზღვევს ცეცხლისა, სეტყვის, და აგრეთვე პირუტყვის ავათმყოფობისაგან.

მუხ. 5. საზოგადოების თანხას შეადგენს: ა) წევრთა ხელმოწერილი აქციები, ბ) სათადარიგო თანხა, გ) ურთიერთ დახმარების კოლექტიური ფონდი. ის არის საზოგადოების სრული და განუყოფელი საკუთრება და არ შეიძლება მოხმარდეს ისეთ მიზანს, რომელიც ამ წესდებაში არ არის აღნიშნული. თანხა განუსაზღვრელია, აქციალირს 50 ლირა. აქცია სახელობითია, მისი გაყიდვა, ან გადაცემა არ შეიძლება გამგეობის ნებადაურთველათ.

მუხ. 6. სათადარიგო თანხას შეადგენს: ა) წმინდა მოგების 20%, ბ) ჩასაწერის გადასახადი, გ) გაძევებულ წევრთა ფული, დ) ახალი აქციების პრემიები და გადასახადები, ე) სხვადასხვა შემოსავალი.

მუხ. 7. კოლექტიური ფონდი შედგება წმინდა მოგების 40%. მისი დანიშნულებაა დახმარება აღმოეჩინოს წევრთ, რომელნიც იმყოფებიან საზოგადოებაში

არა ნაკლებ ორი წლისა და რაიმე ზარალი მიადგებათ ამ წესდების, ან კრების განჩინებათა მათ მიერ ასრულებით, დახმარება მიეცემათ თანახმათ განსაკუთრებითი რეგლამენტისა.

მუხ. 8. წევრათ მიიღებიან ბლეხი—მუშები: მენახევრენი, მოიჯარადრენი და წვრილი მესაკუთრენი, როგორც თავის, ისე სხვისი მიწის მომუშავენი, მიუხედავათ მათი პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა.

მუხ. 9. წევრათ ჩაწერისათვის საჭიროა შესაფერი თხოვნით მიმართვა ადგილობრივი სექციისათვის; თუ ადგილობრივ სექცია არ არის, მიმართვენ უახლოეს სექციას.

მუხ. 10. წევრი ხელს აწერს ერთ აქციაზე მაინც და იხდის ჩასაწერ გადასახადს—1 ლირას.

მუხ. 11. თითო აქციის ფულის შემოტანა ხდება ასე: ყველა მენახევრენი და მოიჯარადრენი, რომელნიც იხდიან იჯარას 800 ლირ. ნაკლებს და წვრილი მესაკუთრენი, რომელთა მიწის იჯარა ლირს 600 ლ. ნაკლები, შემოიტანებენ თვეში 25 სანტიმს. ყველა დანარჩენ მოიჯარადრეთ და წვრილ მესაკუთრეთ შემოაქვთ ნახევარ-ნახევარი ლირა თვეში. აქციის ფასში შეიძლება ჩაირიცხოს მოგება და დივიდენდი, სანამ აქცია განაღდებოდეს. როცა ერთი აქცია განაღდდება, წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კიდევ ორ აქციაზე, რომელიც გადახდება მისი ხვედრი მოგებისაგან. საზოგადოებას არ აქვს უფლება ეს ორი აქცია სხვა წყაროდან დაფაროს.

მუხ. 12. წევრი ვალდებულია დაიცვის ეს წესდება, შინაგანი რეგლამენტის და განჩინებების

საზოგადო კრების, საზოგადო გამგეობის და ცენტრალური კომიტეტის, და აგრეთვე საზოგადოების მიმართულება გააცნოს მუშათ ნივთიერი და ზნეობრივი სარგებლობა კავშირის და დაეხმაროს საზოგადოებას წინადადებით, რჩევით და ყოველივე საშუალებით, რითაც კი შეუძლია.

წევრს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ყოველნაირი საზოგადოების კარგათ გაძღოლა დამოკიდებულია არა მარტო მართველებზე, არამედ ყველა წევრზე. ისინი დაინახვენ მათი საზოგადოების აყვავებას მაშინ, როცა შეიგნებენ თავის მოვალეობას: თავის დროზე გადასახადის შეტანას, კრებებზე მონაწილეობის მიღებას, ნიჭიერი და პატიოსანი მართველების დანიშვნას და მათი მოქმედების ყურის გდებას.

მუხ. 13. წევრი პასუხს აგებს საზოგადოების მაგიერ თავისი ხელმოწერილი აქციებით.

მუხ. 15. წმინდა მოგება ნაწილდება ასე: 20 % სათადარიგო თანხას, 40 % წევრთ ნაყიდ საქონლის მიხედვით, 40 % კოლექტიურ ფონდს.

მუხ. 17. წევრი კარგავს წევრის უფლებებს, თუ მას ხვედრი გადასახადი არ შემოაქვს თავის დროზე და ოთხი თვის განმავლობაში, შემდეგ გახსენებისა, თავის ანგარიშს არ ასწორებს. მას შეუძლია დაიბრუნოს ეს უფლებები ხელ-ახალი შემოტანით ჩასაწერი გადასახადის და ანგარიშის გასწორებით. თუ უფლების დაკარგვიდან გავიდა ერთი წელიწადი და წევრი არ შემობრუნებულა—ის ირიცხება საზოგადოებიდან და ეკარგება ყოველივე უფლება შემოტანილ თანხაზე, რომელიც საათადარიგო თანხას ემატება.

მუხ. 18. წევრს შეუძლია თავის ნებით გავიდეს საზოგადოებიდან, გარდა სავაჭრო დებულების მე-158 მუხლში მოხსენებული შემთხვევებისა, კიდევ შემდეგ შემთხვევებში: როცა ის აღარ ამუშავებს თავის მიწას; როცა ეწვია უბედურება და გახდა დღიურათ ან შინამოსამსახურეთ, როცა პროვინციიდან სახლდება. ამ შემთხვევებში მას უბრუნდება ყველა შემოტანილი თანხა, გარდა ჩასაწერი გადასახადებისა და პროცენტებისა, თუ მას თანამდებობა ეჭირა.

მუხ. 19. სექციათა გამგის მოვალეობაა მეგობრულათ ჩააგონოს წევრს, რომელიც რაიმენაირაო შეურაცხყოფს საზოგადოების ღირსებას. წევრი, რომელიც მიაყენებს ზარალს საზოგადოებას ან დაისჯება უპატიოსნო დანაშაულობისთვის, განიდევნება საზოგადოებიდან და ეკარგება წევრის ყოველივე უფლება. წევრის გამორიცხვას და განდევნას წყვეტს გამგეობა.

მუხ. 20. გამოსარიცხავ ან გამოსადევნ წევრს უფლება აქვს დაესწრას გამგეობის სხდომას და დაიცვას თავის თავი პირადათ. გამორიცხვა და განდევნა წევრს ეცნობება დაზღვეული წერილით სამი დღის განმავლობაში შემდეგ განჩინების გამოცხადებისა.

მუხ. 21. საზოგადოების საქმეებს განაგებენ: წევრთა საზოგადო კრება, სექციები, მთავარი გამგეობა, ცენტრალური კომიტეტი და სარევიზიო-კომისია.

მუხ. 22. საზოგადო კრება არის საზოგადოების დამფუძნებელი და შედგება ყველა წევრისაგან, რომელიც თავ-თავის დროზე იხდის საწევრო გადასახადს.

მუხ. 24. კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწრას. ხოლო თუ კრების საგანია შეცვლა წესდების, საზოგადოების მიზნის და მიმართულების, ამ შემთხვევაში კრების კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება წევრთა ნახევარზე მეტის. თუ კრება არ შედგა, ის ხელმეორეო „დაინიშნება შემდეგ კვირას და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწრას.

სექციები (განყოფილებები).

მუხ. 25. საზოგადოება შედგება პროვინციის ყველა სექციისაგან, რომელიც კი მიემხრობა ამ წესდებას.

მუხ. 26. სექციის დაარსება შეიძლება თითოულ დაბაში, სოფელში და სამრეველოში.

მუხ. 27. სექციას უნდა ყავდეს 5 წევრი მაინც. 5 წევრზე ნაკლებიანი ჯგუფი შედის უახლოეს სექციაში.

მუხ. 28. სექცია ყოველ წელიწადს ირჩევს თავის წევრთა შორის გამგეს, რომელიც იმავე დროს ასრულებს ხაზინადრის ბოვალეობას, მდივანს და დელეგატს. გამგის ერთი მოვალეობათაგანია გამოართვას წევრს ჩასაწერი გადასახადი და ხვედრი თვიური შემოსატანი. ის შეკრებულ ფულსა და ანგარიშს ყოველ წელიწადს, ივნისისა და დეკემბრის შუა, წარუდგენს საზოგადოების ხაზინადარს.

მუხ. 29. განყოფილება მუდმივ დამოკიდებულებაშია ცენტრალურ კომიტეტთან და იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.

მთავარი გამგეობა.

მუხ. 30. მთავარი გამგეობა შედგება იმდენი წევრისა-

საგან, რამდენი სექციაც არის. უკანასკნელნი ირჩევენ დელეგატებს გამგეობაში. განყოფილება, რომლის წევრთა რიცხვი 50 მეტია, ირჩევს ორ დელეგატს.

მუხ. 31. მთავარი გამგეობის საგანია: ა) მიიღოს გადაწყვეტილება საწყობის ‘ბ აღებმიცემობის შესახებ, ბ) განიხილოს და დაამტკიცოს შინაგანი საგანგებო წესები; გ) დანიშნოს მოსამსახურე პირებისა; დ) გადაწყვიტოს საკითხი, შესახებ სააღებმიცემო ხელშეკრულებისა და საქონლის გაცემისა, ე) გადაწყვიტოს ყველა კითხვები შესახებ შინაგანი წესებისა, ვ) და საზოგადოთ იმსჯელოს ყოველივე იმაზე, რაც შედის ცენტრალურ კომიტეტის და საზოგადოების განხილვაში.

მუხ. 32. მთავარი გამგეობა იკრიბება თავმჯდომარის ან ძისი მოადგილის მიერ ჩვეულებრივათ ყოველი თვის პირველ კვირას, არა-ჩვეულებრივათ-საჭიროებისამებრ, ან და ათი წევრის მოთხოვნისამებრ. კრება კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წევრია გამოსარიცხავი; კრება ხდება მაშინ თანახმათ 24 მუხ. დელეგატი, რომელიც არ დაესწრება ზედი-ზედ სამ სხდომას და არც გასამართლებელ საბუთს წარმოადგენს, ცხადდება გამოსულათ და მის ალაგას არჩეულ იქნება მეორე— მისი განყოფილების პირველსავე სხდომაზე.

ცენტრალური კომიტეტი.

მუს. 33. ცენტრალური კომიტეტი შედგება 9 წევრისაგან: თავმჯდომარის, მისი ამხანაგისა და ოთხი წევრისაგან; პირველ ორს ირჩევს წევრთა სა-

ზოგადო კრება, დანარჩენთ — მთავარი გამგეობა. ცენტრალური კომიტეტი ირჩევს მდივანს, ხაზინადარს და ეკონომს, რომელნიც შეიძლება იყვენ არა წევრნიც და აქვთ კომიტეტში სარჩევი ხმის უფლება. კომიტეტი იკრიბება ყოველ ორ კვირაში ერთხელ, არაჩვეულებრი კრება ხდება საჭიროებისამებრ. კომიტეტის წევრნი, რომელიც კრებას არ დაესწრებიან სამჯერ ზ-დი-ზედ და არც გასამართლებელ საბუთს წარმოადგენენ, ცხადდებიან კომიტეტიდან გამოსულათ.

მუხ. 34. კომიტეტის მოვალეობაა: ა) საქონლის ყიდვა-გაყიდვა და ფასების დაწესება, ბ) განხილვა და შემოწმება თვისებების: საქონლის, მანქანებისა და იარაღების, რომელიც ხელშეკრულობის საგანია, გ) დამოკიდებულების დაჭერა საჭირო გასაყიდ ნივთების მწარმოებელ და მომხმარებელ ცენტრთან და თვალ-ყურის დევნება მათი ფასებისათვის; შედგენა წლიური ბალანსის და ფინანსიური და საზოგადო მოხსენების; დ) შედგენა შინაგანი საგამგეობო წესების მთავარ გამგეობაში წასადგენათ და ყურის გდება განყოფილებებში სხვანაირათ არ იმოქმედონ, ე) წარდგენა ცნობებისა და რჩევის საზოგადოების დაწესებულებებში, ვ) შედგენა და შენახვა სტატისტიკისა შესახებ გლეხთა რიცხვისა და მათი მდგომარეობისა პროვინციის სხვადასხვა სოფლებში; ზ) შედგენა სიის, სადაც აღნუსხული უნდა იყოს მემამულეთა მოთხოვნილებანი გლეხებისადმი და გლეხების—მემამულეებისადმი; ჰ) თაოსნობა ახალი განყოფილებების დაარსებაში და გავრცელება

სოლიდარობისა და ძმობის პრინციპებისა; თ) მიღება შესაფერი ზომების იმ შემთხვევებში, როცა განყოფილება ანუ სექცია განსაცდელში ვარდება და დახმარებას საჭიროებს, ი) მოწვევა ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი საზოგადო კრებისა, თანახმათ ამა წესდებისა.

მუხ. 35. თავმჯდომარეს აქვს ფირმის საბუთები და ბეჭედი. ის არის საზოგადოების წარმომადგენელი, თვალყურს ადევნებს საქმის რიგიანათ წაყვანას, ადგენს დღის წეს-რიგს, ხელს აწერს გამგეობის ერთ წევრთან ერთათ ფულის საბუთებს და მდივანთან ერთათ საზოგადოების ყველა აქტს, იწვევს კრებას მთავარი გამგეობის და ცენტრალური კომიტეტის თანახმათ ამა წესდებისა, თავმჯდომარეობს ყველა სხდომას და წლის გასულს ადგენს მოხსენებას საზოგადოების საქმეთა შესახებ.

მუხ. 36. სასამართლოში საზოგადოების წარმომადგენელი ინიშნება მთავარი გამგეობის მიერ.

მუხ. 37. თუ თავმჯდომარე ვერ გამოცხადდა, მის მაგიერობას სწევს მისი ამხანაგი ან უძველესი წევრი.

მუხ. 38. ხაზინადარი განაგებს საზოგადოების კასას, და მოვალეა მოსთხოვოს სექციებს ხვედრი საწევრო ფულის შემოტანა; მას უნდა ქონდეს ანგარიშები ყოველდღიურათ და ნათლათ და ის წარუდგინოს მოთხოვნისთანავე მთავარ გამგეობას და სარევიზიო კომისიას, ყველა შემოსავალ-გასავალის გასამართლებელი საბუთებით.

მუხ. 39. მდივანი ადგენს ოქმს სხდომისას, როგორც საზოგადო კრების, ისე მთავარი გამგეობისა და

ცენტრალური კომიტეტის, აქვს ყოველდღიური სია, სადაც აღნუსხულია აღებ-მიცემობის მდგომარეობა, ადგენს ყოველ წელს აღწერილობას, ხელს აწერს თავმჯდომარესთან ერთათ საზოგადოების აქტებს, მართავს მიწერ-მოწერას და სხ.

მუხ. 40. მთელი ანგარიშები ჩაბარებული აქვს მდივანს, რომელსაც ენიშნება ჯამაგირი საზოგადოების მდგომარეობის და შეძლების თანახმათ.

მუხ. 41. ეკონომის მოვალეობაა გამოიანგარიშოს თავმჯდომარესა და ხაზინადართან ერთათ რამდენი საქონელია გამოსაწერი, მიიღოს ამის შესახებ ზომები, მოუაროს ინვენტარსა და საწყობს.

მუხ. 46. ლიკვიდაციის შემდეგ მთელი ქონება უნდა გადაეცეს შრომის ბირჟას, თუ ის იმ დროს იარსებებს, ან კოოპერატივთა ადგილობრივ ფედერაციას იმ პირობით, რომ ის გადაეცემა პირველ საზოგადოებას, რომელიც კი შედგება რეჯიო-ემილიაში იმავე მიზნით, როგორც ჩვენია.

კოოპერატივი მიწერილია შრომის ბირჟაზე. ასეთია წესდება.

პირველათ იწყეს განყოფილებების დაარსება ერთიმეორის დამოუკიდებლათ. 1899 წ. ასეთი განყოფილება იყო 14; როცა მათი რიცხვი 1902 წ. ავიდა 50-მდე, მაშინ დაარსდა ამათი კავშირი ანუ კოოპერატივი ზემოთ მოყვანილი წესდებით. ამ ჟამათ კოოპერატივს ყავს 1500 წევრი, დანაწილებულნი 75 სექციაში. კოოპერატივს აქვს საკუთარი სამ სართულიანი შენობა რეჯიოში, პირველი სართული საწყობათ არის გადაქცეული. აქ თავმოყრილია ყოველგვარი სამეურნეო საქონელი, როგორც იარაღები და მანქანები, ისე სასუქი, ყურძნის წამალი, ხორბალი, ბრინჯი და სხვა გასაყიდი ნაწარმოები. მეორე

და მესამე სართული უჭერია კანტორასა და კრების ზალებს. აქ თქვენ ნახავთ ცნობილ კოოპერატორების და სოციალისტების სურათებს. ყველაზე უფრო პოპულიარული რეიხიო-ემილიაში რეიხიოს დეპუტატი სოციალისტი რამპოლინი უნდა იყოს; ისეთი კოოპერატივი არ მინახავს, რომ მისი სურათი არ იყოს ჩამოკიდებული. რამპოლინი ერთი უძველესი დეპუტატია და მას მუდამ ირჩევს რეიხიო. კოოპერატივს ყავს ჯამაგირიანი შვიდი მოსამსახურე, პროვინციის ოთხ სხვადასხვა კუთხეში გახსნილი აქვს თავისი საწყობები. მეთაურები აქაც სოციალისტებია. მდივანმა მითხრა: ჩვენი ახლანდელი თავმჯდომარე არ არის სოციალისტი, მარა არც ანტი-სოციალისტია. საზოგადოებაში ყოველგვარი რწმენის ხალხია, გარდა კლერიკალებისა; უმრავლესობა კი სოციალისტებს ემხრობა, თვარა შრომის ბირჟაში ხომ არ ვიქნებოდით ჩაწერილი. ჩვენც ისე ვემორჩილებით ბირჟის დირეკტივებს, როგორც სხვა კოოპერატივებიო... აი საზოგადოების ბალანსი:

1905 წ. აქტივი: კასა—6163 ლ., საწყოპში—9884, მოძრავი—1273, წევრთ—3298. აქციები საზოგადოებისა ჯ ბანკების—1820, სხვადასხვა დებიტორები—28406. პორტფელში—29112, წევრნი-მუშტარი—92840, წვრილმანი—510 ლ. სულ—173307 ლ.

პასივი: ძირის თანხა—29.250 ლ., სათადარიგო თანხა—4.325 ლ., კოლექტიური თანხა—6.117 ლ., კრედიტორები—103.909 ლ., გადასახადი თამასუქები—25.200 ლ., წმინდა მოგება—4.506 ლ., სულ—173.307 ლ. საერთო შემოსავალი საქონლიდან—11.676 ლ., პროცენტები—364 ლ., სულ—12.040 ლ. დაიხარჯა: გადასახადები (სახელმწიფო და მუნიციპ.)—745 ლ., სახლის ქირა—343 ლ., ჯამაგირები—2.741 ლ., გადა-

სატანი (საქონლის)—862 ლ., მი'ვლა-მოსვლა—831 ლ., ანალიზი—259 ლ., გათბობა-განათება—106 ლ.; კანცელარია და სტამბა—704 ლ., ფოსტა და ტელეგრაფი—309 ლ., მოძრავი ქონების ღირებულების 10% დაკლება—141 ლ., დაგვიანებული დებიტორების 20% დაკლება—127 ლ., სხვადასხვა—361 ლ., წმინდა მოგება—4.506 ლ., სულ—12.040 ლ. 1906—1907 წ. წ. (შუა ივლისამდე).

აქტივი: კასა—5.950 ლ., უძრავი ქონება—51.525 ლ., მოძრავი და იარაღები—1.988 ლ., საწყობი—66.814 ლ., წევრნი-მუშტარნი—165.965 ლ., სხვადასხვა დებიტორები—31.201 ლ., დაგვიანებული დებიტორების 20% დაკლება—408 ლ., თამასუქები—144.899 ლ., წვრილმანი—52 ლ., სულ—468.803 ლ.

პასივი: ძირის (ხელმოწერილი) თანხა—31.950 ლ., სათადარიგო—5.479 ლ., კოლექტიური—7.920 ლ., გასასტუმრებელი თამასუქები—106.540 ლ., სხვადასხვა კრედიტორები—311.862 ლ., წმინდა მოგება—5.053 ლ., სულ—468.803 ლ.

საერთო შემოსავალი—24.868 ლ., ხარჯები: ჯამაგირები—7.568 ლ., გადასახადები—1.927 ლ., გადასატანი—3.923 ლ., და სხ. სულ—19.815 ლ., დარჩა—5.053 ლ.

საქონლის მოძრაობა: ქიმიური სასუქი (ფოსფატი) უყიდიათ—228.924 ლირის, გაუყიდიათ—233.796 ლირათ. დარჩენილა გაუყიდავი—220 ლ., მოუგიათ—5.093 ლ., კვიპაროსი უყიდიათ—340.780 ლ., გაუყიდიათ—333.262 ლ., დარჩენილა—13.124 ლ., მოუგიათ—5.606 ლ. გოგირდი უყიდიათ—65.164 ლ., გაუყიდიათ—64.706 ლ., დარჩენილა საწყობში—4.879 ლ., მოუგიათ—4.421 ლ. სათესლე ხორბალი უყიდიათ—7.158 ლ., გაუყი-

დიათ—7.501 ლ., დარჩა—197 ლ., მოუგიათ—539 ლ. სხვა თესლები—20149, გაუყიდიათ 21917 ლირათ. მოუგიათ—1768, აბრეშუმის პარკი უყიდიათ—116209 ლ., გაუყიდიათ—79506, საწყობში დარჩენილა—36703, ვერაფერი ნოუგიათ; სამეურნეო მანქანა უყიდიათ—6129, გაუყიდიათ—4943, დარჩენილა—1335, მოუგიათ—935 ლირა და სხ. და სხ. სულ უვაჭრიათ—22 თავი საქონლით, რომელთა შორის მხოლოდ პარკი და მუხუდო უყიდიათ გლეხებისაგან გარეთ გასატანათ, სხვა ყველა ნაყიდია გარეთ გლეხებისათვის მისასყიდათ. სულ უყიდიათ—956849 ლირის, გაუყიდიათ—914902 ლ. საწყობში დარჩენილა გაუყიდავი—66814, მოუგიათ—24868 ლ.

1909—09 (18 ივლ-დე). აქტივი ყოფილა—571174 ლ. პასივი—568207, წმინდა მოგება—2966 ლ. საერთო მოგება დარჩენილია—27893. ამ წელს განსაკუთრებით უმატია ძირის თანხას—63200 ლ., რაც ნიშნავს ბევრი აქციის გასაღებას. აგრეთვე კოლექტიური ფონდი ასულა—12084 ლ., ხოლო სათადარიგო თანხა—9965 ლ.

სექციებში საკუთარ ანგარიშს არ ადგენენ და არ აცხადებენ. მათი მცირე ხარჯები შედის საერთო ანგარიშში. ისინი კრებენ ცნობებს, ვის რამდენი სამეურნეო საქონელი ეჭირვება და რა ფასებში, ამას ატყობინებენ მთავარ გამგეობას, რომელიც მათ უგზავნის დაკვეთილ საქონელს მუშტრებისათვის გადასაცემათ.

მთელ იტალიაში ასორმოცამდი გლეხთა სამეურნეო კოოპერატივია. ყველა ესენი მიწერილია ადგილობრივ შრომის ბირჟებზე და შედიან იტალიის კოოპერატივთა ლიგაში, მაშასადამე, ემხრობიან მუშათა საერთო მოძრაობას. რასაკვირველია ამათ გარდა არსებობენ კიდევ სხვადასხვა სამეურნეო კავშირი, რომელშიაც შედიან სა-

შუალო შეძლების გლეხები. მაგ. სოფ. მონტეკიოში ვნახე ერთი ასეთი საზოგადოება, რომლის თითოეულ წევრს ეკუთვნის 50—100 ბიოლკი მიწა და ამუშავებენ დაქირავებულ მუშების დახმარებით. კავშირის მიზანია—ერთათ გამოწერა სამეურნეო იარაღების და მასალების. მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს გლეხთა კოოპერატივთან, პირიქით, ის ადგილობრივ მემამულეთა მთავარი შტაბია, სადაც მუშავდება პლანი მუშებთან საბრძოლველათ, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ-მუნიციპალურ ნიადაგზე. ის სოფლის ბურჟუაზიის ორგანიზაციაა და სახელათ ქვია არა კოოპერატივი, არამედ „აგრარიული ამხანაგობა“ (consorzio agraria). კოოპერატივის სახელიც კი ჭირივით ეჯავრებათ.

არის კიდევ გლეხების კოოპერატივი, რომლის საგანია არა მიწის ნაყოფი და მიწათ-მოქმედება, არამედ ძროხის მოშენება და რძის მეურნეობა. თუმცა ასეთ კოოპერატივს აქ არ უწოდებენ გლეხთა კოოპერატივს, მარა არსებითათ ის ამნაირია, ვინაიდან მისი წევრები გლეხები არიან და შეიცავს გლეხის მეურნეობის ერთ დარგს. ამიტომ მას ჩვენ აქვე გავეცნობით.

იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც ძროხა არ ყავდეს, ერთი მაინც. წინათ რძეს ხმარობდენ ოჯახში შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, შემდეგ როცა ყველაფერი ფულის სასწორზე გადაიტანეს, რძეს ყიდდენ კერძო პირებზე, რომელთაც ყველის ზაოდი ქონდათ და ნაყიდი რძისაგან ყველს აკეთებდენ. ასეთი ზაოდები ძლიერ გაბშირდა უკანასკნელ ოც წელში. ადგილობრივი შეძლებული მემამულე ჩვეულებრივათ იმავე დროს ყველსაც აკეთებდა და გაქონდა გასაყიდათ შორეულ ქალაქებში და საზღვარ-გარეთაც. რძის ფასებსაც ის აწესებდა და გლეხები იძულებული იყვენ ამას და-

მორჩილებოდენ. როცა დაიწყო კოოპერატიული მოძრაობა, გლეხებმაც მოინდომეს კერძო მეყველეთა უღლისაგან განთავისუფლება და შეუდგენ ყველის კოოპერატიულ ზოდების გახსნას. ეს ისეთი ხელსაყრელი შეიქნა, რომ ამ მოკლე დროში ძლიერ გამრავლდა ჯ ახლა იშვიათია ისეთი საზოგადოება, სადაც ერთი ამგვარი კოოპერატივი მაინც არ არსებობდეს. ყველა ამათ თავ-თავისი წესდება აქვთ, რომელნიც ცოტათი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ჩვენ აქ გავეცანით პატარა სოფელს, სან-ჯიოვანის, ყველის კოოპერატივის წესდების ზოგ მუხლებს. აი ეს მუხლები: კოოპერატივის მიზანია მოაგროვოს წევრებისაგან რძე და მოიხმაროს ის, დამოკიდებულება იქონიოს, რამდენათაც კი შეიძლება, მუშტართან, როგორც შიგნით, ისე საზღვარ-გარეთ; ამ მიზნით შეუერთდეს ასეთ კოოპერატივთა კავშირს, თუ ის არსებობს, გამართოს სავაჭრო დამოკიდებულება პირდაპირ, უშუალოთ, და ამ გზით მისცეს წევრთ რძის ნამდვილი ფასი და მით წაახალისოს ისინი გააუმჯობესონ პირუტყვის მოშენება, იყოლიონ საუკეთესო ჯიშის ძროხები და ასე განავითარონ მეურნეობის ეს მიუცილებელი დარგი.—

საზოგადოების წევრათ მიიღებიან იურიდიულათ სრულ უფლებიანნი, პატიოსანნი და ზნეობიანნი, რომელთაც ამასთანავე ყავთ ძროხა ირგვლივ სამი კილომეტრის მანძილზე და მათი ინტერესი არ არის საზოგადოების ინტერესის წინააღმდეგი.

— წევრი ვალდებულია შეიძინოს იმდენი აქცია, რამდენიც ძროხა ყავს და ჩააბაროს კოოპერატივს მთელი რძე, გარდა იმისა, რასაც ოჯახის საჭიროებისათვის იტოვებს.—წევრს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია რძე მიყიდოს სხვა კოოპერატივს ან კერძო პირთ, თუნდაც ამით დროებით მეტ სარგებლობას ღებულობდეს.

მას არ შეუძლია ასევე მოიხმაროს სხვა წევრის ან არა-
წევრის რძე. ამ მუხლის დამრღვევი დაისჯება პირველათ
50 ლირა ჯარიმით თითო აქციაზე, მეორეჯერ კი 100
ლირით დაჯარიმებით და საზოგადოებიდან გამორიცხვით.
სხვა დარგის კოოპერატივები და იურიდიული საზოგა-
დოებები მიიღებიან წევრათ, მარა მათ უნდა დანიშნონ
თავისი წარმომადგენელი, რომელიც აქციონერიც უნდა
იყოს. წევრს არ შეუძლია შეიძინოს 150 აქციაზე მეტი.-
გამგეობას უფლება აქვს გამორიცხოს საზოგადოებიდან
ისეთი წევრი: ა) რომელიც განგებ მოიტანს ყალბ რძეს ან
ნარევს თხასა და ცხვრის რძით, აგრეთვე ავათმყოფი ძროხის
რძეს ან და ხბოს ყოლის შემდეგ პირველი ხუთი დღის
რძეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამგეობა ასეთ რძეს
სცნობს საკმაო საღათ გადამუშავებისათვის, ბ) რომელიც
დასჯილ იქნება სიყალბის, შანტაჟის, მოყიდვისა და ქურ-
დობისათვის, გ) და რომელიც ზარალს მიაყენებს საზო-
გადოებას რითაც უნდა იყოს. ამ მიზეზებით გამორიცხუ-
ლი წევრი კარგავს აქ თავის აქციებს სათადარიგო თან-
ხის სასარგებლოთ. გამორიცხულ წევრს შეუძლია მი-
მართოს საბოლოო მსჯავრის დასადებათ მედიატორეთ
კომიტეტს.—წევრს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან,
თუ ის გადადის საცხოვრებლათ კოოპერატიულ საყვე-
ლედან სამ კილომეტრზე მეტის დაშორებით და ან გა-
დაიქცევა შინამოსამსახურეთ ან მოსამსახურეთ. ამ შემთ-
ხვევაში ის ღებულობს კოოპერატივიდან სრულ ანგა-
რიშს.—წმინდა მოგების 20% ემატება სათადარიგო თან-
ხას, 80%, განაღდებულ აქციას პროცენტის (არა
უმეტესი 6-სა) გამოკლებით, ეძლევა წევრთ მოტანილი
რძის რაოდენობის მიხედვით.—თითო წევრს თითო ხმა
აქვს, თუნდაც წევრი საზოგადოება იყოს.—საზოგადო
კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო წევრთა ერთი მე-

სამედი მაინც.—საზოგადო კრება, გარდა სარევიზიო კომისიისა, ირჩევს კიდევ მედიატორეთა კომიტეტს, სამი პირისაგან შემდგარს, სამი წლის ვადით; ორი მათგანი მაინც უნდა იყვენ საზოგადოების წევრნი.—აქცია ღირს 10 ლირა.—არ შეიძლება არჩეულ იქნას სარევიზიო კომისიაში და მედიატორეთა კომიტეტში ისეთი პირი, რომელიც გამგეობის წევრების ნათესავია. საარჩევნო თანამდებობას ვერ დაიკერს საზოგადოების ჯამაგირიანი მოსამსახურენი. თითოეულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თაკმჯდომარე, რეჯიოში. წინააღმდეგ კრების ისეთი დადგენილების, რომელიც აშკარათ ეწინააღმდეგება ან წესდებას, ან კანონს. თუ კრების გათავებიდან ათი დღის განმავლობაში ასეთი საჩივარი არ იქნა შეტანილი, კრების ყველა განჩინება სისრულეში მოდის და მისი შეჩერება აღარავის შეუძლია—თუ გამგეობის წევრი გამგეობას მინდობილობით მუშაობს საზოგადოებისათვის ისე, რომ თავის სამუშაოს აკლდება, მას უფლება აქვს მიიღოს სასყიდელი—საათში 20 სანტიმი, ხოლო თუ ის სოფლის გარეთ იგზავნება, ეძლევა კიდევ გზის ფული კილომეტრზე 6 სანტიმი.—კოოპერატივში არის დავთარი, სადაც თითოეული წევრი აღნიშნავს წონას თავისი მოტანილი რძისა.—გამგეობა ადგენს ყოველ წელს რძის ფასს, რომელიც უნდა მიეკეს წევრს. გამგეობას შეუძლია გამოურიცხოს წევრს რძის ფასისაგან: ხელმოწერითი აქციის ფული, მიღებული ანგარიშის სარკებელი და ჯარიმა.

აი საყველე კოოპერატივთა წესდების განსაკუთრებული მუხლები. ახლა გავშინჯოთ იმავე სოფლის კოოპერატივის ფაქტიური მდგომარეობა. ის არსებობს 1904 წლიდან და ყავს 27 წევრი, ყველა წვრილი მესაკუთრე და მოიჯარადრენია. კოოპერატივში მოუტანიათ რძე

1907 წ. 2.192 კვინტალი[1]), 1908 წ.—2.609 კვინ., 1909 წ.—2.296 კვინტალი. რძის ფასს ღებულობენ საანგარიშო წლის ბოლოს, როცა გაკეთებული ყველი გაიყიდება. საერთო შემოსავალიდან რიცხავენ ხარჯებს, 20% სათადარიგო თანხისთვის, განაღდებულ აქციების პროცენტებს და დანარჩენს ყოფენ მოტანილი რძის მიხედვით. წევრი აქ ღებულობს მეტ ფასს, ვინემ ის მიიღებდა კერძო პირებისაგან, რაც სჩანს შემდეგი ციფრებიდან: კოოპერატივის წევრთ ლიტრაზე მიეცათ 1905 წ. 12 სანტ., ხოლო კერძო საყველეებში აძლევენ 11 სან., 1906 წ.—14 სან., კერძოში—12 სან., 1907 წ.—17 ს., კერძოში—14 ს., 1908 წ.—19 სანტიმნახევარი, კერძოში—18 ს. კოოპერატივის სარგებლობა აშკარაა. ერთად ერთი გამონაკლია 1909 წ., როცა კოოპერატივის წევრთ შეხვდათ 12 ს. ლიტრაზე, ხოლო კერძო საყველეში აძლევდენ—18 სან. ეს აიხსნება იმით, რომ ამ წელს ყველის ბაზარზე კრიზისი ჩამოვარდა, ფასები დაეცა, ამიტომ კოოპერატივმა იზარალა, რაც გამოიხატა წევრთა ზარალში, სამაგიეროთ საყველე გამაგრდა. კერძო საყველეები კი ბევრი გაკოტრდა და დაიხურა, ვინაიდან აქ ზარალი თავს დაატყდა პატრონთ, თუმცა რძის გამყიდველებმა კი მოიგეს. შეშინებულმა პატრონებმა შემდეგ წელს რძის ფასები დასცეს, ლიტრაში ათ სანტიმის მეტს აღარ აძლევენ, კოოპერატივი კი მიდიოდა თავისი ჩვეულებრივი გზით. წლის ბოლოს გამოჩნდა, რომ ყველის ფასი აიწია, საყველეებმა ბევრი მოიგეს; კოოპერატივის მოგება გამოიხატა წევრთა რძის ფასების მომატებაში, ხოლო კერძო საყველეების მოგება გამოიხატა მისი პატრონის ჯიბის გასქელებაში და რძის მიმა-

[1]) ერთი კვინტალია 100 ლიტრა. ლიტრა ვერმუდის ბოთლის ოდენაა.

წოდებელ გლეხთა ზარალში. კოოპერატივის პრესტიჟი დიდათ აიწია.

კოოპერატივი ყველს გარდა აკეთებს კარაქს და ერბოს. რჩება სველი, რასაც ჩვენში ღვრიან ხოლმე. იქ კი ამასაც ხმარობენ ღორების გასასუქებლათ. საყველესთან საღორეც არის.

საუკეთესო კოოპერატიული საყველე არის ნოველარაში 32 წევრით.

ერთი წევრთაგანია სამიწადმოქმედო კოოპერატივიც. დაარსდა 1905 წ. ამ წელს ერბო გააკეთეს 4136 ლირის, ყველი—11121 ლ. ღორი გაყიდეს—9473 ლ. სულ აიღეს—24899 ლ. დაიხარჯა. რძეზე—13,496 ლ. ყველის მოხელეს და მის ორ თანაშემწეს—2428 ლ., ღორების ყიდვა—3050, მათი საკვები—4663, მდივანს—120 ლ. სულ—24868, წმინდა მოგება დარჩა 30 ლ.

1906 წ. შემოვიდა:—4,900, ყველისაგან—19,042, ღორების გაყიდვისაგან—11,583, სულ—35908 ლ.

გასავალი: რძე—20815 ლ., მუშებს—3435, ღორების ყიდვა—6,220, მათი კვება 3727, სხვა ხარჯები—1380, სულ—35,580 ლ. წმინდა მოგება—328 ლ.

1907 წ. შემოვიდა—46481 ლ. გავიდა—46360 ლ. წმინდა მოგება—120 ლ. 1908 წ. შემოსავალი და გასავალი უდრიდა 50 ათასზე მეტს, დეფიციტი იყო რვა ლირა.

1909 წ., კრიზისის დროს, შემოვიდა ყველისაგან—21490 ლ., ერბოსაგან—6395, ღორების გაყიდვისაგან—14956, წვრილმანი—966 ლ., სულ—44040 ლ.

გასავალი: რძე (არა-წევრთაგან)—4516 ლ., გადატან-გადმოტანა—2416 ლ. ღორების ყიდვა—3570, კვება—7549, მუშები—1208, სახლის ქირა—615, მდივანს—115, ფულის სარგებელი—1295, კანცელარია—62,

სტამბა—18, გზის ფული—40, გადასახადი—176, ყველის ზარალი—263, ღირებულების დაკლება (იარაღების)—60, საყველეში მომუშავეთ—1872, წევრთ რძის ფული—19826 ლ. წვრილი ხარჯები—163, ღერბის ქაღალდები და სხ.—145, სულ—44284 ლ. ზარალი ცხადია. მარა აქაც იგივე განიმეორეს, რაც მის მეზობელ სან ჯიოვანნეში და კრიზისიდან კოოპერატივი კიდევ უფრო გამაგრებული გამოვიდა.

ყველს ყოველგან ერთნაირს, შვეიცარიულს, ამზადებენ. მდივანმა მითხრა, რომ კოოპერატივის გახსნის შემდეგ წევრებმა უკეთესი ჯიშის და მეტი ძროხა შეიძინეს, ვინემ წინეთ ყავდათო. ძროხების გამოფენაზე, რომელიც აქ ხშირათ იმართება, კოოპერატივის ძროხები ჯობნიან კერძო პირების ძროხებსო. საზოგადოთ კოოპერატივებმა დიდათ ასწიეს რძის მეურნეობა და დაინტერესეს ხალხი პირუტყვის მოშენებაშიო.

უძველესი და უმდიდრესი კოოპერატიული საყველე არის სან-ჯიაკომოში. მისი აღებმიცემობა ასი ათას აღემატება. 1901 წ. მთელ რეჯიო-ემილიაში იყო მხოლოდ ოთხი ასეთი კოოპერატივი, ამ ჟამათ კი ოცამდეა; მთელს იტალიაში ასამდეა, ყველაზე მეტი კი ვენეციის პროვინციაშია.

---

5. ლ ი გ ე ბ ი.

რეჯიო-ემილიაში, და საზოგადოთ მთელ იტალიაში, არსებობს ბრძოლის სამგვარი ლიგა: ლიგა დღიურთა ანუ სამეურნეო პროლეტარიატის, ლიგა ხელოსანთა ანუ სამრეწველო პროლეტარიატისა და ლიგა გლეხების.

ერთნაირი პროფესიის მუშები, რა დარგსაც უნდა ეკუთვნოდენ ისინი, თავს იყრიან და აარსებენ. საზოგა-

დოე'ას იმ მიზნით, რომ თავი დაიცვან პატრონთა მეტის-მეტი გაყვლეფისაგან. საზოგადოების მთავარი საშუალებაა ქირის ტარიფის შემუშავება და მისი გატარება. ეს, ასე ვთქვათ, იგივე პროფესიონალური კავშირია, რასაც ჩვენ ქალაქებში ვხედავთ, იმ განსხვავებით, რომ კავშირს, გარდა ქირის მომატებისა და სამუშაო დღის შემოკლებისა, ბევრი სხვა მოვალეობაც აწევს. ლიგის მოვალეობა კი ერთათ ერთია: გაატაროს თავისი დადგენილება ქირის და სამუშაო დღის შესახებ. ეს ბრძოლის ანუ, როგორც აქ ეძახიან, წინააღმდეგობის საზოგადოებაა. ამათი რიცხვი ერთობ ბევრია, თითოეულ სოფლის საზოგადოებაში რამდენიმეა. ის განსაკუთრებით ბევრი და მძლავრია, ბარში, მთაში კი, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა წვრილი მესაკუთრენია და კლერიკალიზმიც ძირგადგმულია. ის თითქმის არ არსებობს. განთქმულია ლიგა ფაბრიკოს, სანკტა-ვიკტორიას, ნოველარას, რეჯიოლოს და გუალტიერის; მათ მისდევენ დანარჩენები.

დღიურთა და ხელოსანთა ლიგის წესდება ერთნაირია. მათგან განსხვავდება გლეხების ლიგა და ამიტომ წესდებაც განსხვავებულია. ჯერ გავიცნოთ პირველი, მერე მეორე.

მუხ. 1. სოფ. ნ... მცხოვრებ მიწის მუშათა: დღიურთა, მწყემსთა და მოჯამაგირეთა შორის დაარსდა ლიგა იმ მიზნით, რომ ერთობით და კანონიერი წინააღმდეგობით გააუმჯობესოს შრომის პირობები და მდგომარეობა.

მუხ. 2. ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათ ლიგა აღიარებს:

ა) შემუშავებას ქირის ტარიფისას, რომელიც თანდათან მატულობს და უმჯობესდება წეკრთა მოთხოვნილებათა ზრდის და ცხოვრების გართულების მიხედვით;

ბ) გავრცელებას მუშათა შორის, როგორც სიტყვით, ისე მაგალითით, სოლიდარობის და ერთობისა;

გ) მოლაპარაკების გამართვას მემამულეებთან და მათ გამგეებთან შრომის პირობის შესახებ;

დ) წევრთა დაცვას უსამართლობისა და დევნისაგან, მხარი დაუჭიროს პატრონთან შეტაკებაში და აღმოუჩინოს დახმარება იმ შემთხვევაში, როცა ისინი კარგავენ თავის სამუშაოს ორგანიზაციის დაცვისა და გამოსარჩლებისათვის.

ე) გამონახვის საუკეთესო საშვალებების ლიგის მოქმედების გასაძლიერებლათ და წევრთა შორის თავის უფლებათა შეძენისა და თავის ღირსების პროპაგანდის გასაადვილებლათ;

ვ) მოპოვებას წევრთათვის სამუშაოსი მოლაპარაკების საშუალებით.

მუხ. 3. ლიგაში შეუძლიათ შემოვიდენ სოფლის ყველა მოქირავეები: ღლიურნი, მწყემსნი და სხ., თუ ამ წესდებას დაეთანხმებიან და დაიცავენ.

მუხ. 4. ლიგა ჩაწერილია შრომის ბირჟაში, რომ ის მხარ-დამხარ მიდიოდეს სხვა ხელობის მუშათა მოძრაობასთან. ის აგრეთვე ჩაწერილია მიწის მუშათა ნაციონალურ კავშირში.

მუხ. 6. წევრი, რომელიც უორგულებს ერთობას, გაუწევს ამხანაგს კონკურენციას ან და ზარალს მიაყენებს საზოგადოებას, დაისჯება გამგეობის მიერ შემდეგ ნაირათ: ა) პირველჯერ წეს-რიგის დაცვის მოთხოვნით და ჯარიმით; ბ) მეორეჯერ ჯარიმით ან წევრობისაგან გადაყენებით, გ) მესამეჯერ წევრობის ჩამორთმევით დროებით ან სრულიად გამორიცხვით. წევრს უფლება აქვს

გამგეობის განჩინება განასაჩივროს წევრთა საზოგადო კრებაზე და შემდეგ შრომის ბირჟაში.

მუხ. 7. წევრი, ჩამდენი ისეთი საქციელის, რომელიც ლახავს მის პატიოსნებას, აგრეთვე ლიგის სახელს და ინტერესებს, წარმოდგენილ იქნება გამგეობის ან წევრთა მიერ ლიგისაგან გასაძევებლათ.

მუხ. 8. სანამ წევრის ყოფა-ქცევა საზოგადო კრებაზე დაისმებოდეს განსახილველათ, გამგეობა ვალდებულია გამოიძიოს ეს საქმე, ან და განსაკუთრებული შემთხვევებში გამოძიება მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას.

მუხ. 9. წევრი, გამორიცხული ან გაძევებული, შეიძლება მიღებულ იქნას ლიგაში საზოგადოების მიერ შემდეგ რამოდენიმე ხნის გასვლისა.

მუხ. 10. იმ შემთხვევაში, როცა წევრი ტარიფის დაცვის და ბრძოლისათვის იქნება დათხოვნილი ალაგიდან, დასჯილი სასამართლოს მიერ ან დევნილი, ლიგა ვალდებულია აღუდგინოს მას ზარალი სუბსიდიით, მოხმარებით, სამუშაოს შოვნით და სხვა საშვალებებით.

მუხ. 12. თუ წევრი სამი თვის განმავლობაში არ იხდის საწევრო გადასახადს, გამგეობა მოაგონებს ანგარიშის გასწორებას, შემდეგ ის გამორიცხულ იქნება ლიგიდან.

მუხ. 13. თუ წევრი სახლდება მეორე პროვინციაში, გადასახადისაგან თავისუფლდება. არ იხდის გადასახადს არც სალდათობის დროს.

მუხ. 14. თუ წევრი სხვაგანაა და ექვსი თვის გასვლამდის ისევ დაბრუნდა უკან, ვალდებულია შემოიტანოს სრული გადასახადი. თუ არ დაბრუნდა

ექვსი თვის შემდეგ, გამგეობა გადასწყვეტს მისი გადასახადის რაოდენობას.

მუხ. 15. გამგეობა შედგება ხუთი პირისაგან: ხაზინადრის, მდივნისა და სამი წევრისაგან.

მუხ. 26. წევრთა საზოგადო კრება ხდება ორჯერ წელიწადში: თებერვალში და ივლისში. ის კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. თუ კრების მიწვევა რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, გამგეობა ახდენს რეფერენდუმს.

მუხ. 31. ყველა წევრს შეუძლია კრებაზე წამოაყენოს ახალი კითხვები, გარდა იმ კითხვებისა, რომელიც შეეხება პირადობას და რაც პირველათ გამგეობაში უნდა იყოს წამოყენებული და განხილული. კრება ნიშნავს ანგარიშის შესამოწმებლათ სარევიზიო კომისიას სამი პირისაგან.

სოფ. ფაბრიკოს ლიგაში 1,000 წევრია, ქალი და კაცი. უკანასკნელ სამ წელიწადს ლიგას ერთხელ გამოუცხადებია გაფიცვა და მოუგია. გაფიცვის მიზეზი ყოფილა ტარიფის წინააღმდეგ ბრძოლა. მას შემდეგ ლიგის ტარიფი სავალდებულოა მთელი სოფლისათვის. ტარიფის შედგენის დროს იმართება მოლაპარაკება ადგილობრივ შესაკუთრეთა საზოგად ებასთან, რომლის აზრს და მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევს ლიგა. ავიღოთ ორი ტარიფი—1909 წ. და 1910 წ და შევადაროთ ერთმანეთს, საიდანაც აშკარა იქნება ლიგის მუშაობა და სარგებლობა. 1908 წ. ქირას იძლევიან არა საათობით, არამედ დღეობით. გაზაფხულზე მუშაობენ დღეში 9 საათს და იღებენ — მამაკაცი 1 ლ. 70 ს., დედაკაცი—1 ლ. 20 ს.—1 ლ. 30 ს., ზაფხულზე მუშაობენ $10^1/_2$ საათს, იღებენ პირველნი 2 ლ., მეორენი—1 ლ. 40 სან., შე-

მოდგომაზე — 9 საათს, იღებენ — 1 ლ. 50 ს. და 1 ლ. 20 სან., ზამთარში — 7 ს., იღებენ — 1 ლ. 30 ს. და 1 ლ. 10 ს. მომკელ მუშას — მამაკაცს აძლევენ დღეში 2 ლ. 60 ს., დედაკაცს — 2 ლ. 30 ს.

1910 წ. ტარიფი: ჩვეულებრივი მუშაობის ქირა საათობით, მამაკაცს საათში — 25 ს., დედაკაცს — 20 ს.

არაჩვეულებრივ სამუშაოსთვის, როგორიცაა მკა, გალეწვა და ცელვა, ქირა საათში მამაკაცს — 42 სანტ., დედაკაცს — 37 ს., ათი საათის კვალობაზე, ეს გამოდის 4 ლ. 20 ს. დღის ქირა მამაკაცზე და 3 ლ. 70 ს დედაკაცზე. ყურძნის დაწურვა, საათში 35 სან. ამის გარდა მამაკაცს ეძლევა დღეში ერთი ლიტრა წმინდა ღვინო მაისიდან აგვისტოს გასვლამდე, დედაკაცს ერთი ბოთლი ასეთივე ღვინო მაისიდან ივლისის გასვლამდე. ღვინის დაყენების დროს მამაკაცს ეძლევა დღეში ერთი ლიტრა ღვინო, ღირებული 20 სან., დედაკაცს ნახევარი ლიტრა ან 10 სან.

უქმე დღეს მუშაობა ღირს მამაკაცის 30 სანტიმით და დედაკაცის 20 სანტიმით მეტი დღეში[1]). პურის მოწევის დროს ქირა იგივეა, რაც უქმე დღეებში. სამუშაო დრო განისაზღვრება: ნოემბრიდან ივნვრის ბოლომდე 6 საათი დღეში, ე. ი. ღილის ცხრის ნახევრიდან საღამოს ხუთის ნახევრამდე, რომლის განმავლობაში ერთი საათი ხმარდება სადილს და ერთიც სამხარს. თებერვალში 7 საათი, დილის 8 საათ. საღამოს 5 საათ, ორი საათის გამორიცხვით სადილისა და სამხრისათვის. მარტში და ოქტომბერში 8 საათი, აპრილში და სექტემბერში 9 საათი, შვიდის ნახევრიდან ექვს საათამდე, ჩვეულებრივი გამორიცხვით; მაისში, ივნისში, ივლისში და აგვისტო-

[1]) ეს მცირე მომატება იმიტომ არის დადგენილი, რომ უქმე დღე მუშაობა არ წაახალისონ.

ში—10 საათი. პურის მომკელი მუშაობს 9 საათს დღეში და ეძლევა ნახევარი საათი ზედმეტი სადილისათვის და ამდენივე სამხრისათვის. მცელავი მუშაობს მხოლოდ 8 საათს, დილის შვიდის ნახევრიდან საღამოს შვიდ საათამდი, საუზმეს ხმარდება საათნახევარი, სადილს—სამი საათი. ბრინჯის მომკელს ეძლევა საათში 50 სან. და კიდევ ლიტრა წმინდა ღვინო, წყალნარევი ღვინო და შეშა. თუ ღვინო არ იქნება, მის მაგიერ მიეცემა 20 ს., ხოლო მეორეთა მაგიერ 35 ს. დღეში ბრინჯის სხვა სამუშაო: მოტანა, გალეწვა, შენახვა ლირს დღეში 3 ლ. 50 სან. მამაკაცის და 2 ლ. 50 ს. დედაკაცის, 8 საათის სამუშაო დღით.

ეს ტარიფი ძალაში რჩება ერთ წელიწადს, დაწყებული 1909 წ. პირველ ნოემბრიდან. განსხვავება 1908 წ. და 1901 წ. ტარიფს შორის დიდია. განსაკუთრებითი ბდძოლის საგანი იყო საათობით ქირის დაწესება. ამ ჟამათ ლიგა და მემამულეთა საზოგადოება აღარ იმყოფება კონფლიკტში, ტარიფი დგება ორივეს მეთაურობით. 1911 წლის ტარიფს ადგენდენ იმ დროს, როცა მე ვიყავი იქ. ბევრი რჩევისა, მეპატრონეებთან მოლაპარაკების და გამოკვლევის შემდეგ გამგეობამ დაადგინა 1910 წ. ტირიფს მიემატოს 5 სანტიმი ყოველ გვარ სამუშაოზე და ის გამოცხადდეს 1911 წ. ტარიფათ. ეს გადაწყვეტილება უნდა დაემტკიცებია საზოგადო კრებას ივლისში.

სანკტა-ვიკტორიაში ორი ლიგაა: მამა-კაცების და დედა-კაცების. პირველი შეიცავს 220 წევრს, ლიგის გარეშეა 50 ქალი. ლიგაში მიიღებიან მამა-კაცები არა ნაკლები 17 წლისა, დედა კაცი არა ნაკლები 14 წლისა. ორივე ლიგის საქმეებს ერთათ განაგებენ, თუმცა სხვადასხვა გამგეობა ყავთ. მიუხედავათ მათი ხანგრძლივ არსებობისა (1900 წლიდან), მათ გაუიცვა არ ქონებიათ,

თუმცა ბოიკოტს კი ხშირათ მიმართვენ ხოლმე, განსაკუთრებით იმათ წინააღმდეგ, რომელნიც მათ ტარიფს არ ეთანხმებოდენ და ქირაობდენ „კრუმირთ“, ე. ი. ლიგის გარეშე მყოფ მუშებს. ასეთი მუშები შედიან კათოლიკეთა ლიგაში, რომლის მიზანია სოციალისტურ ლიგასთან ბრძოლა. ისინი ოარი საათით მეტს მუშაობენ და ქირას ნაკლებს ღებულობენ, ვინემ ლიგის წევრები. მარა სულის ცხონება ხორცის ტანჯვით შეიძლებაო, უჩიჩინებენ მათ ხუცები და ისინიც მორჩილებენ. აქაც ლიგამ დიდი ბრძოლა გასწია ქირის საათობით შემოღებისათვის და კიდევაც გაატარა ის უკვაფიცვოთ. აი ლიგის ტარიფები.

1906—1907 წ. ნოემბრიდან თებერვლის გასვლამდე ისაზღვრება სამუშაო დღე 6 საათით, ქირა 1 ლ. 60 ს. დღეში. (საათობით ჯერ კიდევ არ არის), დედაკაცების ქირა—1 ლ. 10 ს.

— მარტში, აპრილში და სეკტემბერში —მუშაობენ 7 საათს, ქირას იღებენ—1 ლ. 80 ს., დედა-კაცები—1 ლ. 40 ს:; მაისიდან აგვისტოს გასვლამდე—8 საათს, ქირა—2 ლ. 30 ს., დედაკაცების—1 ლ. 60 ს. მცელავი მუშაობს 6 საათს და იღებს 3 ლ., მკელი—8 ს. და იღებს 3 ლირას. ხოლო მლეწავი მუშაობს საათობით და იღებს საათში 50 სანტ. ქალებისთვის განსხვავება არ არის. ყურძნისთვის გოგირდის შესხმა და მისი გაწმენდა ღირს-- 2 ლ. 40 ს. 7 საათის მუშაობით (გარდა ამისა ერთი ლიტრა ღვინოც.). ბოსტანში მუშაობა და მორწყვა საათში 40 სან. ბრინჯის მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებით შეთანხმებას.

1909—1910 წ. ზამა-კაცებმა მოიპოვეს ქირა საათობით, დედა-კაცები კი ჩარჩენ ძველ პირობებში. აი ამ წლის ტარიფი: ნოემბრიდან თებერვლის გასვლამდე 6

საათის მუშაობა და საათში 30 ს ქირა, დედა-კაცებს.— 1 ლ. 20 ს. ქირა დღეში (სამუშაო დრო ერთია ორივე სქესისათვის); მარტში, სექტემბერში და ოქტომბერში—7 ს. მუშაობა და 30 ს. საათში, დედა-კაცებს—1 ლ. 60 ს. დღეში; აპრილიდან აგვისტოს გასვლამდე—8 ს. სამუშაო, იმავე ქირით, დედა-კაცებს—1 ლ. 70 ს.; დანარჩენი რთული სამუშაო დარჩა წინანდელ პირობებში. ეგევე ტარიფი მიიღო ლიგამ 1911 წლისათვის.

სოფ. რიო-სალიჩეტოში არსებობს ლიგა 1902 წლიდან, ორივე სქესის ერთათ; დაარსებისას წევრთა რიცხვი იყო 32, ახლა კი მამა-კაცია 220, დედა-კაცი—180, ლიგის გარეშე მხოლოდ 25 მუშაა, კლერიკალების გავლენის ქვეშ. 1907 ⁄ 1908 წ.წ. ლიგამ გამოაცხადა გაფიცვა ქირის მომატებისათვის და მოიგო. აქ ლიგის დაარსებამდე ქირა იყო საათში 10 ს., ახლა კი 30 სანტიმია. მუშებიც ახლა გაცილებით უკეთ ცხოვრობენ. ლიგის საწევრო გადასახადია 10 ს. თვეში. 1910 წ. ლიგამ ბოიკოტი გამოუცხადა ადგილობრივ დიდ მემამულეს, რომელმაც დაიქირავა „კრუმირი“. ბოიკოტი გამოიხატა იმაში, რომ მას არ მიექირავენ და არც მისი წისქვილებით ისარგებლეს. რადგან გაფიცვა გაცხარებული მუშაობის დროს მოხდა და მემამულეს დიდი ზარალი მიადგა, ის დათანხმდა ლიგის მოთხოვნილებაზე—„კრუმირები“ დაითხოვა.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ აქაური მემამულენი უმთავრესათ განათლებული ხალხია და მუშებთან კონფლიკტს ერიდებიან. მათ შორის ხშირია მემარცხენე აზრი, მიმდევარი: რადიკალი, რესპუბლიკანელი, სოციალისტიც კი, თავად-აზნაურები მათში იშვიათია, თითქმის ყველა ბურჟუაზიის შვილია. ნოველარიაში ერთ მილიონერ ვაჭარს ვიღაც ჰერცოგიდან უყიდია

ისტორიული სასახლე ძვირფასი მხატვრობით და ძველი მორთულობით და თან ძველი მისი მამული. ამ სასახლის დასათვალიერებლათ შორეულ ქვეყნებიდან მოდიან ტურისტები და ძველი მხატვრობის მოყვარულები. კეთილშობილი წოდება თითქმის მთლათ გაურეკია ბურჟუაზიას რეჯიო-ემილიიდან. ეს კაპიტალისტ მემამულენი სხვა პროვინციიდან მოსულნი არიან, თვითონ რეჯიოში იმდენი აღებ-მიცემობა არ არის, რომ აქ მოჭარბებული თანხა მეურნეობაში გადავიდეს. ესეც არის, რომ აქ მუშათა ყოველგვარი ორგანიზაცია დიდათ ფეხ-გადგმულია და ეს მოქმედებს მემამულეზედაც—ძალას ატანს შეურიგდეს აუცილებლობას.

რიოში ქირა საათობით არის კაი ხანია. 1908 წ. მუშაობა განსაზღვრული იყო ზამთარში 6 საათით[1]), გაზაფხულზე 9 ს., ზაფხულზე $9^1/_2$ ს. და შემოდგომაზე 9 საათით, ქირა საათში 25 სან., დედა-კაცს 20 სან. 1909 წ. ქირა დარჩა იგივე, ხოლო სამუშაო დრო შეამოკლეს ასე: ზამთარში იგივე 6 საათი; გაზაფხულზე: მარტში $7^1/_2$ ს., აპრილში $8^1/_2$ს., მაისში 9 ს.; ივნისში და ივლისში $9^1/_2$. აგვისტოში 9 ს., სეკტემბერში 8 ს., ოქტომბერში $7^1/_2$ ს., ნოემბერში $6^1/_2$ ს. ბრინჯის მოკრეფა განისაზღვრება 5 საათით დღეში, საათში 55 სან.; მომკელი მუშაობს 9 საათს და იღებს საათში 35 ს. მცელავს საათში—30 ს., მლეწავს—38 ს. და მუშაობა ნახევარი საათით ნაკლები ჩვეულებრივ დროზე; ბრინჯის მოტანა და გალეწვა 35 ს. საათში. უქმე დღეს ორი საათით ნაკლები მუშაობა და 5 სანტიმით მეტი ქირა საათში (30 სან.), ხოლო რთულ სამუშაოსთვის საათში

[1]) მუშაობის საათებში არ შედის დასვენების დრო, რაიცა არის არა ნაკლები ერთი საათისა და არა უმეტეს $2^1/_2$-ს. ($2^1/_2$ ს. ივნისში და ივლისში სადილობისას).

40 სან. ეს ქირაა უხარჯოთ. ვინც მისცემს მუშას ხარჯს, ქირას აძლევს 5 სანტიმით ნაკლებს საათში. მუშას აძლევა თითო ლიტრა ღვინო მაისიდან ოქტომბრის გასვლამდე. დედა-კაცების სამუშაო დრო იგივეა, რაც მამა-კაცების, ხოლო ქირა ჩვეულებრივათ ნაკლებია.

აღნიშნული მაგალითები საკმაო წარმოდგენას იძლევიან ლიგის მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ. ლიგის წლიური ბიუჯეტი 200 ლირას არ გადასცილდება. მდივანი ჩვეულებრივათ მუქთი ყავთ, ამ თანამდებობას კისრულობს მომხმარებელი ან სხვა კოოპერატივის მდივანი. ლიგას აქვს ხარჯი სტამბაზე (ბეჭდვა ტარიფის, განცხადებების, მოწოდების და სხ.), მიწერ-მოწერაზე, შრომის ბირჟის საწევრო გადასახადზე და ლიგის გულისთვის დაზარალებულ წევრის დახმარებაზე. ეს უკანასკნელი ხარჯი მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო ძლიერია ლიგა.

თავისთავათ ცხადია, რომ ლიგის მდგომარეობა მჭიდროთ შეკავშირებულია მუშათა კოოპერატიულ ორგანიზაციების მდგომარეობასთან. ესენი ერთმანეთს ამაგრებენ, ერთ გზით მიდიან...

ლიგების განვითარება გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

წელიწადი.	მიწის მუშათა ლიგა.	წევრები.	ხელოსანთა ლიგა.	წევრები.
1902	108	10708	44	1441
1903	127	9307	48	1599
1904	113	10157	50	1648
1905	109	9821	49	1592
1906	108	9490	41	2209

წევრთა და ლიგათა რიცხვის ასეთი რყევის უმთავრესი მიზეზია მუშათა ბინადრობის გამოცვლა. იტალიის

მუშა ადვილათ ეთხოვება სამშობლო სოფელს პროვინ-ციას და მიდის შორს, ოკეანეს იქითაც. ხშირათ ნახავთ სოფლის მუშას ფრანგულათ ან გერმანულათ მოლაპარა-კეს, რაიცა მოწმობს უცხოეთში მის დიდხანს ყოფნას.

მიწის მუშათა ლიგები შედიან კავშირში, რომელიც იმყოფება შრომის ბირჟაში. კავშირს აქვს თავისი წეს-დება, ბიუჯეტი, ყავს თავისი გამგეობა და სხ. კავშირის მიზანია:

ა) თითოული ლიგის მოქმედება შეუთანხმოს რო-გორც დანარჩენ ლიგებისას, ისე სხვა ორგანიზაციებს და კავშირებს.

ბ) დაეხმაროს არსებულ ლიგების გამაგრებას და ახა-ლის დაარსებას.

გ) დაიცვას ლიგები და მათი წევრები მემამულეთა წინაშე და გადასჭრას ლიგათა შორის ამტყდარი დავა.

დ) მიაწოდოს წევრთ ცნობები და მოუძებნოს სა-მუშაო.

ე) დაიცვას ერთობა და თანხმობა გლეხთა და პრო-ლეტართა ლიგებს შორის.

კავშირის წევრია ის ლიგა, რომელიც მიწერილია შრომის ბირჟაზე.

კავშირის საქმეებს განაგებს: კავშირის გამგეობა, რომელიც შედგება ლიგათა დელეგატებისაგან. ლიგა გზავნის 50 წევრზე თითო დელეგატს. აღმასრულებელი კომიტეტის როლს ასრულებს შრომის ბირჟა, რომლის მოვალეობაა:

ა) გადასინჯვა ლიგათა ტარიფების, წესდებათა-ინსტრუქციებისა და ანგარიშების;

ბ) შედგენა სტატისტიკის, შესწავლა მუშათა მგო-ზარეობის, შემუშავება წინადადებების ლიგის მუშაობის გასანაყოფიერებლათ;

გ) ჩარევა მუშათა და მემამულეთა დავაში;

დ) გაწევა სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდისა;

ე) ამუშავება ლიგათა სასარგებლოთ ბირჟის ყველა დაწესებულების, როცა ეს საჭირო იქნება.

ლიგას 10 წევრი მაინც უნდა ყავდეს, რომ მიღებულ იქნას კავშირში. ლიგა ვერ გამოაცხადებს გაფიცვას და ბოიკოტს, სანამ ამას არ დაადასტურებს შრომის ბირჟა, რომელიც პირველათ მიიღებს ზომებს კონფლიკტის მორიგებით გასათავებლათ. კავშირი ჩაწერილია მთელი იტალიის სოფლის მუშათა კავშირში.

როგორც ზემოთ ვთქვით, გარდა სოფლის პროლეტარიატის ლიგისა, არსებობს აგრეთვე გლეხების ლიგა. ლიგის მიზანია გააუმჯობესოს საერთო ძალით გლეხთა და საზოგადოთ მუშათა ნივთიერი და ზნეობრივი მდგომარეობა.—წევრათ მიიღებიან წვრილი მესაკუთრენი, მოიჯარადრენი და მენახევრენი, მიუხედავათ მათი პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა.

— ითოული წევრი მოვალეა გაავრცელოს გლეხთა შორის ასოციაციის იდეა, შეიძინოს ახალი წევრები და ხელი შეუწყოს ლიგის გაძლიერებას თავის რჩევით, წინადადებით და დახმარებით. წევრს უნდა ახსოვდეს, რომ ის არის საზოგადოების არა პასიური ელემენტი, არამედ აქტიური, გამგეთა თანაშემწე და თავის მოვალეობის პირნათლათ ამსრულებელი.

— წევრი ესწრება კრებას, ერთიანათ იცავს გადაწყვეტილებებს კრებისას და ამა წესდებას. ვინც ჩაიდენს საქციელს ერთობის წინააღმდეგ, შელახავს წესდებას ან ზარალს მიაყენებს ლიგის ინტერესებს და მის სახელს, წარედგინება კრებას დასაჯარიმებლათ, დროებით გამოსარიცხავათ ან და გასაძევებლათ. დასჯილ წევრს

უფლება აქვს განჩინება განასაჩივროს კავშირის საბჭოს და მერე შრომის ბირჟის წინაშე. —წევრი, რომელიც გამოიცვლის ბინადრობას, ვალდებულია შეეიდეს ადგილობრივ ან მის ახლო მყოფ ლიგაში. წევრი ვალდებულია იხადოს საწევრო გადასახადი იმ შემთხვევაშიაც, როცა ის სოფლის გარეთ იმყოფება არა უმეტეს 10 თვისა და არ წარმოადგენს საბუთს იმისას, რომ მას სხვა ლიგაში შეუტანია საწევრო გადასახადი. მხოლოდ სალდათობის დროს ის თავისუფლდება გადასახადისაგან.—თითოეული ლიგა ირჩევს კომიტეტს სამი პირისაგან, თუ წევრთა რიცხვი ოცზე ნაკლებია და ხუთი პირისაგან, თუ წევრთა რიცხვი ოცზე მეტია. კომიტეტი ირჩევა ერთი წლით და შეიძლება მისი ხელახალი არჩევა. კომიტეტის წევრებისაგან ირჩევა ხაზინადარი და მდივანი. კასის ფული იხარჯება მართვა-გამგეობაზე, სიტყვიერ და წერილობით პროპაგანდაზე, მანიფესტაციების მოწყობაზე, კავშირში ჩაწერაზე და სხ. და სხ.—მდივანს აქვს წევრთა სია, დაყოფილი კატეგორიებათ თანახმათ მათი სოციალური მდგომარეობისა, ნიშნავს ვინ დაესწრო კრებას, ადგენს ოქმს, აქვს მიწერ-მოწერა და ეხმარება ხაზინადარს.—წევრთა კრება ხდება თვეში ერთხელ მაინც. კრების თავმჯდომარეს ირჩევს თვით კრება; კომიტეტი კრებას წელიწადში ერთჯერ წარუდგენს ბალანსს, ამავე სხდომაზე აირჩევა კომიტეტი. თუ ლიგა რაიმე მიზეზით დაიშალა, მისი ქონება გადაეცემა კავშირს; თუ კავშირი დაიშალა, ქონება გადაეცემა შრომის ბირჟას.

ლიგის მოღვაწეობა მიმართულია განსაკუთრებით მემამულეთა ძალის წინააღმდეგ. იჯარის იაფად აღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გლეხთა შორის კონკურენცია მოისპობა და ერთნაირ მოთხოვნილებას წარუდგენენ მემამულეთ. გლეხთა და პროლეტართა ლი-

გენს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა იშვიათია, ვინაიდან პირველნი მუშას არ ქირაობენ, მიწას ამუშავებენ თითონ ოჯახის წევრთა დახმარებით. საშუალოდ შეძლების გლეხები კი მუდმივ კონფლიკტში არიან მუშებთან, ისინი გაცილებით უფრო მკაცრ ბრძოლას ეწევიან მუშათა ლიგის წინააღმდეგ, ვინემ დიდი მემამულენი. ეს აიხსნება უბრალოთ: წვრილი კაპიტალისტი ვერ ეგუება შრომის პირობების გაუმჯობესებას და თან ის მოცულია მრავალნაირი ცრუმორწმუნეობით. კლერიკალთა სიმაგრე სწორედ საშუალო გლეხობაა, ე. ი. ისეთი მესაკუთრე გლეხები, რომელთაც ისეთი საკუთარ მიწის დასამუშავებლათ ოჯახის წევრნი არ ყოფნით და ქირაობენ მუშებს და იყენებენ მოჯამაგირეთ ამათი ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგება მუშათა ლიგის ინტერესებს. მეორე მხრით, ინტერესთა ასეთი დაპირდაპირება არ არის მათ და გლეხთა ლიგის შორის, ვინაიდან ისინი თავის მიწას იჯარით არ იძლევიან, ამიტომ ისინი ამას ისე მტრულათ არ უყურებენ, თუმცა ურჩევნიათ ლიგა სრულიად არ არსებობდეს. გლეხთა ლიგას ებრძვიან მემამულენი, რომელთა შორის ინტერესთა სრული წინააღმდეგობაა.

ლიგის მიზანია აგრეთვე დაიცვას მემამულესთან დადებული ხელშეკრულობა და დაიფაროს წევრნი მოურავების ზედმეტ მოთხოვნილებათაგან. მთელ რეჯიმენტილიაში გლეხთა ლიგის რიცხვია 70-მდი, რომელშიაც თავს იყრის 1,500 ოჯახი. არის ლიგა 80 წევრით, არის 10-თაც. ბარში ძლიერი ლიგებია, მთაში კი სრულიათ არ მოიპოვებიან, შუაზე არის ცოტა, მარა მცირე-რიცხოვანია. თითოეულ ლიგას ცალ-ცალკე არ ძალუძს დაამყაროს ახალი საიჯარო დამოკიდებულებანი, ვინაიდან ეს დამოკიდებულია მთელი პროვინციის საერთო მაზან-

დაზე და არა ერთი რომელიმე სოფლის. ერთ სოფელში რომ მიწა გაიაფდეს, აქ მოაწყდებიან სხვა სოფლის გლეხები და მიწა ისევ გაძვირდება. და ან რატომ ერთი სოფლის გლეხი უნდა სარგებლობდეს მიწის გაიაფებით, ხოლო მეორის კი არა? აი ასეთი პორტიკულიარიზმის თავიდან ასაცილებლათ და ლიგათა შორის შუღლის მოსასპობათ—დაარსებულია ლიგათა კავშირი, რომელიც მოთავსებულია შრომის ბირჟაში. კავშირის მიზანია გაუმჯობესოს თანდათან გლეხთა მდგომარეობა კანონის ფარგლებში არსებული თავისუფლებისა, დაჯერების და ერთობის საშუალებით. ის აერთებს ყველა ლიგათა მოქმედებას, აარსებს ახალ ლიგებს, ამაგრებს არსებულთ, ეწევა ლიგათა სასარგებლო აგიტაციას და პროპაგანდას, აძლევს ცნობებს შესახებ იჯარის მაზანდისა, ნაწარმოების ფასისა, ხელშეკრულებისა და სხვა; იცავს წევრთ სასამართლოში თავისი ვექილების შემწეობით, როცა ეს საჭირო იქნება და სხ.

რაც შეეხება კერძოთ გლეხთა თითოულ კატეგორიას, კავშირის მიზანია:

მუხ. 5. ა) მიიღოს ზომები მენახევრეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შემდეგი საშუალებებით: მოისპოს საჩუქარი და ძღვენი მოურავებისა და მიწის პატრონთათვის, მოიკლოს და თანდათან გაუქმდეს გადასახადები სხვადასხვა დაწესებულების სასარგებლოთ, რაც ტვირთათ აწევს მენახევრეთ და მათი საიჯარო ხელშეკრულობა შეცვლილ იქნას იმ მხრით, რომ ცუდი მოსავლის დროსაც მენახევრეს ქონდეს უფლება მიიღოს იმდენი ნაყოფი მაინც, რამდენიც საჭიროა მის და მისი ოჯახის საკვებათ.

ბ) რაც შეეხება მოიჯარადრეთ, ერთობის სა-

შუალებით უნდა იქნას დაწეული მიწის საიჯარო ქირა და დაყენებული გონიერ დონეზე; გაიწევა მედგარი პროპაგანდა იმ მიზნით, რომ გადაგდებულ იქნას საზარალო ჩვეულება—მიწის მიქირავება უვიც და მსუნაგ სპეკულიანტებისათვის, რომელნიც მოკლე დროში მიწას აცლიან სინოყიერეს და მერე ტოვებენ. მიწა გადაეცეს იჯარით პირდაპირ გლეხებს. მიიღება ზომები იმისთვის, რომ საიჯარო პირობა იკვრებოდეს არა ნაკლები ცხრა წლის ვადისა, რომლის გასვლის შემდეგ დათხოვნილ მოიჯარადრეს აუნაზღაურდეს სამართლიანი შეფასებით მიწის გაუმჯობესება.

გ) რაც შეეხება წვრილ მესაკუთრეთ, შემცირებულ უნდა იქნას სახელმწიფო და სამუნიციპალიტეტო გადასახადთა რაოდენობა და მოსპობილ ყველა ის შევიწროება, რომელიც ტვირთათ აწევს უფრო წვრილ საკუთრებას, ვინემ სხვილს.

მუხ. 6. კავშირი ასრულებს ორივე მხარეთა ტარიფს და ხელშეკრულობას, რომლების თანხმობით იქნა შემუშავებული და მიღებული ლიგათა და პატრონთა მიერ. უთანხმოება, ამტყდარი პატრონთა, გლეხთა და ღლიურთა შორის, გადაწყდება განსაკუთრებული კომისიის შემწეობით.

მუხ. 10. ლიგა, რომელიც თავის მოქმედებას არ შეუთანხმებს კავშირის მოქმედებას, წავა მის პროგრამის წინააღმდეგ და თავის დროზე არ შემოიტანს ხვედრ გადასახადს—ან დაიშლება, ან კავშირიდან ამოიშლება. აღმასრულებელ კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს ლიგას გამორიცხოს ისეთი წევრი, რომელიც არ ასრულებს თა-

ვის მოვალეობას. დასჯილს ნება აქვს მიმართოს საბოლოო მსჯავრის დასადებათ შრომის ბირჟას.

მუხ. 12. კავშირის საქმეებს განაგებენ: ა) წევრთა საზოგადო კრება, ან რეფერენდუმი, ბ) კავშირის საბჭო, გ) ცენტრალური აღმასრულებელი კომისია დ) და სეკრეტარიატი.—პირველი იკრიბება წელიწადში ერთხელ; მეორე შედგება ლიგათა დელეგატებისაგან და იკრიბება სამ თვეში ერთხელ; მესამე შედგება ხუთი წევრისაგან და ირჩევა წევრთა საზოგადო კრებაზე; მას თავმჯდომარეობს შრომის ბირჟის მდივანი. კავშირის სეკრეტარიატს განაგებს საბჭოს მიერ არჩეული პირი. შრომის ბირჟა კავშირის უმაღლესი მეთვალყურეა, რასაც ის ეწევა თავისი მდივნის, როგორც ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის, საშუალებით; ის ეხმარება აგრეთვე ლიგათა განვითარებას.

მუხ. 26. ყველა ახალი წინადადება, ხელ-შეკრულობა წინააღმდეგობა და აგიტაცია უნდა იქნას დადასტურებული წევრთა საზოგადო კრების ან საბჭოს მიერ და ნებადართული შრომის ბირჟისაგან, რომელიც შესაფერ დროს ჩაერევა გლეხთა, მეპატრონეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა დავაში და შეეცდება მოარიგოს ისინი მომუშავე კლასის სასარგებლოთ.

მუხ. 27. დავა ლიგისა და წევრთა შორის, ან და ლიგებს შორის, კონფლიკტი შეკავშირებული გლეხებისა და დღიურთა შორის—წყდება ცენტრალურ კომისიაში, მერე შრომის ბირჟაში ან და მედიატორეთა კომისიაში, როცა ის იქნება დაფუძნებული...

როგორც ხედავთ, გლეხთა ლიგების მოავარი ძაფები თავმოყრილია მათ კავშირში და შრომის ბირჟაში. აქ იმდენი ორგანიზაციაა და იმდენი ინტერესია ერთიმეორეზე გადახლართული, რომ მათი კოორდინაცია და ერთათ სიარული მოითხოვს ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან არა თითოეული ორგანიზაციის გამარჯვებით, არამედ მთელით, საერთო მოძრაობით. ასეთი ცენტრია თითოეულ დარგის ორგანიზაციათა კავშირი, ხოლო ყველა კავშირზე მაღლა დგას შრომის ბირჟა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ლიგებისა, არის კიდევ ლიგა ნოქრების და აგენტების, ერთ კავშირათ შეერთებულნი, 300 წევრით, ლიგა ავათმყოფთამამულელებისა 250 წევრით, თერძების კავშირი 20 განყოფილებით და სხვა.

სულ რეჯიო-ემილიაში არის 160 ლიგა 14 ათასი წევრით.

---

6. ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები.

მრავალნაირ სასოფლო ორგანიზაციებს ზედ ერთვის კიდევ ურთიერთ დამხმარე საზოგადოება: ასეთი დამხმარე საზოგადოება რეჯიო-ემილიაში 30-მდეა, რომელთა შორის რვა ქალ. რეჯიოშია, დანარჩენი—სოფლებში. ესენი ეკუთვნიან მუშებს, ნოქრებს, მწყემსებს, ასოთ-ამწყობთ, ავათმყოფთა მომვლელთ და სხ. ზოგ ამათგანს 40 წლის ისტორია აქვს. ჩვეულებრივათ მათი დამაარსებელნი სოფლის ხუცებია, წევრებიც მათ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. მარა მას შემდეგ, რაც დაიწყო მუშათა მოძრაობა, ეს საზოგადოებებიც ნელ-ნელა თავისუფლდებიან კლერიკალთა გავლენისაგან და გადადიან

სოციალისტების ხელში. რიო-სალიჩეტოს ურთიერთ დამ-ხმარე საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე და მფარველი იყო მეფე ვიკტორ ემმანუელი; ახლა ამას სიცილით იგონებენ. ძველი წევრების. საზოგადოების წესდებაში ვკი-თხულობთ: საზოგადოების მიზანია თავის წევრთა ნივ-თიერი და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება; წევ-რისათვის ყოველდღიური სუბსიდიის მიცემა ავათმყოფო-ბისა ან მუშაობის შეუძლებლობის დროს. ნამდვილი წევრო-ბისათვის საჭიროა 15 წლის ასაკი, პატიოსანი სახელი და ჩვეულებრივი ჯანმრთელობა. მუდმივი საწევრო გადასა-ხადია თვეში 50 სან. და ერთდროებითი—ჩაწერის დროს 3 დან 7 ლირამდე, წლოვანების მიხედვით. 15—25 წლის იხდის 3 ლ. 60 ს., 25—35 წლის. 4 ლ.—50 ს. 35—50 წლის—4 ლ. 50 სან., 50—60 წლისანი—7 ლ. 20 ს. დახმარება მიეცემა წევრს ჩაწერიდან ერთი წლის შემდეგ; დახმარების რაოდენობა ისაზღერება საზოგადო კრების მიერ გამგეობის წინადადებით. წევრი ვერ მი-იღებს დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მისი ავათმყო-ფობა გრძელდება სამი დღე, ან ნაკლები. წევრი, სოფლის გარეთ მყოფი ავათმყოფობის დროს, ვალდებულია სუბ-სიდიის მისაღებათ წარმოადგინოს მოწმობა ექიმის,—შე-მოწმებული მერის ან ასეთივე საზოგადოების თავმჯდო-მარის მიერ. ასეთი მოწმობა, ავათმყოფობის აწერილო-ბით, ყოველ კვირაში უნდა იქნას წარმოდგენილი. თვი-ური გადასახადის შემოტანა სავალდებულოა ავათმყოფ წევრთათვისაც. შემოუტანელი გადასახადი გამოირიც-ხება პირველი სუბსიდიიდან. ვინც ავითმყოფობას იგონებს, ან განგებ აგრძელებს, ცუდი ყოფა-ქცევისაა და არ ას-რულებს ექიმის დარიგებას და ამ წესდებას, კარგავს და-ხმარებას. ქურდობის ან სხვა საძრახის დანაშაულობისა-თვის დასჯილი წევრი იძევება საზოგადოებიდან და ეკა-

რგება შემოტანილი თანხა. აგრეთვე გაძევება საზოგადოებიდან წევრთა კრების განჩინებით ისეთი წევრი, რომელიც, მიუხედავად გაფრთხილებისა, განაგრძობს უზნეო ყოფაქცევას, განსაკუთრებით ეტანება მაგარ-სასმელებს: ღვინოს, ლიქიორს, არაყს და სხ. წევრს მიეცემა შუამავალი პენსია იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაწერის დღიდან ხუთი წლის შემდეგ შეიქნა ინვალიდი, ე. ი. არ შეეძლება მუშაობა უკურნებელი ავათმყოფობის ან მოხუცებულობის გამო. პენსიის რაოდენობას საზღვრავს წევრთა კრება ყოველ წელს. საზოგადოება აძლევს წევრთ სესხს არა ნაკლებ 5 ლირისა და არა უმეტეს 30-ისა. სესხის სარგებლის რაოდენობას საზღვრავს კრება. ის არ შეიძლება იყოს 6%-ზე მეტი.—გამგეობა ნიშნავს ყოველ წელს განსაკუთრებულ კომიტეტს 24 წევრისაგან, რომელთა მოვალეობაა რიგ-რიგობით კვირაში ორჯერ ინახულოს ავათმყოფი წევრი და მისი მდგომარეობა მოახსენოს გამგეობას. თუ მნახველი თავის მოვალეობას სინდისიერათ არ ეპყრობა—დაჯარიმებულ იქნება გამგეობის მიერ 2—5 ლირამდე, რის შემოუტანლობა იწვევს მის გაძევებას საზოგადოებიდან. მნახველთა კომიტეტში შედიან დამსახურებული და პატივცემული წევრები, ცნობილნი კარგი ზნითა და პატიოსნებით. ავათმყოფი ვალდებულია მათ მოეპყრას ზრდილობითა და თავაზიანათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შეურაცხმყოფელი ირიცხება საზოგადოებიდან. ყოველ თვეში ინიშნება ორი მნახველი თანამდებობის ასასრულებლათ, დანარჩენები უცდიან თავის რიგს.

საზოგადოების საქმეებს განაგებენ: წევრთა კრება, გამგეობა, მდივანი, კოლექტორი (საწევრო გადასახადის მომკრები), ხაზინადარი, სარევიზიო კომისია. გარდა ნა-

მდვილი წევრებისა, საზოგადოებას ყავს წევრნი: საპატიო და დამხმარე. ესენი არიან გარეშე მუშათა კლასისა, საზოგადოებას უწევენ მუდმივათ ერთდროებითი თვალსაჩინო დახმარებას და რაიმე სამაგიეროს მიღების უფლება არ აქვთ. შემოტანილი თანხა იყოფა სამათ: დასახმარებელი, გასასესხებელი და საპენსიო. გასასესხებელი თანხა დგება ყოველ თვეში შემოტანილი ფულიდან ხუთი ლირის გადადებით, სანამ ის 500 ლირამდე არ ავა. საპენსიო თანხისთვის იდება ყოველთვიური შემოტანილი ფულიდან 50 ლირა, რომელიც ინახება განსაკუთრებით კოოპერატივთა ბანკში ან სხვაგან. დანარჩენი თანხა ხმარდება ავათმყოფობის დროს დახმარებას. არც ერთ თანამდებობაზე არ აირჩევა ისეთი პირი, რომელიც ადგილობრივ არ ცხოვრობს, გამონაკლს შეადგენს მხოლოდ საპატიო თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. ჯამაგირიან მოსამსახურეთა არჩევა რაიმე თანამდებობაზე არ შეიძლება, კრებაზე კი მათ ხმა აქვთ.

ასეთია რიოს საზოგადოების წესდების მთავარი მუხლები. მისი თავმჯდომარეა ადგილობრივი მერის თანაშემწე, რომელიც იმავე დროს ფაქტიური მერია. მას საზოგადოებისათვის დაუთმია მუნიციპალიტეტში ერთი დიდი ოთახი მუქთათ და იქ აწარმოებს საქმეებს. 1907 წ. გასულს საზოგადოებას ქონებია შემდეგი თანხა: კასაში—698 ლ., გასესხებული თანხა და კოლექტორებთან—1.022 ლ., სარგებელი შემოსატანი—34 ლ., გასესხებული წევრებზე—2.379 ლ , არა წევრებზე—4.575 ლ., მოძრავი—336 ლ., სულ—9.014 ლ. იმავე წელს შემოსულა: ბანკში შენახული ფულის სარგებელი—34 ლ., გასესხებული ფულის სარგებელი—384 ლ., საწევრო—832 ლ., ჩასაწერი—18 ლ., სულ 1.268 ლირა. გასულა: დახმარება ავათმყოფთ—666 ლ., დახმარება

ქრონიკულ ავათმყოფთ—149 ლ., გადაცვალებულ ამხანაგთა დამარხვა—90 ლ., მათ ოჯახებს—10 ლ., მდივანსა და მოანგარიშეს—159 ლ., ფოსტა, ბეჭდვა და კანცელარია—21 ლ., განათება-გათბობა—11 ლ., პროცესი—71 ლ., წინანდელი ზარალი—44 ლ, სულ—1.221 ლ. დარჩა წმინდა მოგება—47 ლ.

1909 წ. თანხა უდრიდა 9.126 ლ. ამაში: წევრებზე იყო გასესხებული—2.019 ლ., არა წევრებზე—5.492 ლ., კასაში—222 ლ. და სხ. (წინა წელს, 1908, ყოფილა თანხა 9.119 ლ.).

იმავე 1909 წ. შემოსულა: საწევრო—798 ლ., სარგებელი—414 ლ., ბანკიდან—37 ლ., ჩასაწერი 4 ლ., სულ—1.293 ლ. გასულა: ავათმყოფთ—746 ლ., მუდმივ ავათმყოფთ—197 ლ., გადაცვალებულთ—105 ლ., მათ ოჯახთ—20 ლ., მდივანს და მოანგარიშეს—167 ლ., ფოსტა, ბეჭდვა და კანცელარია—10 ლ., ზარალი—17 ლ., სულ—1.287 ლ., დარჩა 6 ლირა.

ამაზე უფრო დიდი საზოგადოებაა ს. მონტეკიოში, ქ. რეჯიოს სამხრეთით, რომელსაც ეწოდება „მონტეკიოს მუშათა საზოგადოება“. წესდებაც ფართეა. გარდა ურთიერთ დახმარებისა, მისი მიზანია აგ რეთვე: სწავლა-განათლების გავრცელება, დაარსება მოძრავი ბიბლიოთეკების, ხელის შეწყობა შრომისათვის, დაარსება თვით საზოგადოების ფარგალში ისეთი დაწესებულებისა, რომელიც სასარგებლო იქნება, როგორც თითოული წევრის, ისე მთელი ამხანაგობისათვის. საწევრო გადასახადია თვეში 1 ლირა, აგრეთვე ერთდროებითი ჩასაწერი გადასახადი 1—15 ლირამდე. წევრათ მიიღებიან არა ნაკლები 20 წლისა და არა უმეტესი 45 წლისა. ავათმყოფი წევრი იღებს დახმარებას (ჩაწერიდან ექვსი თვის შემდეგ) ორი თვის განმავლობაში, დღეში ლირას, ორი თვის შემდეგ

კიდევ ერთ თვეს იღებს დღეში ნახევარ ლირას. თუ ავათმყოფი სამი თვის შემდეგაც ვერ რჩება, დახმარებას არ იღებს. ამ შემთხვევაში გამგეობას შეუძლია საზოგადოების ფინანსების მიხედვით დაუნიშნოს მას არაჩვეულებრივი დახმარება. არც ერთ წევრს არ შეუძლია მიიღოს დახმარება ავათმყოფობის დროს 140 ლირაზე მეტი წელიწადში. ისეთი ავათმყოფობა, რომლის მოგონება ადვილია და არ იძლევა საკმაო გარეგან ნიშნებს გადაჭრით გამოსაცნობათ, ან და ექიმმა გამოიცნო, მარა მუშაობის ძალას მთლათ არ უკარგავს, ასეთ წევრს დაენიშნება დახმარება გამგეობის გადაწყვეტილებით. დახმარება არ მიეცემა იმას, ვინც ავათ ხდება ლოთობით, მიიღებს ჭრილობას ჩხუბში, დასენიანდება გარყვნილობის მიზეზით და საზოგადოთ ისეთი საქციელით, რომელსაც სჯის კანონი და გმობს საზოგადო ზნეობა. თუ ავათმყოფი საავათმყოფოში იქნა მიღებული, მის ხვედრ დახმარებას მიიღებს მისი ოჯახი. მარტოხელა წევრი საავათმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მიიღებს ხვედრ დახმარებას. გადაცვალებული წევრის ოჯახს ეძლევა ერთ-დროებით 20 ლ. გასვენების ხარჯათ. მარტოხელა გადაცვალებულ წევრს მარხავს თვით საზოგადოება. წევრათ შეიძლება იყოს დედაკაციც იმავე უფლებით, რაც მამაკაცს აქვს, მხოლოდ ვერ აირჩევა თანამდებობაზე. წევრი, რომელიც ორი ექიმის შემოწმებით ქრონიკულათ სნეული აღმოჩნდა, ამასთანავე წევრათ ყოფილა არა ნაკლებ ათი წლისა, და საწევროც თავთავის დროზე უხდია, მიიღებს დახმარებას ავათმყოფობის განმავლობაში და, თუ საპენსიო ასაკს მიაღწია — მიიღებს პენსიას, ხოლო დახმარებას კი არა. თუ წევრი პირველსავე წელს დასნეულდა ქრონიკული ავათმყოფობით ან ინვალიდი შეიქნა, ის გამოირიცხება საზოგადოებიდან და შემოტანილ საწევროს უკანვე მიიღებს.

თუ წევრი დასნეულდა ქრონიკული ავათმყოფობით წევრობის 2-5 წლეებში, იმას დახმარება მიეცემა როგორც უბრალო ავათმყოფს, ხოლოდ მეხუთე წლის შემდეგ—თავისუფლდება საწევრო გადასახადისაგან უფლებების შერჩენით. საპენსიო ფონდს ცალკე განაგებს გამგეობა. პენსიას მიიღებს წევრი, რომელიც ჩაწერილია საზოგადოებაში 15 წელს ზედი-ზედ, უხდია საწევრო თავთავის დროზე, გამხდარა 70 წლის-ან და დაკარგვია შრომის ძალა სიბერის-ან უკურნებელი ფიზიკური ან სულიერი ავათმყოფობის მიზეზით, ოუ ეს ავათმყოფობა არ არის გამოუწვეული თვით ავათმყოფის მიერ.—ავათმყოფთა დამხმარე ფონდი დგება საწევრო და ჩასაწერი გადასახადებისაგან; საპენსიო ფონდი დგება წინანდელი საზოგადოების მიერ დატოვებული ქონების $^{9}/_{10}$-საგან, წმინდა მოგების $^{3}/_{5}$-საგან, ყოველნაირი შემოწირულებისა და სხვაგვარ შემოსავლისაგან. სათადარიგო თანხა შედგება ზემოთ აღნიშნულ ქონების $^{1}/_{10}$-ის და მოგების $^{2}/_{5}$-საგან. საპენსიო ფონდი შეიძლება გასესხებულ იქნას ხანგრძლივი ვადით, იპოტეკის სახით და მოკლე ვადით წევრებზე 50—3,000 ლირამდე, რომელიც უნდა იქნას დაბრუნებული 16 თვის განმავლობაში. უკანასკნელი ვადით გაისესხება სათადარიგო თანხაც არა უმეტეს 50 ლირისა ერთ წევრზე.—წევრთა საზოგადო კრება ხდება წელიწადში ორჯერ. საზოგადოების დროშას აწერია: „მანტეკიოს მუშათა საზოგადოება: პატიოსანი შრომა“...

საზოგადოების წევრთა რიცხვია 228, მას უჭირავს დიდი შენობა, რამდენიმე ზალით. აქ მოთავსებულია ბიბლიოთეკა და კანტორა; აქვე არის ზალა რეფერატებისა და კრებებისათვის. ეს შტაბია აქაური მუშების; მათი საზოგადოებები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიურ-კულტურული აქ იყრიან თავს. მისი ბიუჯეტი სამჯერ

მეტია რიოს საზოგადოების ბიუჯეტზე. საზოგადოება არსებობს 1888 წლიდან.

ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები ჩაწერილია შრომის ბირჟაში.

ამავე ურთიერთ დახმარების საფუძველზე არის აგებული მეორე საზოგადოების ტიპი, რომელიც ძლიერ გავრცელებულია აქ. ეს არის სახალხო უნივერსიტეტი. იგი დაარსებულია რამდენიმე უმთავრეს ცენტრში და აქედან წვდება ყველა სოფელსა და დაბას. მთავარი მათგანია თვით ქ. რეჯიოში, რომელიც გზავნის ლექტორებს და აწყობს სისტემატიურ კურსებს პროვინციის შორეულ კუთხეებშიაც. რეჯიოს სახალხო უნივერსიტეტის წესდებაში ვკითხულობთ:

მუხ. 2. სახალხო უნივერსიტეტის მიზანია მიაწოდოს წევრთ ლექციები სისტემატიური კურსებით, განსაზღვრული პროგრამითა და ნორმით, კონფერენციებით და სასწავლო გაკვეთილებით, საჭირო მეცნიერული, ტექნიკური და არტისტიული ცოდნა.

მუხ. 3. წევრობისათვის საჭიროა 15 წლის ასაკი, შემოტანა 25 სან., ჩასაწერის და ყოველთვიური გადასახადი მუშათათვის 10 სან., არა მუშათათვის 25 ს.

მუხ. 5. წევრი, რომელიც სამ თვეს არ შემოიტანს ხვედრ გადასახადს, მოაგონებენ წეს-რიგს და თუ მეოთხე თვესაც არ ასწორებს ანგარიშს, გამოირიცხება საზოგადოებიდან.

მუხ. 6. წევრთა მოქმედება საზოგადოების საზარალოთ გაისჯება მეთვალყურეთა კრებაზე.

მუხ. 7. საზოგადოების საქმეებს განაგებენ: წევრთა კრება, თავმჯდომარე, გამგეობა, სასწავლო კომისია, მეთვალყურენი და სეკრეტარიატი.

მუხ. 8. წევრთა კრება დგება ყველა წევრისაგან, რომელთაც საწევრო გადასახადი აქვთ, წელიწადში ორჯერ, ხოლო არა-ჩვეულებრივი კრება ხდება მაშინ, როცა ამას საჭიროთ დაინახავს გამგეობა და წევრთა ერთი მეათედი.

მუხ. 9. თავმჯდომარე უნივერსიტეტის წარმომადგენელია, თავმჯდომარეობს საზოგადო კრებას, გამგეობას და სასწავლო კომისიას, ირჩევა წევრთა კრებაზე ყოველ წელს; ხელ-ახალი არჩევა შეიძლება.

მუხ. 10. გამგეობა შედგება ათი წევრისაგან; ამათ შორის ხუთი იგზავნება შრომის ბირჟისაგან, ხუთი ინიშნება წევრთა კრების მიერ, თითო წლით; მათი ხელ-ახალი არჩევა შეიძლება.

მუხ. 11. გამგეობა განაგებს საზოგადოების ნივთიერ მხარეს, იღებს ზომებს ნივთიერ წყაროს გამოსანახავათ, ავსებს ჩვეულებრივ შემოსავალს ხელის-მოწერის, საღამოებისა და სხ. გამართვით: ადგენს ხარჯთ აღრიცხვას და ბალანსს, ერთი სიტყვით განაგებს ყოველივე საადმინისტრაციო საქმეს.

მუხ. 12. ერთი წევრი გამგეობისა ინიშნება ხაზინადრათ.

მუხ. 13. სასწავლო კომისია წევრთა კრების მიერ არჩეულ ათ კაცისაგან შედგება. ის ამუშავებს პროგრამას ლექციებისა და კურსების, არჩევს და იწვევს ლექტორთ, აწყობს საზოგადო კონფერენციებს და არტისტიულ საღამოებს; ერთი სიტყვით განაგებს უნივერსიტეტის ყველა სასწავლო საქმეს.

მუხ. 14. სასწავლო კომისია და გამგეობა იკრიბება ერთათ საერთო სხდომაზე თავიანთი საქმეების კო-

ორდინაციისთვის, ბალანსის შესადგენათ და სხვადასხვა საფინანსო პროექტების განსახილველათ.

მუხ. 15. საზოგადო კრება ირჩევს სამ რევიზორს, რომელნიც ამოწმებენ ბალანსსა და ანგარიშებს.

მუხ. 18. მდივანი და სხვა მოსამსახურე პირები დამოკიდებული არიან მხოლოდ თავმჯდომარესა და გამგეობაზე.

მუხ. 19. საზოგადო კრება ირჩევს 12 მეთვალყურეს, რომელნიც რიგ-რიგობით, თვეში ორი, ასრულებენ თავის მოვალეობას: მათ უნდა მეთვალყურეობა გაუწიონ უნივერსიტეტის საქმეთა მსვლელობას, მიიღონ საჩივარი, ინახულონ უნივერსიტეტის ზალა და სხვა სადგომები, რომ ყოველივე თავის ალაგას იყოს; შეიკრიბონ ერთათ და დაადგან მსჯავრი ნახულ უწესოებას.

მუხ. 20. უნივერსიტეტის თანხა შედგება:

ა) საწევრო და ჩასაწერი გადასახადისაგან,

ბ) სხვადასხვა საზოგადოებისა და კერძო პირთა შემოწირულებისაგან,

გ) კონფერენციებიდან, რეფერატებისა და ბროშიურების გაყიდვით შემოსულ თანხიდან,

დ) მუნიციპალიტეტთა დახმარებისაგან (მუქთი ზალა, განათება, სარგებლობა ფიზიკური კაბინეტით, მუზეუმით და სხ.),

მუხ. 21. სწავლება ნაწილდება ლექციათა სერიებათ; იკითხება კვირაში არა უმეტეს სამი ლექციისა, საღამოობით.

მუხ. 22. გარდა სისტემატიური ლექციებისა, გამგეობა მართავს კონფერენციებს და საღამოებს, იმ დროს როცა ლექციები იკითხება.

მუხ. 23. წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით სასწავლო კომისია გამგეობასთან შეთანხმებით მართავს ახალ კურსებს ან სპეციალურ კონფერენციებს. გამგეობა სწყვეტს დახუროს თუ არა ის კურსი, რომელსაც არ ისმენს 50 წევრი მაინც.

მუხ. 24. წლის გასულს მუდმივ და ბეჯით მსმენელს ეძლევა შესაფერი მოწმობა თავმჯდომარისა და ლექტორთა მიერ ხელმოწერილი.

მუხ. 25. ჩვეულებრივ კურსების გარდა იმართება კონფერენციები ახალ მოვლენების შესახებ, როგორც ბუნების, ისე საზოგადოების (საამდროვო კითხვები).

მუხ. 26. უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც იღება საღამოობით...

მუხ. 27. სასწავლო წელიწადი იწყება არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა და გრძელდება 6 თვე.

მუხ. 28. წესდების შეცვლა შეუძლია წევრთა ორ მესამედს.

მუხ. 20. საზოგადოება გაუქმდება იმ შემთხვევაში, როცა წევრთა რიცხვი იქნება 50-ზე ნაკლები, როცა უნივერსიტეტი შეაჩერებს ან მოსპობს ლექციებს, რომელსაც ესწრება 25 მსმენელზე ნაკლები, ან და სხვა საპატიო მიზეზი აღმოჩნდება (უფულობა, უბინობა და სხ.).

მუხ. 30. თუ საზოგადოება გაუქმდა, მისი ქონება გადაეცემა რეჯიოს მუნიციპალიტეტს იმ მიზნით, რომ გააღოს ხელ-ახლა სახალხო უნივერსიტეტი; თუ მან ხუთი წლის განმავლობაში ეს მიზანი ვერ შეასრულა, ქონება ხმარდება მუშათა საჭიროებას.

მუხ. 31. შინაგან ინსტრუკციას შეამუშავებს გამგეობა და კომისია ერთად.

აი ამ მუხლების თანახმათ მოქმედებენ სახალხო უნივერსიტეტები. ესენიც დაკავშირებულია შრომის ბირ-ჟასთან. რეჯიოს უნივერსიტეტის თავმჯდომარეა ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებელი, სოციალისტთა ორგანოს „სამართლის“ რედაქტორი.

აქ არსებობს აგრეთვე ეგრეთ წოდებული „სკოლ-ს პატრონატი“, ე. ი. საზოგადოება ღარიბი მოწაფეების დასახმარებლათ. საზოგადოება მათ აწვდის მუქთათ სასწავლო ნივთებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ავათმყოფობის დროს ექიმს და წამალს. სადაც სოციალისტური მუნიციპალიტეტია—იქ სკოლის პატრონატის მოვალეობას მუნიციპალიტეტი ასრულებს, ან და იგი თვით საზოგადოებას აძლევს სუბსიდიას.

---

7 საკრედიტო კოოპერატივები.

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ დიად კოოპერატიულ მოძრაობას დიდი კრედიტიც ეპიერება. როგორც ზემოთ არა ერთხელ დავინახეთ. კოოპერატივის ძირის თანხა ეთელი აღებ-მიცემობის ერთ მცირე ნაწილს შეადგენს. დანარჩენი ნაწილი კი ვალათ არის აღებული. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მთელი კოოპერატიული მოძრაობა დაფუძნებულია ერთიანათ კრედიტზე. 1908 წ. ანგარიშით კოოპერატივებს ქონდათ გამოშვებული და ხელმოწერილი აქციები 1,500,000 ლირის, ნაღდათ შემოტანილი კი, ამის ნახევარიც არ ყოფილა. იმავე დროს ისინი ყიდიან წელიწადში ათი მილიონი ლირის საქონელს. საიდან შოულობენ ცხრა მილიონამდი თანხას? ემთავრესათ საკრედიტო დაწესებულებათა-

ლებები და მოისპობა კოოპერატივი. მარა არის კრედიტიც და კრედიტიც. ძვირი კრედიტით არსებობა კოოპერატივს არ შეუძლია. ის ხომ კაპიტალისტთა საზოგადოება არ არის, რომ ფულის მოგებით იყოს დაინტერესებული. მისი მიზანი სულ სხვაა და ძვირი კრედიტით ამ მიზანს ის ვერასოდეს ვერ მიაღწევს. დიდი ბანკები კაპიტალისტთა ხელშია და მათკან კრედიტის აღება კაპიტალისტთა ბრეკალებში ჩავარდნას ნიშნავს. აქ, მართალია, სარგებელი დიდი არ არის, მარა იმდენი სხვადასხვა საძრომია, რომ ბოლოს და ბოლოს გვარიან ბევრ ფულს გახდევინებენ. გარდა ამისა, კოოპერატივებს კაპიტალისტებიც ისე მტრულათ უყურებენ, როგორც მედუქნეები და, რასაკვირველია, შემთხვევას არ გაუშვებენ მათ ხელი მოუპირონ და დაახრჩონ. ერთი სიტყვით, კოოპერატივებს ეჭვერება იაფი და თანამგრძნობი კრედიტი. ასეთ კრედიტს იძლევიან საკრედიტო კოოპერატივები ანუ სახალხო ბანკები. სახალხო ბანკებს იტალიაში დიდი ხნის ისტორია აქვთ. პირველი სახალხო ბანკი გაიხსნა 1864 წ. პირველი კოოპერატივი იყო საკრედიტო კოოპერატივი, იმ დროს სხვა კოოპერატივები არ არსებობდენ. ამ ჟამათ სახალხო ბანკთა რიცხვი 800-მდეა, რომელშიაც შედის ერთ მილიონამდე წევრი.

რეჯიო-ემილიის ერთი უძველესი სახალხო ბანკია სოფ. მონტეკიოს ბანკი. ის დაარსდა 1884 წ. მის წესდებაში ვკითხულობთ:

მუხ. 1. ს. მონტეკიოში არსდება კოოპერატიული კრედიტის საზოგადოება, უსახელო საზოგადოების ფორმით, სახელწოდებით მონტეკიოს სახალხო ბანკი (უსახელო კოოპერატიული საზოგადოება)

მუხ. 2. მისი მიზანია მოუპოვოს წევრთ კრედიტი ურთიერთ დახმარებით და დაზოგვით.

მუხ. 5. ბანკის ქონებას შეადგენს:

ა) აქციები, ხელმოწერილი წევრთა მიერ, თითო ღირებული 30 ლირათ;

ბ) სათადარიგო თანხა;

გ) ჩასაწერი თანხა, წევრებზე ორი ლირა;

დ) განსაკუთრებული ფონდები, შემოტანილი განსაზღვრული ოპერაციებისათვის.

მუხ. 6. წევრის ჩასაწერათ საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაფერი თხოვნა, სადაც ნათქვამი უნდა იყოს რომ ის დაიცავს სავსებით, წესდებას, გადაწყვეტილებებს და ინსტრუქციებს. ამასთანავე ორი წევრი უნდა ამოწმებდეს მთხოვნელის პატიოსნებას. თუ გამგეობა უარს ეტყვის მიღებაზე, მას შეუძლია ეს განასაჩივროს მედიატორეთა კომიტეტში.

მუხ. 7. საზოგადოებები: კოოპერატიული, ურთიერთ დამხმარე და სხვანი შემოდიან საზოგადოებაში სხვა წევრთა უფლება-მოვალეობით; მხოლოდ თანამდებობაზე არ აირჩევიან. ისინი წარმოდგენილი არიან დელეგატებით.

მუხ. 10. წევრს შეუძლია შემოიტანოს საწევრო ფული თვიურათ თითო ლირა აქციაზე.

მუხ. 12. არავის არ შეუძლია შეიძინოს 30 აქციაზე მეტი.

მუხ. 13. გამგეობას შეუძლია გამორიცხოს წევრი საზოგადოებიდან, როცა ის გასამართლებელი საბუთის წარმოუდგენლათ საწევრო გადასახადს სამჯერ ზედიზედ არ შემოიტანს, როცა თავზე მოახვევს საზოგადოებას საზარალო იურიდიულ აქტს, როცა დაისჯება სასამართლოს წესით სიყალბის, ქურდობის, ან მძიმე სისხლის

სამართლის დანაშაულობისათვის და როცა აქციას მოიხმარს უპატიოსნო საქმისთვის. გამორიცხულ წევრს შეუძლია განასაჩივროს გამგეობის განჩინება მედიატორეთა კომიტეტში.

მუხ. 14. წევრი, გამორიცხულ სამ უკანასკნელი მიზეზით, უკანვე მიიღებს თავის აქციების ღირებულებას, გარდა ჩასაწერი გადასახადისა.

მუხ. 17. თუ წევრი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ბანკს შეუძლია გაყიდოს მისი აქცია, ან გამოუშვას მისი დუბლიკატი.

მუხ. 20. ბანკი: ა) იძლევა სესხს და ახურდავებს ვექსილებს, ხაზინის ქაღალდებს; მუნიციპალიტეტის და ერთობათა თამასუქებს;

ბ) იძლევა დახმარებას ფასიანი ქაღალდის გირაოს ქვეშ;

გ) უხსნის მიმდინარე ანგარიშს ორი ან მეტი პირის თავდებობით;.

დ) იღებს შესანახათ ფულს;

ე) იღებს ანგარიშს მესამე პირისთვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის და სხვა იურიდიული პიროვნებისათვის,

ოპერაციები ა, გ და ე მუხლებში მოხსენებული ხდება მხოლოდ წევრთათვის.

მუხ. 24. სესხის, ან თამასუქის განაღდების მსურველი წევრი დაკმაყოფილებული იქნება. იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე შეტანილი აქვს მთლად საწევრო გადასახადი, არ მართებს ბანკის და იძლევა ნივთიერ თუ მორალურ გარანტიას, რომ შემთხვევის დროს ის ვალდებულებას შეასრულებს.

მუხ. 25. ბანკი იძლევა სესხს, ანაღდებს თამასუქებს და

სხ. სამი თვის ვადით; ვადის გაგრძელება ქალაქდების გამოცვლით შეიძლება კიდევ სამი თვით იმ შემთხვევაში, თუ მოვალე გადიხდის, ვალის მეხუთედს მაინც.

მუხ 27 გამგეობა საზღვრავს კრედიტის რაოდენობას ყოველ წელს.

მუხ. 29 სესხის გაცემა გირაოს ქვეშ შეიძლება ექვსი თვის ვადით და ეს ვადა გაგრძელდება კიდევ ექვსი თვით.

მუხ. 31. მიმდინარე ანგარიშის ვადაა ორი წელიწადი. ამ ანგარიშს მოხმარდება შემოტანილი და სათადარიგო თანხის არა უმეტესი მეხუთედისა. თითოული პირის მიმდინარე ანგარიში შეიცავს არა უმეტეს ერთი მეათედისა იმ თანხის, რომლის გაცემა მასზე შეიძლება თანახმათ 27 მუხ.

მუხ. 35. წმინდა მოგება ნაწილდება: 70% წევრთა აქციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას შესცვლის საზოგადო კრება და ერთ ნაწილს გადადებს სათადარიგო თანხისთვის; 20% სათადარიგო თანხას; 10% გამგეობის განკარგულებაში მოსამსახურე და სხვა პირთა ჯილდოთ. თუ გამგეობა საჭიროთ არ თვილს ჯილდოს მიცემას, ეს თანხა გადაიდება სათადარიგო თანხისთვის.

საზოგადო საქმეებს განაგებს წევრთა საზოგადო კრება, გამგეობა, სარევიზიო კომისია, სადისკონტო კომიტეტი, მედიატორეთა კომიტეტი.

მუხ. 81. საზოგადოება იწყებს მოქმედებას, როცა ხელს მოაწერენ 300 აქციაზე და შემოიტანებენ 2.700 ლირას.

როგორც ხედავთ, ბანკს დაუწყია მოქმედება სულ მცირე თანხით, რომელიც შემდეგ დიდ თანხათ გადაქცეულა. აი ბანკის ანგარიში 1909 წ.: აქტივი უდრის —1.026.430 ლ., ამაში შედის: კასა—29.361 ლ., პორთფელში—594.245 ლ., მიმდინარე ანგარიში გარანტიით—88.239 ლ., გასესხებული—155.525 ლ. და სხ. პასივი – 1.026.430 ლ. ამაში: ხელმოწერილი აქციები — 67.250 ლ., სათადარიგო თანხა—19.611 ლ., შემოტანილი მიმდინარე ანგარიშზე—28.409 ლ., შემოტანილი შესანახავათ უპირობოთ—529.700 ლ , განსაზღვრული ვადით – 204.616 ლ., დივიდენდი—8.242 ლ., კრედიტორები—2.345 ლ., სესხის გარანტიები—150.525 ლ., გირაო—7.500 ლ. და სხ.

ამ წლის საერთო აღებ-მიცემობა უდრის—30.983.083 ლირას, მოგება--87.152 ლ, ხარჯები—35.826 ლ. (ამაში მოსამსახურეთა ჯამაგირი—5.210 ლ.), წმინდა მოგება—51.326 ლ., თითო აქციაზე მიეცა დივიდენდათ— 1 ლ. 60 სან.

1910 წ. 30 აპრილს ბანკის აქტივი უდრიდა— 1.327.602 ლ., პასივი—1.320.465 ლ., მოგება—15.785 ლ., ხარჯი—8.648 ლ.

ეს ტიპიური სახალხო ბანკია. მისი წევრია ყოველი კაცი, ვინც კი ამას მოისურვებს. დივიდენდი ნაწილდება წევრთა შორის. მოგებაც გვარიანი დიდია. საზოგადოთ საბანკო სულის კვეთება აქაც წითელი ზოლივით არის გაყოლებული. ის მართალა მფარველობს კოოპერატივთ, მარა ის კოოპერატივთა ბანკი მაინც არ არის; რაც შეიძლება მეტის მოგება და მეტი დივიდენდის დარიგება აქაც მამოძრავებელ ღერძათ რჩება. გაჭირვებული მსესხებელი იძლევა მოგებას და გაჭირვებული წევრი იღებს დივიდენდს. მართალია ბევრი დივიდენდის ერთი

პირის ხელში მოგროვებას ანელებს ის მუხლი, რომელიც საზღვრავს აქციათა რაოდენობის შეძენას, მარა ვერ ანელებს იმას, რომ ერთი უცნობი იყვლიფეა ძეორე უცნობის სასარგებლოთ. ამას დაუმატეთ ის, რომ წევრი ხშირათ იძულებულია გაუსწორდეს ბანკს უსაქიროეს საკუთრების გაყიდვით.

ალბათ ყველა ეს ნაკლულევანება გაითვალისწინა რეჯიოს შრომის ბირჟამ, როცა მან 1903 წ. მოიწვია კოოპერატივები საკუთარი ბანკის დასაარსებლათ. კრებას დაესწრო 51 კოოპერატივის და 12 ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელი. კრებამ გადასწყვიტა დაეარსებია საკუთარი ბანკი და ხელი მოაწერეს 18.654 ლირის აქციას. ეს კოოპერატივთა პირველი ბანკია იტალიაში. აქ მოვიყვანთ მისი წეს'დების დამახასიათებელ მუხლებს.

მუხ. 1. დაარსდა საზოგადო შემნახველ-განსესხებელი კასა რეჯიო-ემილიის კოოპერატივთა და ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა, სახელწოდებით: „რეჯიო-ემილიის კოოპერატივთა ბანკი“ (უსახელო კოოპერატიული საზოგადოება განუსაზღვრელი თანხით).

მუხ. 2. მისი მიზანია:

ა) მიღება ფულის შესანახავათ (უპირატესობა ეძლევა წვრილ თანხას) და მიმდინარე ანგარიშზე,

ბ) დაბანდება ფულის უძრავ ქონებაში იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს მუშათა ორგანიზაციების განვითარებას,

გ) ასარგებლოს კასა საზოგადოებებს, დაწესებულებათ და კერძო პირთ, წევრებზე მისესხებით და განაღდებით თამასუქების, შრომის ანგარიშებისა და ფაქტურების.

დ) მოახდინოს ოპერაციები მუშათა უზრუნველ-ყოფის სასარგებლოთ: მათი კასების, ავათ-მყოფობისა და დაშავებისაგან დაზღვევის, შრომის შეუძლებლობის და მოხუცებულობის, აღმზრდელი თეატრების, თავშესაფართა, საზოგადო აფთიაქებისა და სკოლების და ს. ხ. და სხვათა სასარ-გებლოთ.

ე) ხელი შეუწყოს სამეურნეო წარმოებას (გი-რაოთ მიღება ხორბლის და სხვა სამეურნეო ნა-წარმოების).

მუხ. 3. ბანკის სადგომია ქ. რეჯიოში. მისი განყოფი-ლებები შეიძლება გაიხსნას პროვინციაში.

მუხ. 6. წევრათ მიიღებიან:

ა) პროვინციის ურთიერთ დამხმარე საზოგადო-ებები;

ბ) პროვინციის კოოპერატივები წარმოების, შრო-მისა და მოძხმარებელი;

გ) ზემოთ აღნიშნული საზოგადოებების წევრე-ბი; თითოული საზოგადოება ირიცხება ერთ წევრათ.

მუხ. 8. წევრი მიიღება ორი წევრის წინადადებით.

მუხ. 9. წევრი ვალდებულია:

ა) შემოიტანოს ჩასაწერი გადასახადი — საზოგა-დოებამ 5 ლირა, მისმა წევრმა 1 ლირა;

ბ) ხელი მოაწეროს ერთ აქციას მაინც, ღირე-ბულს 60 ლ. და ეს გადაიხადოს თვიურათ ხუთ-ხუთი ლირის შემოტანით.

გ) შემოიტანოს თავისი თავისუფალი თანხა შე-სანახავათ, ან მიმდინარე ანგარიშზე.

დ) და დაიცვას წესდება და კანონიერი განჩი-ნებები.

მუხ. 10. სრულ წლოვან წევრთ და საზოგადოებათა წარმომადგენელთ აქვთ წევრის ყველა უფლება ჩაწერის დღიდან სამი თვის შემდეგ, თუ შემოტანილი აქვთ ჩასაწერი თანხა სრულად და აქციის ფასის ნახევარი მაინც.

მუხ. 26. წმინდა მოგება ნაწილდება ასე: 20% აქციებზე, 50% სათადარიგო თანხას და 30% გამგეობის განკარგულებაში, რომელიც უნდა მოხმარდეს: კოოპერატიული აზრების გავრცელებას მუშებში და აგრეთვე ბანკის მოსამსახურეთა დამხმარე ფონდს.

მუხ. 29. ბანკის საქმეებს განაგებს: წევრთა საზოგადოკრება, გამგეობა, დირეკტორი და სარევიზიო კომისია.

მუხ. 35. თითოეულ წევრს თითო ხმა აქვს, რამდენი აქციაც უნდა ქონდეს.

მუხ. 36. მხოლოდ ავადმყოფობის და პროვინციის გარეთ ყოფნის დროს, წევრს შეუძლია თავისი უფლება საზოგადო კრებაზე დასასწრებათ სხვას გადასცეს.

მუხ. 38. გამგეობის წევრთ არ აქვთ კენჭის უფლება ანგარიშების და სხვა მათი მოქმედების შესახები კითხვების გადაწყვეტაში.

მუხ. 53. გამგეობის ოთხი წევრი, რიგ-რიგობით, დირეკტორთან ერთათ ასრულებს დისკონტის კომიტეტის როლს. არავითარი სესხი არ გაიცემა, არავითარი თამასუქის განაღდება არ შეიძლება ისე, თუ ეს არ იქნა დადგენილი კომიტეტის ორი წევრის და დირეკტორის ხმის უმრავლესობით.

მუხ. 55. სარევიზიო კომისია ასრულებს აგრეთვე როლს

მედიატორეთა კომიტეტის. ის, რიგორც კომიტეტი, მეგობრულათ და ხმის უმრავლესობით სწყვეტს ყველა იმ უთანხმოებას, რომელიც ჩამოვარდება წევრთა და გამგეობის შორის საზოგადოების საქმეთა შესახებ და რაც წესდებაში არ არის აღნიშნული. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება წევრთა საზოგადო კრებაზე.

ბანკის შინაგან რეგლამენტში ვკითხულობთ: სამეურნეო კრედიტი: ბანკი იძლევა სესხს სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ; გირაო უნდა იქნას დაწყობილი ან ბანკის საწყობში ან სანდო პირისას. გამგეობას შეუძლია გირაო დატოვოს მსესხებლის ხელში, მეორე წევრის თავდებობით, რომ გირაო შენახულ იქნება სალათ და უვნებლათ. სამეურნეო კრედიტი იძლევა სხვა კრედიტზე უფრო გრძელი ვადით. გამგეობა ყოველ წელს საზღვრავს სამეურნეო კრედიტისათვის გადასადებ თანხას.—უძრავ ქონებაში შეიძლება დაიბანდოს შესანახავათ მოტანილი თანხის ერთი მეათედი. უძრავ ქონებას ან პირდაპირ ბანკი იძენს და გადასცეს მუშათა ორგანიზაციას, ან და ორგანიზაციას აძლევს საჭირო თანხას სესხათ და ის იძენს საჭირო უძრავ ქონებას. სესხის გაცემა უნდა მოხდეს გამგეობის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით.—ბანკი იღებს შესანახავათ თანხას არა ნაკლებ ერთი ლირისა. სარგებელი იძლევა იმ თანხაზე მეტი, ვინემ მიმდინარე ანგარიშის თანხაზე. მისი ვალში აწერა არ შეიძლება. ბანკი შეშნახველს აძლევს 50 ლირას მოთხოვნილებისამებრ, 51—500 ლირის მოთხოვნიდან ათ დღეში, 500 ლირაზე მეტს ორ კვირაში. დირექტორს შეუძლია ეს ვადები შეამოკლოს და, თუ საზარალოთ არ დაინახავს, მოთხოვნილება მაშინვე დააკმაყოფილოს. სარგებლის დაკლება უნდა იქნას გამოცხადებული ერთი

კვირის წინ, სანამ ახალი ნორმა ძალაში შეიდოდეს.— პატარა დაზოგვა (ე. ი. შენახვა 1—500 ლირის) წარმოებს სხვა წესით, ვინემ საზოგადოთ დაზოგვა. პირველს ეძლევა მეტი სარგებელი, ვინემ მეორეს.

1909 წ. ბალანსში გამოცხადებულია: ბანკი აკეთებს მხოლოდ წევრთან შემდეგ ოპერაციებს: სესხება და განაღდება თამასუქის, შრომის კვიტანციის, თვითმართველობათა ვალდებულების ქაღალდის და ხაზინის ჩეკის. აგრეთვე უხსნის მიმდინარე ანგარიშს გარანტიის ქვეშ და აძლევს სამეურნეო კრედიტს.

ბანკი აკეთებს წევრთან და არა-წევრთან შემდეგ ოპერაციებს: აძლევს თანხას ფასიან ქაღალდების გირაოს ქვეშ. ახპარს კასას მესამე პირის ანგარიშზე, იღებს ძვირფას ნივთს შესანახათ და მოსახმარათ, იღებს თანხას მიმდინარე ანგარიშზე $2^1/_2$ $^0/_0$-ათ; იღებს თანხას ჩვეულებრივ დასაზოგავათ $3^1/_2$ $^0/_0$-ათ, პატარა დასაზოგავათ 5 $^0/_0$, უშვებს ჩეკებს (ბონი) განსაკუთრებული ვადით: 6 თვემდი—4 $^0/_0$-ანი, წლამდი—$4^1/_4$ $^0/_0$, 18 თვეში —$4^1/_2$ $^0/_0$. ყიდულობს და ყიდის რენტას მთავარ ალაგებზე იტალიაში და იტალიის გარეთ.

ასეთია მოკლეთ კოოპერატივთა ბანკის წესდება. ის განირჩევა სახალხო ბანკისაგან განსაკუთრებით იმით, რომ მის წევრათ შეიძლება იყოს მხოლოდ კოოპერატივი და კოოპერატორი. მაშასადამე ის ამ მხრივ დახურული ბანკია. მეორე მხრივ, მისი ოპერაცია გაცილებით უფრო ფართე ასპარეზს ეხება, ვინემ სახალხო ბანკი. კოოპერატივთა ბანკის მიზანია კოოპერატივთა განვითარება კრედიტის საშუალებით, სახალხო ბანკის მიზანია კრედიტის მიცემა მეურველთათვის, ვინც უნდა იყოს იგი. პირველი იყენებს კლიენტებს კოოპერატივთა სასარგებლოთ, მეორე იყენებს კლიენტებს თა-

ვის წევრთა სასარგებლოთ. პირველის წევრებია მუშები და მუშა-გლეხები თავიანთი კოოპერატივებით, მეორის წევრია ყოველი კაცი, მუშა კი უმცირესობაა. პირველი აძლევს მეტ დივიდენდს, ვინემ მეორე. ერთი სიტყვით, ეს ორი სრულიად სხვადასხვა ბანკია, როგორც მიზნით, ისე აგებულებით.

ბანკმა დაიწყო მოქმედება 2521 ლირის საწევრო თანხით, 1904 წ. კი წევრებმა შემოიტანეს 60 ათასი ლირა. პირველ წელიწადში შეიტანეს დასაზოგავათ 40 ათასი ლირა, 1907 წ. კი—160 ათასი, 1910 წ.—200 ათასი. ბანკმა გაანაღდა პირველ წელს 200 ათასი ლირის თამასუქი, 1907 წ.—ორი მილიონის, 1910 წ.—სამი მილიონის; ბანკის მთელი აღებმიცემობა უდრიდა 1904 წ. ორ მილიონ ლირას, 1907 წ. კი—18 მილიონს. ამ ბანკის საშვალებით იშოვა შრომის კოოპერატივთა ამხანაგობამ ნახევარი მილიონი ლირა კოოპერატიული რკინის გზის მართველობასთან გირაოთ წასადგენათ.

1906 წ. გაცემული იყო 1021 აქცია, ღირებული 61260 ლ., რომელიც მთლათ შემოიტანეს. წევრთა რიცხვი: კოოპერატივები—157, მათი წევრები—254; კოოპერატივებმა წაიღეს სესხათ ორი მილიონი. შემდეგ წლებში ამ წევრთა რიცხვს დიდათ არ უმატია, ხოლო სესხის გაცემამ კოოპერატივებზე კი ერთი სამათ მოიმატა.

აი 1909 წ. ბალანსი:

აქტივი: კასაში—28693 ლ., პორტფელში—59643, სახელმწიფო ქაღალდები—72,772, საზოგადოებათა აქციები—47950, მოძრავი—2158, გირაო —14,000, კორესპონდენტებს—80603, ხაზინაში—90193, შემოუტანელი აქციის ფული—225, სხვადასხვა მოვალეს—120142, ბანსები—1889, წვრილმანი—1798, სულ—520063 ლ.

პასივი: აქციის (1063) ფული—63,900 ლ., სათადარიგო თანხა—2193, სულ ქონება—66093 ლირა; შემოტანილია დასაზოგავათ 17085 ლ., მიმდინარე ანგარიშზე—27267, ბონები ვადით—83019, კორესპოდენტების—144,499, სხვადა სხვა კრედიტორთ—11098, გირაო—14,000, ხაზინას—917, წვრილმანი—967, სულ—520063 ლ. იმავე წელს საერთო შემოსავალი იყო—63816 ლ. ხარჯები—62425, წმინდა შემოსავალი—1391 ლ., მოსამსახურე პირთა ჯამაგირებზე დაიხარჯა 5965 ლ.

1910 წ. 30 აპრილის ბალანსი გამოიხატა ამნაირათ: აქტივი—1.602,111 ლ., ამდენივე პასივი, ქონება (საწევრო და სათადარიგო თანხა)—77528 ლ., შემოტანილი დასაზოგავათ—194355, მიმდინარე ანგარიში—23370, ბონები ვადით—80861 და სხ.

ბანკი მოთავსებულია შრომის ბირჟაში: მას განაგებს ოთხი ჯამაგირიანი მოსამსახურე დირეკტორი: ხაზინადარი, ბუხჰალტერი და ფაქტორი (გამგზავნი).

---

8. მუნიციპალიტეტი.

კოოპერატივთა განვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ როლს თამაშობს მუნიციპალიტეტი. მტრულათ განწყობილი თვითმართველობა დიდ გადასახადს ადებს კოოპერატივს, განსაკუთრებით მომხმარებელს და არ აძლევს არავითარ იჯარას შრომის კოოპერატივთ. თუ ეს რამოდენიმე წელს გასტანა, კოოპერატივი შეიძლება სულ დაიკეტოს და კოოპერატორებმა იცადონ იმ დრომდი, სანამ მუნიციპალიტეტი თანამგრძნობელი გახდება. ამის მაგალითები ჩვენ ზემოთ დავინახეთ. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მოკლეთ მაინც გავიცნოთ იტალიის

სასოფლო თვითმართველობა და გავითვალისწინოთ ჰის გარშემო ატეხილი პარტიული ბრძოლა.

საზოგადოთ სიტყვა „სოფელი“ ჩვენებური მნიშვნელობით ევროპაში არსად არ იხმარება. თანამედროვე სასოფლო კანონმდებლობამ ეს სიტყვა არ იცის. სოფელი საშუალო-საუკუნის სიტყვაა და ნიშნავს ადამიანთა ისეთ ბინადრობას, სადაც ქალაქური ურთიერთობა არ არსებობს. ევროპაში კი ამ ჟამათ ასეთი სოფელი აღარ არის. ჩვეულებრივათ აქ სოფლის შუაგულს, ანუ მის ცენტრს, შეადგენს დუქანთა მთელი წყება, რომელთა გარშემო თავს იყრის თანამედროვე კლასები: ბურჟუაზია და მუშა. მის ახლო-მახლო ცხოვრობენ გლეხები და სხვა მეურნენი. ცენტრში აგებულია ყოველნაირი ადგილობრივი საზოგადო დაწესებულება, აქ არის თვითმართველობაც, რომლის ფარგალში შედის რამოდენიმე კილომეტრის სივრცე ირგვლივ. ამ სივრცეზე სახლობენ სხვადასხვა ხელობის მცხოვრებნი, რომელნიც განიყოფებიან ტერიტორიალურათ, კუთხეებათ; თითოეულ კუთხეს თ-ვისი სახელი აქვს. და აი კრებული ამ ცენტრისა და კუთხეების შეადგენს ერთ საზოგადოებას ანუ კომუნას, ხოლო მის თვითმართველობას ეწოდება კომუნალური თვითმართველობა ანუ მუნიციპალიტეტი. ამ მხრივ სოფელი არ განირჩევა ქალაქისაგან, ორივე კომუნაა, ორივეს მუნიციპალიტეტი აქვს, განსხვავებაა მხოლოთ მეტნაკლებობაში; პირველი პატარაა, მეორე დიდი, კომპეტენცია კი თითქმის ერთნაირი აქვთ; არსებითი განსხვავება მათშორის არც ამ მხრივ არსებობს.

ერთი სიტყვით, თანამედროვე კანონმდებლობას წარმოდგენილი ყავს: სახელმწიფოს ყველა მცხოვრებნი მოქალაქეებათ, ერთნაირი უფლება-მოვალეობით; მათ განსაზღვრულ, ისტორიულათ შემუშავებულ თავყრილობას

აქვს თანაბარი თვითმართველობა, რომლის მოქმედება მით უფრო რთულია, რაც უფრო მეტ მცხოვრებზე ვრცელდება ის. თვითმართველობა იყოფა არა სოფლისა და ქალაქის მიხედვით, არამედ მცხოვრებთა რაოდენობის დაგვარათ. განსაზღვრული რიცხვი ამომრჩეველთა ირჩევს განსაზღვრულ რიცხვს ხმოსნებისას; რაც მეტია პირველნი, მით მეტია მეორენი. და რადგანაც დიდ ქალაქში მეტი მცხოვრებია, ვინემ პატარაში, ამიტომ მისი მუნიციპალიტეტიც მრავალ რიცხოვანია ხმოსნებით და რთულია მოქმედებით; განსხვავებაა რაოდენობითი და არა თვისებით. ამბობენ კომუნა რეჯიოს, კომუნა ნოველარას და არა კომუნა ქალაქ რეჯიოსი, კომუნა სოფ. ნოველარასი და სხ. ყოველ კომუნაში შედის ცენტრი, ქალაქი მიდამოებით და მეურნეთა კუთხენი. რეჯიოში შედის ქალაქი რეჯიო (cita) და მის ახლო მახლო მდებარე სოფლები.

იტალიაში პარლამენტის და მუნიციპალიტეტის საარჩევნო უფლება ერთი და იგივეა. ორივე დაწესებულებაში კენჭის უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც გახდა 21 წლის და იცის ხელწერა მაინც (მამა-კაცები, რასაკვირელია). იტალიაში დაკანონებულია სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ წერა-კითხვა ყველამ იცის და საარჩევნო უფლებაც საყოველთაოა. ნამდვილათ კი ასე არ არის, წერა-კითხვა იცის უმცირესობამ და საარჩევნო უფლებაც უმცირესობას აქვს. ეს აიხსნება იმით, რომ კანონი სავალდებულო სწავლის შესახებ უნდა მოიყვანოს სისრულეში მუნიციპალიტეტმა, პირველდაწყებითი სკოლები ერთიანათ მათია, სახალხო განათლების საქმე მათი კომპენტენციაა. და თუ მათ კანონი სისრულეში არ მოყავთ, ან ერთს მოყავს, მეორეს კი არა, ვერავითარი ძალა ვერ

აიძულებს სხვანაირათ მოიქცეს. მუნიციპალიტეტი იტ-ყვის, სოფელი ღარიბია, ფული არ არის და საკმაო რიცხვს მასწავლებელთა ვერ დავიჭერთო. სახელმწიფომ უნდა ფულით დაეხმაროს, ან გაჩუმდეს. პირველს არ შვრება ან არ შეუძლია, დარჩენია მეორე გზა. ამიტომ სოციალისტები ცდილობენ მოხდეს საარჩევნო რეფორ-მა იმ მხრივ, რომ საარჩევნო უფლება ქონდეს ყოველ სრულწლოვან იტალიელს, მიუხედავათ წერა-კითხვის ცოდნისა.

ახლა წარმოიდგინეთ მუნიციპალიტეტი ხალხის მტრე-ბის ხელში, რომელნიც პრინციპიალურათ წინააღმდეგნი არიან საყოველთაო სწავლა-განათლების. ასეთი მუნიციპა-ლიტეტი არასოდეს არ შეასრულებს აღნიშნულ კანონს. რადგანაც ბურჟუაზიას თავისი სკოლებიც აქვს და სწავლა-განათლებას თავის ხარჯითაც მიიღებს, წერა-კითხვის ცოდნას მოკლებული რჩება გლეხობა და მუშა-ხალხი. და სწორედ კლერიკალები და მათი ამყოლ-დამყოლნი ამიტომ ებრძვიან მუნიციპალიტეტების სახალხო სკო-ლას, ვინაიდან საყოველთაო საარჩევნო უფლება ნიშ-ნავს მათი ბატონობის დამხობას.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, რეჯიო-ემილიაში ორი მთავარი პარტიაა: ზომიერნი ანუ კლერიკალები და სოციალისტები. ჩემს იქ ყოფნის დროს დაიწყო მუნი-ციპალიტეტების განახლება, მთელ იტალიაში დიდი აგი-ტაცია და პარტიული ბრძოლა გაჩაღდა. ალაგ-ალაგ სო-ციალისტები შეუერთდენ რადიკალებს და სხვა მემარცხ-ნეთ კლერიკალების და ლიბერალების წინააღმდეგ (მაგ., მილანში, ტიურინში, გენუაში და სხ.) და კიდევაც სძლიეს მათ. ამ დროს მე ვიყავი ნოველარაში და და-ვესწარი იქაურ სოციალისტურ ორგანიზაციის კრებას. თავი მოიყარა ქალაქის და კუთხეების ორგანიზაციათა

წარმომადგენლებმა, რიცხვით 17-მდე; ყველა ორგანიზაციაში ასამდი წევრია, ქალაქისაშია 40. გადასაწყეტი იყო კითხვა შესახებ მუნიციპალური არჩევნებისა. აქაური კლერიკალური მუნიციპალიტეტი დიდათ აწუხებდა კოოპერატივთ უზომო გადასახადებით და ამიტომ ყველა კოოპერატორი მისი დაუძინებელი მტერი იყო. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. კამათი გამოიწვია მეორე კითხვამ: დამოუკიდებლათ გამოსულიყვენ ბრძოლის ველზე, თუ მეშარცხენე ელემენტებთან კავშირი დაეჭირათ. გამოითქვა ორი აზრი; ერთნი ამბობდენ: ჩვენ, როგორც სოციალისტები, საკუთარი დროშით და საკუთარი ძალ-ღონით გამოვიდეთ, ვინც მოგვემხრობა—მოგვემხრობა თავისითაც, და თუ ვერ გავიყვანეთ წელს ჩვენი კანდიდატები, სოციალისტურ აგიტაციას მაინც გავსწევთ და შემდეგი ბრძოლისთვის ნიადაგს მოვამზადებთო. ამ აზრს იცავდა ერთ-ერთი იქ მყოფი ინტელიგენტი, კოოპერატივთა აგრონომი. მის წინააღმდეგ ამხედრდა მომხმარებელი კოოპერატივის მდივანი და გამოთქვა შემდეგი: მუნიციპალიტეტი პირველყოვლისა სამეურნეო დაწესებულებაა, ჩვენი მუნიციპალური პროგრამა ბევრ მემარცხენე ელემენტისათვისაც მისაღებია, მათი მომხრობა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. მეორე მხრით, ჩვენ, სოციალისტებს, არ გვყავს იმდენი პოპულიარული და მცოდნე პირი, რომ მათგან საკუთარი კანდიდატთა სია შევადგინოთ, საჭირო ა ჩვენ სიაში თანამგრძნობი პირებიც მოვათავსოთ, ეს კი ნიშნავს მათთან ბლოკს. ამ გზით შეიძლება გავიმარჯვოთ, რასაც ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვსო.

შემდეგ ბევრი კამათისა გაიმარჯვა ამ მეორე აზრმა და დაადგინეს გამართონ მოლაპარაკება თანამგრძნობ ელემენტებთან, შეიმუშაონ საერთო სია და ერთათ გამოვიდენ

საარჩევნო ასპარეზზე სახალხო პარტიის სახელით. ამას თანავე დაადგინეს გადაისინჯოს ამომრჩეველთა სია და, თუ უმრავლესობა სოციალისტებია და ესენი ადგილობრივ იმყოფებიან, იმ შემთხვევაში გამოვიდენ უბლოკოთ. ჩვენთვის მეტი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის დაპყრობას, ვინემ აგიტაციასო—-განაცხადა მდივანმა.

კრების წევრთა შორის იყო ერთი წვრილი მესაკუთრე, ერთი მენახევრე, ერთი მედუქნე (მდივანი), აგრონომი, დანარჩენი მუშები. ივლისის არჩევნებში ბლოკმა გაიმარჯვა. საზოგადოთ, სოც. ორგანიზაციას შეაქვს მეკენჭეთა სიაში თავისი მომხრეები, ცდილობს არჩევნების დროს მოიყვანოს ისინი, როგორც თავის, ისე სხვა სოფლებიდან. გარდა ამისა ნიშნავს მუდმივ კორესპონდენტს სოც. ორგანოს „სამართალი“ სათვის, იწერს მას და ავრცელებს და სხ. და სხ. თითოული კომუნის სოც. ორგანიზაციათა წარმომადგენელნი ახდენენ საოლქო კონგრესს და ირჩევენ საოლქო ხელმძღვანელ კომიტეტს. კომიტეტის ბინაა ქალ. რეჯიო.

რიო-სალიჩეტოში წინა არჩევნებში სოციალისტურ ორგანაზაციამ უბლოკოთ დაამარცხა ზომიერები, მათ მიიღეს 210 ხმა, კლერიკალებმა—193 ხმა. ეს მცირე უმრავლესობაა, მარა ახლა ის დიდ უმრავლესობათ გადაიქცა. სოც. მუნიციპალიტეტი, ჩვეულებრივათ, ხსნის საღამოს სკოლებს და მოზრდილთ ასწავლის წერა-კითხვას, შემდეგ ისინი შეაქვს საარჩევნო სიაში და ახე იმრავლებს მეკენჭეთა მომხრეებს. მათ, რაკი ერთხელ ხელში ჩაუვარდებათ მუნიციპალიტეტი, მერე მათი იქიდან განდევნა მეტათ ძნელია. ერთად-ერთ რეჯიოს სოციალისტებმა დაკარგეს მუნიციპალიტეტი 1904 წ., რაც გამოიწვია პარტიის შინაგან განხეთხილებამ და ფრაქციონერობამ. შემდეგ, როცა პარტია ისევ გაერ-

თიანდა, მუნიციპალიტეტიც კვლავ დაიბრუნეს. როგორც კი სოციალისტები იპყრობენ თვითმართველობას, ისინი მაშინვე სცვლიან სამუნიციპალიტეტო გადასახადის სისტემას, ამრავლებენ სკოლებს და სავალდებულოთ ხდიან პირველდაწყებით განათლებას. ყველა მუშა მეკენჭეთ ხუება.

გავსინჯოთ ორი სოც. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და გავიცნოთ მათი მოღვაწეობა.

მონტეიოში 5,000 მცხოვრებია. მუნიციპალიტეტი სოციალისტების ხელშია 1906 წლიდან. სავლდებულო გადასახადია ორნაირი: მიწაზე, რაც იძლევა 32,497 ლ. და შენობებზე, რაც იძლევა 7,730 ლ. ნაწილი მიაქვს სახელმწიფოს, დანარჩენი რჩება მუნიციპალიტეტს. მერე ეყოფა მას? კლერიკალურ საბჭოს ყოფნიდა, ვინაიდან ხალხისთვის არ ზრუნავდა. მარა სოციალ. საბჭოსთვის ეს ძლიერ მცირე დარჩა და მან თავის მხრივ მცხოვრებთ დაავალა ახალი გადასახადი მათივე საჭიროებისათვის. ამიტომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა იმატა ასე: 1900 წ. ის იყო 22,470 ლ. 1905 წ.—43 000, 1909 წ. —63630, 1910 წ.—80908 ლირა. მუნიციპალიტეტმა გადასახადი დაადვა ოჯახებს ამ ნორმით: არაფერს არ იხდის ის ოჯახი, რომელსაც შემოუვა წელიწადში—700 ლირაზე ნაკლები;

ვისაც შემოუა:

700 — 800	ლირამდი	იხდის	4 ლ.
801 — 1000	„	„	8 „
1001 — 1200	„		12
1201 — 2000			30 „
2501 — 3000			55
3000-ზე მეტი			75

შემოსავალი იხარჯება შემდეგ ნაირათ:

1. პირველდაწყებითი განათლება	22.000 ლ.
ა) 17 მასწავლებელი იღებს	19.000 „
ბ) მათი პენსიისათვის ხაზინაში შეაქვთ.	2.000 „
გ) რვეულები და სასწავლო ნივთები	1.000 „
2. მართველობის ხარჯები	11.600 „
ა) ორი ექიმი	4.760 „
ბ) ბებია ქალი	760
გ) ბეითალი	1.600 „
დ) ქუჩის დამგველი	380 „
ე) თოვლის გაწმენდა.	1.300 „
ვ) განათება	1.700 „
ზ) ბაზრობა	300 „
ჰ) დარაჯი	800 „
3. საზოგადო სამუშაო	12.000
ა) მუშები	3.200 „
ბ) კენჭი და სილა	8.800 „
4. ქველმოქმედება	14.000 „
ა) უპატრონო ბავშები	2.000 „
ბ) წამალი	12.000 „

ეს არის ჩვეულებრივი გასავალი.

აი არაჩვეულებრივი გასავალიც:

1. საზოგადო სამუშაო	4.000 ლ.
2. სანიტარია	3.000 „
3. განათლება	2.000 „
4. ქველმოქმედება	1.300 „
5. საზოგადო	1.000 „

არა სავალდებულო ხარჯები:

1. საზოგადო	495 ლ.
2. ქანათლება	2 702 „
3. ქველმოქმედება[1]) .	4.400 „
4. ეკლესიის მუსიკა .	180 „
5. მოვალეები	2.894 „

და სხვა და სხვა.

საზოგადოთ, მუნიციპალიტეტი ხარჯავს შემოსავალს 84 სხვადასხვა საგანზე. ამათ შორის არის: სარგებელი (ვალის), გადასახადები, შენობის მოვლა, ქუჩა, სახლის ქირა, მოსამსახურენი, პენსია და ჯილდო, მოძრავის ქონების და თვითმართველობის სადგომის მოვლა, კანცელარია, სტამბა, რეგისტრაცია, განათება, სალდათების გაწვევა, პოლიტიკური არჩევნები, სასწორთა რევიზია, საზოგადო საათი, ყვავილის აცრა, სასაფლაო, სასაკლაო, ლაზარეთი, ინვალიდები, ოფიციალური გაზეთი, დახმარება მშრომელთა საზოგადოებას, პრემიები, საღამოს სკოლა, მოსწავლეთა პატრონატი და სხ. და სხ.

მთელ იტალიაში მუნიციპალიტეტის მერი (თავი), ისე როგორც ყველა არჩეული პირი, ვინც უნდა იყოს, ჯამაგირს არ იღებს; არჩევა საპატიო თანამდებობათ ითვლება. ამიტომ მერი შეძლებული კაცი უნდა იყოს. მარა მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტები მუშებმა დაიპყრეს და მერათ მუშა აირჩიეს, გარემოება შეიცვალა და ღარიბი მერის უჯამაგირობა შეუძლებელი შეიქნა. მონტეკიოს მერი დურგალია; მუნიციპალიტეტმა მას ჯამაგირი დაუნიშნა, პრეფექტმა (გუბერნატორმა) ეს არ დაამტკიცა, როგორც კანონის წინააღმდეგი. პრე-

[1]) ამაში მიდის დახმარება მოსულ მუშებს და გზის ხარჯი იმათ, ვინც სოფლიდან სხვაგან მიდის სამუშაოს საძებნელათ.

ფეკტის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში, რომელიც სწყვეტს დავას საბოლოოთ. სასამართლოც პრეფეკტს დაუჭერდა მხარს და ამიტომ მას აღარ მიმართეს. მერი იძულებულია თავის სახელოსნოში იმუშაოს დილიდან საღამომდის და საღამოს თავისუფალი დრო შესწიროს თვიმართველობას. ეს, რასაკვირველია, არ კმარა, და ამიტომ თვითმართველობის საქმეებს განაგებენ დაქირავებული კაცები, მდივანი და სხვა. მხოლოდ უკანასკნელ წელიწადს მერს სხვადასხვა სახით დაუნიშნეს ჯილდოთ 350 ლირა წელიწადში. ეს ქირაა იმ საათების, რომელსაც თავის სახელოსნოს მოსცდება თვითმართველობისათვის. განზრახული იყო 700 ლირის მიცემა, მარა პრეფეკტი აქაც ჩაერია და გაანახევრა. მუნიციპალიტეტის ექიმები ღარიბთ ექიმობენ მუქთად, სხვებისაგან კი სასყიდელს იღებენ. სასყიდელი განსაზღვრული არ არის; თუ ვინ არის ღარიბი—სწყვეტს მუნიციპალიტეტი. ღარიბი მიმართავს მას და სთხოვს შეიტანოს ის ღარიბთა სიაში მუქთი ექიმობის და წამლის მისაღებათ. მუნიციპალიტეტი კრებს ცნობებს მის შესახებ და შემდეგ სიაში შეაქვს, ან უარს ეუბნება.

საღამოს სკოლაში სამი განყოფილებაა, სწავლა საღამოობითაა ზამთარში, დადის 150 კაცი, მასწავლებლებათ სოფლის მასწავლებლებია, რისთვისაც ისინი ას-ას ლირას მეტს ღებულობენ წელიწადში. ეს სკოლა დააარსა მუშათა საზოგადოებამ, რომელიც ჩვენ ზემოთ გავიცანით და ის ინახავდა; მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაიპყრეს მუნიციპალიტეტი, სკოლაც მას გადასცეს.

ამომრჩეველთა რიცხვია 900. წინეთ, კლერიკალების ბატონობის დროს, ამის ნახევარიც არ ყოფილა. მოიმატა მუშებმა, ე. ი., სოციალისტების ამომრჩევლებმა. მთელი ადგილობრივი ბურჟუაზია და შეძლებული გლე-

ხობა ამხედრებულია მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ, განსაკუთრებით გადასახადების გადიდებისა და მათი შემოსავლის კვალობაზე გაწერისთვის. 1902 წელთან შედარებით ჩვეულებრივმა ხარჯებმა მოიმატა 50 ათასი ლირით. მაგ., მაშინ განათლებაზე იხარჯებოდა—7,767 ლ, ქველმოქმედებაზე—5,800 ლ. და სხ. ახლა ყველა ეს სამჯერ მეტია.

მერმა მითხრა: ამ 10-15 წლის წინეთ აქაურ გლეხობას სოციალისტებათ მოქონდა თავი, ვისთანაც უნდა მისულიყავი საპროპაგანდოთ—ყველა თანახმა იყო. ეს ოთხი-ხუთი წელიწადია ეგ წინანდელი „სოციალისტები“ ერთიანად გარეაქციონერდენ. ამის მიზეზია მათი გამდიდრება, მიწის და მიწის ნაყოფის ფასმა დიდათ აიწია და მესაკუთრებმა ბევრი მოიგეს. წვრილი მესაკუთრენი აქ 30-40 იქნება, მეტი არა; ესენი თითონ ამუშავებენ თავის მიწას, სხვები კი მუშებს ქირაობენ.

პოლიცია მუნიციპალიტეტის ხელში არ არის; ის მთავრობის და საგუბერნიო ერობისაა. სოფელს ყავს მხოლოდ ერთი დარაჯი, ზოგან ესეც მოსპეს, როგორც მეტი ბარგი. ასე ქნეს, მაგ., კავრიაგოში.

კავრიაგოს თვითმართველობაც 1906 წლიდან სოციალისტების ხელშია. 20 ხმოსანში 15 სოციალისტია, ხუთი ზომიერი. ვინაიდან ამათი არაფერი არ გადის საბჭოში, ამიტომ სხდომებს არც კი ესწრებიან. მერი ადგილობრივი მუშაა მოძრაობის მეთაურია, ხელობით დალაქი. ახლა ეს ხელობა დაუტოვებია და პატარა საწვრილმანო დუქანი გაუღია თვითმართველობის დაბლა სართულის ერთ ოთახში. რადგანაც მას ჯამაგირი არ აქვს, ოთახი მუქთათ მიუცია. აქაურ ორგანიზაციაში 150 წევრი ითვლება.

აი მუნიციპალიტეტის შემოსავალ-გასავალი 1909 წლისა:

შემოსავალი:

გადასახადი	ღვინოზე და ხორცზე	3.500 ლ.
„	მომხმარებელ კოოპერატივზე .	280 „
„	ოჯახებზე (თითოზე 2 ლ. 50 სან.)	1.450 „
	ძაღლზე (უბრალოზე 1 ლ., კაბინეტისაზე 2 ლ.	100 „
	მიწაზე და საკუთრებაზე (მიწის შემოსავლის 10% და შენობის შემოსავლის 7%)	38.735 „
„	კანტორებზე, საზოგადო დაწესებულებებზე და მაღაზიებზე.	1.185 „
„	მუნიციპალიტეტის ქონებიდან	900 „
და სხვა და სხვა		
	სულ	69.909 „

გასავალი:

1. პირველ-დაწყებითი განათლება	11.667
2. ქველმოქმედება	18.200 „
ა) ერთ ექიმს	2 500 „
ბ) წამალი	4 500 „
გ) დახმარება ღარიბთ.	2.500 „
დ) უპატრონო ბავშებზე	1.500 „
ე) საავათმყოფო [1])	7.200 „
3. საზოგადო სამუშაო	10.400 „
ა) გზა	5.000 „
ბ) საზოგადო შენობები	5.000 „

[1]) ლოდელს საავათმყოფო არ აქვს. მძიმე ავათმყოფთ გზავნიან რეჯიოს საავათმყოფოში და მათ შესანახ ხარჯს მუნიციპალიტეტი იხდის.

გ) წვრილმანი	400 „
4. ვალის სარგებელი	4.500 „
5. ჯამაგირები	4.300 „
ა) მდივანს	2.300 „
ბ) ორ მწერალს	1.250 „
გ) დარაჯს	750 „
6. მთავრობას და ერობას .	500 „
და სხვა და სხვა.	
სულ	69.909 „

მუნიციპალიტეტს აქვს ორი დიდი შენობა, რომელსაც აქირავებს მუშებზე იაფათ; ახლა ააშენეს მესამეც. შემოდის ქირა 2060 ლ., რომელიც ერთიანათ იხარჯება შენობებზე, დახარჯულ ფულის გადახდაზე, რემონტზე და მოვლაზე. ასე რომ მუნიციპალიტეტს აქედან არაფერი რჩება და არც სურს რამე დარჩეს. რაც ნაკლები იქნება ხარჯი შენობებზე, მით უფრო დაუკლებენ ქირას. თვითმართველობის მიზანია, მუშას მიაწოდოს იაფი და სალი სადგომი და არა გამორჩეს მას.

სკოლის შენობა დიდი და ლამაზია. ათამდი მასწავლებელია, უმრავლესობა ქალებია. თითოული მათგანი იღებს 1000—1200 ლ. წელიწადში და კიდევ ცოტაოდენ ზედ-მეტს საღამოს სკოლაში მუშაობისათვის. პირველ-დაწყებითი სწავლა ოთხ წელიწადს გრძელდება. საღამოს სკოლის მეოხებით ახლა აქ ყველა მოზრდილმა ისწავლა წერა-კითხვა და ასე ამომრჩეველთა რიცხვმა ერთი ორათ იმატა. მერმა მითხრა: აწი თვითმართველობას ჩვენ ვეღარ წაგვართმევენ, თუ, რასაკვირელია, რაიმე არაჩვეულებრივი გარემოება არ დატრიალდა, როგორც, მაგ., ეკონომიური კრიზისი. ამ შემთხვევაში მუშები იძულებული იქნებიან სოფელი დატოვონ და სხვაგან წავიდენ დროებით ან სამუდამოთ. დარჩე-

ბიან მესაკუთრეები, რომელთა უმრავლესობა ჩვენი მტერია. აი მაშინ შეიძლება დაგვამარცხონ, ისე კი ვერა.

საზოგადოთ, მუნიციპალიტეტში ამა თუ იმ პარტიის გაბატონება დიდათ სცვლის მუნიციპალურ საქმეს და საგრძნობელი ხდება ყველა მცხოვრებისათვის. სოციალისტებმა ძირიანათ შესცვალეს ზომიერთა მუნიციპალური მეურნეობა, თავის მხრივ ზომიერებიც ასევე სცვლიან სოციალისტურ მეურნეობას. ასე რომ აქ არ ითქმის პარტიულ გამარჯვებას არავითარი ცვლილება არ მოაქვსო. სოფლის მცხოვრები უფრო დაინტერესებულია მუნიციპალური არჩევნებით, ვინემ პარლამენტარულით. სოფლის ცრუმორწმუნეთ და ხუცების მომყოლთ სოციალისტური მუნიციპალიტეტი ღვთისრისხვათ მიაჩნიათ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამით ისპობა ხუცების პარპაში სკოლაში. სასწავლებლიდან იდევნება ღვდელი და საღვთო სჯულის სწავლებაც სავალდებულო აღარ არის. კლერიკალურ (ზომიერ) მუნიციპალიტეტის სკოლების ბატონ-პატრონნი ხუცებია, მასწავლებლებიც მათი შეგირდებია. საღვთო სჯულს ხუცები ასწავლიან არა სკოლაში, არამედ ეკლესიაში, რომ ამით ბავშებზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინონ და გაკლერიკალონ. ერთი სიტყვით ზომიერთა თვითმართველობა ნიშნავს კლერიკალურ სახალხო სკოლას, სოციალისტური თვითმართველობა კი სამოქალაქო სახალხო სკოლას...

როგორც ხედავთ, სოფლისთვის საკუთარი პოლიტიკურ-პარტიული ორგანიზაცია მიუცილებელი საჭიროებაა. ადგილობრივი კლასების ბრძოლა ასეთი ორგანიზაციით ტარდება მუნიციპალურ სარბიელზე. ამიტომ ყოველ სოფელში უეჭველათ არსებობს სოციალისტური და მისი მოპირდაპირე ზომიერთა ორგანიზაცია. პირველის მეთაურია ადგილობრივი მუშები, ინტელიგენტი

რეჯიოდან თუ მოვა ხანდახან რეფერატ—ლექციის წასაკითხავათ. ადგილობრივი ინტელიგენტია მხოლოდ ხუცესი, ეს კი ზომიერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელია. მასწავლებლები იშვიათათ ერევიან ბრძოლაში და პოლიტიკურათ არც არიან ისე მომზადებული, როგორც მოწინავე მუშა, გინდ ღვდელი. ჯამაგირიანი ხალხი ამსრულებელია მუნიციპალიტეტის დადგენილების. ისინი, ასე ვთქვათ, ტეხნიკური აპარატია, ხოლო მიმართულებისა და დირეკტივების მიმცემია პარტიული ორგანიზაცია, ეს პოლიტიკური აპარატია, მაგ. მუშა-ხმოსნები ადგენენ, რომ სკოლაში ისწავლებოდეს გეოგრაფია, მარა ამის სწავლება მასკი არ შეუძლია, ეს მასწავლებლის საქმეა.

სოციალისტურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს არავითარი ფორმალური კავშირი ერთმანეთან არ აქვთ. ისინი ერთიმეორეს არ მორჩილებენ და ერთი მეორისაგან დირეკტივებს არ ღებულობენ. პირველია ნაწილი რეჯიო-ემილიის საოლქო სოც. ორგანიზაციისა. მეორენი კი რეჯიოს შრომის ბირჟის, მარა არსებითათ კი ყველა ეს ერთი მიმართულებისაა, ყველა ამაში ერთი და იგივე ხალხი მეთაურობს, ყველა ესენი ერთი მეორეს ეწევა და ხელს უწყობს. ფორმალური ერთობა იხატება მხოლოდ ერთში: ყველა კოოპერატივი, ლიგა, ურთიერთ დამხმარე საზოგადოება და სხ. ერთი მხრივ, და სოციალისტური ორგანიზაცია, მეორე მხრივ თავის ოფიციალურ ორგანოთ აღიარებენ რეჯიოს სოციალისტურ გაზეთს „სამართალს“; ეს ყველა წესდებაშია მოხსენებული. ხოლო „სამართალის“ ბატონ-პატრონია რეჯიოს სოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც მორჩილებს პარტიულ კონგრესებს და ცენტრალურ კომიტეტს...

როცა მუნიციპალიტეტი ეხმარება კოოპერატიულ

ორგანიზაციებს, ის ამათ აძლიერებს და ავითარებს. და რამდენათაც ეს ამას სჩადის, იმდენათ ის კოოპერატივთა მიზანი და იარაღია. ხოლო დირეკტივებს ისინი ღებულობენ ერთათ-ერთ შრომის ბირჟისაგან და მას მორჩილებენ. მათი შენობა გვირგვინდება შრომის ბირჟით, ეს მათი მეთაური და წინამძღოლია. ერთი სიტყვით, მუნიციპალიტეტი დამხმარეა, ბირჟა კი მეთაური.

რა არის შრომის ბირჟა?

---

9. შრომის ბირჟა.

შრომის ბირჟა—ეს მუშათა კოოპერატიული და პროფესიონალური მოძრაობის განხორციელებული ერთობაა. აქ თავს იყრის მოძრაობის ყველა ძაფი, რომელთაგან იწნება ერთი სათავე და ხელში ეძლევა ერთ ცენტრს, ერთ დაწესებულებას. ის ბუნებრივი შედეგია მოძრაობის. ჯერ ვითარდება და მრავლდება ორგანიზაციები, აქა-იქ, ერთმანეთის დამოუკიდებლათ, როცა მათი რიცხვი დიდათ მატულობს და საჭირო ხდება საერთო ხელმძღვანელობა, მაშინ ისინი თავს იყრიან და აარსებენ ჯერ 15-თა კავშირს, შემდეგ ბირჟას. ასეთი ბირჟები იტალიის ყველა დიდ ქალაქშია, მარა შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არსად ისეთი საქმიანი, მოძრავი და მოწყობილი არ არის, როგორც პატარა რეჯიოს ბირჟა. მილანის მსოფლიო გამოფენაზე მხოლოდ ამ ბირჟამ მიიღო უმაღლესი პრემია, რითაც ჟიურიმ ის ყველა ბირჟათა წინამძღოლათ გამოაცხადა. მართალია, ფართო საზოგადოებას უფრო ხშირათ ესმის სხვა ბირჟების შესახებ, როგორც, მაგ., გენუის, ნეაპოლის და სხ., რომლებმაც დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ რამდენიმე წლის წინათ საყოველთაო გაფიცვებში, მარა ეს უფრო უე-

ცარი იყო აფეთქება, ვინემ შედეგი ხანგრძლივი მომზადებისა და საქმიანობის. რეჯიოს შრომის ბირჟა ისეთ მკვიდრ ნიადაგზე დგას, ისეთი მაგარი საძირკველი აქვს, რომ თავის სურვილის გასაყვანათ აღარ საჭიროებს აფეთქებას, მის დადგენილებას ისედაც სავალდებულო ხასიათი ეძლევა. ის გამხდარა მისაბაძავ მაგალითათ იტალიის სხვა ბირჟათათვის და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია მისი ორგანიზაციის დაწვრილებით გაცნობა. მის წესდებას აქ მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით.

მიზანი და ორგანიზაცია.

მუხ. 1. დაარსდა რეჯიო-ემილიაში შრომის ბირჟა; ის შეიცავს მუშათა ყველა საზოგადოებას, რომლებმაც კი ამის თანხმობა გამოაცხადეს. ბირჟის მოქმედება გავრცელდება რეჯიო-ემილიის მთელ პროვინციაზე.

მუხ. 2. შრომის ბირჟის მიზანია დაიცვას მუშათა ინტერესები და დაეხმაროს პროლეტარულ კლასების შეუჩერებელ მოძრაობას უფრო მაღალ მოქალაქობრივ ცხოვრებისაკენ. ამ მიზნის საშუალებათ მას მიაჩნია:

ა) გაავრცელოს მუშათა შორის ერთობის იდეა, როგორც სიტყვით, ისე წერით;

ბ) შეაკავშიროს მუშები სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციით: ბრძოლის, კოოპერატივის, ურთიერთ დახმარების,

გ) მისცეს მათ სიცოცხლე და განავითაროს ყველა ის დაწესებულება, რომელსაც აქვს ეკონომიური და მორალური მნიშვნელობა მუშა კლასისათვის;

დ) მოახდინოს აგიტაცია სოციალური კანონ-

მდებლობის სასარგებლოთ და გამოიყენონ პროლეტარული მასა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მუხ. 3. შრომის ბირჟაში ჩაწერილი საზოგადოებები იყოფიან ორ ჯგუფათ:

პირველი ჯგუფი:

ლიგები ბრძოლის, კოოპერატივები შრომის, წარმოების და მიწათმოქმედების.

მეორე ჯგუფი:

კოოპერატივები მომხმარებელნი, საზოგადოებანი ურთი-ერთ დახმარების და საკრედიტო დაწესებულებანი.

მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა.

მუხ. 4. შრომის ბირჟის მართველია აღმასრულებელი კომისია, რომელიც პატრონობს ბირჟის ქონებას და შედგება 5 წევრისაგან. ამათ შორის სამი მაინც უნდა ცხოვრობდენ რეჯიონში. ისინი ირჩევიან ორი წლის ვადით პირველი ჯგუფის წევრთა მიერ, რომელნიც დაყოფილნი არიან საარჩევნო სექციებათ.

მუხ. 5. კონგრესი ირჩევს ყოველ წელს სამი წევრის და ორი კანდიდატისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას. მისი დანიშნულებაა ანგარიშების რევიზია.

კ ო ნ გ რ ე ს ი.

მუხ. 6. კონგრესი არის ბირჟის საზოგადო გამგეობა და იკრიბება ჩვეულებრივათ წელიწადში ერხელ ბალანსის დასამტკიცებლათ და ბირჟის მიმართულების და მოქმედების გასასჯელათ. კონგრესი შედგება ამნაირათ: ა) პირველ ჯგუფის საზოგადოებათ უფლება აქვთ გამოგზავნონ თი-

თო დელეგატი თითოულ 50 ან ნაკლებ წევრზე; ბ) მეორე ჯგუფის საზოგადოებათ უფლება აქვთ გამოგზავნონ თითო დელეგატი თითო საზოგადოებაზე, მიუხედავათ მათ წევრთა რაოდენობისა.

ქონება.

მუხ. 7. ბირჟის ქონება შეიცავს საწევრო გადასახადს, სუბსიდიებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთაგან და შემოსავალს, შეკრებილს ხელის მოწერით, კონფერენციებით, ბეჟვდითი სიტყვით და სხვადასხვა.

საწევრო გადასახადი.

მუხ. 8. პირველი ჯგუფის საზოგადოებათა წევრნი ვალდებული არიან შეიძინონ თავიანთი საზოგადოების საშუალებით ბირჟის წევრობის მოწმობა.

მუხ. 9. მეორე ჯგუფის საზოგადოება იხდის ბირჟის სასარგებლოთ თავის წევრზე ხუთ სანტიმს წელიწადში.

საზოგადო.

მუხ. 10. ბირჟის მოქმედების სპეციალურ წესრიგს ადგენ ტურებს კონგრესი.

მუხ. 11. ბირჟა ვერ დაიშლება, სანამ მას ერთი საზოგადოება მაინც შერჩება.

მუხ. 12. თუ ის დაიშალა, ქონება გადაეცემა რომელიმე დაწესებულებას, აღმასრულებელ კომისიის ამორჩევით; თუ ეს კომისია არ არსებობს, ამავე საქმეს ასრულებს საზოგადოებ ის წარმომადგენელთა კომიტეტი. ქონება ხმარდება დაარსებას ან გაძლიერებას პროვინციის მუშათა რომელიმე ორგანიზაციისა.

მუხ. 13. წესების და რეგლამენტის შეცვლა შეუძლია კონგრესის უმრავლესობას.

მეთვალყურეობა.

ბირჟის საზოგადოებები იმყოფებიან განსაკუთრებულ მეთვალყურეთა მხედველობაში, თითოული მეთვალყურე (ინსპექტორი) მოქმედობს თავის რაიონში.

მუხ. 1. მეთვალყურე თავის რაიონში არის ბირჟის წარმომადგენელი და ზნეობრივათ პასუხისმგებელია მის მფარველობის ქვეშ დაყენებულ საზოგადოებათა მოქმედებაში.

მუხ. 2. ის ათვალიერებს საზოგადოებას, ეხმარება გამგეობის სხდომას და საზოგადო კრებას.

მუხ. 3 მას შეუძლია მოიწვიოს გამგეობა და საზოგადო კრება, შეამოწმოს დავთრები და გასინჯოს კასა.

მუხ. 4. მას აქვს სია, სადაც აღნიშნულია: ა) სახელი თითოული მისი სამფარველო საზოგადოებისა, ბ) სახელი გამგეობის წევრთა, ხაზინადართა, მდივანთა და სხ., გ) დღე, როცა საზოგადოებას კრებები აქვს; დ) რიცხვი წევრების, ჩაწერილთა და საწევროს გადამხდელთა; ე) ყველა ის კითხვები, რომლებიც, ასე თუ ისე, ეხებიან ორგანიზაციებს; ვ) შენიშვნები ყველა დათვალიების შესახებ.

მუხ. 5. მას თვე და თვე მოაქვს ან გზავნის ბირჟაში თავის მოხსენებას.

მუხ. 6. ის შეცადინეობს ყოველივე დავა წევრთა და საზოგადოებათა შორის მშვიდობიანათ დააბოლოოს და ეს საჭირო დროს გააგებიოს ბიუროს.

მუხ. 7. ის ეხმარება საზოგადოებას ბირჟისათვის ცნობების წარდგენაში (თვიური მოხსენება, სტატისტიკური ცნობები, აქციათა ხელმომწერნი და სხ.)

მუხ. 8. ეხმარება კარგათ მოწყობას აგიტაციებს, მანიფესტაციებს, რომელნიც უნდა მოხდეს მის რაიონში ან ახლო-მახლო.

მუხ. 9. ეხმარება სიტყვიერ და წერილობითი პროპაგანდას გავრცელებით: გაცხადებების, გაზეთების, ბროშიურების, წიგნების და სხ. მეთვალყურეთ შეუძლიან იცხოვრონ თავის რაიონის გარეთაც. მათი ვინაობის დასამტკიცებლათ მათ ეძლევათ ბირჟისაგან შესაფერი მოწმობა.

მეთვალყურეთა მუშაობა ეხმარება აღმასრულებელ კომისიას და სეკრეტარიატს იმით, რომ აწვდის ცნობებს და შრომის ბირჟა შეყავს პროვინციის ორგანიზაციათა მიმდინარე ცხოვრებაში.

შრომის ბირჟის რეგლამენტი.

მუხ. 1. საზოგადოება, რომელსაც ბირჟის წევრობა სურს, უნდა იყოს:

ა) აგებული ხელობის საფუძველზე და შემდგარი თავის ხელობის მიმდევარი მუშებისაგან. მუშა ეწოდება მოქირავეთ, მოსამსახურეთ, ხელოსანთ, პროფესიის მიმდევართ და წვრილ მესაკუთრეთ, რომელნიც ცხოვრების მთავარ წყაროს იძენენ თავისივე შრომით და არა ნაქირავებით.

ბ) წარმოუდგინოს ბირჟის სეკრეტარიატს ჩაწერის თხოვნასთან ერთათ. თავისი წესდება, თანამდებობათა და წევრთა სიით,

გ) შეუთანხმოს თავისი მოქმედება ბირჟის წესდებას და რეგლამენტის დედა-აზრს, სათანადო კომისიების კრებათა განჩინებებს, კონგრესებს და ამავე დროს დარჩეს ავტონომიური თავის შინაგან საგამგეობო საქმეებში,

დ) უგზავნოს ბირჟას დრო გამოშვებით თავის მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

ე) დაეხმაროს ბირჟას ან სხვა ორგანიზაციას ისეთ საქმეში, რომელიც ცნობილი და დადასტურებულია მუშათა მოძრაობის სასარგებლოთ;

ვ) გადასცეს ბირჟას გადასაჭრელათ ყველა ის შუღლი, უთანხმოება და კონფლიქტი, რომელიც ატყდება წევრთა, თუ საზოგადოებათა შორის.

მუხ. 2. ჩაწერილ საზოგადოებას არ შეუძლია ბირჟის ნებადაურთველათ აიღოს საზოგადო ინტერესის საქმეები, გასწიოს აგიტაცია, გამოაცხადოს ბოიკოტი და გაფიცვა.

მუხ. 3. იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოება ეურჩება ბირჟის წესდებას, კონგრესების, კრებების და კომისიების გადაწყვეტილებებს, ან და ზარალს აყენებს ბირჟას და მის დაწესებულებათ, აღმასრულებელ კომისიას ან და საგანგებოთ დანიშნულ კომისიას შეუძლია მიიღოს დამნაშავის წინააღმდეგ შესაფერი ზომები და ამორიცხოს ბირჟის სიიდანაც.

მუხ. 4. არ შეიძლება ერთ და იმავე ალაგას დაარსდეს ორი და მეტი საზოგადოება ერთი და იგივე ხელობის ან ერთი და იგივე ბუნების. თუ ეს მოხდა, აღმასრულებელ კომისიას ევალება გადასწყვიტოს კითხვა.

მოწმობა და დიპლომი.

მუხ. 5. შრომის ბირჟის საზოგადოებები იყოფა ორ ჯგუფათ, თანახმათ ორგანიზაციის მე-3 მუხლისა.

მუხ. 6. პირველი ჯგუფის თითოული საზოგადოება ვალდებულია ყოველ წელს გამოიტანოს ბირჟი-

დან იმდენი მოწმობა, რამდენი წევრიც ყავს. თუ ერთი წევრი ორ საზოგადოებაშია—ეძლევა ერთი მოწმობა, რომელსაც გამოიტანს მისთვის ერთ-ერთი საზოგადოება. მეორე ჯგუფის თითოული საზოგადოება ვალდებულია წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში შეიტანოს ბირჟაში იმდენი ხუთი სანტიმი, რამდენიც წევრი ყავს და გამოიტანოს ჩასაწერი დიპლომი.

მუხ. 7. წევრის თითოულ მოწმობაზე წლიური გადასახადია 50 სან., რომლის შეტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც. ნახევარი—წლის პირველ ოთხ თვეში, მეორე ნახევარი—წლის ბოლო ოთხ თვეში.

მუხ. 8. შუა წელს ჩაწერილი წევრი იხდის 25 სან.

აღმასრულებელი კომისია.

მუხ. 9. აღმასრულებელი კომისია ირჩევა ორი წლით, ხელახალი არჩევის უფლებით ხუთი პირისაგან, რომელთავან სამი უნდა ცხოვრობდეს რეჯიოში.

მუხ. 10. აღმასრულებელი კომისია არის ბირჟის ბუნებრივი წარმომადგენელი, მართავს მის ქონებას, ხელმძღვანელობს დაწესებულებებს და კონგრესებს, ასრულებს და ასრულებიებს სხვებს სეკრეტარიატის დახმარებით ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულოა ბირჟის და მის საზოგადოებათათვის. ის იწვევს აგრეთვე მოსამსახურე პირთ.

მუხ. 11. ის ყოველ წელს აგვისტოში იწვევს კონგრესს და სეკრეტარიატის საშვალებით უდგენს მოხსენებას, ანგარიშსა და ხარჯთ-აღრიცხვას.

მუხ. 12. აღმასრულებელი კომისია ჩვეულებრივათ იკრი-

ბება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს, და აგრეთვე, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

მუხ. 13. ის ზედამხედველობას უწევს ბირჟის სპეციალურ კომისიებს, ბიუროებს და დაწესებულებებს. თვეში ერთხელ ნიშნავს ერთ თავის წევრს რიგ-რიგობით ქალალდების ხელის მოსაწერათ და ავალებს სეკრეტარიატთან ერთათ მიიღოს საჭირო ზომები საქმეთა გასაუკეთესებლათ.

მუხ. 14. კომისიის წევრები ჯამაგირს არ ღებულობენ, მარა შეუძლიათ მიიღონ ჯილდო იმ დროის განმავლობაში, როცა ის მოცდება თავის საქმეებს და მუშაობს ბირჟისათვის („დიეტა").

კ ო ნ გ რ ე ს ი.

მუხ. 15. კონგრესი შედგება ბირჟის საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან. მისი მოვალეობაა:

ა) ბირჟის პროგრამის და წესდების თანახმათ იმსჯელოს დაწესებულების მოქმედების შესახებ;

ბ) დაადგინოს განჩინება აღმასრულებელ კომისიის და სხვა დაწესებულებების საქმეებზე;

გ) დაამტკიცოს ანგარიში (ბალანსი);

დ) შესცვალოს წესდება და რეგლამენტი;

ე) გადასწყვიტოს საწევრო გადასახადის რაოდენობა და ბირჟის ორგანიზაციის ფორმა;

ვ) დაადგინოს განჩინება საზოგადო კითხვებზე წევრთა და სექციათა ისეთ უთანხმოებაზე, რომლის გადაწყვეტა სხვანაირათ არ შეიძლება.

მუხ. 16. კონგრესი იკრიბება ჩვეულებრივათ წელიწადში ერთხელ, ან როცა ამას მოითხოვს ათი საზოგადოება, ან აღმასრულებელი კომისია.

მუხ. 17. კონგრესზე წარმომადგენლობა ისაზღვრება თანახმათ ორგანიზაციის მე-6 მუხ.

მუხ. 18. საზოგადოების დელეგატებს ნიშნავს მის წევრთა კრება.

მუხ. 19. აღმასრულებელი კომისია კონგრესის ორი კვირის წინ აქვეყნებს კონგრესის წეს-რიგს და ცირკულიარით მოუწოდებს საზოგადოებებს გამოთქვან თავისი აზრი წეს-რიგის შესახებ და შეავსონ იგი.

მუხ. 20. კონგრესი კანონიერია, როცა მას ესწრება პირველი ჯგუფის საზოგადოებათა ნახევარზე ერთით მეტი. კითხვა წყდება დამსწრეთა ხმის უმეტესობით.

მუს. 21. თითო დელეგატს თითო ხმა აქვს.

მუხ. 22. კონგრესი არჩევს ყველა საზოგადო ხასიათის კითხვებს. იმ შემთხვევაში, როცა კითხვა ეხება საზოგადოებათა მარტო ერთ კატეგორიას (მიწის მუშათა ლიგას, შრომის კოოპერატივთა კავშირს, მომხმარებელ კოოპერატივთა ამხანაგობას და საზოგადოებათა სხვა ჯგუფებს), მაშინ იმართება ცალკე კრება და გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ დაინტერესებულ საზოგადოებათა დელეგატები.

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

მუხ. 23. არჩევნები ხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ზამთარში, იმ ნაირათ, როგორც მუნიციპალური არჩევნები.

მუხ. 24. ამრჩეველთა სიაში შეაქვთ ისინი, ვისაც საწევრო გადასახადი შეტანილი აქვს.

მუხ. 25. წევრნი სხვადასხვა საზოგადოებისა ირჩევენ იმ სექციაში, სადაც მიწერილია მისი საზოგადოება.

მუხ. 26. შრომის ბირჟა აქვეყნებს სიას საარჩევნო სექციებისას და მათში მონაწილე საზოგადოებისა ს.

მუხ. 27. თითოულ სექციაში მონაწილე საზოგადოებათა კომიტეტები ნიშნავენ საარჩევნო კომისიას, ერთი თავმჯდომარის, ორი წევრის და ერთი მდივნისაგან.

მუხ. 28. არჩევნები ხდება დილის 9 საათიდან გათავებამდე. კენჭის ყუთები ღია იქნება ნაშუადღევის 4 საათამდი.

მუხ. 29. საარჩევნო სექციებში კენჭს აძლევენ მხოლოდ წევრნი—ამრჩევლები.

მუხ. 30. საარჩევნო ბიულეტენი შეიძლება დაბეჭდილი იყოს.

მუხ. 31. არჩევნების შედეგი გაეგზავნება შრომის ბირჟას მიცემული ბიულეტენებით დალუქულ კონვერტში ოცდათხი საათის განმავლობაში.

მუხ. 32. აღმასრულებელი კომისია ღებულობს თითოული სექციის არჩევნების შედეგს და აცხადებს ამორჩეულთ.

სარევიზიო კომისია.

მუხ. 33. სარევიზიო კომისია შედგება სამი წევრისაგან, რომელნიც ირჩევიან ყოველ წელს კონგრესის მიერ.

მუხ. 34. სარევიზიო კომისიის წევრათ შეიძლება იყვენ არჩეული გარეშე პირებიც.

მუხ. 35. სარევიზიო კომისია ამოწმებს ანგარიშებს და შეუძლია დაესწროს აღმასრულებელ კომისიის სხდომას.

მოსამსახურენი.

მუხ. 36. ყველა მოსამსახურე, რომელიც ბირჟიდან ღებულობს ჯამაგირს, დამოკიდებულია აღმასრუ-

ლებელ კომისიასა და შემდეგ საერთო სეკრეტარიატზე.

მუხ. 37. მოსამსახურენი, ბირჟისაგან დამოკიდებულნი, მუშაობენ დანიშნულ საათებში.

მუხ. 38. აღმასრულებელი კომისია უნიშნავს მათ განსაკუთრებულ ჯილდოს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

მუხ. 39. აღმასრულებელ კომისიას შეუძლია დაითხოვოს მოსამსახურე, რომელიც აღმოჩნდება ორგული, ან დიდი ზარალის მიმყენებელი, კონგრესის ან სპეციალური ბიუროს დაუკითხავათ.

საერთო მდივანი.

მუხ. 40. აღმასრულებელი კომისია მოქმედებს საერთო მდივნის თანადასწრებით.

მუხ. 41. საერთო მდივნის მოვალეობაა განაგოს ბირჟის საზოგადო მიმართულება და უწინამძღვროს მოსამსახურეთა მუშაობას.

ა) ის ადგენს ოქმს, აქვს მიწერ-მოწერა, განაგებს საემიგრაციო დაწესებულებას, სტატისტიკას, იძლევა ცნობებს და პატარა რჩევებს.

ბ) მეთაურობს პროპაგანდას, ნიშნავს ლექტორებს და ორატორთ აგიტაციისათვის;

გ) ერევა კონფლიკტში შრომისა და კაპიტალის შორის;

დ) ეხმარება დათვალიერებით, რჩევით და მოთხოვით ბირჟის და ბირჟაზე მიწერილ დაწესებულებებს.

მუხ. 42. ის ყურს უგდებს ბირჟის მართვა-გამგეობას აღმასრულებელ კამისიასთან, ანგარიშების მდივანთან და გამგეობის დანიშნულ წევრთან ერთათ.

ანგარიშების მდივანი.

მუხ. 43. ანგარიშების მდივანი განაგებს რეგისტრაციას ბირჟის და მასზე მიწერილი დაწესებულებებისა და ბიუროების. მაზე არიან დამოკიდებულნი ბუხჰალტერიის მოსამსახურენი. ბუხჰალტერიის მუშაობა სხვა საზოგადოებათა საქმეებისათვისაც ისაზღვრება განსაკუთრებული წესებით.

საზოგადო დადგენილებანი.

მუხ. 44. დამოკიდებულება საზოგადოებათა შორის ერთი მხრით, და საზოგადოებათა ჯგუფების შორის მეორე მხრით, ისაზღვრება განსაკუთრებული ნორმითა და წესით.

მუხ. 45. პირველი მაისი არის ბირჟის ოფიციალური დღესასწაული.

მუხ. 46. ბირჟის ოფიციალური ორგანოა გაზ. „სამართალი“.

მუხ. 47. ბირჟის ქონება განუყოფელია. ლიკვიდაციის დროს ის იხმარება თანახმათ ორგანიზაციის მე-12 მუხ.

ასეთია ბირჟის წესდება. აქედან ნათლათ სჩანს ერთი დამახასიათებელი გარემოება: ბირჟის წევრთა შორის უპირატესობა მინიჭებული აქვს ლიგებს, შრომის და მიწათმოქმედების კოოპერატივებს, რომელთა წევრნი, როგორც ვიცით, მხოლოდ მუშა ხალხი შეიძლება იყოს. ამით ბირჟა გადაიქცა წმინდა მუშათა დაწესებულებათ. ხოლო მეორე ჯგუფის საზოგადოებებში—მომხმარებელ კოოპერატივში, ურთიერთ დამხმარე საზოგადოებასა და საკრედიტო დაწესებულებებში—თავს იყრიან არა მარტო მუშები, არამედ სხვებიც, სხვა და სხვა შემლების და კლასის ხალხი. ამიტომ ეს ჯგუფი შრომის ბირჟაში მეორე ხარისხოვან როლს თამაშობს.

გარდა ამისა, იტალიის (და საზოგადოთ დასავლეთ ევროპის, გარდა ბელგიისა) ყველა შრომის ბირჟა შეიცავს მხოლოდ მუშათა ბრძოლის დაწესებულებათ: ლიგებს, სინდიკატებს და სხვა ასეთებს. ერთათ ერთი რეჯიოს ბირჟა აერთებს მუშათა ყოველნაირ ორგანიზაციებს, როგორც ბრძოლისას, ისე კოოპერატიულთ.

აი ამ საძირკველზე იქნა ბირჟა გახსნილი 1901 წ., რომელშიაც შედიოდა 77 საზოგადოება. ხოლო 1902 წ. მასში უკვე ითვლებოდა 120 ლიგა, 104 კოოპერატივი და 25 ურთიერთ დამხმარე საზოგადოება, სულ— 293. შემდეგ ეს რიცხვი იზრდებოდა ასე: 1903 წ.—344, 1904 წ.—351, 1905 წ.—356, 1906 წ —425, ხოლო ამჟამათ აღარ არის ისეთი საზოგადოება, რომელიც არ იყოს ბირჟაში ჩაწერილი, გარდა კლერიკალურისა, რასაკვირველია. 1901 წ. ჩაწერილ წევრთა რიცხვი იყო 29 ათასი, 1906 წ. კი—215 ათასი.

ბირჟას უჭირავს საუკეთესო შენობა რეჯიოში. მასში მოთავსებულია გარდა საკუთარი დაწესებულებებისა, ყველა დაწესებულება კავშირებისა, მართველობა კოოპერატიული რკინის გზისა, კოოპერატივთა ბანკი და ადგილობრივ კოოპერატივთა კანტორები. ბირჟის იდეიური წინამძღოლი და სულის ჩამდგმელია მისი საერთო მდივანი, **ვერნიანინი** (Vergnianini). კრისპის რეაქციის დროს ის იძულებული იყო საზღვარგარეთ გაქცეულიყო, სადაც დაყო რამდენიმე წელიწადი. შემდეგ ბირჟის დაარსებისა რეჯიოლებმა ის გამოიწერეს შვეიცარიიდან და ერთხმათ აირჩიეს მდივნათ. ის იშვიათი ადამიანია. მასში შერთებულია პრაქტიკა და თეორია მუშათა მოძრაობის; ის ითვლება საუკეთესო კოოპერატორათ, ის ერთიანათ გართულია ყოველნაირ კოოპერატიულ წვრილმანებში, მუდამ რაღაც ახალს იგონებს და ახორციელებს ამ სფე-

რაში; და ამავე დროს მხედველობიდან არ უშვებს მოძრაობის საერთო კავშირს და საბოლოო მიზანს. ის თავის მოხსენებაში ასე ახასიათებს ბირჟის პოლიტიკას:

„ჩვენმა შრომის ბირჟამ თავის არსებობის პარველ ხანაში მიზნათ დაისახა მოქმედებათა ერთობა და სისრულე... მარა ჩვენი მიზანი არ არის მარტო ტარიფის გადიდება და სამუშაო დღის შემოკლება, არამედ დაპყრობა საბრძოლველი ადგილის სააღებ-მიცემო ასპარეზზე და ნელ-ნელა, კოოპერაციათა სხვადასხვა ფორმით, შებორკვა კაპიტალიზმის მონოპოლიური სპეკულიაციის და შექმნა მუშათა ორგანიზაციებიდან დიდი კომერციული და ინდუსტრიალური მოძრაობის. ბრძოლის ეს მეთოდი მეტათ რთული და სრულია; ის თხოულობს მეტათ გონიერ და ფრთხილ ტაქტიკას და აგრეთვე შესწავლას ისეთი კითხვების, რომელნიც ეხება არა მარტო მუშათა ინტერესებს, არამედ კომერციულ და ინდუსტრიალურ პირობებსაც. შრომის ბირჟის პოლიტიკა ისაზღვრება არა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებით, არამედ მათი განთავისუფლებით კაპიტალიზმის უღლისაგან. ჩვენი მუშები, რომელნიც მრავალი წლობით აღზდილნი არიან კოოპერატივთა სკოლაში, გრძნობენ, რომ ქირის მომატებით და სამუშაო დღის შემოკლებით არ იცვლება მათი დამოკიდებული მდგომარეობა და იგნებენ უფრო რადიკალურ, უფრო პრაკტიკულ, უფრო რევოლიუციონურ მოქმედების აუცილებლობას. ჩვენ გამოვდივართ კლასთა ბრძოლის დედააზრიდან და, რასაკვირელია, ბირჟა დიდ მნიშვნელობას აძლევს პოლიტიკურ და მუნიციპალურ დაწესებულებათა დაპყრობას და სოციალურ კანონმდებლობას. ამიტომ ის ენერგიულ მონაწილეობას იღებს სოციალისტურ პარტიასთან ერთათ ყოველნაირ პოლიტიკურ ბრძოლაში. მარა ეს მას ხელს არ უშლის იყოს

ნეიტრალური დაწესებულება თავისი საკუთარი წესდებით და აღიარეს თეორია ღია კარებისა ყოველგვარი პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მუშათა შემოსასვლელათ. ჩვენ ვიცავთ ჩვენი ორგანიზაციის სრულ ნეიტრალობას და ამავე დროს თანხმობით ვმოქმედებთ რეჯიოს სოციალისტურ ორგანიზაციების კავშირთან. და ეს მიზნის და მუშაობის ერთობა დაიბადა ნელ-ნელა, ბუნებრივათ. პროგრამა და ტაქტიკა ბირჟის და კავშირის ისე მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთში ათქვეფილი, რომ გეგონებათ ორივე ერთი ძლიერი პარტია არისო...“ [1])

აი ეს პოლიტიკა, პოლიტიკა კოოპერატიული და სოციალისტური, გაყავს ბირჟას ყველა თავის საზოგადოებაში. ის წინამძღვრობს კოოპერატივთ არა მარტო იდეიურათ, პროგრამის და ტაქტიკის ნიადაგზე, არამედ კომერციულათ და ფინანსიურათაც. ვერნიანინი სწერს: „ერთი საზოგადოების სახელი და შეძლება ყველა საზოგადოების კუთვნილებაა, ერთის სახელის გატეხა შეაფერხებს მთელ მუშათა მოძრაობას. ამიტომ ყველა საზოგადოება დაინტერესებულია ეს თავიდან აიცილოს. რამდენიმეჯერ საზოგადოებები იძულებული იყვენ დაეფარათ თანამოძმის პასივი და ასე ეხსნათ ის გაკოტრებისაგან... ერთი სიტყვით, თითოული საზოგადოება ვითარდება თავისივე ძალით და თავისივე თაოსნობით, ხოლო შრომის ბარჟა აერთებს თავის არსებობაში ყველა საზოგადოების ძალას და მით ქმნის ერთ დიად საზოგადოებას“.

ბირჟის ფუნქციებია: პროპაგანდა, კრებები, ტარიფი და გაფიცვა, მანიფესტაციები და დღესასწაულები,

[1]) Relatione morale del segretario generale. Reggio Nell'Emilia. 1907.

სტატისტიკა, სამუშაოს შოვნა, ემიგრაცია, მედიატორობა და სხ. და სხ. გარდა ამისა არის განსაკუთრებული ბიურო ანგარიშისა, რომლის მიზანია დაეხმაროს კოოპერატივთ დავთრების წარმოებაში, დააყენოს მათი ბუხჰალტერია მკვიდრ ნიადაგზე, მისცეს მათ რჩევა და დარიგება, ასწავლოს მათ მოანგარიშეს პრაქტიკულათ დავთრების წაყვანა და სხ.

პროპაგანდის ბიურო თვეში საშუალო რიცხვით 15-მდი კონფერენციას მართავს პროვინციის სხვადასხვა კუთხეში. კონფერენციათა საგანია: საზოგადო პროპაგანდა, საყურადღებო კანონპროექტების განხილვა, მუშათა მოთხოვნილებების დაცვა, ადგილობრივი საჭირბოროტო კითხვები, მუშათა ერთობა და სხ. და სხ. კრებები ანუ სიეზდები გაიმართა შემდეგი კითხვების გადასაწყვეტათ: პურის მუნიციპალიზაცია რეჯიოში, წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დახმარების მოთხოვა მთავრობისაგან (გუასტალამო), პროვინციის ზომიერთა ერობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც მტრულათ ეპყრობოდა შრომის კოოპერატივთ და იჯარას არ აძლევდა; დაცვა იმ კანონპროექტების, რომელთა მიზანი იყო ქალთა და ბავშთა შრომის გაუმჯობესობა, ბრინჯის მუშაობის განსაზღვრა, ღამის მუშაობის გაუქმება, კოლექტიური ხელშეკრულობა და სხ.; აგიტაცია წინააღმდეგ მთავრობის მიერ მუშათა დახოცვისა, უმუშავრობისა, კლერიკალურ—ზომიერთა მუნიციპალიტეტების მოქმედებისა და სხ.

ბარჟის მიზანია ტარიფის აწევა და სამუშაო დღის შემოკლება. ის მეცადინეობს ამას მიაღწიოს პატრონებთან შეთანხმებით, იშვიათათ გაფიცვით. გაფიცვა მან გამოაცხადა 1906 წ. ერთი და 1907 ორი, ხოლო 1905 წ. ბოიკოტი გამოუცხადა ფაბრიკოს კლერიკალურ მუნიციპალიტეტს მოძხმარებელ კოოპერატიუზე დიდი გადა-

სახადის დადებისათვის (შემდეგ ეს მუნიციპალიტეტი სოციალისტებმა დაიპყრეს). მიუხედავათ ამ მცირე ძალ-დატანებისა ბირჟამ მოლაპარაკებით და თანხმობით შეს-ძლო ტარიფის გადიდება 30%-მდე, ხოლო სამუშაო დღის დაყვანა ათ საათამდი და სხ.

ბირჟის მეთაურობით მოხდა მრავალნაირი კონგრე-სი, სხვათა შორის პირველი კონგრესი იტალიის სამი-წათმოქმედო კოოპერატივებისა 1905 წ., რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს იტალიის მიწის მუშათა კავშირმა, ბოლონიის გლეხთა კავშირმა, პარმის, რავენის და მოდე-ნის შრომის ბირჟებმა, მილანის „ჰუმანიტარიის“[1]) აგრა-რიულმა განყოფილებამ და სხ. ბირჟა იღებს მონაწილეო-ბას მუშათა ყველა კონგრესში, ჩაწერილია იტალიის კოოპერატივთა ლიგაში.

ბირჟა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს პროვი-ნციის მუშა-ხალხის ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას და სწორ სტატისტიკის შედგენას. ეს მისი მოქმედების მთა-ვარი საფუძველია. თავისთავათ ცხადია, რომ ხალხის მე-თაურობა და ნაყოფიერი მოქმედება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ ხალხს იცნობ და მისი ცხოვრების ყოვე-ლივე მხარე გამოკვლეული გაქვს. ბირჟაში არის ერთი დიდი ზალა, ყოველნაირი სტატისტიკური მასალით სავ-სე. კედლები მოფენილია დიაგრამებით. აქ აღნიშნუ-ლია თვალსაჩინოთ რიცხვი კომუნებისა, მათ მცხოვ-რებთა რაოდენობა, რაოდენობა მუშა-ხალხისა, მისი და-ნაწილება კატეგორიებათ და ხელობით, სად რამდენი კოოპერატივია, რამდენი წევრი ყავს და სხ. და სხ. შე-სვლისთანავე ყურადღებას მიაქცევთ ერთ დიდ ქარტას, სადაც ფერადი ნაბატებით აღნიშნულია კოოპერატივთა

---

[1]) ეს დიდი კოოპერატიული დაწესებულებაა, ძირის თანხა რამოდენიმე მილიონი აქვს, შემოწირული ერთი კაცის მიერ.

ძირის თანხა და მათი კრედიტი. პირველი ისე პატარაა, რომ ძლივს სჩანს, მის ირგვლივ კი გადალესილა მეორე ფერის ნახატი და ზედ-აწერია—კრედიტი. საზოგადოთ, ეს ოთახი დიდ მასალას იძლევა პროვინციის გასაცნობათ და ალბათ ამიტომ მოსული უცხოელნი ამ ოთახის ცნობებით კმაყოფილდებიან და პროვინციაში აღარ მიდიან დასათვალიერებლათ.

ბირჟა სტატისტიკურ ცნობებს კრებს კოოპერატივების საშუალებით, რომელთაც ის დრო-გამოშვებით უგზავნის დაბეჭდილ ბლანკებს კითხვებისას და ისინი პასუხით ავსებულთ უკანვე უბრუნებენ. საერთო სტატიკური გამოკვლევა მოხდა ორჯერ 1904 და 1908 წ. წ. უკანა'კნელი წლის ცნობები სისტემაში არ იყო მოყვანილი ჩემს იქ ყოფნის დროს, თუმცა მასალა კი ყველა რიგ-რიგათ ელაგა და მასზე მუშაობდა სეკრეტარიატი. აი ბირჟის მიერ დაგზავნილ კითხვათა სია:

1. რა არის მიწის მთავარი ნაყოფი? 2. რა მრეწველობაა კომუნაში? 3. რომელი ნაყოფი გააქვთ გარეთ და რომელი შემოაქვთ? 4. სხვა რა ალებ-მიცემობა არსებობს? 5. რა ზომისაა სამუშაოს ნაკლებობა და როდის? 6. რომელი ხელობის მიმდევარი უფრო განიცდის უმუშევრობას? 7. გადიან გარეთ სამუშაოთ? რომელი ხელობის ხალხი უფრო და რამდენი? 8. მოდიან კომუნაში გარედმიდან სამუშაოთ? რამდენი და რა სამუშაოსთვის? 9. როდის დაიწყო მუშათა გამოფხიზლება? 10. როდის დაარსდა პირველი ორგანიზაცია? 11. ვინ იყვენ მეთაურნი? 12. 1907—1908 წ.წ. იყო აგიტაცია შრომის პირობათა გასაუმჯობესებლათ? 13. რას თხოულობდენ? 14. თუ არ იყო, აპირობთ ახლო მომავალში? 15. რამდენი კონფერენცია გაიმართა 1807—1908 წ.წ. და ვინ გამართა? 16. რა იყო შედეგი? 17. იყო ისეთი მანიფესტაცია, რომელსაც ეკონომიური ხასიათი არ ქოდა? 18. რა ნაკლულევანება აქვს მოძრაობას, რა არის საჭირო ორგანიზაციათა გასამაგრებლათ? 19. შეკრიბეთ ცნობები მუშათა ცხოვრების შესახებ, ოჯახის ბიუჯეტი

მუშის, მენახევრის და წვრილი მესაკუთრის, მათი ყოველ-დღიური გასავალი და საკმელ-სასმელი.

ეს არის კითხვები საზოგადო ხასიათის. აი კითხვები ქირის შესახებ:

1. ვინ იღებს ქირას დღიურათ და ვინ საათობით? 2. ჩამოწერეთ სამუშაო დღისა და ქირის რაოდენობა ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომაზე მუშათა შემდეგი გატეგორიისთვის: დღიურნი მამა-კაცნი და დღიურნი დედა-კაცნი, კალატოზნი, დურგლები, მკედლები, ხარაზები, და თერძები ორივე სქესის, უნდა იყოს აღნიშნული ქირის მინიმუმი და მაქსიმუმი[1]). 3. რამდენს იძლევიან დღეში ლეწვისათვის? 4. რამდენ საათს მუშაობენ დღეში ბრინჯზე? რას იძლევიან ამ მუშაობისათვის დღეში? კიდევ რა განსაკუთრებული სამუშაო არის და რა ღირს დღეში?

კითხვები მცხოვრებთა შესახებ:

1. მცხოვრებთა რიცხვმა მოიმატა თუ მოიკლო 1901 წლის შემდეგ (უკანასკნელი აწერიდან)? 2. რამდენით? 3. რომელი ხელობის მუშა შედის რომელიმე ორგანიზაციაში და რამდენი? აქ ჩამოთვლილია მუშათა შემდეგი კატეგორია ხელობის მიხედვით: წვრილი მესაკუთრენი, მენახევრენი და მოიჯარადრენი; მოჯამაგირენი, დღიურნი (ქალები და კაცები), კალატოზნი, მკედლები, დურგლები, ხარაზები, მედროგენი, ყველის მკეთებლები (მუშები), თერძები, მეუნაგრენი.—რამდენი ორგანიზაციაა კომუნაში და მის თითოეულ კუთხეში? მათი სახელები და წევრთა რიცხვი; თავმჯდომარეთა სახელები.

აი ყველა ეს და მრავალი სხვა კითხვის ბლანკები იგზავნება პროვინციაში და იკრიბება სტატისტიკური ცნობები.

ბირჟა ბევრს აკეთებს აგრეთვე შრომის ბაზრის გამოკვლევით და წასულ ან მოსულ მუშათათვის სამუშაოს გამოძებნით, ამ მიზნით მას აქვს მუდმივი კავშირი სხვა ბირჟებთან და მილანის „ჰუმანიტარიასთან“.

---

[1]) ამ კითხვების ბლანკი დაწვრილებით არის შედგენილი და დაბეჭდილი. ბლანკები ყველა დაბეჭდილია.

ბირჟას აქვს განყოფილება გუასტალოში. ბირჟას განაგებდა შემდეგი თანამდებობის პირები სეკრეტარიატში: საერთო მდივანი, მდივანი პროპაგანდისა და გლეხთა კავშირისა, მდივანი სტატისტიკის, ემიგრაციისა ტ სამუშაოს ძებნის, ეკონომი, აგენტი, გადამწერი, გუასტალოში მდივანი. ბუხჰალტერიაში: თავი ბუხჰალტერი და მისი ოთხი თანაშემწე. ცენტრალურ ბუხჰალტერიაში მუშაობს სამი კაცი. აგრარულ ბირჟაში—ერთი. აქ არის რჩევის მისაცემათ ერთი ექიმი და ერთი ვექილი.

გარდა ამისა, ბირჟაში არის მოთავსებული კოოპერატივთა ბანკი, კოოპერატიული რკინის გზის გამგეობა (მსახურობს ათი კაცი, ამათში ოთხი ინჟინერი), და მომხმარებელ კოოპერატივთა ამხანაგობის გამგეობა (მსახურობს შვიდი კაცი; ხაზინადარი მას და ბანკს ერთი ყავთ).

აი სანიმუშოთ ბირჟის 29 თვის ბიუჯეტი (1904 წ. აგვისტოდან 1906 წ. გასვლამდი):

აქტივი და პასივი უდრის 17743 ლირას.

შემოსავალი: თითოული წევრისაგან—9,530 ლ. საზოგადოებათაგან—16243 ლ., არაჩვეულებრივი ამათგანვე 735, ქირა და ხარჯები—3597 ლ., სულ 30105 ლ.

გასავალი: მოსამსახურე პირთ 29 თვის ჯამაგირი —16463 ლ. ფოსტა, კანცელარია და სტამბა—1417 ლ., სახლის ქირა—5471, განათება-გათბობა 1716, წასვლა-მოსვლა 1739, დახმარება და სხვადასხვა ხარჯი 1330, მოძრავი ქონების შეკვეთება 1641, სულ სანტიმებიანათ—29780 ლ., დარჩა 325 ლირა.

1908 წ. ცნობით ბირჟაში ჩაწერილი კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობა იხატება შემდეგი ციფრებით:

თანხა აქციებში.	1.500.000 ლ.
უძრავი ქონება . . .	1.200.000 „
მომხმ. კოოპერატ. წელიწად. ყიდ. საქონ.	3.000.000 „
შრომის კოოპერატივები აკეთებენ	2.500.000 „

შემოსავალი ჩალის ქსოვისაგან	700.000 „
მომხმ. კოოპერ. ამხანაგობა ყიდის.	800.000 „
სამიწათმოქმედო კოოპერატივები ყიდიან.	800.000
გლეხთა კოოპერატივი ყიდის	750.000 „
კოოპერატიული რკინის გზიდან მიიღეს	1.500.000 „

დანარჩენი წვრილმანებია.

სულ წლიური საერთო შემოსავალი აჭარბებს ათ მილიონს. ფულის აღებ-მიცემობა რამდენიმე ათი მილ. იქნება.

კოოპერატივთა ასეთი გამძლავრება ვერ მოხდებოდა მფარველი კანონმდებლობა რომ არ არსებობდეს. იტალიის პარლამენტში არსებობს „პარლამენტარული კომიტეტი კოოპერატივის მეგობართა“, რომლის მიზანია კანონმდებლობის წესით ხელი შეუწყოს კოოპერატიულ მოძრაობას. კომიტეტში შედის კოოპერატივის ყველა მომხრე, განურჩევლათ პარტიისა. მისი თავმჯდომარეა ყოფილი პრემიერი ლიუცატი. კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს იტალიის კოოპერატივთა ლიგასთან და მისგან ღებულობს ცნობებს კოოპერატივების საჭიროებათა შესახებ. ლიგის მოთხოვნილებანი კომიტეტს კანონპროექტების სახით შეაქვს პალატაში და მეცადინეობს მათ დაკანონებას. აი ამ გზით გამოცემული ზოგი კანონი:

კანონი 12 მაისის 1904 წ., რომლის ძალით კოოპერატივებს ნება ეძლევა მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში სახელმწიფოს, კომუნისა და პროვინციის იჯარების ასაღებათ.

კანონი 11 ივლისის 1904 წ. მომხმარებელი კოოპერატივის სასარგებლოთ, კანონი 19 აპრილის 1906 წ. ნებას აძლევს კოოპერატივთ აიღოს საზოგადო სამუშაოები გირაოს შეუტანელათ, კანონი 7 ივლისის 1907 წ. ნებას აძლევს კოოპერატივთა კავშირთ აიღონ იჯარით რკინის გზის სამუშაო. კანონი 14 ივლისის 1907 წ. ნებას აძლევს კოოპერატივთა კავშირთ აიღონ იჯარათ ჰიდრავლიკური (არხების და სხ.) სამუშაო. კანონები 3 მარტის და 11 ივლისის 1904 წ., 29 მარტის 1906 წ.,

7 ივლისის 1907 წ. და სხ. აძლევენ კოოპერატივთ სხვა და სხვა შეღავათებს და უფლებებს.

ამ კანონების ინიციატორი უმთავრესათ რეჯიოს შრომის ბირჟაა. ზოგი კოოპერატივის სამშობლო რეჯიო-ემილიაა და რაღა გასაკვირალია მაოი სამფარველო კანონების საჭიროება პირველათ აქ იგრძნონ და ეს ლიგის საშუალებით გადასცენ საპარლამენტო კომიტეტს.

კოოპერატივი, კოოპერატივთა კავშირი, შრომის ბირჟა, იტალიის ლიგა, საპარლამენტო კომიტეტი—აი კოოპერატიული მოძრაობის საფეხურები, აი როგორ გადაჯაჭვული არიან ისინი ერთმანეთზე და ერთათ მიდიან. მთელი ამ შენობის საძირკველია თითოული კოოპერატივი, რომლის რიცხვი იტალიაში 2.200-ზე მეტია. ყველაზე მეტია მომხმარებელი კოოპერატივი (860), ყველაზე ნაკლები სასკოლო კოოპერატივი (პატრონატი 13). ყველა კოოპერატივი ერთი და იგივე დარგის, რა გინდ ცოტა იყოს ის რიცხვით, ერთდება კავშირში და ეწერება ლიგაში. ლიგის ბინაა მილანში, მისი საერთო მდივანია ცნობილი კოოპერატორი და სოციალისტი ანტონიო მაფი, რომელიც ჩვენ შესავალში გავიცანით და რომელმაც რეჯიო-ემილიაზე მიმითითა. მაფის ხელმძღვანელობით იმართება კოოპერატივთა ნაციონალური კონგრესები; ეს კოოპერატივთა უმაღლესი ხელმძღვანელი და წინამძღოლია. აქ ისმება და იჭრება კოპერატივთათვის ყველა საერთო საჭირ-ბოროტო კითხვა და ეყრება კოოპერატიულ მოძრაობას მკვიდრი საძირკველი.

გავათავეთ. რეჯიო-ემილიის გაცნობით ჩვენ გავიცანით იტალიის კოოპერატივთა ყოფა-მდგომარეობა. ამ პროვინციის ჩველებრივი კოოპერატიული მოძრაობა ერთიანათ გაცს სხვა პროვინციისას, ხოლო მისი მეტისმეტი განვითარება და ყველა სოფლების ამ მოძრაობაში ჩათრევა—არ გავს სხვა პროვინციებს და აიხსნება რეჯიო-ემილიის განსაკუთრებითი თვისებებით. მრეწველობის სისუსტე—აი ჩვენი აზრით მთავარი მიზეზი კოოპერატივთა გაძლავრებისა. და მართლაც, რაკი მრეწველობა სუ-

სტია, რაკი კაპიტალის ბატონობა საზღვარ-დადებულია, აშკარაა კონკურენციაც სუსტია და კომერციული ბრძოლა მოდუნებულია. ასეთ პირობებში კოოპერატივი, უფრო კი შრომის კოოპერატივი, პოულობს შესაფერ ატმოსფერას და მოცილეობას ადვილათ უწევს წვრილ კაპიტალს და მის წარმომადგენელ წვრილ ბურჟუაზიას. მეორე მხრით, სხვილი კაპიტალის უქონლობა ნიშნავს სუსტ ბურჟუაზიას, მაშასადამე ძაბუნ ლიბერალიზმს და სუსტ კულტურტრეგერობას. და რადგანაც ბუნებას ცარიელი ადგილი არ უყვარს, ბურჟუაზიის მაგიერობა კულტურაში და პოლიტიკაში ვინმემ უნდა იტვირთოს. და აი ეს როლი წილათ ხვდა მუშა ხალხს. რეჯიო-ემილიაში თავისუფლების და სამოქალაქო კულტურის დამცველი მუშა-ხალხია. ამიტომ სხვა კლასების თავისუფალ მოაზრენი იძულებული არიან, საკუთარი პარტიის უქონლობის გამო, მუშებს მიემხრონ და მათი გეგემონია იცნონ. ამით აიხსნება ისიც, რომ კოოპერატივები და შრომის ბირჟა მთავარი კულტურტრეგერებია. რკინის გზა გაყათ მათ იმიტომ, რომ სხვა არავინაა მისი გამყვანი. ბანკებს ხსნიან იმიტომ, რომ სხვა არავინაა მათი გამხსნელი, სკოლებს, ბიბლიოთეკებს, იაფ ბინებს, სახალხო სახლებს და სხ. და სხ. აკეთებენ ისინი იმიტომ, რომ სხვა არავინაა ამაების ამგები. ერთი სიტყვით, აქაური კოოპერატორები და სოციალისტები იძულებული არიან აკეთონ ის, რასაც სხვაგან აკეთებენ ლიბერალები, კაპიტალისტები, დემოკრატები და სხ. აი ეს გარემოებაც ქმნის კოოპერატივთათვის საერთო თანამგრძნობ ატმოსფერას და მკვიდრ სამოქმედო ნიადაგს.

მოკლეთ, კოოპერატივი, სოციალისტური ორგანიზაცია აქ ნიშნავს არა მარტო მუშათა ეკონომიურ და პოლიტიკურ შეჯგუფებას, არამედ კულტურასაც. ისინი კულტურის მატარებელია. მათი ბატონობა კულტურის ბატონობაა და ამით აიხსნება მათი ძლევამოსილი მსვლელობა.....



სარჩევი

		გვერდი.
1.	ავტორისაგან	I— II
2.	შესავალი	3— 7
3.	მომხმარებელი კოოპერატივი .	7— 71
4.	სამიწათმოქმედო კოოპერატივი	72— 98
5.	შრომის კოოპერატივი	98—120
6.	გლეხთა კოოპერატივი	121—141
7.	ლიგები	141—159
8.	ერთიერთ დამხმარე საზოგადოებები.	159 –170
9.	საკრედიტო კოოპერატივები	170—182
10.	მუნიციპალიტეტი	182—197
11.	შრომის ბირჟა	197—-220

უმთავრესი შეცდომების გასწორება.

			დაბეჭდილია.	**უნდა იყოს.**
გვერ.	სტრიქ.			
4	2	ზევიდან	პენიაში	პელიაში
4	4	„	მილანიაში	მილანში
5	6	„	პარტიელი	პარტიები
6	4	ქვევიდან	მომხმარე	დამხმარე
7	5	„	ქონებას	ქონებიდან
11	9	„	მოკლებამდის	მიღებამდი
12	13	ზევიდან	სათადიგო	სათადარიგო
14	1	ქვევიდან	გადასახადებით	გადასახლებით
15	17	ზევიდან	შეტანილა	არ შეტანილა
20	4	ქვევიდან	სანახევრო	საწევრო
24	10	„	სან-ჯიკვანი	სან-ჯიოვანი
25	5	„	პეკტარი	ჰეკტარი
26	2	ზევიდან	რკინის მგებელი	რკინისგზელი
30	10		რაშიც	რამაც
32	12	„	ძალის	მადის
37	6	ქვევიდან	კრიპსის	კრისპის
39	18	„	ნოველარის	ნოველარისას
67	3	ზევიდან	სწვეტს	სწყვეტს
72	4	„	იქიდინ	იქიდან
81	10	ქვევიდან	გოგირდს	შაბიაზანს
86	9	ზევიდან	ეტლეში	ეტლში
90	9—10	„	მანქანქანები	მანქანები
91	3	ქვევიდან	დამოკიდებულია	დამოკიდებული
92	9	„	ირიცხება	ირიცხება.
—	7	ზევიდან	წელიწადრში	წელიწადში
97	6	„	რომელმაც	რომელიც
99	5	ქვევიდან	საშიშარია	საშიშარია.
104	6—7	ზევიდან	პირობეას	პირობებს

დაბეჭდილია				**უნდა იყოს.**
გვერ.	სტრიქ.			
105	7	ქვევიდან	სახტიკათ	სასტიკათ
110	7	ზევიდან	მიემხო	მიემხრო
—	14—15	„	გადახადია	გადასახადია
115	14	„	ტენტრია	ცენტრია
117	16	„	ინტერესთან	ინტერესთა
—	8	ქვევიდან	დაიშვლა	დაიშალა
120	5	ზევიდან	საშვალებაა	სამუშაოა
—	2	„	ზამთორბით	ზამთრობით
124	2	ქვევიდან	დაიცვის	დაიცვას
128	8—9	„	პირებისას	პირები
—	2—3	„	წევრისასაგან	წევრისაგან
129	6	„	ადგილობრი	ადგილობრივი
147	16	„	ბდოლის	ბრძოლის
—	10	ქვევიდან	ტირიფს	ტარიფს
158	9—10	„	ჩაერერევა	ჩაერევა
160	16		ისაზღერება	ისაზღვრება
164	13	ქვევიდან	ხაჯათ	ხარჯათ
173	13	ზევიდან	ერთობათა	ერობათა
181	1	ქვევიდან	ბანსები	ბონები
182	16	„	მოსამსახურე დირეკტორი:	მოსამსახურე: დირეკ-ტორი
190	2		მიდის	შედის